ჯორჯოხი



2 2024

აჭარის მწერალთა სახლი

ISSN 0134-3459

ჭოროხი

გამოცემის 66-ე წელი | მარტი-აპრილი | №2 | 2024 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე
გენრი დოლიძე
დავით თედორაძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქებურია
თინა შიოშვილი
ცისანა ანთაძე
იაშა თანდილავა
ლალი კონცელიძე
გურამ ფუტკარაძე
ვახტანგ ღლონტი
მალხაზ ჩოხარაძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფაღავა

კორექტორი

მაია ჯაფარიძე

სტილისტი

გურანდა ნიჟარაძე

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2024

რედაქციის მისამართი:
6010, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: 599 91-84-80. E-mail: chorokhi.mag@gmail.com

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში.
ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

პოეზია, პროზა

ბელა ქებურია – ლექსები 3
შალვა კვასხვაძე – მოთხრობები 20
ელია მორანელი – ლექსები 43
ნანა ანთაძე – ჩინოვნიკის სიზმარი (მოთხრობა) 51
ნინო კახიძე – ლექსები 56
ქანა ბოგვერაძე – ლექსები 62
მამუკა ოჩიაური – ლექსები 67
ჯონი ჩახვაძე – ლექსები 71
სანდრო ბერიძე – ნიამორის კოპლებიანი დღიური 73

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

პაატა აროშიძე – ისტორიული სინამდვილის ასახვის ორი ფაქტი „ვეფხისტყაოსანში“ 91
სალომე მიქაძე – „კომანდორის მკვლელობა“ (ჰარუკი მურაკამი) 96
„ყველა ერთნაირად როდი ცხოვრობს“ (ჟან-პოლ დიუბუა) 97
„ალბათ ესთერი“ (კატია პეტროვსკაია) 98

წერილები

შორენა მახარაძე – ქსოვილების დამზადებისა და ქრა-კერვის ტრადიციები 101
მიხეილ ზოსიძე – ქაშუეთი, ჩემი ქაშუეთი 110
ალექსანდრე ჩხაიძე – საზღვაო ტრანსპორტი ბათუმში (XIX საუკუნის ბოლოს) 113

ᲑᲔᲚᲐ ᲥᲔᲑᲣᲠᲘᲐ

ᲞᲝᲔᲢᲘ, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲖᲦᲕᲐᲣᲠᲘᲡ“ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲐᲖᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲝ-ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲬᲔᲕᲠᲘ, ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲐᲕᲢᲝᲠᲘ, ᲐᲗᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ, „ᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘᲡᲐ“ ᲓᲐ „ᲓᲘᲓᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡ“ ᲢᲘᲢᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ, ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲑᲔᲚᲐ ᲥᲔᲑᲣᲠᲘᲐ ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲘᲐ. ᲡᲣᲚ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲘᲡ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲓ ᲐᲘᲠᲩᲘᲔᲡ.

ᲑᲔᲚᲐ ᲥᲔᲑᲣᲠᲘᲐᲡ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲓᲐ ᲦᲠᲛᲐᲓᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲑᲘ ᲗᲐᲠ�გᲛᲜᲘᲚᲘᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ. ᲗᲐᲕᲐᲓᲐᲪ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲔᲬᲔᲕᲐ ᲛᲗᲐᲠ�გᲛᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ. ᲬᲔᲠᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲔᲑᲡ. ᲛᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲖᲔ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘᲐ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ, ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲣᲚ, ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲔᲜᲔᲑᲖᲔ.

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲭᲝᲠᲝᲮᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲡ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜ ᲑᲔᲚᲐᲡ ᲚᲐᲛᲐᲖ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲣᲡᲣᲠᲕᲔᲑᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ.

ᲩᲔᲛᲘ ᲛᲝᲜᲝᲚᲝ�გᲘ

კალენდრის ეს ფურცელიც ჩამოიხა...
აღარ მიხარია, ვსევდიანობ...
თუმც სხვათა გადმოსახედიდან,
თითქოსდა, კვლავ ვქუდბედიანობ!

დამთავრდა ჩემი გაზაფხული,
ტკივილიც უჩვეულოდ მომეჯარა,
ღმერთო, რა ცოტა მაქვს დანახული,
ბოლომდე ვეღარ ვაღებ ჩემს ფანჯარას.

იქნებ უცაბედი შემოტევით,
გინდა ეს სიცოცხლე დაამთავრო,
ჩემო აუხსნელო სასწაულო,
ჩემო უნახავო სანახავო!

ჩემი აუსვლელი მწვერვალები,
კვლავ ასე როგორ მეშორება,
ყრია შემოდგომის გრიგალები,
მაისის ბილიკებზე – ნეშოებად.

დედამიწავ, ჩემო დედამიწავ,
ჩემო სევდიანო მოიმედევ,

შორს ნუ გაუყვები გალაქტიკას,
ხანდახან უკანაც მოიხედე...

გაათბე ჩვენი სული არეული,
გადაღლილი ცხოვრების ქარტეხილით
და ადამიანს ზიზღის ნაცვლად,
ასწავლე სიკეთის გაკვეთილი.

უკვე ის საოცრად გულგრილია,
ყველაფრის მიმართ და ყველასადმი.
ეცვლებათ, ეცვლებათ, ძვირფასებო,
ასე ჩვენს თბილ გრძნობებს მისამართი.

...და ახლა, წლების სიმაღლიდან,
მინდა რომ ვიყვირო: – დღეა ჩემი!
ეჭვით ნუ უყურებთ სიმაღლეებს,
სწრაფვას ბორკილები შეახსენით!

შეხედეთ რიჟრაჟებს და დაისობებს
და სხივთა გადატყდომებს ლაჟვარდებში,
(ტკივილებს ნუღარ დაიხსომებთ,
ჩაებით ბავშვებთან თამაშებში).

იქნებ, კვლავ იპოვოთ დაკარგული
ჭიამაიები – ნათელები,
ისევ გაგახსენდეთ ღამეები,
ლოცვით და ვედრებით ნათენები.

იქნებ გაგახსენდეთ, რომ არსებობს
მწვანე ოაზისი – თავდადება...
იჩქარეთ, გული გაიხსენით,
თორემ ეს სპექტაკლიც დამთავრდება.

განიძრეთ გველის პერანგივით
(თუმცა წამება და ჯვარცმა არის),
შიში, ზიზღი, შური, გულგრილობა...
იხსენით სული, სული ზენაარი!

დაუყევით ბავშვობის გზა-ბილიკებს,
მოძებნეთ წიქარა და შოშიები
და გრძნობებს, ნაწვალებს თუ ნაქილიკევს,
ხელი შეაშველეთ მოწიწებით.

გაიხსენეთ, რამდენი სიკეთე გაქვთ,
ბავშვობაში ოცნებით დანახული,

რომელიც დიდობაში გვავიწყდება,
როგორც შუა ზაფხულში – გაზაფხული.

გაიხსენეთ პირველი ზმანებები,
თქვენი აღტაცების სიანკარე...
და ძველი, გულწრფელი მეგობრები,
რომელთაც ვერ-ცნობა მიაფარეთ.

გაიხსენეთ პირველი ჟრუანტელი,
მაგნოლიის თეთრი გვირგვინები,
დამთავრდა დღევანდელი გაკვეთილი...
– თქვენ კვლავ ძველებურად იღიმებით!

დავითის გამოღვიძება

„ქვეყნების დასაპყრობად დღეს იარაღი არ გვჭირდება,
ჩვენი იარაღი – ფულია და მსოფლიო ჩვენი იქნება!“...
ამონარიდი ერთ-ერთი ქვეყნის
საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებიდან...

ეს მერამდენე ღამეა, მეხსნება სიზმრის კარედი,
ამ დროის კარი მოვხურე, სხვა ეპოქაში გავედი.
ვარსკვლავთ სხივები ავსებენ ბროლის კამკამა ამპულებს,
თითქოსდა ზეცა ჩვენს მიწას მილიარდ თვალით დაჰყურებს.
მიხმეს გელათის კედლებმა, უცხო ხმას მივაყურადე,
ისეთი შიში მეტაკა, შუბივით ჩამწვდა გულამდე.
მუხლის ცახცახით ვუყურებ, სამლოცველოში ლანდია,
მუხლზე უჩოქებს ღვთისმშობელს, ჩვენს მფარველს კალთა-მადლიანს.
თავზე ჩაჩქანი ახურავს, ფარ-ხმალსაც უმალ მიაგნო,
უცებ გალავნის შესასვლელს მოადგა ფიცხი იაბო,
ფერი მეცვალა, ვიცანი, მეფეთა-მეფე დავითად...
პირჯვარი გარდაისახა, წამოდგა, გარეთ გავიდა.
კედელს ავეკარ, მან მძიმე ნაბიჯით განვლო კარები,
„ტაოს კარს ისევ მოადგნენ, ჰეი, ვაჟკაცნო, ამხედრდით!“
– შესძახა, მარდად მოევლო უნაგირს ფიცხი ცხენისას,
ნაპერწკლებს ჰყრიდა ნალები, რეფრენად სდევდა ელვის ხმა.
გელათის ბებერ კედლებში უცხო სინათლე გაბრწყინდა,
ღამეულ ცაზე ყივილით გადაიფრინეს არწივთა...
დიდგორისაკენ წარუძღვნენ... მეფე კვალს ადგას მალიად...
წინ შეხვდა მაცნე დაჭრილი, ეოცა... მიხვდა – ქალია.
შედგა... ქალწულმა მწუხარედ თავთუხთა ჯარი დახარა:
„– ისევ დაჰკრესო მომხდურთა, წინწილასა და ნაღარას!

დიდგორის ველზე, სამხრეთის, ავად სისინებს ქარიო:
– თქვენი დრო უკვე წავიდა, დამდგარა ჩემი ჟამიო,
ვისაც მხარ-მკლავი ერჩოდა, ხურავს სამარის კარიო,
ხმლის ამლესავიც არ დაგრჩათ, მე მიდგას კარგი დარიო,
არც ხმალს ვიშიშვლებ, არც ტყვიას, მთავარი ოქრო არიო!..“
მეფე წამიერ შეყოვნდა, არ დააყოვნა პასუხმა:
„– დაერევიან მგლის ლეკვნი, ცხვრების დუმებით ნასუქალთ.
ამ მიწამ ბევრი მოისწრო, აწიც, ბევრ მომხდურს მოისრავს:
ტურების კნავილს ჩაახშობს, დაღრიალება ლომისა,
უკვე აკვანი ირწევა იმ მომავალი გმირისა,
რომლის მეტოქის დედაცა, ჯერ გაუჩენელს სტირისა!“
მიქროდა ფიცხლად იაბო, ქარი ტოლს ველარ უდებდა,
დიდგორს მიადგა, შეფეთდა, ცა იდგა ვერცხლის გუბედა...
ლაშქრის კვალიც კი არსად ჩანს, ველს ჰფარავს ჯარი – ჯვრებისა...
იდგა სიჩუმე საზარი და წამი გარინდებისა...
მისი გმირების საფლავთა ბორცვებს ამკობდა მახვილი,
ეძინათ მარადიულად, ვერ აფხიზლებდათ ძახილი...
ხმლების ვადებზე ისხდნენ და გალობდნენ უფლის ჩიტები:
„მეფეო, ჩვენ არ გიმტყუნებთ, ღვთის მაცნედ მოგიფრინდებით,
ის ელოდება ქართველთ ხმას, რომ აღადგინოს ლაზარე,
ერის ერთობა დადგება, მოვალთ, სულ მალე გახარებთ.
აღსდგება შენი სამეფო, ნიკოფსით-დარუბანდამდე,
ამ მიწას ფეხქვეშ გაგიგებთ, მიგიყვანთ არეგაწამდე...“

...უცებ მოვფხიზლდი, ტოროლას მზისკენ მიჰქონდა სალამი,
მზე ბრდღვიალებდა, ისე ვით ბაგრატოვანთა ალამი...
ხელში მეჭირა, თუმც მწვავდა, იყო მალამო სულისა,
მეფეთა-მეფე დავითის გალობა სინანულისა.

ნამდვილი სახე

„...ჩემი ნამდვილი სახე სიკვდილის
შემდეგ გამოჩნდება“.

ჟიული შარტავა

ცხენი შავფერი, შავრახტა,
წინ გადაუდგა ოდეს,
„დაიჩოქეო!“ – უბრძანეს...
იქუხა: – არასოდეს!
ვით მუხა, იდგა ზეზეულ,
ძმა ცოტნესი და ქუჯის,

სიკვდილის დამთრგუნველივით
აუწონავი უნჯით.
სოხუმის ცაზე გადავლილ
თოლიებს მისწვდა თვალით,
ენიშნა ფრთა სისხლიანი,
როგორც ღალატის კვალი.
უაზრო აყალმაყალში,
ქარი ებრძოდა კორომს...
და „ალიაშე“ გრძნეული –
დირიჟორობდა ქოროს...
მხოლოდ სისხლიან სურათებს
ადებდა მიმოსახედს,
მეწამულისფრად ღებავდა
ბაღებს, ეზოებს, სახლებს.
სექტემბერს – დამთვრალს სამსალით,
ცეცხლი ეკიდა ეგზომ,
რომ სხვა მოსავალს იმკიდა
სახლი, ქუჩა და ეზო.
ირგვლივ სიკვდილის მანქანას
გადაელეწა კალო,
მეფისტოფელი ბატონობს...
ბულბული აღარ გალობს.
სამოთხე – დიოსკურია,
ვინც სასაფლაოდ აქცია,
ძმათა სისხლს მოწყურებული,
მაქცია დედაკაცია...
არ გაუმრავლდეს მოდგმა და
ეზოს ხედავდეს ქაცვიანს.
უფალი ყველას მოჰკითხავს,
ნემსის, აქლემის ქურდსაც,
სამშობლოს სამსახურისთვის,
არ იბრუნებენ ხურდას,
გული საგულეს ცივდება,
ადრე რომ ეგზომ ხურდა.
მესმის ათასი სიცრუე,
ჭორი და აბდაუბდა...
შენ – კი... გააპე დროის და
სივრცის სულყველა ზღვარი,
დრო ყველა ჩვენს მტერს მოისრავს,
მტვერს მიმოფანტავს ქარი,
შენ უკვდავების თეთრ ხომალდს,
რა ადრე მიუსწარი!..

შენა ხარ ჩემი თაობის,
ღირსებაცა და ხმალიც,
შენით გადავრჩით, წავშალეთ
ყველგან სიკვდილის კვალი.
ჩვენი ჯილდო ხარ, ტკივილი...
გადასახდელი ვალი!

ბავშვებს, რომლებიც ჯერ არ დაბადებულან...

თუ შეგიძლიათ, დაბადება აღარ იჩქაროთ,
იქ, სამოთხეში.... დაუვარდით უფალს მუხლებთან,
ამ საუკუნეს ბავშვებისთვის არა სცალია,
მათ ან დედები იცილებენ... ჰკლავენ აბორტით,
ან მერე... უკვე ბრძოლის ველზე იხოცებიან.
და, თუ თქვენ მაინც არ დაიშლით...
ველურ ცხენს ჰგავხართ,
მოგინდათ, ლაღად მოირბინოთ ხოდაბუნები...
ჯიუტ ბუნებას ამოსდებენ ეკლიან ლაგამს,
რადგან ველებზე,
მზესუმზირის და ხორბლის ნაცვლად,
დღეს ჯეჯილობენ ცეცხლის ენები...
კვირტების ნაცვლად,
არყის ხეზე სკდება ტყვიები
და შენს მინდვრებზე
ნაირ-ნაირ ჯიშის და ჯურის
ყუმბარები, თესლებივით იყრება კვალში...
მათგან ხვალ ისევ
სიკვდილი თუ აღმოცენდება...
არ დაიბადოთ, ძალადობით ჩასახულნო,
ომს ომი მოაქვს,
ახლა ამ ველზე ნაზი სიო
ხოდაბუნებს უნდა არწევდეს,
მაგრამ ისიც კი გაეცალა ამ სასაკლაოს
და აბოლებულ ნახანძრალებზე,
მკვლელნი დაძრწიან,
მაღლა ახედვის ეშინიათ,
რადგან მათ ზემოთ
დაღუპულთა სულები ქანქარასავით
ირწევიან და ირწევიან,
უფრო მაღლა კი...
მათი ცოდვებით ბოლომდე სავსე
განკითხვის წიგნი

ისე დამძიმდა, რომ სადაცაა
არსთა განმრიგეს დაუსხლტება იგი ხელიდან
და დედამიწას შუაზე გახლეჩს...
დაიცადეთ... ანგელოზებო,
რა გინდათ ცოდვილ, სისასტიკით სავსე მიწაზე...
გევედრებით, გემუდარებით,
რომ დაბადება არ იჩქაროთ!
თუ თქვენ მაინც თქვენსას არ იშლით,
მუსტანგებს ჰგავხართ,
გინდათ, ჯიუტად მოირბინოთ
ვრცელი ველები,
ერთმანეთს ხელი ჩასჭიდეთ მაგრად,
დალეწეთ ყველა ლაგამი, შოლტი...
გადაყარეთ უნაგირები...
და მოდით!!!

ფუჭია იმედი

ფუჭია იმედი ჩემი და...
შენი და... მისი და... ყველასი!
ყველა გზა იწყება მიწიდან,
ზეციდან კი ცისარტყელასი.
გარუხდა მომავლის იმედი
და გაცვდა სიკეთის აბჯარი,
გზის ბოლოს, უფსკრულთან მივედით,
რაც იყო, ისიც კი არ არის!
სულყველა – თავისკენ, თ ა ვ ი ს კ ე ნ!
სადამდე, საბრალო მამულო,
ცხადში ხომ დაგკარგე... მადლი ღმერთს,
სიზმარში რომ მაინც გნახულობ!

ახლა ვწერ...

ზურაბ გორგილაძეს

ახლა ვწერ ჩემზე,
თქვენზე, სხვებზე,
თითქმის ყველაზე,
მძულს გულგრილობა
და ღალატი,
რადგან სიკეთე,

რომელსაც
ყველა ვქადაგებთ და...
მაინც ვივიწყებთ,
ზოგჯერ
უცნაურ სახეს იღებს,
იმიჯს იკეთებს.
ღმერთო, როგორ მღლის
და მაწუხებს თვალთა ელვანი,
ფარისეველთა, იუდათა
ავნი მზერანი...
და რატომ გიკვირთ,
რატომ გიკვირთ,
თუ მეშინია,
ამ წუმპესა და
ტალახში არ
ჩამრჩეს მერანი...
შოთას, ვახტანგის,
სულხან-საბას
ტატოს რაშები,
აკაკის, ვაჟას
და ილიას
გულის ძგერანი,
ქართული სული
მზის სხივებთან
ნათამაშები,
რომელთა ღირსნი
ვაითუ, ვერ გავხდეთ
ვერავინ.
ეს გული ტკივილს
გაუგლიჯავს
გულისგულამდე,
სული ქართული
მე მაგონებს,
უხედნ ულაყებს,
რომელთაც
სივრცე – ნაგვალვარი,
ტორით უპყრიათ,
მათთვის ლაგამი –
თავისუფალ სულის ხუნდია.
ვარ მყვირალობას ხარ-ირემი
ყელ-გაღადრული,
გიხმობ, გეძახი
სისხლო ჩემო,

სულის ზიარო,
ღმერთო, ამქვეყნად
ნუთუ მართლაც,
არავინ არის,
რომ ჩემთან ერთად
ამ გოლგოთის
გზით აიაროს.
ვარ გარჩენილი
ქარაფისპირს,
ვით ორაგული,
და ხელთ მიპყრია
არა ჩემი –
სამშობლოს გული.
და ვეძებ ახლა
ნათელს,
ძლიერს,
ზნეკეთილს,
სუფთას...
ქართველს, რომელსაც
სულზე მეტად
სამშობლო უყვარს.

P.S. მე თუნდ გოლგოთას
ან ქარაფში
სიკვდილს არ ავცდე,
ოღონდ ეს გული
თითოეულ
ქართველს გადავცე.

რით გიშველო, აღარ ვიცი...

ეს რა სნება შეგეყარა,
რა ჭილ-ყვავი შეგესია,
საგინებლად რომ გაგიხდა
ერიცა და ეკლესიაც,
არც მეგუთნე, არც ქვითხურო,
არც მელექსე-მგალობელი,
აღარ შეგრჩა,
ყველამ წაჰკრა
შენს სალოცავს მრუდე ხელი...
ბჟუტავს გულში მინავლული,
შენი მიწის ცხელი ღველფი,

კერიას სულ გიღვივებდი,
მაგრამ ნაცრად ჩაიფერფლე,
აღარ შეგრჩა დღეს პატრონად,
ოდენ გლეხი, ოდენ მეფე...
რით გიშველო, (ვხუჭავ თვალებს),
სულ კუნტრუშით რომ გამირბი –
უფსკრულისკენ, ვერ გაკავებ,
ვერც ლოცვით და ვეღარც მჯიღით...
მეტირება, გულში ისრის
ბუნიკივით ბასრ-მახვილა
ჩამდის ცრემლი, რომლის წონა,
როგორც ჩანს – არ გადახდილა...
ასეთი რა გცოდეთ ღმერთო,
არ დამთავრდა ეს გოლგოთა,
აღარავინ შეგრჩა წმინდა...
ყველამ გცოდა, ყველამ სცოდა...
ვისაც ამის ძალა... თუნდაც
ამის ძალა აღარ ჰქონდა...
.....
ასე რატომ მიმზერ ახლა,
როგორც შველი, თვალებსველი...
მოჭრილი გვაქვს სულ ყველა გზა,
თუ თავს თავად არ ვუშველით!

ვის როგორ...

ვის როგორ განსჯის
დრო და ჟამი,
ეს ღმერთმა უწყის,
რა გამოჩნდება
მედროვეთა გვირგვინს გადაღმა,
ყვავილობაა მშვენიერი
თუ ცვენა ფურცლის,
დაუნდობლობამ
სათნოების ველი
გადახნა.
მოიშორებენ უნებურად
ნიღბებს ლომები
და გამოჩნდება
საწყალობელ ტურათ სიფათი,
მაგრამ მამულო,

გული მეწვის,
რომ მათ კინკლავში,
ბედუკულმართი
შაგრენივით გაუჩინარდი.

ყვავილობს ჯიში ქართული

შუახევლებს

ჩამოივლიან ქარები, ჩამოფარცხავენ კაპანებს,
არადა, რა ენაღვლებათ, საითაც უნდათ – მიდიან!
დრო ყურწაგდებულთ არ ინდობს, აცეტებულთაც ანანებს,
არავინ შეგეკითხება, შენს სულში რა ამინდია.

ყელში გაჩრილი ტკივილი, ვიცი, ჩაივლის ძვლებამდე
და შენი ცრემლის მარცვალიც არ გაიბნევა გზა-შარად,
სიცოცხლე თუნდაც იმად ღირს, რომ ამბოხებას ბედავდე,
ეჭვებმა თუკი მოგგუდა, დილის ნისლივით აგშალა.

აქ, სადაც ყოველ ციხეზე, წარსულის ნაკვალევია,
სისხლში და ცრემლში მოზელილ ტკივილებს რაღა წაგიშლის,
ველარ ეშვები წინაპართ ნაფუძარებზე ხეტიალს,
ქონგურზე შემორჩენილა ძველი ჩუქურთმის ნაყიშლი.

გულო, ასე რად აჩქარდი, გულო, ასე რამ გაგჭვალა,
აზრი ხომ არსით შეცვლია, შენ სათაყვანო აჭარას,
შენი შვილების კერიას, მათ წინაპართა საძვალეს,
უცხოტომელთა ფეხის ხმა, რად ჰზარავს, კვლავ რად აწვალებს.

ჩემო მთავ, დედა-ბოძი ხარ, იმედით გიმზერს ქვეყანა,
რა ქარმა არ დაგიქროლა, ვერ შეგიცვალა იერი,
ოთოლთას ციხის კალთებზე, მტრის გულის დასამეხავად,
გუგუნებს „მუმლი მუხასა“, გალობა – მრავალხმიერი...

აქ საქართველოს უმღერენ, ცეკვავენ „განდაგანურსა“,
ღირსეულ შვილებს უზრდიან ოჯახს, გვარსაც და მამულსაც,
ვერ მოსწრებოდეს ვერც შინა, ვერც გარეული იუდა,
მოშალოს სული ქართული, რადგანაც ისევ ჯიუტად...

ოქროპილაურს, ოთოლთას, ცინარეთსა და ფურტიოს
ყვავილობს ჯიში ქართული, სიმღერით რომ შეუტიოს

ხმა-აკვნესებულ თარსა და კრინით აღებულ ნოტებსაც...
მთიელი კაცის გულისთქმა იმნაირ ძალით მოლესავს,
ტაძრის ფუძეში ჩაგდების ჟინი აწვალებთ ლოდებსაც.

მთის კაბა-კალთით მიყრილებს, მდინარით ნაბანავებსაც,
გალობის სული ჩაუდგამთ ჭვანის ხეობის ქარებსაც.

მერე ზამლეთით, მარეთით, ნიგაზეულის ნიგვზებით,
ვით დედოფალი ფატათი – შენი იმედით ვირთვები,
მჯერა, ხიხანის ციხეზე კვლავ დაიყივლებს არწივი,
რომ მომავალი გმირების აკვნები გადაარწიოს,
აღმართოს თამარის დროშა და მომავლისკენ გასწიოს!

მიქრის მატარებელი

თემურს

მიქრის მატარებელი,
და ზღვის სუნი მიხმობს,
მიქრის მატარებელი...
გული უფრო
სწრაფად ქროლვას ითხოვს.
მიქრის მატარებელი,
მიდი-მოდის ხალხი,
მიქრის მატარებელი...
და მიმარწევს უშენობით
დაღლილს...
მიქრის მატარებელი
და ხეობებს გასდევს,
მიქრის მატარებელი...
ათასნაირ ჯურის
ხალხით სავსე.
მიქრის მატარებელი,
გული ვატყობ,
კვლავ საგულეს დგება,
მიქრის მატარებელი,
მის ქროლვაში მეფანტება
განშორების სევდა...
შენი მწვანე თვალები,
ზღვით და ღელვით
მთვრალები,
ასეთ განცდით

მელოდება ნეტავ?
მიქრის მატარებელი,
ხარაგაულს გავცდენილვართ უკვე,
ირგვლივ თოვლის ზოლები,
როგორც ნიამორები
ეპარება მაყვალოვან ბუჩქებს...
მიქრის მატარებელი,
და შენ ჩემო,
მწვანეთვალა პრინცო,
მერამდენე წელია,
ერთ უღელში შევბმულვართ
და უფლისგან სიყვარულის
მფარველობას ვითხოვთ.
მიქრის მატარებელი,
ფერდობებზე ყოჩივარდა ღვივა,
მიქრის მატარებელი,
მე – კი შენთან ორდღიანი
განშორებაც მტკივა...
მიქრის მატარებელი
შუადღევდება,
უკან რჩება დილა,
მიქრის მატარებელი...
თუ გრძნობ, გიახლოვდები...
მოვალ...
თვალებს დაგიკოცნი ფრთხილად.

ევას

დუდის

ის იტევს სულში ორივეს ერთად,
კეთილს და ბოროტს, ბნელსა და ნათელს,
უფლის ფეხთა მტვრად თავს თვლის და კრთება,
ცდუნება ზოგჯერ რომ უქრობს სანთელს.

ხარობს სიკეთედ და სიყვარულად
და მაინც, ზოგჯერ ცდება, უფალო,
ის იწყებს მაშინ ბრძოლას ან თამაშს,
საკუთარ ფიქრებს რომ დაემალოს.

ოი, ცდუნებავ, ხან ვაშლი გქვია,
ხან ლეღვის მწიფე ნაყოფს აჩეჩებ,

ხან ულამაზეს ვარდსა და იას
აყრი ხელებზე, მხრებზე, სახეზე...

მაგრამ უჩინო და იდუმალი
ეკალი, მწარედ ესობა სულში,
ოი, მის სულში ხარობს უფალი,
ოი, ეშმაკიც წრიალებს გულში.

და ვეღარ ხვდება, რა გზას დაადგეს,
ვით მოერიოს, ჩაიკლას როგორ...
მიდის ცხოვრების შფოთიან გზაზე,
ევას ცდუნებით დამფრთხალი გოგო.

მამის წერილი შვილებს

ერთ ქვეყანაში თურმე ასეთი წესი ჰქონიათ,
როცა მშობლები დაბერდებოდნენ, შვილები
გოდორში ჩასვამდნენ, აიყვანდნენ მთაზე და
იქ ბედის ანაბარა სტოვებდნენ.
P.S. ვიმედოვნებთ, გოდორი უკან მოჰქონდათ...

აღარ გვეძებოთ, თქვენ არ გჭირდებით,
არც მე და აღარც ჩემი თაობა,
მაგრამ სიმშვიდეს ვერ დაგპირდებით,
რადგან მე მყოფნის გამბედაობა,

გითხრათ – არა ხართ ამ ნდობის ღირსი,
გითხრათ – მოჰკვეთეთ მუხლი ხარ-ირემს,
ახლა, მშობლის იმ იმედით გიცდით,
მონანიებას, ვინძლო, აპირებთ!

მაგრამ ამაოდ, თქვენ თქვენი გზა გაქვთ,
მიდიხართ, ფარას მიერეკებით,
თქვენს შარა-გზაზე ცრემლები რჩება,
ჩვენს ტბაზე დასხდნენ თეთრი გედები...

თქვენს ტყეებს ხერხის ხმაური ჰზარავს,
ჩვენს ტყეში შფოთავს ნუკრი პაწია,
თქვენთვის შლით ფარჩის სრასა და კარავს,
თქვენს ხალხს – კი ტანზეც აღარ აცვია...

თქვენს დაღლილ ზეცას ტყვიის ფერი აქვს,
თვალებს სიცივის და გულგრილობის,

არ დაიჯეროთ – იქნებ მოშუშდეს,
მაგრამ დარჩება ხსოვნა ჭრილობის.

ხალხს მახსოვრობა უფრო დიდი აქვს,
ვიდრე ძაღლს ლუკმის – გადაგდებულის,
თქვენი წისქვილის ღარში მიდიან,
მედროვენი და წყალწაღებულნი...

...გაოცებაზე მეტად მაოცებს,
უვიცს სწამს – იცის სუყველაფერი,
მაინც სად ნახეთ ამდენი თქვენი –
ზნის, სისხლის, ხორცის, აზრის საფერი...

თქვენი კანონი – გილიოტინა,
სამართალს თავი რომ შეაფარა,
უღირსი ხელით შეეპოტინეთ –
ზნეობას, (იხდით თავშესაფარად).

...და როგორც წესი, ლამაზ აბრების,
უკან გამეფდნენ ცრუ დაირების –
ცრუ მუსიკალურ ხმაზე აღზრდილი,
მხოლოდდამხოლოდ თქვენნაირები...

ცრუ მგზნებარება, ცრუ თავდადება...
და აღტაცების ყალბი სიწრფელე...
საოცარია, სულ არ გაწუხებთ
და თვითკმაყოფილ სახით იფერებთ.

რა მონურ სახით გიძღვნით ნაციაც,
ცრუ აპლოდისმენტს, ცრუ ტახტ-გვირგვინებს,
ხშირად იცვლება დეკორაცია,
შინაარსი კი რჩება იგივე.

ერთი ბგერაც და... (რა გემართებათ?!)
ზღარბის ეკლებს რომ ისხამთ მაშინვე,
ლანძღვა-გინება იმდენად არა,
თქვენი ღიმილი უფრო მაშინებს!

როგორ გელოდით, თან რა იმედით,
როგორც გმირებს და როგორც მესიას,
თუმც გვიან მივხვდი ეკალს და ვარდსაც,
ერთი ჯიში და ერთი ფესვი აქვს...

გული

ვინ ხარ... იდუმალი ტკივილების,
თავსასთუმალი თუ მოტრფიალე,
რამდენი წელია გიფრთხილდები
და მაინც ვერაფრით მოგიარე...

ვცდილობდი, სხვის ჯიბრზე არ გვეცხოვრა,
მაგრამ ამ ქაოსის გადამკიდემ,
შიშის, ზიზღის, შურის, გულგრილობის –
თავდამსხმელთაგან ვერ დაგინდე.

ხარ ტკივილიანი და მომღიმარე,
თბილი, მგრძნობიარე და კეთილი,
მაინც ათასჯერ ჩაგვიტარეს
დაუნდობლობის გაკვეთილი.

ახლა ვატყობ, რომ შენც მიღალატე,
მკერდქვეშ ხშირ-ხშირად ფორიაქობ...
სიცოცხლის ბოლო სიმთან მიყვანამდე,
ნუ მივლი გან-გან და შორიახლო...

ფიქრებად, რომელთა მსგავსებაშიც
ტკივილები მძაფრად ახლდებიან,
მზერაში, სულსა და არსებაში
წამის გაუცდენლად სახლდებიან.

ვატყობ, ეს ტკივილი აღარ წავა,
წლები მიქრიან და თუნდ იარონ...
აღარც სურვილი მაქვს, აღარც ძალა,
გეფერო, გიფრთხილდე, მოგიარო...

უკვე სააქაოს ინტერესი,
თანისთანადობით მეკარგება,
შორი ცა – უმშვენიერესი,
სამოთხის ფერებად მექარგება.

მინდა, გამიგო და გაგაფრთხილო,
არ ვარ ძველებურად ფეთიანი,
რას იზამ, უეცრად რომ მომინდეს
ცათა ბილიკებზე ხეტიალი?!

როდესაც გატყობ

როდესაც გატყობ, მალე იღლები
და იოლი გზის მონახვას ლამობ,
შენ დაგტრიალებს ჩემი ფიქრები,
ველარ გიმეტებ და ამას ვნანობ.

ჩემი სხეულო, ვერ უარგყავი,
ხარ დროებითი ჩემი სამოსი,
მაგრამ კვლავ მოდის ქარონის ნავი,
უცხო ფერები – სხვა სამყაროსი.

ზეცას ავყურებ მშვიდი თვალებით,
თუმც სხვა ფიქრითაც ვანაზდეულობ...
შენ, იმიტომ კი არ გეკრძალები,
რომ არ დაბერდე, ჩემო სხეულო...

არა! უფალმა მარგუნა ასე,
შენს სავანეში დამიდო ბინა...
და ჩემი სულის უნედლეს ვაზებს
შენში – დიდი მზის მოსვლამდე სძინავთ.

მაგრამ არ ცხრება, ფრთხიალებს სული,
შეღებულია ზეცის კარები,
შეივსო, ანუ გახდა ფრთასრული –
სიცოცხლე... მეც ცად მივექარები.

გემშვიდობები... არა, ნახვამდის!
მჯერა, სიცოცხლის სხვა კარს შევაღებთ,
შეხვედრამდე თუ ისევ ნახვამდე,
სხვადასხვა გზებით წავალთ მე და შენ.

მე ცისკენ წავალ, შენ აქ დარჩები,
ან იქ, ცის მიღმა ვის რად სჭირდები,
ლექსების დიბა და ატლასებიც,
გაფრინდებიან, როგორც ჩიტები.

ჩემს სულს კვლავ უცხო სიმღერა ავსებს,
დამყურებს ზეცა – გამყოფი მინა
და შენი სულის უნედლეს ვაზებს
ჩემში – დიდი მზის მოსვლამდე სძინავთ.



შაღვა კვასხვაძე

ჩანჩხალოელი ბაბრია

ტროტუარზე ასფალტი გვარიანად შელახულიყო. გამვლელს გავლა უჭირდა, გამომვლელს – გამოვლა. თუ წვიმდა, ისეთი გუბე იდგა, გვერდს ვერ აუვლიდი. იქვე ახლოს, სასურსათო მაღაზიის გამგე, თეთრთმიანი, სათვალებიანი და მუდამ მუქ ბლუზაში გამოწყობილი აქვსენტი მოწყობილი, ამის შემყურე, გამწყრალი ხმით და მუდამ დაბოღმილი სახით ისე ხშირად და ღირსეულად მოიხსენებდა ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელობას, რომ მისი ენერგიულობა, შემართება და გამძლეობა შეგშურდებოდა. მზეში მტვერი, წვიმაში ტალახი, დღის ნებისმიერ დროს კი – კლიენტი არასდროს აკლდა სისუფთავის დიდად მოყვარულ აქვსენტის ქალაქის განაპირას მდებარე სასურსათო მაღაზიას. სულ ოთხი თანამშრომელი ჰყავდა, სამი ახალგაზრდა ქალი და ერთი საპენსიოდ გამზადებული კაცი, რომელიც ოჯახში ძირითად შემომტანად ითვლებოდა და ამდენად, ადგილს ისეთი რუდუნებით უფრთხილდებოდა, როგორც გასათხოვი პატარძალი ქორწილამდე ქალიშვილობას.

დილით პური ამომქონდა ხოლმე მაღაზიიდან. უფრო სერიოზულ საყიდლებზე მშობლები დადიოდნენ, მე არ მდობდნენ. დღესაც შევიარე და ნაცნობ სახეებს მივესალმე.

– პური? – მკითხეს.

– არა, ისე, გამარჯობის სათქმელად შემოვედი... ამბის მოსაკითხად, როგორ ხართ?

ალმაცერად შემომხედეს.

– ჩვენ არა გვიშავს, შენ დილით სიცხე ხომ არ გქონდა? – მკითხეს.

– არა, სრულიად ჯანმრთელი ვარ... – წავიტრაბახე.

– რა იცი, გაიზომე?

– არა, სიცხეს ვგრძნობ...

– მაშინ ჩვენი თავი რამ გაგახსენა თუ სამაიმუნოდ შემოდი?

– არა, რას ამბობთ, უბრალოდ ასე გადავწყვიტე, შევალ, მოვიკითხავ, მოვესიყვარულები, გავახარებ და შემდეგ ინსტიტუტისკენ ჰერი, ჰერი-თქვა...

– ამას მარტო სიცხე კი არა, მაღალი წნევაც შეიძლება დაურჩეს, – თავი უნდოდ გადააქნია ვალოდია ლობჟანიძემ, ვაჭრობის დარგში 40-წლიანი გამოცდილების მქონე ღვაწმოსილმა კადრმა, – დავბერდი აქანე და ჩემი ჯანმრთელობა დღემდე არავის მოუკითხავს. თუ მაგას გულით ამბობ, ღმერთმა დაგლოცოს შვილო. – მითხრა და დანარჩენებს გახედა. დანარჩენებსაც გამლღვარი ღიმილით დაფარვოდათ სახე.

– რატომ უნდა მოიტყუოს, ალალად ამბობს. – მხარი დამიჭირა ლიტუსია მაღლაკელიძემ, რომელიც პურ-ფუნთუშეულის სექციას კურირებდა და რა დროსაც არ უნდა გენახათ, სულ პირს აცმაცუნებდა კურდღელივით.

ასე იყო ახლაც...

– მადლობა რევაზიკო, შენთვისაც ბედნიერი ყოფილიყოს დღევანდელი დღე, – ლამზირა

უგრეხელიძემ მაღაზიის ბოლო მონაკვეთი მოწმინდა პოლისჯოხით, ტილო გაწურა, ვედროს გვერდით დადო და სკამზე მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოჯდა. იგი დილა-საღამოს დამლაგებლის ფუნქციას ასრულებდა და შიგადაშიგ, დახლთანაც გამოჩნდებოდა, თუ ამას აუცილებლობა მოითხოვდა, – ლექციაზე არ გაგვიანდება?

– დღეს 11 საათზე გვეწყება... – ნათქვამი თავის მართლებასავით გამომივიდა, მაგრამ რაც სიმართლე იყო, ის ვთქვი.

– შენი მეზობელი რომაა, დათიკო სარჯველაძე, თუ იცი, ცოცხალია? – გამგის ოთახიდან გამოსული აქვსენტი მოწყობილი ისე მოგვიახლოვდა, ვერც შევნიშნეთ.

– კაჟივითაა, გუშინ კიბეებზე შემხვდა, ლიფტი მესამე დღეა გაჩერებულია და კვირის ბოლომდე შეკეთებას გვპირდებიან. შეემთხვა რამე?

– ჯერ არა, მაგრამ ორ დღეში ნისიებს თუ არ გაასწორებს, მის თავს დააბრალოს... – დაიმუქრა მაღაზიის გამგე, – ნახევარი თვეა მემალება მამაძაღლი. გაგონილა ასეთი რამ...

დათიკო ბახუსის, ხელგაშლილი ცხოვრების, ქალების და იოლად რომ ვერ შეამჩნევ, ისე შეფარულად, ტყუილების მოყვარული კაცია. გამეგო, ვალების შერჩენა არ იცოდა, დაბრუნების ვადებში ჰქონდა ხშირად გარღვევა და მთავარი უკმაყოფილების სათავე სწორედ აქედან იწყებოდა.

– თუ შეგხვდეს, ჩემზე უთხარი მოენატრე და თუ მოუხერხდეს, დაგვდოს პატივი და შემომირბინოს... – დამაბარა აქვსენტიმ, შემდეგ კი საუბრის თემა მოულოდნელად შეცვალა, – ნაყინზე გპატიჟებთ ყველას, ლიტუსია, გამოიტანე მაცივრიდან და ჩამოარიგე...

ნაყინის დიდი მოყვარული არ ვარ, მაგრამ შევატყვე, უარი არ გამივიდოდა.

– პლომბირი, ესკიმო, ვის რა გინდათ, აირჩიეთ? – დასჭექა აქვსენტიმ და პირადი მაგალითით, თავად წაგვაქეზა.

თანამშრომლებთაგან არავის გაუპატიჟნია თავი, თითო-თითო პლომბირის ნაყინი აიღეს, მე, ჩემი მორიდებული ხასიათიდან გამომდინარე, ესკიმო ვამჯობინე.

– თქვენი ნებართვით, წავალ აწი... – ყველას გასაგონად ვთქვი.

– წადი შვილო, წადი... – ყველას სახელით მეუბნება აქვსენტი, – ხვალაც შემოგვირბინე და მოგვიკითხე, ზეგაც, მაზეგ, სანამ არ მოგბეზრდება, იქამდე...

– ძვირი დაგიჯდებათ ყველადღე მოკითხვა, აქვსენტი ბიძია, თორემ მე სამაგისოდ დროს ყოველთვის გამოვნახავ.

– შენ მოფერების სურვილი არ გაგინელდეს, შვილო და ჩემ დახარჯვაზე ნუ იდარდებ, გავწვდები როგორმე. – დამაიმედა და თავის ოთახში შებრუნდა, მე კი ქუჩაში გამოვედი და ქალაქისკენ მიმავალ 14 ნომერ ავტობუსუსის გაჩერებისკენ გავემართე. გაჩერებაზე მხოლოდ ერთი მგზავრი დამხვდა, ასაკოვანი ქალბატონი ხელჯოხით ხელში, წელში მოხრილი და მთლიანად შავებით შემოსილი. იჯდა გადაფერდებულ ძელსკამზე და საპირისპირო მიმართულებით გასცქეროდა გზას.

– ავტობუსს დიდი ხანია უცდით?

ნომრის დასახელებას აზრი არ ჰქონდა, მხოლოდ ერთი მარშრუტის ავტობუსი მოძრაობდა ამ უბანში.

– ასე, ათი წუთია... – მომიგო ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით.

– მალე მოვა მაშინ... – გული გავიკეთე და მოხუც ქალბატონს გადავხედე, – ბებია, ნაყინი მიირთვით, გთხოვთ...

– შვილთაშვილს შევუჭამო? – არ განძრეულა, ისე მითხრა, – მადლობა...

– რას ამბობთ ბებია, მიირთვით... – მივუახლოვდი და ნაყინი გავუწოდე, – მე უკვე გავსინჯე, ამას სახლამდე ვერ მივიტან, გამიდნება და დამსვრის.

მოხუცმა ქალბატონმა შემომხედა და მითხრა.

– თუ ვერ მოერეოდი, მაშინ რატომ იყიდე?

– მაგდენი ვერ მოვიფიქრე.

– ახალგაზრდა ხარ და ისწავლე ფიქრი, ცხოვრებაში გამოგადგება.

– აუცილებლად. – შევპირდი მოხუცს. მან ნაყინი გამომართვა და სანამ ჩაკბეჩდა, დამლოცა.

– ღმერთმა გაგახაროს...

ავტობუსი მალე მოვიდა. მოხუცი ქალბატონს ავტობუსში ასვლაში დახმარება შევთავაზე, მაგრამ იუარა, შემდეგს დაველოდებიო. მეტი არაფერი მითქვამს, მეჩქარებოდა, გამოვბრუნდი და ავტობუსში ავედი.

ავედი და კონდუქტორიც უმალ თავზე წამომადგა.

– ბილეთი შეიძინე...

ხურდა ფული გავუწოდე, იმანაც ბილეთი მომიხია და მომაწოდა.

– ჩასვლამდე იქონიე, ხაზზე კონტროლია და ამოწმებენ. – გამაფრთხილა.

– კარგი, შევინახავ. – შევპირდი.

ლამის ცარიელი ავტობუსი ლეონიძის ქუჩას გაუყვა და სქელი მტვერის კვალი თან გაიყოლა. ირგვლივ ახალი დასახლება შენდება და მრავალსართულიანი სახლების საძირკვლები მრავლადაა გაჭრილი. გზაც გვარიანად დაზიანებულა, ავტობუსი ასაკიანი კაცივით ხვნეშახვნეშით მიდის და ასფალტზე გასვლამდე ერთი სული აქვს.

* * *

შუახევიდან ავტობუსმა ნახევარი საათით დააგვიანა და საყვედურებ მიჩვეულმა რეჯებამ, მგზავრთა უკმაყოფილება ერთ ყურში შეუშვა და ისე ოსტატურად გამოუშვა მეორედან, რომ სახეზე ერთი ნაკვთიც არ შერხევია. სამაგიეროდ, შვიდი მგზავრი აიყვანა ზედმეტად და ჩამოიყვანა ბათუმში, საფასურიც გამოართვა და დღევანდელი რეისით კმაყოფილმა, ჯიბიდან პატარა სავარცხელი ამოიღო და სქელ ულვაშზე გადაისვა. შემდეგ წინა საქარე მინის სარკეში გაღიმებულმა ჩაიხედა და ავტობუსში დარჩენილი ბოლო მგზავრი ახლაღა შეამჩნია. კაცს თავი მხრებში ჩაერგო და ღრმად ეძინა.

– ისმეთა, გაიღვიძე, სადგურში ვართ უკვე. – გასძახა, მაგრამ რად გინდა, შედეგი ნული. – აუუ... – დააყოლა უკმაყოფილომ და „პაზიკიდან“ ჩამოვიდა, წინა კარებთან მისვლამდე შექუჩული ხალხი მისწი-მოსწია და ავტობუსში ავიდა, – რა ჩაცეცხლე ამდენი გუშინ, რომ ვერ იღვიძებ, – გაუწყრა მძინარეს და ისე ჯანიანად შეანჯღრია, რომ კაცი კინაღან სკამიდან ჩამოვარდა.

– მიწა იძვრა? – თვალი გახელილი არ ჰქონდა, ისე იკითხა ისმეთამ და დაფეთებული თვალები ააფაფხურა.

– მშვიდობაა, მშვიდობა, – შეუღრინა რეჯებამ, – მგზავრობის გადაიხადე და წადი შენს გზაზე...

– ჰოოო... – შესაშური სიმშვიდით მიუგო ახალგამოღვიძებულმა, სკამის ქვეშ შელაგებული ნაჭრის ორი დიდი ჩანთა გამოაძვრინა, წინ გაიგდო და ფეხზე წამოდგა, – ასე მალე როგორ ჩამოდი, სულ მიჩანჩალებ, დღეს რა ბაზმა გიკბინა... – ჩაიბურდღუნა უკმაყოფილომ, შოფერს ფული გაუწოდა და ჩასვლამდე, ხურდას დაელოდა.

– არ შეარჩინოთ კაცს ორი კაპიკი, – წყენა ვერ დამალა რეჯებამ, – ასე რამ გაგაწუწკათ... – უნდა გენახათ, რა სახე ჰქონდა ამ დროს მძღოლს, ალეწილი, ირონიული, დამცინავი, ბრიყვული, თაღლითური და ყველადღიური...

ისმეთამ ჩანთები ავტობუსს მცირედით მოაშორა და იქვე ახლოს, გაზეთების ჯიხურთან დადო. ეტყობოდა, ვიღაც უნდა დახვედროდა, რომელიც იგვიანებდა. პიჯაკის ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა და გააბოლა. სახეზე დაეტყო სიამოვნება.

– დავაგვიანე? – მასთან ახალგაზრდა გოგო მივიდა და გადაკოცნა, – როგორ ხარ ისმეთ ბიძია?

– მე რა მიშავს, გურანდა, შენ რას შვები შვილო, ხომ ხარ ყოჩაღად?

– კი, კარგად ვარ, ვსწავლობ, მალე სემესტრის გამოცდები დამეწყება და ვემზადები...

– სწავლა კარგია... – სხვათაშორის თქვა ისმეთამ და ჩანთებს გადახედა, – ამას როგორ წაიღებ, შენებმა გამომატანეს, მოგწყვიტავს წელს.

– ტაქსს დავიჭერ, არ ვცხოვრობ შორს, აქ ჩამოტანილს, მივხედავ როგორმე. – დაფაცურდა გურანდა და ჩანთებისკენ გაიწია.

– გასწი გოგო ხელი, მე აქ ვიყვე და შენ მაგენი ათრიო, – იწყინა ისმეთამ და ორივე ჩანთას სწვდა, – აბა, მითხარი, საითკენ წავიდე, სად ჩერდება ტაქსები?

ამდენი არც გურანდამ იცოდა და ვერაფერი უპასუხა.

რეჯებმა იხსნა, რომელიც სადისპეჩეროდან ბრუნდებოდა და ამათ შეავლო თვალი.

– ტაქსს ხომ არ ეძებთ? – იკითხა.

– კი გვინდა, მარა სადაა?

– ახლავე გინახავთ, დამელოდეთ... – უთხრა და წავიდა.

რამდენიმე წუთში გაწკრიალებული „ნოლშესტი“ გაჩერდა ჩანთებთან. მანქანიდან რეჯები გადმოვიდა და ისმეთას გახედა.

– ჩემიანია, მოელაპარაკეთ, ტაქსზე იაფად წაგიყვანთ.

ისმეთამ ჩანთები საბარგულში ჩააწყო და გურანდასთან ფეხისთრევით მივიდა.

– მიგაცილებ სახლამდე, მასე უფრო მშვიდად ვიქნები...

– მძღოლი არ მოგწონს თუ მანქანა? – გაეხუმრა გურანდა.

– არც ერთი. – მოკლედ მოუჭრა ისმეთამ.

– წამოდი, თუ გინდა... – ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა გურანდამ და მანქანაში ჩასხდნენ.

მართლაც, ტაქსზე უფრო იაფად წაიყვანა კერძო მანქანამ. მთელი გზა მძღოლს ენა არ ამოუღია, მაგნიტოფონში მოდაში შემოსულ ჯო დასენის სიმღერებს უსმენდა და დროდადრო, უხეიროდ აყვებოდა ხოლმე მუსიკის ჰანგებს.

ცოცხალი თავი გაითავა ისმეთამ და ჩანთები მეხუთე სართულზე, კარებთან აუტანა გურანდას.

– თუ ისურვებ, მამის გამოხდილი არაყი მაქვს, გამისინჯე, ვერ დამიწუნებ... – გულით სთხოვა გურანდამ, რაკი იცოდა, ისმეთას და ბახუსის მეგობრობის გახმაურებული ამბავი, – იქნებ, წაიხემსო კიდეც...

– არა, იშვიათად ვსვამ შვილო უკვე, ჯანმრთელობა შემერყა, დიაბეტმაც შემაწუხა, უმადობაზე რომ არაფერი ვთქვა... – თავი მოისაწყლა ისმეთმა და ისე დადგა, წამსვლელის არაფერი ეტყობოდა.

– ერთი წამით დამაცადე, – მიუხვდა გურანდა, ჯიბიდან საფულე ამოიღო, იქიდან ხუთმანეთიანი ამოაძვრინა და კაცს ძალით ჩაუტენა კოსტუმის ჯიბეში, – აი შენ ჩემგან, არ დაიწყო ახლა თავპატიჟი...

– რომ გაიგონ, მომკლავენ შენები, ისედაც ათი მანეთი მაჩუქეს ჩანთების ჩამოსატანად.

– საიდან გაიგებენ, მე ენის ამომღები არ ვარ.

– შენ არა, უფრო იმის მეშინია, მე არ წამომცდეს სადმე... – გაიცინა ისმეთმა და კიბეებს ჩაუყვა.

* * *

ინსტიტუტის ვესტიბიულს მრავალმხრივი დატვირთვა ჰქონდა. იქ თავს იყრიდნენ არამარტო ლექციაზე დაგვიანებული სტუდენტები, გულისწორის სანახავად მოსული რომეოები, საქმის გასარჩევად ჩასაფრებული მუტრუკები, არამედ საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას, რემონტს დანატრებულ კედელზე ამ სასწავლო დაწესებულების მრავალფეროვანი კულტურული თუ სპორტული ცხოვრების ამსახველ უამრავ განცხადებას თუ აფიშას წააწყდებით. მე ერთმა დამაინტერესა და ლექციის შემდეგ დავრჩი. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტები, მათთვის სალექციოდ გამოყოფილ ყველაზე დიდ აუდიტორიაში, ნაკლებად ცნობილ, ახალგაზრდა, 45 წლის დასაოჯახებელი, ადგილობრივი პოეტის პირველი კრებულის განხილვას აწყობდნენ. განცხადებაში ისიც მინიშნებული იყო, რომ მსურველებს აქვე შეეძლოთ დეფიციტად ქცეული კრებულის შეღავათიან ფასებში შეძენა და უფასოდ, ავტოგრაფის მიღებაც. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა აუდიტორიაში შევიხედე და ნემსის ჩასაგდები ადგილი ვერ მოვძებნე.

– მეორე გალაკტიონია? – მორიდებით ვკითხე კარებთან თეთრკოფთიან გოგოს.

– ფაკულტეტის დეკანის დიშვილია. – მრავალმნიშვნელოვნად მომიგო იმან და ამოიხვნეშა. – ესწრები?

– ჯერ ვაპირებ... – შორიდან დავიწყე.

– მაშინ წიგნი უნდა შეიძინო, ისე არ იქმს...

– მოვახერხებ? – ვიკითხე ირონიულად.

– აბა აქ მე რას ვაკეთებ, დაგეხმარებით... – თავისი სამსახური შემომთავაზა და თხელყდიანი ლექსების კრებული მომაწოდა.

– მე ორი მაქვს, ერთი მეგობარმა დამითმო...

– გამოდის მჩუქნით.

– არც მიფიქრია, ზედმეტი ორი კაპიკი არავის აწყენს.

– რა გაეწყობა... – ვთქვი და ხელი ჯიბისკენ წავიღე.

– ოღონდ ფულს განხილვის შემდეგ გადამიხდით.

– თუ არ მომეწონა ლექსები, მაშინაც...

– გარანტირებულად გეტყვი, არ მოგეწონება, მაგრამ დანარჩენი შენს მარიფათზე და ზრდილობაზეა დამოკიდებული.

– გამოდის, წაკითხული გაქვს.

– არა მარტო წაკითხული, თანამომხსენებელი ვარ, ასე რომ, ლექსებს გაეცნო აჯობებს. ვერაფერს გამომაპარებ...

– არ გეცოდები?

– მე ვინ შემიცოდა? – ლამის გული ამოატანა, ისე ამოიოხრა.

– მე რეზო მქვია... – ვუთხარი და საუბრის თემა შევცვალე.

– მე გურანდა.

– განხილვის შემდეგ შეგვხდები, ვესტიბიულში დაგელოდები...

– არ დაივიწყო, ჩემი ვალი რომ გაქვს.

– გულმავიწყის რა მეტყობა.

კიდევ გავაგრძელებდით საუბარს, რომ არა ღიპიანი ლექტორის ჩახლეჩილი ხმა.

– დავიწყოთ საღამო, ამდენი დრო სად აქვს პოეტს.

გურანდამ მანიშნა, აუდიტორიაში შესვლისას წიგნი ისე დამეჭირა, ლექტორებს დაენახათ. თხოვნა შევუსრულე და მთელი საღამო წიგნი, გულისწორივით, გულში მქონდა ჩაკრული, ხოლო აუდიტორიაში როცა ჩამოცხა, მარაოსავით ვიბორიალებდი ჰაერს.

გახსნითი სიტყვა ფაკულტეტის დეკანმა წარმოთქვა. ცაში აიყვანა ახალგაზრდა პოეტი და მიწაზე ჩამოსაყვანად რომ ვერ გაიმეტა, იქვე დატოვა. მოკლე, მაგრამ გულში ჩამწდომი სიტყვებით გამოვიდნენ დეკანის მოადგილე, რამდენიმე ასისტენტი, კათედრის გამგე, შემდეგ მისი საყვარელი მდივანი, რამდენიმე პროფესორი და დოცენტი, ყველა მათგანს პოეტის წიგნი ეჭირა ხელში, უმეტესობას შიგ ჩახედულიც არ ჰქონდა, მაგრამ მთავარი ის იყო, შეეძინათ და ამით, ქართულ სიტყვას შეჭიდებული შემომქმედი პერსონის ფინანსურ მდგომარეობას მცირედით შეეხიდნენ.

გურანდა მოვძებნე. უხასიათო და უფერული მეჩვენა, ცოტა დაძაბულიც, ზედმეტად ცქმუტავდა და ამით გვერდით მდგომთაგან გამოირჩეოდა. მერე სტუდენტების ჯერი დადგა. ისე აქეს და ადიდეს საწყალი პოეტი, რომ შევატყვე, ვ.ი. ლენინივით მიწა სანატრელი დაურჩებოდა.

ემოციური იყო პოეტის გამოსვლაც. ჯერ სიცხისგან, შემდეგ შექებისგან იმდენი ოფლი დაღვარა, რომ ორთქლის აბანოდან ახალ გამოსულს დაემსგავსა და ღონისძიების მსვლელობისას, ორჯერ გამოუცვალეს პერანგი. გაუძლო დიდი პოეტების ცდუნებას, ზეცაში არ გაგვიფრინდა და კრებულის განხილვის დასასრულს, ყველას გულმხურვალე მადლობა გადაუხადა მისი ალალი შრომის ეგზომ მოკრძალებული შეფასებისათვის.

დასამახსოვრებელი გამოდგა გამომშვიდობების სცენაც. ათასგზის ჩაკოცნილ და სახლში მიმავალად გამზადებულ პოეტს აუდიტორიის ჩაკეტილი კარები ვერ გაუღეს, გასაღები ჩაიშალა.

– როგორ უყვარხართ ირგვლივ ყველას, გასაშვებად არ ემეტებით, თქვენც თავად ხედავთო... – ხმამაღლა მიმართა დამდნარ სანთელს დამსგავსებულ პოეტს კარგი სამსახურის მაძი-

ებელმა, ხელახლა გასათხოვარმა ფაკულტეტის ასისტენტმა მიმოზა მამუჭაძემ.

– ვინ გაგვთვალა, იმას დაევსოს მისი თვალები. – დაიწყევლა პოეტს მოყოლილმა საპატიო სტუმარმა და სიცხის გასანეიტრალებლად, უბისპირი ცალი ხელით წინ წამოიწია, მეორე ხელით მარაოს ბორიალი დაიწყო. რას იგრილებდა, ბოლომდე მაინც ვერ გავიგე, რადგან მოღიავებულ გამხდარ მკერდიდან კაცის მოფერება მონატრებული, წამოწკვიტინებული და აწითლებული ძუძუს თავების მეტი არაფერი მოუჩანდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ისევ ფაკულტეტის დეკანმა იყოჩაღა. დიდრონი, კოტიტა თითებით კარის სახელურს სწვდა, ერთი ჯანიანად შეანჯღრია და შეაზანზარა მთელი ჩარჩო. გამეორების დროს, სახელური ქათმის გადატეხილ ბარკალივით შერჩა ხელში. გაბრაზებულს, ნერვებმა უმტყუნა და წიხლი უთავაზა ჩაკეტილ კარებს, რომელიც ღრჭიალით, მძიმედ გაიღო.

– უჩემოდ რა გეშველებათ. – კმაყოფილმა ჩაილაპარაკა და გვერდით გადგა, რადგან ძვირფასი სტუმრისათვის გზა დაეთმო. სტუდენტთა ტალღამ პოეტი ჯერ დერეფანში გაიყვანა, შემდეგ პირველ სართულზე ჩაიყვანა, იქედან კი საკუთარი ინიციატივით ქუჩაში გავიდა და მიმყოლ-მომყოლიანად, თავის გზა-კვალს ეწია.

მე გურანდას დავუწყე ძებნა. ვერსად დავლანდე და გული დამწყდა. გამოჩენის იმედი მქონდა და დაველოდე. ექვსი სრულდებოდა, ინსტიტუტიდან რომ გამოვედი და ავტობუსში ჩაჯდომამდე, წამდაუწუმ უკან ვიხედებოდი, მაგრამ ამაოდ.

გურანდა ვერც მეორე დღეს ვნახე, ინსტიტუტში არ მოსულა. როგორც დავადგინე, ერთი დღით თავი გაეთავისუფლებინა.

მესამე დღეს აუდიტორიის წინ დავხვდი და როგორც კი გამოჩნდა, შევუღრინე:

– სად დაიკარგე?

შევატყვე, არ მელოდა და გაკვირვებული შემომხედა.

– აქ რა გინდა, ფილოლოგები შემოგვიერთეს? – სიტყვა ბანზე ამიგდო.

– წიგნის საფასური მინდა გავიგო, რომ ვიყიდო...

– გჩუქნი. ფული არ მინდა.

– ნაყინი, ყავა?

– სტიპენდია ჯერ ადრეა, ფული საიდან?

– ჰონორარი ავიღე.

– მაგი რაია?

– ჩემთვის რომ მოიცლი, მაშინ გაგანათლებ...

– მაშინ შეხვედრამდე...

ასე დავშორდით.

მოცემული სიტყვა მეორე დღეს შეასრულა და ლექციის შემდეგ შევხდით ერთმანეთს. მხოლოდ ნაყინი, ყავა არ მინდა, არ მიყვარსო. – განმიცხადა და ნელი ნაბიჯებით გავუყევით ბულვარს. ზღვისპირა კაფეში სიხალვათე დაგვხდა, ფირსაკრავი ბონი ემის მუსიკას უკრავდა, კლიენტებმონატრებული მიმტანი მზესუმზირას ფცქვნიდა, საქმე მოლეულ დახლიდარს ნეკა თითი ღრმად შეეყო ცხვირში და რაღაცას მონდომებით ეძებდა, სანაპიროზე კი თოლიები დაფრინავდნენ.

– გიხდება ხუჭუჭა თმა.

– ვიცი.

– გაბრაზებული სახეც...

– გაბრაზებული სად მნახე? – დაინტერესდა.

– პოეტთან შეხვედრაზე.

– არ გამახსენო, ახლაც ნერვები მეშლება. კოშმარი იყო.

– რატომ? მშვენიერი სიტყვა წაიკითხე, ლამის კურცხალი მომადგა.

– ასეთი გულჩვილი ხარ?

– დაბადებიდან.

– მაგი მცოდნოდა, აუდიტორიაში არც შემოგიშვებდი. ისე, გადახედე კრებულს?

– კი. მონდომებული ავტორი ჩანს, წვალობს კაცი, რას ერჩი?

– ვიცოდი მოგეწონებოდა, ამიტომ გაჩუქე. – ნიშნისმოგებით მომიგო და ნაყინის ჭამა გააგრძელა.

* * *

რამდენჯერმე კიდევ შევხდი გურანდას. თუ დამიჯერებთ, ყოველ ჯერზე, შემთხვევით. ან ინსტიტუტში შევრბოდით, ან გამოვდიოდით. თავი მუდამ სოლიდურად ეჭირა, ეტიკეტური, გრძნობებ გამოცლილი მისალმება, ამბის საოცრად ემოციური გადმოცემა და ისეთი გაცინება იცოდა, რომ ერთბაშად ვერ გაარჩევდი, მისი ეს ღიმილი, პერსონალურად შენ გეკუთვნოდა თუ ზურგს უკან, მთელ დუნიას. გურანდა მაღალი, ქერა, ძვალმსხვილი და ეშხიანი გოგოა. დანახვისთანავე, გაცნობის სურვილს რომ გაგიჩენს და თან, ვერ დაახლოების შიშსაც რომ დაგიტოვებს გულში. ზოგადად, ქერა გოგონები არ მომწონს, გული არ მიმდის, მაგრამ გურანდა გამონაკლისი დარჩა და რატომ, ვერ ამიხსნია.

ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში ვზივარ და ენათმეცნიერების შესავალში, კოლოქვიუმის თემას ვამუშავებ. გვერდით მაგიდასთან ორ გოგოს, აშკარად ეტყობათ, ჩემზე უფრო ეზარებათ წიგნის კითხვა. ვერ გავარჩიე შორიდან, რომელიღაც პოეტის ლექსებს, წყნარად კითხულობენ და შემდეგ რვეულში იწერენ. ბიბლიოთეკარებთან ახლოს, ფანჯარასთან, განცალკევებულად, ორი სათვალიანი ლექტორი ზის და მაგიდაზე იმდენი წიგნი და ჟურნალი უწყვიათ, ნახევარი ბიბლიოთეკაა დაჩრდილული, უდავოა, ისინი სტუდენტებს სიბეჯითის და მონდომების პირად მაგალითს უჩვენებენ, რომელიც, დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, აქ არავის სჭირდება.

საღლაბუცოდ შევემზადე და გოგონებს გადავხედე.

– რომელი პოეტისაა? – წიგნზე მივანიშნე.

მათ წიგნი მაღლა ასწიეს, უკეთ რომ დამენახა და წამეკითხა ავტორი. მე მთელი ტანით მათკენ გადავიხარე.

– კისერი არ მოიტეხოთ, უნგრელი პოეტი შანდორ პეტეფია. – გამანათლა ორიდან ერთ-ერთმა, სახეჭორფლიანმა და სქელტუჩებიანმა.

– ვიცი, წაკითხული მაქვს მისი ლირიკული ლექსები.

– ჩვენც ძალიან მოგვწონს.

– მისი ნამდვილი სახელი და გვარია ალექსანდრე პეტროვიჩი. მამით სერბი, დედით კი სლოვაკი იყო, თვითონ უნგრეთის ეროვნულ პოეტადაა აღიარებული. 26 წლის ასაკში მეფის რუსეთის კაზაკებთან ბრძოლაში დაიღუპა. – გამოვიდე თავი და რაც პოეტის შესახებ გამახსენდა, ყველაფერი სათქმელად გავიმეტე.

– სიყვარულზე აქვს ბევრი კარგი ლექსი დაწერილი. – გამოცოცხლდნენ გოგონებიც.

– ლექსები, ზოგადად სიყვარულზე იწერება... – მეტად პათეტიკურად გამომივიდა ნათქვამი.

სამკითხველო დარბაზში სახეშეცვლილი ბიბლიოთეკარი შემოვიდა და ჩვენს სიახლოვეს გაჩერდა.

– თუ ვინმე დაიღალა, შეუძლია გარეთ დაისვენოს, დერეფანში გაიარ-გამოიაროს, არაა აუცილებელი, სხვას შეუშალოს ხელი... – დაგვმოძღვრა წყნარი, მაგრამ სუსხიანი ხმით და თვალები აატრიალ-ჩაატრიალა. ელამის მონაცემები ისედაც ჰქონდა და ახლა ეს აზრი ერთიორად გამიმყარდა.

– რას ამბობთ. – ისე ოსტატურად გავიკვირვე, რომ ბიბლიოთეკარმა ლამის ბოდიში მომიხადა. გოგონებმა თავი ვერ შეიკავეს და აფხუკუნდნენ.

– გავიმეორო, რაც ვთქვი? – დაიმუქრა თავიდან და რაკი ლექტორებიდან იმდენი მრისხანე ვერ დაინახა, მის ამბიციას რომ დააკმაყოფილებდა, ჩვენ მოგვიბრუნდა, მაგიდასთან მოგვიახლოვდა და წინ დაგვიდგა.

ჩვენ გავიტრუნეთ, მე რვეულში, გოგონებმა წიგნებში ჩაყვეს თავები.

გვიყურა ერთხანს და მერე დაშორებით დაგვწყვიტა გული.

– გადავრჩით გარიცხვას? – თავი ასწია სახეჭორფლიანმა.

– მგონი კი... – ვანუგეშე და ჩურჩულით გოგონებს ვეუბნები: – ერთი სათხოვარი მექნება თქვენთან.

– გისმენთ... – გამოცოცხლდა ორივე და კონსპირაციის სრული დაცვით, გაიყურსნენ.

რვეულის შუაგულიდან ფურცლები ამოვხიე და გოგონებს გავუწოდე.

– შანდორის ერთი ლექსი ასე იწყება:

„მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ,
რაც გადის დრო და ხანი,
მე უფრო მეტად მიყვარს
შენი პატარა ტანი.
– შენი შავი თმის ბუჩქი,
ეგ თეთრი შუბლის სერი,
თვალები გიშრისფერი,
ლოყები ვარდისფერი...

– ამყვნენ გოგონები ისე, ბიბლიოთეკარს არ შევუმჩნევივართ... ამჯერადაც გადავრჩით გაციმბირებას.

– ვიცი გრძელი ლექსია და ხომ არ გადამიწერთ, კარგი კალიგრაფია რომელს გაქვთ? ერთი გადაუდებელი საქმისთვის მჭირდება. სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი რომ არ წყდებოდეს, არ შეგაწუხებდით.

– რას ამბობთ, – დავზაფრე გოგონები და რაიმე შეკითხვა რომ არ დაესვათ, იქით ვკითხე, – რას შვებით, ჩემკენ ხართ თუ ეშმაკისკენ?

– ფუი ეშმაკს. – გაიცინეს და წიგნში ლექსის მოძებნა დაიწყეს.

* * *

გურანდა პირველი ლექციის შემდეგ ვნახე.

– ომი დაიწყო თუ რა სახე გაქვს? – მისალმების ნაცვლად მკითხა.

– მშვიდობაა, – დავამშვიდე, – შენთვის ბარათის მიცემა მთხოვა ერთმა.

– ფოსტალიონობა დაიწყე? – ირონია შეეპარა ხმაში, – მომეცი დროზე, სანამ ლექცია დამწყებია...

– ასე მითხრა, მესამე ლექციის შემდეგ გადაეციო... – გავუჯანჯღლე საქმე.

– ოოჰ... – ერთი კი ამოიძახა და ზურგი მაქცია, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ შეჩერდა, შემობრუნდა და ის-ის იყო რაღაც უნდა ეთქვა, რომ დავასწარი.

– არ ვიტყუები, შენს თავს ვფიცავარ, ამ წერილზე გეუბნები. – კონვერტი მის დასანახად მაღლა ავწიე.

– კარგად გეტყობა, რაკი ჩემს თავს იფიცებ... – მომაძახა და დამემანჭა.

ასეც ლამაზი ჩანდა.

მაინტერესებდა, მესამე ლექციის გამოსვლამდე თუ მნახავდა. პირველ სართულზე, სადაც ლექციები ისტორიკოსებთან ერთად გვიტარდებოდა, არ გამოჩენილა. ეტყობა, ქალურ ცნობისმოყვარეობას სძლია. ვესტიბიულში დაველოდე. დამინახა თუ არა, ჩემკენ გამოექანა.

– კიდევ, რამდენი ხანი უნდა მაწვალო? – გამწყრალი თვალებით შემომხედა და ხელი გამომიწოდა.

– მხოლოდ მის თხოვნას ვასრულებ, დანაბარების გარდა, ბევრს ვერაფერს გეტყვი, იცოდე. – წინასწარ გავაფრთხილე და კონვერტი მივეცი.

– წერილია? – დიდრონი თვალებით შემომხედა.

– არ ვიცი...

– სახლში გავხსნი. – მითხრა.

– შენი ნებაა...

– ვინ გამომიგზავნა, არ მეტყვი, ხომ?

– იმან, არაო, გამაფრთხილა, თავის დროზე ყველაფერს გაიგებსო, ასე მითხრა.

– ბიჭია თუ გოგო?

– დასაოჯახებელი ბიჭი, კაი შესახედი, შეძლებული და კაიმაღნაჭამი.

– აა, გასაგებია, – ჩაილაპარაკა თავისთვის, – გაუმარჯოს რებუსებს.

– გაუმარჯოს.

– ხვალამდე მაშინ, შუქიფე დეიდა მიცდის სახლში, უნდა გავიქცე, ნათესავი გვყავს სანახავი, გუშინ ბრმა ნაწლავის ოპერაცია გაუკეთეს, – გურანდამ ნაბიჯი ააჩქარა, – თუ მასხარაობ, ვერ გადამირჩები, წინასწარ გაფრთხილებ.

– მე და არასერიოზულობა? – გავიკვირვე.

– ვინც არ გიცნობს... – აღარ დაასრულა სათქმელი, ისე გამშორდა.

მეორე დღეს თვითონ მომძებნა. ვერ დავუსხლტი ხელიდან და დაიწყო დაკითხვა.

– ლექსებს წერს?

– ვინ?

– ვინც ეს კონვერტი გადმოგცა.

– არა მგონია, რა იყო?

– ნუ მატყუებ, – შემიღრინა. – ასეთ კარგ ლექსს ჩვენი პედინსტიტუტის სტუდენტი ვერ დაწერდა.

– ეტყობა, მოინდომა.

– იცოდე, ხმას არ გაგცემ...

– რას მერჩი, ვიცოდე მაინც...

– რეზოოო...

– დალაგებულად ამიხსენი, ვერაფერს ვხვდები. – ვიაბდლებ თავს.

– არ გინდა მონდომება, სამაგისოდ ისედაც შესაშური მონაცემები გაქვს. – გულწრფელად მეუბნება.

– რა შევცოდე ასეთი ღმერთო, შენ მაინც გამაგებინე, მიშველე და დამიცავი.

გურანდა კონვერტს ხსნის და რვეულის ფურცლებს თვალწინ მიტრიალებს.

– ლექსით მიხსნის სიყვარულს, მიყვარხარო, მეუბნება. ასეთი უკარება ვარ, რომ ვაჟებს ვაფრთხობ?

– თუ ორპირ ქარში მოყევი, წარმოდგენაც მიჭირს, რას დაემსგავსები. – გავეხუმრე.

შევატყვე გამიბრაზდა. მიბრუნდა, მიმატოვა და ორი დღე ხმა არ გაუცია.

გამებუტა.

მესამე დღეს მოვინახულე.

– რაო, იმ შენმა ნაცნობმა, ახალი რა დაგავალა გადმოსაცემად? – ცალყბად მითხრა.

– მგონი, არც ახსოვხარ, გუშინ შემხვდა, ათას რამეზე ვისაუბრეთ, შენი თავი არც გახსენებია.

აიმრიზა, თქმით კი არაფერი უთქვამს. ცოტა ხნის შემდეგ:

– მეგონა, ახალ ლექს მომიტანდი.

– ეტყობა, მუზა არ წყალობს.

– საწყალი...

ცარიელ აუდიტორიაში შევედით. ფანჯრები ღიად დაეტოვებინათ და ოთახში გრილოდა. შემოდგომის ბოლო თვე თბილიც იყო და ნალექიანიც.

– იჯდები ასე მუნჯივით? ამოიღე ენა და თქვი რამე... – შემომიტია.

– მითხარი, რა გაინტერესებს და თუ მეცოდინება, გეტყვი.

– შენ ვისკენ ხარ?

– იმ ბიჭისკენ.

– გასაგებია. – ნერწყვი გადაყლაპა და ფეხი ფეხზე გადაიდო.

– ის ხომ მაინც შეგიძლია, მითხრა, აქაურია?

თავი დავუქნიე.

– მაღალია?

– მაღალიც, სუსტიც, სპორტული აღნაგობის და კარგადაც სწავლობს.

– სტუდენტია?

– წელს ამთავრებს. – მოვიტყუე.

– ვიცნობ?

– შენ არა, ის კი, შორიდან.

– ულვაშები აქვს?

აქ კი წავუყრუე, არ ვუპასუხე და საკუთარი ულვაშები მარცხენა ხელის თითებით დავმალე.

– ვერ ვიტან ულვაშიან კაცებს, ულვაში მოხუცებს შვენის. – დამაჯერებლად დაასკვნა. მეორე დღეს ინსტიტუტში ულვაშგაპარსული მივედი, მაგრამ ვინ შეამჩნია ჩემი მონდომება, ენთუზიაზმი და მსხვერპლად შეწირული ულვაში.

არავინ.

– იმ ბიჭის სახელი მაინც მითხარი, კაცი არ ხარ. – უგულოდ მიწყრება გურანდა და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი დამტყუოს „იმ“ ბიჭზე.

– ჯერ ადრეაო, ასე ამბობს.

– ჰოდა, კარგად იყოს...

– მეც მასე ვფიქრობ. – მძიმედ ამოვისუნთქე.

გავიჭედე, საკუთარი თავის მესამე პირში ქება ნამეტანი დამღლელი ყოფილა.

* * *

კარგად მახსოვს, იანვრის სესია მიდიოდა. შემთხვევით ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელთან შევყონდი, ვიღაც მეძახდა. მიმოვიხედე და ვერავინ დავინახე. იმ ასაკში არ ვიყავი, ჰალუცინაციები დამწყებოდა. არადა, ხმა მესმოდა, ხმის ამომღებს კი ვერ ვხედავდი. ეზოდან შუქრი გამოვიდა, ჩვენი ყოფილი მარადიული სტუდენტი, სკოლის და უმაღლესის დამთავრებას ლამის თანატოლი წლები რომ მოანდომა.

– რეზო არა ხარ შენ? – მკითხა.

შუქრის შორიდან ვიცნობდი, ისე, შუქრის ვინ არ იცნობდა ჩვენს ინსტიტუტში.

– ხმა ჩამიხჩა, ნახევარი საათია გეძახი.

– რა გაგჭირვებია, შუქრია?

– აკუმულატორი დამიჯდა და ვერ ავამუშავე ჩემი დრანდულეტი, – შემომჩივლა, – მიწოლაა საჭირო, ორს მოვუყარე თავი, წამოგვეშველე, იქნებ დაიქოქოს.

– მაგაზე როგორ გეტყვი უარს.

ეზოში შევყევი და „ნოლ-ადინს“ უკნიდან მივაწექით. ეზოდან გადმოვაგორეთ, ვუჯიქეთ მონდომებით და მანქანაც დაიქოქა.

– შენი ჭირიმე, ჩემო ლურჯა, ჩემი მარჯვენა ხელი ხარ, უტყუარი მეგობარი... – სიხარულისგან ადგილს ვერ პოულობდა შუქრი, – ვიცოდი, ვიცოდი არ მიღალატებდი...

– ორი დღის წინ, რაც მაგან პატივი გცა დათოვლილ, დანგრეულ გზებზე, ძეგლი უნდა დაუდგა, ემიავ.

– მახსოვს და ამიტომ თავზე უფრო მიყვარს.

– ორი დღის წინ რა გმირობა ჩაიდინა? – უფრო ზრდილობის გულისთვის ვიკითხე. ისე, საერთოდ არ მაინტერესებდა, სიმართლე გითხრათ.

– ახალი ქართული ოჯახის შექმნაში შეიტანა დიდი წვლილი.

– ამან?

– აბა, არ გაგიგია? ან საიდან გაიგებდი, ახალი ამბავია. მათემატიკურზე რომ სწავლობს, გურანდა გააბედნიერა ჩანჩხალოელმა ბადრიამ. შუახევის ცენტრში დავხვდით ავტობუსიდან გადმოსულს, მე და ჩემი და, კიდევ ბადრია. შენკენ, ვარჯანაულში, შინაურებთან მივდივართ, ადგილი გვაქვს და შენც წამოგვყევიო, თუ გინდაო, ვუთხარით. გახარებული გოგო მისი ფეხით ჩაჯდა ჩემს მანქანაში, ბიჭს არა, მაგრამ მის დას, გულიკოს კარგად იცნობდა თურმე, ვერაფერს მიხვდა და ჰაიდა... ჩანჩხალოში ამოყო თავი...

– რას ამბობ. – გავიკვირვე. – გოგომ არაფერი თქვა?

– არ გამახსენო, დაანგრია იქაურობა, იკივლა, იწივლა, ივიშვიშა, დალეწა, დაამსხვრია და მიმოყარა ირგვლივ ყველაფერი, ძლივს დააშოშმინეს. კარგი ბიჭია ბადრია, მშრომელი და დაფასებული, დასაწუნი რა სჭირს? – აქეთ მკითხა შუქრიამ.

– ღმერთმა ხელი მოუმართოს. – დალოცვასავით გამომივიდა.

– აბა, რა გეგონა შენ?! ჩვენ კაი ქეიფი მოგვიწია, ღვინის სმა და დილამდე დროსტარება, ბადრის – ოჯახისთვის ნანატრი რძალი. იმედია, არ შეგვარცხვენდა და იმ ღამესვე დააჩანჩხალოვებდა პატარძალს.

– იმედია. – დავეთანხმე და ცივად გავშორდი შუქრიას.

იანვარი და ზამთრის სესია მთავრდებოდა, გურანდას რომ შევხვდი. ინსტიტუტის წინ იდგა, ხელში ყოჩივარდის კონა ეჭირა და იღიმოდა. ძვირფასად შემოსილს, გვერდით მართლა კაი ყაძახი ედგა.

თვითონ წამოვიდა ჩემკენ და მეც იხტიბარი არ გავიტეხე, შინაურივით მივესალმე.

– გაიცანი, ეს ბადრია, ჩემი ქმარი.

– რეზო, – ვუთხარი და ხელი ჩამოვართვი. არ დავმალავ და ჩემ წინ რესტავრირებული ტარიელი იდგა, ბედით კმაყოფილი და ამ ზამთარს გათბობით უზრუნველყოფილი, – ბედი შენ გქონია, ძმაო...

– არ ვემდური, – ხალისიანად მითხრა და შემეპატიჟა, – მეუღლემ დღეს ბოლო გამოცდა ჩააბარა და იქნებ თითო ჭიქით აღვნიშნოთ, ა, რას იტყვით?

– თქვენ გაიხარეთ, დიდი მადლობა, ვერიდები დალევას, გლახა სიმთრალე მაქვს. – თავი შევიქე.

– რა გაეწყობა მაშინ, შეხვედრამდე...

– შეხვედრამდე. – მივუგე და ახალდაოჯახებულ წყვილს ზურგი ვაქციე.

რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა მოვასწარი და...

– რომ იცოდე, რეზო, ულვაშები გიხდებოდა. – მომესმა გურანდას ალერსიანი, დაქალებული ხმა. უკან მოვიხედე და მის გაცისკროვნებულ, უბოროტო სახეს წავაწყდი, რომელიც ჩემკენ იყურებოდა და მისთვის ჩვეულ სითბოს ძველებურად აფრქვევდა.

ლაშა

ბუნებით მორცხვი და მორიდებული კაცია ლაშა ახალაძე. უაღრესად დახვეწილი გემოვნება, მოდას ვერ დაწეული ჩაცმულობა, ხშირ შემთხვევაში, გამოკვეთილი დაბნეულობა, წაბლისფერი ხუჭუჭა თმა, მომრგვალო პირ-სახე და სამსახურში სხვას თვალში გასაღიზიანებლად რომ არ მოხვდება, იმ დონის აქტიურობა შვენის. კოლექტივში მარტივად ვერ გამოარჩევ. არის თავისთვის წყნარად და მშვიდად, აკეთებს იმას, კონტრაქტით რაც ევალება. იშვიათად, ისიც შინაურ წრეში თუ გაიხსნება განტვირთვის მიზნით და მაშინაც ბოლომდე არა. ნუ, ამ დროს გარემო და რამდენიმე ჭიქა შავი ღვინოც თამაშობს არც თუ მთლად მეორეხარისხოვან როლს. უენო არ ეთქმის, უყვარს მუსაიფი, კამათი, განსჯა, აზრების ენაწყლიანად გადმოცემა. ესაა ოღონდ, ამის შესაძლებლობა იშვიათად აქვს. რაც ორმოცდახუთს გადააბიჯა, უფრო ჩაფიქრიანებული და სევდიანი გახდა, პრაქტიკული ცხოვრებით დამძიმებული სამსახურის კაცი.

სტუდენტობაში დაოჯახდა. ორი ბიჭი აჩუქა მეუღლემ, რომელიც სიყვარულით შეირთო და სიყვარულითვე უძლებენ ახლა ერთმანეთს. მარტო ცხოვრობენ. ქორწილის წინადღეს, ბიჭისა და გოგოს მშობლებმა, ოროთახიანი ბინა აჩუქეს ახალშეუღლებულებს და საქორწილო მოგზაურობაში, ეგვიპტეში გაუშვეს. არც შემდეგ მიუკლიათ ყურადღება და გვერდში დგომა. ახალგაზრდებმაც დაუფასეს ამაგი, ორივე შვილიშვილს ბაბუების სახელი დაარქვეს, სიდედრი კი დარჩა მწყრალად, რა გჭირთ, ერთი ციცა მაღირსეთო, მაგრამ მისმა ქალიშვილმა მესამე შვილის გაჩენაზე, უარის ნიშნად ხელები გაასავსავა, თორემ თავმდაბლობით გამორჩეული სიძე თანახმა იყო, ახლა ეგ საქმე მაგრად ამდის ხელზე და შაქარდედას მაგაზე გულს როგორ დავწყვეტო, უთქვამს.

შეყვარებულობის პერიოდი ხანმოკლე ჰქონდათ. ლაშამ საცოლე თანაკურსელის დაბადების დღეზე გაიცნო, ისიც შემთხვევით. თავის გამოჩენა არც უცდია, ისე განვითარდა მოვლენები. სუფრა დასასრულისკენ მიდიოდა, როცა საიუბილეო მარწყვის ტორტი გაიჭრა. ოჯახის დიდმა დიასახლისმა რუსიკო დეიდამ თითო ნაჭერი თითო თეფშზე დააწყო და პერსონალური პენსიასავით ჩამორიგებას შეუდგა. ლაშა, დიაბეტის შიშით, ტკბილეულობას ისეც არ ეკარებოდა და ახლაც გვერდზე იდგა. როცა სუფრასთან გამორჩეულად წყნარ, თეთრსახიან, უენო და გემოვნებიანად ჩაცმულ გოგონასათვის ტორტის მოზრდილი ნაჭრის გადაწოდება სთხოვეს, ლაშამ, ჩემი თავი შემოგევლოთო, სკამიდან წამოხტა, გამოართვა თეფში, მივიდა ადრესატამდე და... ვერაფრით იხსენებდა შემდეგ, წამის მეასედებში რა მოხდა: როგორ დაუცდა ფეხი, თავის შესაკავებლად, როგორ ჩაებსკვნა და ჩაეხუტა უმშვენიერეს არსებას, როგორ გადაყირავდნენ და როგორ აღმოჩნდნენ იატაკზე... მისდაუნებურად, წაქცეულმა გაუსინჯა ტორტს გემო, რომელიც ძალიან ტკბილი ეჩვენა და არ მოეწონა, დაიწუნა.

წამიერი სიჩუმე მრავალხმიანმა შეძახილებმა დააფრთხეს.

– მაინც მოსაწმენდი გვქონდა პარკეტი და ბავშვები შეგვეხიდნენ.

– მეორე ასეთი მარჯვე კაცის მნახველი არა ვარ, დაავალე რაც გინდა და არ მოიკითხო.

– წელი ხომ არ იტკინეს?

– თეფში თუ გადარჩა, გერმანულია და იშვიათი ხარისხის, დრეზდენიდან ჩამოიტანა კომუნისტების დროს ჩვენმა მეზობელმა კატია სპეკულიანტმა და მერე მოგვყიდა...

– როგორ დაშვენდა ქედის მარწყვი, განუმეორებელი სიტკბოება და კოლორიტი შემატა კაბას...

– ბიჭს და გოგოს ცხვი-პირი ისე მოთხუპნიათ, პროფესიონალი კონდიტერები გეგონება კაცს.

ლაშამ უხეხულობას და სიმწრის ოფლს ერთდროულად გაუსინჯა გემო.. გოგოსკენ გახედვა

ვერ გაბედა, დარცხვენილი და ნირწამხდარი, წელმოწყვეტილივით, იატაკზე გაშოტილი, თვალებს დაბნეული აცეცებს.

– მე თათია ვარ. – მოულოდნელად გოგოს ხმა ესმის და ყურებს არ უჯერებს. – იუბილარის ბიძაშვილი.

– მე ლაშა... – ძლივს ამოილუღლუღებს ბიჭი, – ვერ წარმოიდგენთ, როგორ მრცხვენია. – თავჩაღუნული ამბობს და ზოზინით ჯერ თავად აითრევს წელს, მერე ხელს გოგოს გაუწვდის და წამოდგომაში დაეხმარება.

თათიას, ლაშას მსგავსად, გულისპირი ტორტის ინგრედიენტებით აქვს შეფერადებული.

გახალისებული სუფრის წევრები რამდენიმე ნაწილად გაიყვნენ: ერთი – თათიას თანაუგრძნობს, მეორე – ლაშას, მესამე – ღადაობს, მეოთხე – ქეიფს აგრძელებს, მეხუთე – მაგიდას ალაგებს, მეექვსე – ყავაზე მკითხაობს...

თბილი წყლით რისი მოშორებაც შეიძლებოდა, ცდა და მონდომება არ დაუკლიათ, მაგრამ თათიას კაბას და გენოს პერანგს მაინც თვალსაჩინოდ აჩნდა მარწყვის ტორტის ავტოგრაფი.

– ოდნავ დიდი ზომის სპორტულები მაქვს, მამამ კიშინიოვიდან ჩამომიტანა, თუ იკადრებ, ჩემი თავი შემოგევლოს. – შეწუხებული იუბილარი ლაშას დახმარებას ცდილობს.

თათიასაც გამოუჩნდა ჭირისუფალი, მეზობლის ქალი მარგალიტა, რომელსაც დასაოჯახებელი ნარკომანი ბიჭი ჰყავს, მომენტალურად გამოცოცხლდა და თაფლაკვერად გადაიქცა.

– ჩემი ქალიშვილის ხნისაა და მაგის ზომა მაისურს როგორ ვერ ვიშოვი, რამდენიმე წუთი დამელოდეთ... – თქვა და ტკბილეულის მირთმევა ფეხზე დამდგარმა, ჩქარი ტემპით გააგრძელა.

– მე მარტო ბიჭები მყავს და ამ ველურების ჩანაცვამს როგორ ვაკადრებ ანგელოზივით ნათესავს? – შეწუხდა ოჯახის უფროსი დიასახლისი. ეტყობოდა, შესათავაზებელი ბევრი არაფერი გააჩნდა, მაგრამ გაჩუმებას კიდევ რაღაცის თქმა ამჯობინა.

გოგომ არ ისურვა დახმარება.

– სხვისას მაინც ვერ ჩავიცმევ, თან არც ისე შორს ვცხოვრობ, სახლში მალე მივალ და გამოვიცვლი, – დაამშვიდა გამოცოცხლებული იუბილარის მეზობელი თათიამ, – წავალ აწი...

– სახლამდე მიგაცილებ. – თავი გამოიდო ლაშამ.

თქმით არაფერი უთქვამს, უბრალოდ, თავი აქეთ-იქით გადააქნია თათიამ, რაც ლაშამ მთლად თანხმობად თუ არა, რაღაც მაგის მსგავსად ჩათვალა. რამდენიმე წუთში სადარბაზოდან ერთად გამოვიდნენ.

– ტაქსით ხომ არ წავსულიყავით? – სხვათაშორის იკითხა ლაშამ.

– ფეხით გავლა მირჩევნია. – უპასუხა თათიამ და ლაშამ შვებით ამოისუნთქა. სად ჰქონდა ტაქსის ფული გაღლეტილ სტუდენტს, სტიპენდიამდე ჯერ კიდევ ერთი კვირაა დარჩენილი.

– მშობლებთან ცხოვრობ?

– არა, ნაქირავებში, ორ თანასოფლელ გოგოსთან, ერთად. შენ?

– მე აქაური ვარ... – ქალაქელი ვარო, შეგნებულად არ თქვა ლაშამ, ქედმაღლურად არ გამომივიდესო, უფრო იმიტომ. – მეც სტუდენტი ვარ, გაისად ვამთავრებ ისტორიულს.

– მე კიდევ სამი წელი დამრჩა.

თათიას სახლამდე გზა შეუმჩნევლად გაილია.

– აბა, შეხვედრამდეო. – გოგომ.

– ხვალამდეო, – ბიჭმა.

გამომშვიდობებისას თვალებში ჩახედეს ერთმანეთს.

გოგოს შავი, გადამწიფებული მაყვლისფერი თვალები შვენოდა, ბიჭს – თაფლისფერი.

გოგო საშუალოზე მაღალი, სიფრიფანა და იდუმალი ჩანდა, ბიჭი – უფრო ჩაფსკვნილი, დაბნეული და შეფიქრიანებული.

გულში კი...

გოგო: წავიდეს ახლა დროზე, ხომ მომაცილა, ფეხს რატომ ითრევს?

ბიჭი: ყავის დიდი მუშტარი არ ვარ, მაგრამ თუ შემიპატიჟებს, უარს არ ვეტყვი.

გოგო: მიეცემა მეზობლებს საჭორაო თემა, დაერჭო პომიდორის სარივით.

ბიჭი: ცოტა ხორცი რომ მოიბას, ქალს დაემსგავსება. ისე, როგორი ფერმკრთალია.

გოგო: რას ჰგავს, ცხვირი უნიჭო პორტრეტისტის დახატული გეგონება. ეს რა პერანგი აცვია, წინწკლებიანი, მეორადულებში ნაყიდს ჰგავს.

ბიჭი: ხვალ არც მემახსოვრება მისი არსებობა. იათამზე ტაკიძე ამას ათი თავით სჯობია, მკერდი მაინც ამჩნევია, სხვა რომ არაფერი.

გოგო: ნეტა რას ფიქრობს ჩემზე? რა სასაცილო ვინმეა...

ბიჭი: შეყვარებული ეყოლება, სოფლელებს სკოლის მერხიდან ურჩევენ საქმროებს. ეს რატომ დარჩებოდა გამონაკლისი?

გოგო: რა მოვუხერხო, რომ წავიდეს?

ბიჭი: რა მშვიდი საღამოა...

გოგო: გამირომანტიკოსდა ამასობაში... ბენტურა...

ბიჭი: ჩხინკორა...

რამდენიმე წუთში ლაშა მაჯის საათს დახედავს და მშვიდად იტყვის:

– უნდა წავიდე.

გოგო ენისამოუღებლად გამოემშვიდობა, მადლიერების ნიშნად, ბიჭს გაუღიმა და შევიდა სადარბაზოში.

ლაშა მეორე დღეს შავი, გაუმჭვირვალე ცელოფნის პარკით ხელში, ფოიეში დახვდა თათიას. გოგო პირველსავე დაცარიელებულ აუდიტორიაში შეიყვანა, ცელოფნიდან მინდვრის ყვავილების თაიგული ამოიღო და აჩუქა.

– მადლობა, – გაუხარდა თათიას და თაიგულში თავი ჩარგო, – ძალიან გამახარე, მინდვრის ყვავილებზე ვგიჟდები.

სამი თვე, დღეჩაუგდებლად ხვდებოდნენ პარკში, ზღვისპირა ბულვარში, თეატრში, სტიპენდიის აღების დღეს – კაფეში, ერთ-ორჯერ, სოფლიდან დაბრუნებულმა თათიამ ბინაშიც დაპატიჟა ლაშა, გოგონებს გააცნო, სახელდახელო სუფრაც გააწყო. სოფლიდან გამოტანებული ხაჭაპური, მოხარშული დედალი, მწნილი, კეჟერა ფხალი დააგემოვნებინა ლაშას, სასიმამროს დაყენებული ადესაც.

ერთ დღესაც, ლექციის შემდეგ, ინსტიტუტის გამოსასვლელთან დახვდა თათიას.

– რახანია გიცდი.

– ხომ მშვიდობაა?

– კი...

– ბიბლიოთეკაში ვიყავი, ზეგ კოლოქვიუმი გვაქვს და ვემზადები.

– თუ გცალია, გამომყევი, სალაპარაკო მაქვს შენთან...

– ერთი-ორი დღე ვერ მოიცდი?

– ვერა...

– რა გაეწყობა, გავიდეთ.

გარეთ გრილოდა, არა და ცაზე მზეც ჩანდა, დანაფლეთებული ღრუბელიც და ალაგ-ალაგ მოწკრიალებული ზეცაც.

– გისმენთ ბატონო, – სახეგაბადრულმა თათიამ ხელმკლავი გამოდო ლაშას და როგორც კი უნივერსიტეტის წინ ავტობუსის გაჩერებას გამოსცდნენ, ალერსშეპარული ტონით იკითხა, – სად გინდა სიყვარული ამიხსნა, რაინდო, პიონერთა პარკში, ზღვის სანაპიროზე თუ ეშმაკის ბორბალზე? გამოტყდი, სად უფრო გერომანტიკულება?... აბა, პასუხს ველოდები და არ დაიბნე, იცოდე...

მოულოდნელობისგან ლაშას ჯერ ფეხები მოეკვეთა და ნაბიჯი ვერ გადადგა, შემდეგ მძიმედ დაიწყო სუნთქვა, ენაც გადაეყლაპა და მთელი კვირა ნარეპეტიციები ტექსტიც ისე მოულოდნელად დაავიწყდა, როგორც წინა კვირას პოლიტეკონომიაში სემინარის მომზადება.

როცა სახეზე ფერი წაერთვა, მაშინ შეცბა თათია. ხელჩანთიდან პოლიეთილენის პატარა წყლის ბოთლი ამოიღო, გახსნა და წყალი სახეზე მიასხა ნირწამხდარ გულისწორს.

– როგორ ხარ?

– ვიცი და არ გეტყვი?

– ღრმად ისუნთქე, გაგივლის...

ლაშა დადუმებულია და ენას ვერ იღებს, ფართოდ გახელილ თვალებს ზევით-ქვევით აცეცებს და ხვდება, რომ საკუთარი გულის ბაგაბუგი, მარტო მას კი არა, თამთასაც გარკვევით ესმის.

ძელსკამზე ჩამოსხდნენ.

– ჩემი სულელი ბიჭი, – მოგვიანებით იტყვის თათია, ირგვლივ მოიხედავს, ნაცნობს ვერავის

დალანდავს, დადუმებულ ლაშას შეფერთქალებულ ლოყაზე მოუსვამს ხელს, თავისკენ მოიზიდავს და ტუჩებში ვნებიანად აკოცებს, – შენთან რა ოჯახი უნდა შევქმნა, ორ სიტყვას ვერ აბამ თავს...

როდის გამოცოცხლებული ყაძახი ახლა თათიას ჩაიკრავს გულში და შვებით ამოისუნთქავს.

ერთ თვეში მოესწრება ნიშნობა, ქორწილი, გადაპატიჟება-გადმოპატიჟება, მოყვრების გაცნობა-დაახლოება, მისვლა-მოსვლა და მთელი ყიამეთი.

* * *

– საკანცელარიო ნივთებისთვის მეწვიეთ, შევივსეთ... – კარებში მომარაგების განყოფილების შეუცვლელი წარმომადგენელი გიგი თედორაძე დგას და არც შემოსვლას აპირებს და არც გასვლას, შუაშია ჩახერგილი.

– კომპიუტერის ფურცლები არის?

– კი, ბატონო.

– კატრიჯი?

– მაგიც. ასევე: ბაინდერი, მარკერი, ფაილი, სკოჩი, სტეპლერი, კორექტორი, სათლელი, სკრეპი, საკანცელარიო დანა, ჭიკარტი, წებო, მაკრატელი, ორგანაიზერი...

– ინფრაწითელი და ლედნათურები?

– შეავსეთ განაცხადი და მოგართმევთ.

– კაცი ხარ ქვეყანაზე, – შეაქეს გიგი, – რაიმე სასიკეთო იდეა ხომ არ გაწუხებს ამჟამად?

– შესვენებაზე არ გავიდეთ სადმე? მალე პირველი გახდება, ა, რას იტყვი, აქვე, ქაზიმას დუქანში შებოლილი ნეკნების ახალი პარტია მიიღეს, უკრაინულიაო, მაგრად აქებენ...

– რამდენი მოვიყრით თავს? – იკითხა ლაშამ.

გიგიმ თითებზე გადათვალა და შეკრული მუჭი მთლიანად გაშალა.

– ხუთი, სანდროც მორჩება სადაცაა, ამთავრებს...

– ნისიად მოხერხდება?

– მაგაზე ნაკლებად იდარდე... – დაამშვიდა გიგიმ და ანიშნა, წამოდექი, რაღას უცდიო...

ლაშამ კომპიუტერი ჩართული დატოვა, მობილური ჯიბეში ჩაიდო, ჩარჩოში ჩასმულ საოჯახო ფოტოს თვალი შეავლო და ფეხზე წამოდგა. თან, ილონას ანიშნა, დროზე წამოდი, გელოდები, ხომ იცი, არ დაგტოვებო.

ილონას, კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურის უფროს სპეციალისტს, თავპატიჟი არ დაუწყია, ხელით ნაქსოვი ბერეტი დაიხურა, შარფი ყელზე შემოიხვია და ქურთუკი ჩაიცვა.

კორიდორში გასულებს, სხვებიც წამოეწივნენ.

გარეთ ხვავრიელად ბარდნიდა. ორი დღის თოვლი გვარიანად ემჩნეოდა ქალაქს.

საკანცელარიო მაღაზიას ჩაუარეს. ლაშას აქ გავლა, ბოლო დროს, ძალიან შეუყვარდა. შეიძლება შეუყვარდა ზუსტად ის სიტყვა არაა, მის ემოციურ განწყობას რომ გამოხატავს, მაგრამ მიახლოებული ნამდვილადაა. მინიმუმ დღეში ერთ-ორჯერ მაინც აუარ-ჩაუარდა მაღაზიას იმ იმედით, რომ ახალი თანამშრომელი ქალისთვის მოეკრა თვალი. დრო რომ იხელთა, გაეცნო კიდეც, რომ არ სჭირდებოდა, ისეთი რამდენიმე საკანცელარიო ნივთიც შეიძინა, რამდენიმე-სიტყვიანი ქათინაურიც შეაპარა, მაგრამ ამის იქეთ მათი ურთიერთობა არ წასულა. ლინდასთვის, ასე ერქვა დახლთან მომუშავე ქალს, ლაშა ჩვეულებრივ რიგით, მორიდებულ, თავაზიან და ცოტა დაბნეულ მყიდველად დარჩა, კლიენტად, რომელიც ხშირად უფრო მეტ შეკითხვას სვამდა, ვიდრე ყიდულობდა.

ლაშას ყურადღების არეალში ლინდა ზენა ქარივით უცაბედად შემოიჭრა და თვალისდახამხამებაში მასში დამკვიდრდა. ეს სიახლე მოულოდნელი, მაგრამ მისაღები აღმოჩნდა ერთფეროვნებას მიჩვეული კაცისთვის, რომლისთვისას ცხოვრებისეული რუტინა მეტად ჩაკეტილ წრეს – ოჯახს, მშობლებს, მოყვრებს, კოლეგებსა და სამეგობრო წრეს მოიცავდა. ეს მოცემულობა სავსებით აკმაყოფილებდა მის ამბიციას და რისიმეს შეცვლის სურვილი დღემდე არასდროს გასჩენია. მშვიდ, წყნარ და გაშინაურებულ, ლამის ერთფეროვან ყოველდღიურობას ისე მიეჩ-

ვია, რომ მისი ცხოვრებისეული კრედო სიახლის უმნიშვნელო მოლოდინსაც გამორიცხავდა, არა თუ მიღებას და გათავისებას. არსებული ვითარება მის კომფორტულ მდგომარეობას განსაზღვრავდა და აქამდე, ეს სავსებით აკმაყოფილებდა. ლაშა შინაგანად გრძნობდა, რომ სურდა თუ არ სურდა, ლინდას მეშვეობით იცვლებოდა და ის ამ ცვლილებების ეპიცენტრში იდგა, ოდნავ დაბნეული, დამფრთხალი, ემპათიური და იმპულსური.

გამაღიზიანებლად მაღაზიის მენეჯერი, მწითურა, სახენაყვავილარი, ჟღარა თვალებიანი როსტომ აბულაძე მოევლინა. მას კიდევ სტუდენტობიდან იცნობდა. გამოქექილი ყალთაბანდი, უსაქმური, მექალთანე, მამის წყალობით, ფინანსურად წელმომაგრებული, ტლანქი ინტელექტის მქონე ინდივიდს საოცარი უნარი გააჩნდა შეჭირვებულ ქალებთან, დახმარების მომიზეზებით, საერთო ენის გამონახვის და ამას ისე შეფარული ოსტატობით აკეთებდა, რომ მსხვერპლი ვერაფერს ხდებოდა. საკანცელარიოს ახალი თანამშრომელი მას შემდეგ შეეცოდა, როცა ილონადან ლინდას შესახებ რაღაც-რაღაცები გაიგო. ქალი განათხოვარი იყო და შვილთან ერთად ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა. გვარიანად უჭირდა და თავის გადასარჩენად, აუცილებლად ქალაქში დამკვიდრებას ცდილობდა, რადგან სოფელში, მშობლებთან დაბრუნებას სიკვდილი ერჩივნა. პრინციპულად უნდოდა დამოუკიდებელი, ძლიერი გამხდარიყო და თან, როგორც ქალი და დედა, მთელი თავისი მშვენიერებით, ღირსებით და სიამაყით შემორჩენოდა წუთისოფელს. ლაშა ატყობდა, როსტომი ხარბი თვალებით როგორ შესცქეროდა ლინდას. ახალგაზრდა ქალს მონდომება, ენთუზიაზმი და კეთილსინდისიერება არ დაეწუნებოდა, მაგრამ როსტომი მისით მუდამ შესამჩნევად უკმაყოფილო იყო. ლინდა უკეთესი სამუშაო ადგილის გამონახვის იმედით ითმენდა გულისტკენას და თანამშრომლებისგან შეუმჩნევლად, ხშირად ცრემლსაც მალულად იწმენდა. ქალი იყო, შესახედავი, თვალშისაცემი, დაუცველი, ქმარმიტოვებული და გუმანით ხვდებოდა, რა არჩევანის წინაშეც იდგა, ან უნდა გაეძლო, გაუვალ კლდედ ქცეულიყო, საკუთარი მიზნებისთვის გადაედო თავი, ან არსებულ სიტუაციაში დანებებოდა დროის დინებას, გაეწყვიტა შუბლის ძარღვი და ეცხოვრა უკან მოხედვის სურვილის გარეშე, როგორც ამას დღეს ბევრი ახერხებდა. არჩევანი მისი გასაკეთებელი იყო და ამაში ვერავინ შეეხიდებოდა. სად და როგორ წასულიყო, ეს გადაწყვეტილება დამოუკიდებლად უნდა მიეღო. იღბლის გაღიმება ამ დროს ნამდვილად აუცილებელი, დროული და იმედის მომცემი იქნებოდა.

შინაგანი ორჭოფობა ზოგჯერ აძლიერებდა, უხილავ ძალას და გამბედაობას მატებდა ლინდას, ხანაც მიწაზე უსულოდ დააბერტყებდა და სიცოცხლის სურვილს უქარწყლებდა და უკლავდა. ბრძოლას რომ ყოველთვის აქვს აზრი, ეს კარგად ახსოვდა. ესაა ოღონდ, ხშირად ბრძოლის თავიც აღარ ჰქონდა და ამ დროს, როგორ მოქცეულიყო, არ იცოდა. როცა ემოცია დაცლილი, მისავათებული და გონებაამღრეული, საწუთროსა და თავის ბედიღბალზე აღრენილი, ნაქირავებ ბინაში ავიდოდა, სადაც ოთახის მეპატრონესთან, სამოცდაათგადაცილებულ ნაირა აქუბარდიასთან ერთად ცხოვრობდა და რომელსაც, ამავე დროს, უანგაროდ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე უვლიდა კიდეც, ერთი სული ჰქონდა შვილს ჩახუტებოდა, მოფერებოდა და აქვითინებულიყო.

ქალბატონი ნაირა გამორჩეულად თბილი და მოსიყვარულე ქალი გამოდგა. პენსიაზე გასულ ბაგა-ბაღის ყოფილ აღმზრდელს პატარა ლიზიკო გამოჰყავდა ბაღიდან, დედის მოსვლამდე უვლიდა, აპურებდა, ზღაპრებს უკითხავდა და ანებივრებდა, ლინდა მაშინ მონატრებულ, გაციებულ და დაკარგულ მშობლიურ მოფერებას გრძნობდა, ხოლო პატარას ჭიკჭიკი ხშირად ცივ შხაპად მოევლინებოდა და გამოაცოცხლებდა დაბნეულ ქალს. ლაშას ახლაც თვალები მაღაზიის თეთრად განათებულ ოთახისკენ გაექცა, დაორთქლილ ფართო ვიტრაჟიდან დაბურული რომ მოჩანდა, თუმცა შიგ მყოფთა გარჩევა ჯერ

კიდევ შეიძლებოდა. ლინდა მარტო არ იყო, გვერდით მდგომ დაცვის თანამშრომელს ესაუბრებოდა, თან დიდი მუყაოს ყუთიდან ახალ საქონელს იღებდა და თაროზე ალაგებდა.

„როგორ მინდა დავეხმარო, გვერდით დავუდგე და გავაძლიერო. მამაკაცური თანადგომა და შინაურის სითბო ვაგრძნობინო, – გაიფიქრა ლაშამ, როცა მაღაზიას ჩაუარა, – ილონას დავიხმარ, მარჯვე გოგოა, იმედია, უარს არ მეტყვის. ლინდასთან კარგადაა, ერთ-ორჯერ ფულიც ასესხა, შეამხანაგებული ჩანან...

ხასიათგამოკეთებულმა ლაშამ თანამშრომლებს გადახედა.

– ხვალ საღამომდე არ გამოიდარებს, სინოპტიკოსებმაო. – ამოიბურდღულა სარეკლამო სამსახურის სპეციალისტმა ბონდო ხავთასმა, მშრალი თოვლიდან გუნდა ძლივს გააკეთა და წინ მიმავალ ილონა შოვნაძეს ზურგში მოარტყა.

ილონამაც გაიხსენა ბავშვობა, პასუხი ელვის სისწრაფით დაუბრუნა და ატყდა დიდი გნიასი, ორომტრიალი და გამიშვი-დამაკავე. ქუჩაში კანტიკუნტად მიმავალი ხალხი გაკვირვებული უყურებდა ზრდასრული გოგო-ბიჭების ბავშვებად გარდასახვას და იღიმოდნენ. სანამ ლაშა გონს მოვიდოდა, სანახევროდ შეღილული ლაბადა ზამთრის მოსავლით აევსო, სისველე და სიცივე მოგვიანებით იგრძნო, როცა დუქანში ტანსაცმელი გაიძრო და კაი მოყოლა თოვლი გარდერობთან დაყარა. არც სხვები იყვნენ უკეთეს დღეში, ილონას გალურჯებული სახე და წაყინული თითები, გიგის გარღვეული მანტო, ბონდოს გაბნეული ქუდი და სანდროს წაქცევისას დაჟეჟილი საჯდომი მოსაგონრად დაუტოვა ქალაქში მოულოდნელად მოსულმა თოვლმა.

დუქანში ცარიელი მაგიდის პოვნა გაჭირდა, მაგრამ მარიფათიანმა, ნაცნობმა მენეჯერმა იმარჯვა, ნაკლებბიუჯეტიანი კლიენტები ვიწრო კუპეში მოათავსა და გამოთავისუფლებულ მაგიდასთან ახლად შემოსულები დაგვსვა.

– ბევრი არა, მაგრამ თითო ჭიქით, ზამთრის ჭაღარას ვცეთ პატივი, – თანამოინახეებს გადმოხედა გიგიმ და მომტანს ჩაანიშნინა: – ერთი ბოთლი სახლში გამოხდილი ჭაჭა, ოღონდ, წინაზე რომ იყო, ისეთი თუ გაქვთ, სხვა არ გვინდა, ბორჯომი, ნატახტარის ლიმონათი, ხუთი ულუფა შებოლილი ნეკნი, ხაჭაპური, მჭადი, ყველი, საწებელი, მწვანილიც, თუ გექნებათ, იმ შემთხვევაში... – აქ ხრინწიანად ჩაახველა და ხელი მაღლა ასწია, – როგორ დამავიწყდა, საჩქაროდ ბუირუმ ყავა... – შემდეგ მიმტანს ახედა და დაამატა, – რაც შეიძლება, მეტი ღიმილი, სითბო, სიხალისე...

– მაგიც ფასიანია ბიძია ჩვენთან. – გაიხუმრა ზაირამ და ახალგაზრდული ასაკისათვის შესაფერი სიმსუბუქით გაფრინდა სამზარეულოსკენ.

დაკვეთის მოლოდინში ვინ რა მოიგონა და ვინ რა. ჯერ ყავა და მიმტანის ღიმილი მოვიდა, შემდეგ ცეცხლის მფრქვეველი ჭაჭა და მისი მისაყოლებლები.

– მჟავე დამავიწყდა, აქ კარგი მჟავე იციან, მომწონს. – მეორე ჭიქაზე გონება გაუნათდა ბონდოს და ზაირას თვალებით დაუწყო ძებნა.

– ილონა, რა უგემურად ილუკმები? – მონდომება დაუწუნა სანდრომ და სკამზე უხერხულად შეთამაშდა.

– რად ვერ გაიგეთ?! დიეტაზე ვარ, ცოტ-ცოტა ყველაფერი გავსინჯე, მეყო, თან ქმარს მსუქანი ქალები არ მოსწონს... – მეტი დამაჯერებლობისთვის, ბოლო სიტყვები გამოკვეთილად წარმოთქვა და გულისწორის მაღალი გემოვნება ხაზგასმით აღნიშნა.

– რაო, შენმა კლიენტმა, კონტრაქტს გაეცნო? – ლაშამ ბონდოს ახალ პროექტზე ჩამოუგდო სიტყვა.

– გავიყინეთ. ვერც წინ მივდივართ, ვერც უკან, – თქვა ბონდომ და წარბები შეჰყარა, – ასეთი უტუები არავინ მინახავს. გადაირევა შეფი.

– მესმის... – ჩაილაპარაკა ლაშამ, – რას იზამ, უნდა გაუძლო...

ზაირამ მჟავე შემოამატა სუფრას.

– წინაში ხომ გაგიმართლა, ბონუსიც მიიღე, მგონი...

– უჰ, რას ამბობ, ორი-სამი მასეთი პროექტი და გავიმართები წელში.

ნეკნებს ლუდი უხდება, მაგრამ ზამთარში აქ არ შემოაქვთ, კლიენტები უფრო არაყს ეტანებიან და გათვლა მათზეა.

ძლივს გაიგონა ტელეფონის ზარი. თათია ურეკავდა. მაგიდას მოშორდა და აპარატი ყურთან მიიდო.

– არ შეშინდე, მშვიდობაა, უმცროს სიცხე აქვს და შენ ძმაკაც ექიმს ხომ ვერ წამოიყვან, გასინჯავდა ბავშვს.

– მაღალი სიცხე აქვს?

– ახლა არა, ღამით შეიძლება მოემატოს. ყელი აქვს გაწითლებული, ნერწყვის გადაყლაპვა უჭირს, გაციების ნიშნები აქვს, მგონი...

– კარგი, მოვიყვან.

– საჭმელი გაკეთებული მაქვს, არ იდარდო, ცომიც აღუებულია, რომ წამოხვალ, თონის პური წამოიყოლიე. მამამ სოფლიდან დამარილებული ღორის ხორცი, ყველი, მჭადის ფქვილი, დემირა ვაშლი და ათლიტრიანით ცოლიკაური გამოგვიგზავნა ზორბეგის ხელით, შენ რომ გიყვარს, კვახი და ნიგოზში შეტუტული პრასის მჟავეც...

– როგორ ვართო, რა შემოთვალეს?

– ბაღნები ენატრებათ, სული ნუ წაიწყმიდეთ, თვეში ერთხელ ჩამოირბინეთ და გაგვახარეთო, მერამდენედ იხვეწებიან.

– ორ კვარტალში ცხოვრობენ ჩემი მშობლები და იმათთანაც ვერ მივდივართ, დავიღალე ამდენი საყვედურის მოსმენით.

– პატარა თუ მომჯობინდება. ამ უქმეებზე წავიდეთ რა სოფელში?...

– ახლა ვერაფერს გეტყვი. შევხედოთ...

ტელეფონი გამორთო და ჯიბეში შეინახა. „არ ამოვჭერით გლანდები და ვწვალობთ ახლა ბავშვთან ერთად“. – ჩაილაპარაკა და მაგიდასთან მივიდა. ის-ის იყო ზეთზე გამომცხვარი ხელისგულისოდენა მჭადი და ყველი გადაიღო, რომ დუქანში როსტომი და ლინდა შემოვიდნენ.

ლაშას განწყობა უმალ აემღვრა.

როსტომს ფეხქვეშ დაეგო მენეჯერი და თავისუფალი მაგიდა თვალისდახამხამებაში გაუჩინა. ისიც მედიდურად, ყოყოჩის სახით, გაბადრული პირველი დაჯდა და ქალს ანიშნა, გვერდით მომიჯექიო. ლინდამ სურვილი არ შეუსრულა და მისგან მოშორებით, მაგიდის საპირისპირო მხარეს მოკალათდა.

– რას მიირთმევთ... – მიმტანი გოგო მენიუთი გაჩნდა როსტომთან.

– დამიტოვე, გადავხედავ და შემდეგ დავუკვეთავ.

– კარგი ბატონო...

ლაშას მადა და განწყობა ერთდროულად დაეკარგა და აიმრიზა. არც ლუკმა ჩაუდვია პირში, იჯდა ენაამოუღებლად და დროდადრო იმ მაგიდისკენ გააპარებდა მზერას, სადაც ლინდა იჯდა. მოეჩვენა, რომ უჩვეულოდ აქტიურობდა როსტომი, ხელის გადახვევაც სცადა, მაგრამ ლინდამ თავაზიანად ჩამოაღებინა მხარიდან და კუშტი გამომეტყველებით რამდენიმე სიტყვაც უთხრა.

„ნუთუ გატყდა...“ – ჭამდა ეჭვის ჭია ლაშას და ამ აზრთან შეგუება უჭირდა. – ნუთუ, ნუთუ, ნუთუ... – იმეორებდა გონებაში და იძაბებოდა.

რა დრო გავიდა, ზუსტად არ ახსოვს. მოგვიანებით, რასაც იხსენებს ისაა, რომ მოულოდნელ ჩოჩქოლსა და ღრენაშერეულ, გამოკვეთილ ბილწსიტყვაობაში, როსტომს თავზე კეცზე გაცხელებული ამოლესილი ქონა ლობიო ყურებიანი ქუდივით ჰქონდა ჩამოფხატული, გოგოს სილის გაწნა არ დაუნახავს, მხოლოდ ხმა გაიგონა და ესიამოვნა. ის კი ცხადად დაინახა, როგორ გაშორდა სახეალეწილი და გაცეცხლებული ლინდა მაგიდას, ხელი არავის შეუშლია, ისე ჩაიცვა მსუბუქი მანტო და დატოვა დუქანი. შერცხვენილი და სიმწრიდან სახედამანჭული როსტომი კი მაგიდასთან იჯდა დადუმებული და გაქვავებული.

– რას გაუგებ ბოზებს... – უფრო სხვების გასაგონად და თავის შესაგულიანებლად თქვა როსტომმა, რომელსაც ხმაში ჩვეული რიხი და დამაჯერებლობის ნატამალიც აღარ შემორჩენოდა.

– ვინ იყო ეს ველური? – მორიდებით ჰკითხა მენეჯერმა.

– უარესი მეკუთვნის... – ჩაიბურტყუნა ნირწმხდარმა როსტომმა და დამდუღრულ კეფაზე მიმტანის მიწოდებული ტილო მოისვა.

ამოლესილი ლობიოს არომატული სუნი მადის ამღძვრელად გაიფანტა დარბაზში.

„ჩემი კაპარწახა, შენ შემოგევლე, დაგელოცოს მარჯვენა, დიდებულია, დიდებული, დაიმსახურა მაგ უმსგავსომ, ყოჩაღ... – ხასიათგამოკეთებული ლაშა გარდატეხის ასაკში შესულ ბავშვივით ცქმუტავს და სიხარულისაგან, ადგილზე გაჩერება უჭირს. – ხვალვე გინახულებს ილონა, ღმერთს ვფიცავ, მარტო არ დაგტოვებ...“

– წასვლის დროც მოსულა... – საათზე დაიხედავს გიგი, – ზაირა, რამდენია ჩვენზე?

ზაირამ ჩეკი მოიტანა და რადგან არავინ გამოართვა, მაგიდაზე დადო.

გიგი წამოდგა, ქვითარი აიღო და მენეჯერთან მივიდა.

– გულზე არ შემომყარო და არ თქვა ახლა, ქეშად ვიხდიო... – ხმაზე შეეტყო, სახუმაროდ რომ არ ჰქონდა საქმე მენეჯერს, მაგრამ მაინც იხუმრა.

– ერთ კვირაში ხელფასია, როდის გაგვიტეხია სიტყვა? – იწყინა გიგიმ.

მენეჯერმა დახლთან მდგომ ქალს ჩანაწერებით აჭრელებული სქელტანიანი რვეული გააშლევინა და ამჯერადაც, კლიენტის გამოკვეთილი პატივისცემის დასადასტურებლად, გიგი თედორაძის გვარის გასწრივ მორიგი ციფრი წვრილი ასოებით თავად ჩაწერა.

– კიდევ დარჩა ადგილი? – ენას ვერ აჩერებს გიგი.

– იმაიმუნე, იმაიმუნე. – რვეული დახურა მენეჯერმა და დარბაზს გახედა.

ლაშას მშრალი ლაბადის ჩაცმა ესიამოვნა, ილონას – ქურთუკის. ბონდოს ქუდიც გამოჩნდა. ღვთისნიერი, ძირძველი ბათუმელი ქალბატონის, არაქსი აბგარიანის სასეირნოდ გამოყვანილ კულტურულად აღზრდილ ძაღლს „ხვაცუნას“ ეპოვნა თოვლის გროვაში და აღმზრდელისთვის მიეტანა. მან კი დუქანში იმ პირობით დატოვა, თუ პატრონი გამოჩნდებოდა, სანაცვლოდ ფინჯან ყავასა და ერთ ნაჭერ ნამცხვარს იკისრებდა.

პირობის შესასრულებლად საჭირო თანხა ბონდომ დამოუკიდებლად და დაუნანებლად გაიღო, ქუდი თავზე ჩამოიფხატა და გიგისთან ერთად, დუქნიდან ქუჩაში გამოვიდა.

ქუჩაში ტყემლის ხესავით აყვავილებული ზამთარი იდგა და გვარიანად ციოდა...

ხასან იბრაგიმოვიჩი

აგვისტოში, ბათუმში გათოვებას უფრო დაიჯერებდა კაცი, ვიდრე ნადია საბაშვილის მიერ ლექციის გაცდენას. ვინც ქართული ენის გრამატიკის ლექტორს იცნობდა, უმალ გეტყოდათ, რომ მსგავსი რამ ფანტასტიკის სფეროსაც სცდებოდა. მაგრამ ეს სასწაული ჩვენ თვალწინ ოქტომბრის დასაწყისში მოხდა და მისი დაჯერება ყველას გაგვიჭირდა. თავდაპირველად, ჯგუფში ეს ამბავი ჯუმბერ ბერაძემ მოიტანა, მაგრამ მის სიტყვას უნდობლობით შეხვდა ჯგუფხელი ციური მიქელაძე, რომელიც ოთახის კარებთან ჩაიხერგა და გარეთ გამსვლელთა რაოდენობა ხელოვნურად შეზღუდა. ჯგუფში ყველაზე ახალგაზრდა, მაგრამ სწრაფად მზარდმა თანაკურსელმა ომარ მეგრელაძემაც ჯერაც გაუხმაურებული ფაქტი რომ დაადასტურა, მაშინ კი შეცბა გამოცდილი ჯგუფხელი, დეკანატში წავალ, სიმართლეს დავადგენ და ჩემ მოსვლამდე, ფეხი არავინ მოიცვალოსო, სუსხშეპარული ხმით გაგვაფრთხილა და დერეფანში გაუჩინარდა.

– მთლად უპატრონოდ დავრჩით, მგონია, – სიტყვა დააწია ციურის ჯუმბერამ, – ჩემი რომ არ გჯერათ, უარესი გეკუთნით...

– რატომ, მე გენდობი, – თანადგომა გამოუცხადა სიტყვაძუნწმა ვაიდე ფერცელიძემ და მე-

რხიდან წამოდგა, – დღეს პრაქტიკული გვქონდა თუ ლექცია? – იკითხა მორიდებით.

– მგონი ლექცია. – დანამდვილებით ვერ გაიხსენა ციცინო ძირკვაძემ და დასაზუსტებლად თინა ბაუჟაძეს გადახედა.

– ლექცია... – გაგვახარა თინიკომ, მერხზე დაწყობილი რვეული აიღო და სახელმძღვანელოს დაადო ზევიდან, – ორ საათს უსაქმურად რა გაძლებს?

– რა დაემართა ნეტა? – შეგვიწუხდა ვაიდე ფერცელიძე, – გუშინ კათედრაზე ვნახე და არაფერი შემინიშნავს.

– მოვა ჯგუფხელი და გაგვანათლებს. – დაგვამშვიდა ომარმა და ფანჯარასთან მივიდა, საიდანაც მაცდუნებლად მოჩანდა ახალგახსნილ კაფე „ცხრაფეხასთან“ მოფუსფუსე ხალხი.

ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის მეორე კურსი, სრული შემადგენლობით, ლექციის მოსასმენად მზად იყო, აბა, გაცდენა გაებედა ვინმეს, მისი აჯობებდა.

ციური ჯგუფხელი სახის მეტყველება შეუცვლელი დაგვიბრუნდა, ცერა თითი მოკაუჭებულ ცხვირს მიაფხანა და ამოღერღა.

– დღეს გრამატიკაში ლექცია არ ჩაგვიტარდება და ბიჭების გასაგონად ვამბობ, გულთან ისე ახლოსაც ნუ მიიტანთ, ბახუსით მკურნალობა რომ დაგჭირდეთ. – შევატყვე, თავისი ნათქვამი მოეწონა და, რაკი მოეწონა, კმაყოფილების ნიშნად, სახეზე ღიმილი ცისარტყელასავით დაეხატა.

– უფლებას გვაძლევს მისი აღმატებულება ჯგუფხელი, რომ გამოთავისუფლებული სალექციო დრო ჩვენი შეხედულებისამებრ გამოვიყენოთ? – ამოვიღე ენა და მეც გამიკვირდა, აქამდე ჩუმად როგორ გავძელი.

– მთლად ნუ გადაირევით, მესამე ლექცია ლიტმცოდნეობა გვაქვს, – შეგვახსენა ციურიმ, ლექტორის მაგიდას მიუჯდა და იქედან გადმოგვხედა, – ნანული რომანაძეს ვერ ვხედავ, სად გაქრა?

– მაგას საპატიო მიზეზი აქვს, ეპატიება.

– რა მიზეზი, ჩემთვის არაფერი უთქვამს.

– აპირებდა, მაგრამ დრო არ დარჩა.

– რა მოუცლელობა დაემართა ასეთი? – გაიკვირვა ციურიმ და თავი უნდოდ გადააქნია.

– რეზო ხინიკაძე ჩამოუვიდა ჯარიდან.

– ვინ? – ვერ გაერკვა საქმის ვითარებაში ციური, – გასაგებ ენაზე ამიხსენით... – სთხოვა გოგონებს.

– ორი წლის მონატრებული ამური ეწვია ამ დილით და მასთანაა ახლა. შეარგე ბაღნებს სიხარული. – წამოგვეშველა სასიყვარულო საქმეების ექსპერტი მანანა მიქელაძე.

– უი, მართლა... – გაიხსენა რეზო ციურიმ და მოქუფრული სახე გამოუნათდა, – როგორ ელოდა? ამ ბოლო დროს სულ მასზე მელაპარაკებოდა.

– თუ გინდა ქორწილში დაგპატიჟოს, არებიდან გადაარჩინე. – ურჩია ჯემალ ფასანიძემ და ძლივს შესამჩნევი წარბები მაღლა ასწია.

– გასაგებია... – მორჩილად ჩაილაპარაკა ციურიმ და მე ამომხედა, – ვიცი, შენ სადაც წახვალ...

– მაინც, სად? – ჩავეძიე ჯგუფხელს.

– მაგას რა დიდი მიხვედრა უნდა, სად და რედაქციაში. – აჟღურტულდა მოულოდნელად ბაბილუას ქალი.

– ფოთელი მარგალიტი ხარ, კარგი გამახსენე, ახლავე გავფრინდები... – ვთქვი და ფეხზე წამოვდექი. – ბიჭებო, ლექციის შემდეგ, რაღაც მოვიფიქროთ...

– მხოლოდ ლექციის შემდეგ. – კატეგორიული და შეუვალია ციური.

– მოსულა. – დავუდასტურე უმალ და ფეხზე წამოვდექი.

– ბანკის გასაძარცვად მიდიხარ? – ზოგადად, ჩემი უფულობის ამბავი რომ იცის, ეჭვის თვალით გადმომხედა ჯუმბერმა.

– არის ვარიანტი... – ინტრიგა გაუხსნელი დავტოვე და აუდიტორიიდან გამოვედი.

იმხანად ჟურნალისტობით ვიყავი გატაცებული, ინფორმაციებს და სტატიებს ვბეჭდავდი ადგილობრივ გაზეთში, ვთანამშრომლობდი

რეგიონულ რადიოში, თბილისში კი ალალი ბიძაშვილი ლადო ჭელიძე მუშაობდა გაზეთ „სახალხო განათლებაში“ და გზა იქაც ხსნილი მქონდა, რაც იმ დროისთვის, პატარა ამბავი სულაც არ იყო. დაბეჭდილი მასალის ნახვა ხომ ენით აღუწერელ სიხარულს მანიჭებდა. ამასთან, სიტყვები არ მყოფნის იმ განცდის გადმოსაცემად, რასაც ჰონორარის აღების დროს განვიცდიდი. ჰონორარი სტიპენდიასთან ერთად, არა მარტო დამატებითი, ლეგიტიმური შემოსავლის წყარო იყო, არამედ მოტივაციის მტკიცე საფუძველი. ჰო და მეტი რა მინდოდა, ინსტიტუტში დღე არ გავიდოდა, რაიმე ღონისძიება არ ჩატარებულიყო, და მეც დაუზარებლად ვაშუქებდი უმაღლესი სასწავლებლის სიახლეებს გაზეთების ფურცლებსა და რადიოს ეთერში. თვის ბოლოს კი, მთელი თვის გარჯის შეფასებას ფინანსებში გამოხატული ვღებულობდი. ლექტორებიც ისე მიეჩვივნენ ჩემს რედაქციებში სირბილს, რომ თუ თვალში დავაკლდებოდი, მრავალნიშნოვნად აღნიშნავდნენ, ალბათ იქაა, დიდ საქმეებს აგვარებს და ჩვენთვის დრო აღარ რჩებაო... ფაკულტეტის იმედის მომცემმა პოეტმა ირინე ბაბილუამ ლექსიც მომიძღვნა, რომელსაც დღემდე სათუთად ვინახავ...

აი ბაღანა ჩავწერეთ,
სტუდენტთა მოგრძო სიაში,
იკითხავთ, შალვა სად არის?
სადა და, რედაქციაში.

რაღა ბევრი გავაგრძელო და ინსტიტუტი რომ იტყვიან, თვალის დახამხამებაში დავტოვე. ჯერ რადიოკომიტეტში შევიარე, საინფორმაციოში რუბენ ბურჭულაძე მოვინახულე, ხელცარიელი თუ ხარ, არ შემოხვიდეო, ოთახში ცხვირი არ მქონდა შეყოფილი, რომ მომაძახა. ჯიბიდან ოთხად დაკეცილი ორი თაბახის ფურცელი ამოვიღე და მივაწოდე.

– სამი ინფორმაციაა ამჯერად. – თავის მართლებასავით გამომივიდა.

– მოიტა... – ჩემკენ არც გამოუხედავს, ხელი ისე გამომიწოდა და ფურცლები ჩამომართვა, – გაგიმართლა, ბუღალტერიაში შედი, ჰონორარი აიღე...

სულაც მაგისთვის არ ვიყავი მისული.

ბუღალტერს, ტრადიციულად, ხელფასის დღეს, შეწუხებული და გატანჯული სახე აქვს, მუდამ ხურდა ფული აკლია და წამდაუწუმ ეკარგება სათვალე. ახლაც ნაცნობი სურათი დამხვდა. ერთი კი ამომხედა და...

– არ მაცალოთ ახლა სულის მოთქმა, ყივჩაღებივით დამესიეთ... – ამოიოხრა და ისე ამომხედა. – შენ ახლა აქ რა გინდა, ლექციაზე არ უნდა იყო...

– მიცდება... – გავახარე.

– ათი წუთი მადროვე, დასათვლელი მაქვს. ბექირიშვილთან შედი, დილიდან კარგ ხასიათზეა, მგონი, ახალი წიგნი გამოსცა, თან გაჩუქებს...

ასე იოლად რომ ვერ მომიშორებს, იცის...

– ფულს ავიღებ და აუცილებლად ვინახულებ... – დავაიმედე და ადგილიდან ფეხს არ ვიცვლი. მიმიხვდა, არსად წამსვლელი რომ არ ვიყავი.

– ჰო, კაი, კაი, მოდი და ამ უწყისში, შენი გვარის გასწვრივ მომიწერე ხელი.

სანამ ხელს მოვაწერდი, ქაღალდის ფული გადათვალა და წინ დამიდო. ყველაზე სახალისო სცენა აწი იწყებოდა, მრავალჯერ ნანახი და ნაკლებად სახალისო.

– ამ ხურდებმა ხომ გამიშრო სისხლი... – აწუწუნდა.

– რამდენი მეკუთვნის?

– 85 კაპიკი.

– რა სალაპარაკო ეგაა, არ მინდა. – უგულოდ ვუთხარი და გამოვბრუნდი.

– ჩემი ხათრი თუ გაქვს, არ წახვიდე, გამიჩერდი ერთი წუთით, მოვუყრი თავს და მოგცემ. – ზურგსუკან მეწევა მოლარეს გაღიზიანებული ხმა და რატომღაც სიცილი მინდება.

იოსებს შევუხედე. მართლა კარგ ხასიათზე დამხვდა. ხელში სანახევროდ დაცლილი სამვარსკლავიანი ვარციხის ბოთლი ეჭირა და კონიაკს ყავის ფინჯანში ასხამდა, მაგიდაზე სახლში გა-

მომცხვარი ნამცხვრის ნაჭრები და რამდენიმე ცალი სანახევროდ გარჩეული მანდარინი ელაგა.

– გამოჩნდი გიაურო? – დანახვისთანავე ხალისიანად მომაძახა და ხელით მანიშნა, ჩემთან მოდიო.

აშკარად ეტყობოდა, ორი-სამი სადღეგრძელოს მიღება უკვე მოესწრო, არა და ვიცოდი, იშვიათად სვამდა, სამსახურში მით უფრო და ცოტა არ იყოს, ბახუსთან შეამხანაგებული იოსების დანახვა გამიკვირდა.

– დღეს შეიძლება, მიზეზი მაქვს. – ხმადაბლა მითხრა.

– არ ტყუის. – კვერი დაუკრა ნუგზარ ანდრიაძემ და იოსებს შევსებული ფინჯანი გამოართვა.

– არ გეწყინოს, შენთვის ჯერ ადრეა... – დასალევზე მიმითითა იოსებმა და ნამცხვრის კაი მოზრდილი ნაჭერი მომაწოდა. – მოვა დრო და ერთადაც ვიქეიფებთ. – დამაიმედა, მაგიდის უჯრიდან სქელყდიანი წიგნი გამოიღო, ზედ რაღაც წააწერა და მაჩუქა. – ერთი საათის წინ გამოვიტანე სტამბიდან, საღებავიც კი არ აქვს ჯერ კარგად შემშრალი.

რადიოდან გაზეთის რედაქციამდე სამიოდე პატარა კვარტალია გასავლელი, რასაც ზომიერი ნაბიჯებით ხუთ-შვიდ წუთამდე ვანდომებ. განწყობა თუ შესაბამისი მაქვს, მაშინ დროს საერთოდ ვერ ვგრძნობ და კი არ მივდივარ, მიფრინავ. ახლა ზუსტად ის მომენტია, ფრენა რომ შემეფერება...

რედაქციაში ბუღალტერია პირველ სართულზეა გამაგრებული. თავად მოლარე ვრცელ და ნათელ ოთახში მოწყობილ ხის ჯიხურში, გარე სამყაროდან იზოლირებული ზის, პატარა ფანჯარას როცა გამოაღებს და შემოგვცინებს, ქალი ვერ ჯობნის, ფულის მოცემის მოლოდინში იმისთანა ლამაზია, სიტყვებით გადმოცემა რომ გაგიჭირდება კაცს. ზოგჯერ რა გვარის ხარო, იკითხავს, ზოგჯერ გვცნობს და პირდაპირ ჩვენ გახარებას იწყებს, მომცრო ფორმის უწყის ხელმოსაწერად მოგვაწვდის, შემდეგ კი ფულს ჩაგვითვლის.

საღამოს ჩამოსაჯდომად, რამდენიმე ახალი წიგნის შესაძენად და მომავალ სტიპენდიამდე სულის მისატან თანხას მოვუყარე თავი. ახლა მთავარია ლიტმცოდნეობის ლექციაზე არ დავაგვიანო, კარგი ლექტორი მყავს, ეთერ ჯიჯეიშვილი, თანამედროვე და სტუდენტების გამგები. არ ღირს მისი გაბრაზება...

სტალინის ქუჩას გავუყევი და ჩემთვის ვღიღინებ. დიდი მუსიკალური მონაცემები არასდროს მქონია, მაგრამ იმის ზრდილობა ყოველთვის გამაჩნდა, საზოგადოებაში თავი არ მომეჭრა და სადაც საჭიროება მოითხოვდა, ენა გამეჩერებინა.

პიონერთა პარკის კოლონადებთან ჩავუხვიე და პედინსტიტუტისაკენ მიმავალ ტროტუარს დავუყევი ზემოთნახსენები ღიღინით. მწერალთა კავშირს ის-ის იყო გავუსწორდი, რომ მოულოდნელად მსუბუქი ავტომობილის მკვეთრი დამუხრუჭების ხმა შემომესმა და მოვიხედე. მილიციის ჟიგული ზუსტად ჩემ გვერდით გაჩერდა. იქიდან სამი სამართალდამცავი ელვის სისწრაფით გადმოხტა და წინ გადამიდგა.

– ახალგაზრდავ, სად მიდიხართ? – მიღრიალა მილიციის ფორმაში გამოწყობილმა საოცრად შეუხედავმა, მელოტმა კაცმა და თვალები დამიბრიალა.

– ინსტიტუტში. – მოვახერხე და რაც შეიძლებოდა, მშვიდად ვუპასუხე.

– სტუდენტი ხარ?

– დიახ.

– დასწრებულზე სწავლობ თუ დაუსწრებელზე?

– დღის დასწრებულზე.

– მერე, ლექციებს აცდენ ახლა? – ენერგიამომატებული მიტევს მელოტი.

– არ ვაცდენ, მიცდება...

– გიცდება, ხომ? გავარკვევთ მაგას ჩვენ... – დამემუქრა მელოტი და გვერდით მდგომთ გადახედა.

– ტელმანზე, განყოფილებაში წავიყვანოთ, ხასან იბრაგიმოვიჩ? – იკითხეს იმათ...

– აბა, რანდა ვქნათ?! მანქანაში სასწრაფოდ! – გასცა ბრძანება.

– რა დავაშავე, არ მეტყვით? – ვიკითხე მორიდებით.

– მაგას, რომ მიგიყვანთ ადგილზე, იქ გაიგებ... – მრავალნიშნოვნად წამოთქვა ხასან იბრაგიმოვიჩმა და გამაფრთხილა. – გაქცევა არც იფიქრო, ნორმატივები სამი დღის წინ ჩავაბარე, მაგარ ფორმაში ვარ...

– გავიქცე რა, ფიზკულტურის ლექციაზე ვარ? – გახუმრება ვცადე, მაგრამ ამაოდ.

რომ იტყვიან, ნებით ჩავუჯექი მანქანაში და წავყევი განყოფილებაში. არც იმათ მოუკლავთ თავი ძალადობით. ეს იყო, მიბღვერდნენ მხოლოდ...

ქალაქის მილიციის განყოფილების მეორე სართულზე ავედით და კარგად მახსოვს, მერვე ნომერ ოთახში შევედით. იქ ორი კაცი და ერთი ქალი დაგვხვდა. ორივე კაცს მილიციელის ფორმა ეცვა და მხრებს რამდენიმე ვარსკლავიც უმშვენებდა. ერთი კაპიტანი იყო, მეორე უფროსი ლეინტენანტი. ქალმა მალე დაგვტოვა.

– ხომ მშვიდობა გვაქვს, ხასან იბრაგიმოვიჩ? – ხმა ამოიღო ოთახში მჯდომთაგან ერთმა და მე გადმომხედა.

– რეიდის დროს დავაკავეთ ამხანაგო კაპიტანო, პიონერთა პარკთან საეჭვოდ დაყოყიალობდა, არანდარა ლექციაზე უნდა მჯდარიყო... ჩვენ რომ არა, ვინ იცის, რას ჩაიდენდა, ან გულში რა განზრახვები აქვს...

კაპიტანმა ამათვალიერ-ჩამათვალიერა და თვალი თვალში გამისწორა.

– სტუდენტი ხარ?

არაფერი მითქვამს, თავი დავუქნიე თანხმობის ნიშნად.

– რატომ არ ხარ ლექციაზე?

– გვიცდება. ლექტორი გახდა შეუძლოდ, წნევამ აუწია და რამდენიმე დღით გაინთავისუფლა თავი.

– ამათ ხელში წნევა აუწევს კაცს, დიაბეტი დაემართება ან პენსიაში გასვლამდე გაფშიკავს ფეხებს, აბა რა იქნება? – თავი შეგვახსენა ხასან იბრაგიმოვიჩმა.

– პარკის წინ როგორ აღმოჩნდი? – დაინტერედა კაპიტანი.

– რედაქციაში ვიყავი, ჰონორარი ავიღე, იქედან ინსტიტუტში მივდიოდი.

– საინტერესოა... – წყნარად ყოფნა მოწყინდა უფროს ლეიტენენტს და ამოიღო ხმა. – თანამშრომლობ მასმედიასთან?...

– დიახ, ჯერ შტატგარეშე კორესპოდენდი ვარ.

– საინტერესოა. ხომ ვერ გვანახებ რომელიმე შენს პუბლიკაციას? – წამოდგა და გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ მთელი თვის შეკვრა დამიდო მაგიდაზე.

ხასიათზე მოსულმა პირველსავე ნომერზე მივუთითე ჩემი ორი ინფორმაცია, ერთი პირველ, მეორე კი მესამე გვერზე დაბეჭდილი. მომდევნოში სამი იყო, ერთი ფსევდონიმით. ხუთ ნომერში თორმეტამდე კორესპოდენცია ვანახე...

– წინა თვეშიც მაქვს დაბეჭდილი, ახლავე მოგიძებნით...

– კარგი, გეყოფა. – დაკმაყოფილდნენ ფორმიანები და ახლა ხასან იბრაგიმოვიჩს გახედეს.

– რას ერჩოდი ამ ახალგაზრდას?

ნირწამხდარმა შემელოტებულ თავზე გადაისვა ხელი და ამოილუღლუღა:

– საეჭვოდ იქცეოდა, თან...

– რა თან?

– შეხედეთ, როგორი სუსტია, ნარკოლოგიურ შემოწმებზე გავაგზავნოთ და პასუხს დაველოდოთ.

უფროსმა ლეიტენანტმა თაროდან საქაღალდე გადმოიღო, გახსნა და ფეხზე დამდგარი ფურცვლას შეუდგა, კაპიტანმა ღრმად ამოიხვნეშა, მაგიდიდან გრაფინი აიღო, ჭიქაში წყალი დაისხა და სულმოუთქმელად დაცალა.

– ხასან, პენსიამდე რამდენი გაკლია? – იკითხა პაუზის შემდეგ.

– რა დროის ჩემი პენსიაა, უფროსო...

– ხომ გინდა მოესწრო?

– თქვენი იმედი მაქვს.

კაპიტანმა ახლა მე ამომხედა.

– ბოლო ლექცია როდის გეწყება?

მე მაჯის საათს დავხედე.

– ათ წუთში.

– მიუსწრებს უფროსო, გავუშვათ?

– არაა... – ხმას აუწია კაპიტანმა, – საიდანაც აიყვანეთ, ზუსტად იმ ადგილას დატოვეთ. რომ დაბრუნდებით, სამივენი ჩემთან შემოდით კაბინეტში, სალაპარაკო მაქვს...

– არის უფროსო. – გაიჯგიმა სამივე.

ოთახიდან გამოსვლამდე, ორივე ფორმიანი ფეხზე წამოდგა და ისე გამომემშვიდობნენ. კაპიტანმა კარამდე მიმაცილა და მითხრა:

– იმედია, ჩემს ყოჩაღ სერჟანტზე ცუდს არაფერს დაწერთ...

– როგორ გეკადრებათ, მაგი არც მიფიქრია. – ვუთხარი დაუფიქრებლად, მან კი უნდოდ შემომხედა, გამომემშვიდობა და კარები მიიხურა, მე კი ნაცნობ ოპერატიულ ჯგუთან პირისპირ დამტოვა.

– აბა მარდად წამომყევი კიბეებისაკენ... – იხტიბარს არ იტეხს ხასან იბრაგიმოვიჩი და თავის წრეში უფროსობს.

მეორე სართულიდან დავეშვით. ზუსტად, კიბის შუაგულში შემაჩერა, ზევით ამახედა და საპატიო დაფა დამანახა.

ვერაფერს მივხდი.

– რომ იცოდე, ესა ვარ მე. – რიხით მითხრა და ერთ-ერთ სურათზე თითით მიმანიშნა. მე ახლოს მივედი საპატიო დაფასთან, რათა კარგად გამერჩია სურათიც და წარწერაც.

Бежанидзе Х. И. – გამოკვეთილი რუსული ასოებით ეწერა სურათს ქვევით... თავი ძლივს შევიკავე, არ გამცინებოდა.

– მართლა ესა ხართ?

– მააშ... – მითხრა თავმოწონებით, – მაფასებენ სამსახურში...

– რას ამბობთ? – გამიხარდა.

– აბა შენ რა გეგონა, ლაწირაკო?

მე არაფერი მითქვამს, უხმოდ გავემართეთ პირველი სართულისკენ.

რამდენიმე წუთში, ზუსტად მწერალთა კავშირის შენობასთან ჩამომსვეს, იქიდან კი აჩქარებული ნაბიჯებით გავექანე პედინსტიტუტისაკენ.



ედიპ მორანელი

მუსიკალური ხომალდი ავრორა

სანამ სულის წმინდა კვართი პწკარ-პწკარ ამოვლამბე,
მე ვარ ჩემი ბედისწერის მერამლ-მესტროლაბე
და ლამბდალამბ დაჭიმული ამოვქარგე ჩემი
სახელ-გვარი ოქრომკედის ასოებით მჩენი!
და ლანდდალანდ სანამ ისევ ვგავარ ჯეილ ჯომარდს,
მივიმღერი და მხერვალი მართავს შტორმში ხომალდს,
დასწვდა ქიმი სხვა მწვერვალის, ხომლს და ახალ ფორმას
ვაძლევ ლექსს და ამ ეპოქის გრდემლზე, როგორც ფოლადს
ვჭედავ და ცხენქარიშხლებით სანამ ამ გზებს ვფოლავ,
ვქმნი სინათლის სიჩქარიდან ულტრაბგერულ ქორალს
და უპირველეს ყოვლისა, მსწრაფლად თქვენკენ ვჰქროლავ!..
სანამ ვლიან დღეს თვითრჯულთა ჯარნი მეხოტბეთა,
ამ ზღვის გულზე ლურჯად ჰყვავის გვამნი მეხოპეთა,
ღამეს ვფერავ საფირისფრად, – დარად მღვრიე მელნის
და ქარები ფსალმუნებენ, როგორც მეღვიმელნი...
მე რისიც მწამს ოდითგანვე, საუკუნოდ მელმის
და ასე ვჭვრეტ პწკარ-პწკარ-ჩენილ, მე მის ბედშავ მერმისს!..
სანამ წვიმა ჭანჭახ-ჭანჭახ, ჭერეხ-ჭერეხ ბორგავს,
სანამ თოვლი ჭანჭრობ-ჭანჭრობ, ჭოროხ-ჭოროხ გოგავს,
გადაირბენს ფეხშიშველა ბავშვი ჟამთაბოგას
და შემოსავს საღვთო მანგით სავსე მთვარის ორგანს!
სანამ გვრინვა-დაშხამული, ცეცხლთა სროლა-სროლით
მოვჰქრი გრგვინვით, ქარიშხლების ცხენთა სრბოლა-სრბოლით
გიწვდით სიტყვაკბოდე ფიქრთა, ფიქრთა, – ფიქალმრეთა
პოეზიის ნეტარ სასმისს, – მთვარეს, ვით ქალღმერთთა
ფაფუკტერფთა ჩანაბიჯებ ჩანჩქერთ, – მირონცრემლთა,
ეს მე ვმღერი მეფურძალით, – ჰანგით მიღმიერთა!
ეჰ, წამითაც რად არ წყდება წყევლა ჩემთა დღეთა?!
და ვით გილიოტინაზე, შენს კალთაში ვდებ თავს!
ნეტავ, როცა წავალ შენგან, ყურს დაუგდებ ვის ხმას?!

მე ვინც მრისხავს მისხალ-მისხალ, შენ ხომ სწორედ ის ხარ!
ტევრდატევრ და ისხარ-ისხარ, ლექსად გამომსისხლავს
მარტოობის სატევარი, ყოველ დილა სისხამს!
ასე დაგხრავს უჩემობა, სანამ დასცემ ბუნს გონს!
რატომ გინდა ტანჯვის ცეცხლმა სული დამიბუგოს?!
როცა მუჭის სიმსხო ცრემლებს მაყრი გულზე ურგოს,
როგორც მიწას მესაფლავე მკვდარი შვილის კუბოს.
როცა ჩემს ხსნას წყევლა-კრულვის შარავანდი უმკობს
შორით ათანაჟღერებულ სიჩაუქეს უქრობს.
ვწერ. ცისკროვან ვარსკვლავებით ღამე იფიჭება...
მაგრამ სული სამარეში ზრება-იფიჩხება.
მინდა, გული საკუთარი ხელით დავილახვრო!
შენ განმკურნე ამ სნებისგან დროო, – მაიმახო!
შეისმინე ეს ვედრება, ღმერთო, ძალიან გთხოვ!
მინდა, როგორც მკვდარი ჩიტი, ხისქვეშ დავიმარხო!
ჩემი სული შეესიმა ჩემთა ჰანგთა მსმენელთ,
მინორ-მინორ, მაჟორ-მაჟორ, ავდროჟამთამსრემელთ,
უცხენმალეს ცხენქარიშხლებს თქვენკენ მოვაჭენებ
და მერმისის სასახლეთა ვამსხვრევ კარიბჭეებს!..
ჰო, მე ოდით, ზესთამჩენთა ზესთასრანი მოვსრე!
და ამიტომ ამ ეპოქის კვართი განვიმოსე!
სხვა ამ გულის ტაძრის იქით, ნეტავ, სად ილოცებს?!
და ჩემ ირგვლივ ვხედავ მხოლოდ ცბიერ სატვიროსებს!
მე მათ მარად ვდევნი ჩემგან თვალებალმოსიერთ,
ჩემთა დახსნილ ვენათაგან ხარბად სისხლმოსმიერთ,
ფურცელ-ფურცელ, მესმის ჟღერა მე მერმისის ხმების!
და პწკარებად კალმის მოსმა ჰგავს შერხევას ხემის...
სანამ მფრთხალი შვლის გულივით მფეთქავ ფიფქთამომფენს, –
ნაკუწ-ნაკუწ მწვალებელნი ჩემს სულს განიყოფენ!
ვხვდები, მცდიან, სიბნელეში მდგომს და უბრადმყოფელს,
მაგრამ მდგომნი სინათლეში ჰპოვენ მეფის სწორფერს?!
მალე ცრუნი დაადგამენ გვირგვინს მეფისტოფელს!
მე კი ვუმზერ რაც ჯერ არვის არ უხილავს თვალით,
იმ სივრცეებს სარკის მიღმურს და ვარსკვლავთა თვალვით
მოხილებულ სამაროვნებს ვნესტრავ ბატის ფრთითა
და დაჩრჩილულ საჩრდილობელს ვსუდრავ ბატისტითა.
ამ გზას ტყედატყე მიჰკვალავს ქართა ტყება-ტყველვით
და ეკმევა კირქვის მკერდზე ნისლის საკმეველი.
ღრანტე-ღრანტე, დარან-დარან, თავსა თვისა წყევლის
ის ვინც მღერის ამ სიმღერას, მოღერებით ყელის
და მოისმის კვდომის ჰანგი, – სევდამისარქმელი...
მზე, ვით ალურ ქერუბიმთა ფრთათაელვარება, –
გზაუნათებლივ ფიქრებთა ზესთამლევანება,

როს ზეცაში აკაშკაშებს უნებლიე კრთოლვით,
მაშინ მკვდრეთით ვაღდგენ ღამეს, სალი ცრემლით ქოლვილს.
სანამ მკითხავთ და მოროშავთ ცალყბად და რიოშად,
რატომ ვწუხვარ და სიცოცხლე რატომ მიღირს გროშად,
პეპლებივით ფარფატებენ შროშან, შროშან, შროშან
ეს დღეები და მე თქვენგან შორს ვარ, შორს ვარ, შორს ვარ!..
ცხენქარიშხლებგამოვლილო, იქეც ალბათ ტორსად,
ეწირები, ამადეუს, ამ შტორმს ალბატროსად,
მე ვმღერივარ და თქვენ ჩემს ხმას თვლით ამავე დროსა,
ვით არარას, რადგან თვით ვარ – ვია დოლოროსა!

მუსიკალური ფრინველი

სანამ დროს ჩავაჩუქურთმებ სულის ჰანგს, ფრიად ნინველს
მელმის მე მისი მერმისი მელნისფერფრთიან ფრინველს,
აქ სადაც ვდგავარ, არასდროს დაუდგამს ფეხი მოკვდავს!
და ამიტომაც ყოველი მეორე ხელს მიბორკავს!
სულ სხვანაირად მბზინვარებს მისი მთვარე და მისი მზე,
ბევრჯერ ჩათვლიმე სიკვდილო, ერთხელაც ვერ დამისიზმრე!
და ისე ნაზად ეხება შემოდგომის ცას ჭადრის რტო,
რომ გეგონება ვან გოგი ფუნჯს ლურჯ აკრილში აწებდეს,
ჩამომიღამა თვალები დღედაჩადრულმა ცრემლის ჭდომ,
თითქოს ამ ცრელისოდენა საფლავში მკვდარ ჩიტს ვაწვენდე!
ასე ვმღერივარ, ასე მწამს, მე ჩემი მუდმივმყოფობის,
მურყნის ქვეშ, მწვანე ბალახი დავცვარე სისხლის კოკობის
ალილუიით, და მინდა, რომ გავყვე შორით აშარ ქარს,
სანამ ვარსკვლავნი, სამოთხის სკებში თაფლივით ჩაშაქრდა.

მუსიკალური მარტოობის სამსჯვლები

სანამ ცოცხლების არ ვითვლები კვლავ სათვალავში,
მარადისობის უზაკველო მოდი ნათებავ
და ჩამეღვარე ლურჯ ჯვარცმებად ნაშანთ თვალებში!
დაველოდები შორ ღამეებს ვარსკვლავ-დაგეშილს,
სანამ ამ დროის პოეზია მოინათლება,
ჩემი ლექსების მუსიკალურ იორდანეში...
ასეთი არის ფიქრებმისჯილ მონათა ნება,
ამონათდება სანამ სავსე მთვარეში სახე,
სახე რომელიც მე არაფრით არ მემსგავსება, –
ჩამოთოვს ნაზად მაგიური ბგერების სახმილს

თუ, რა თქმა უნდა, მიღმიეთურ დღეთა აღვსებად
იპოვის დრო ამ ბედკრულობის ჩასაჭიდ სამხილს!
სანამ მოვუვლენ ჩემი ცრემლით გადამთბარ წვიმებს,
მარად ჩემდამი გამოვლენილ თქვენს გულცივობას,
მანამდე ვიფრენ და ფრთებს არვის გავაბაწვრინებ,
რომ შემიხორცდეს უცილობლად სულის ჭრილობა!
სანამ ჩხრიალი გიხშობთ სმენას, – ვერცხლის დინართა
და უსაშველო სამსჭვლისცემად გასისხლმდინარდა!..
სანამ პალმის რტოს მიფენთ ფერხთით გაჩვილფოთლებულს, –
ყველა მეორე სარკასტული პირმოთნეობით,
რად დამსისინებთ თავზე როგორც მძლოკვ-პითონები, –
უზეშთაესი ტანჯვებისგან აბულბულებულს?!
სანამ წყვდიადი, მზის სხივებით განიკურნება,
ღრუბლის ქულები გადმომწყემსეს ქართაქურნებმა...
და სანამ უცებ დავისიზმრებ, ვით ფირუზის ცებს, –
უვრცეს ხილვების თეთრ ხალენში მოსილ აჩრდილებს,
მეტანიობით ნამეხარი მუხლები ფურცლებს
წამოსტკივდათ და გადაბჟირდნენ როგორც ჩვილები...
და მარტოობის მძიმე მარხვით ნამარხულევი
მე მოვალ თქვენთან უკვდავების გამოჩინებით
და ჟამთასრბოლას მარმარილოდ დავმორჩილდები!

მუსიკალური მთვარის ამოსვლა

ახლა ისევ დაღამდა და ამომავალ მთვარეს ვხვდები,
ჩემთან ისე ახლოს არის თითქოს ხელით შევეხები, –
სისხლში გასხივოსნებული მთიდან რომ ამომდინარებს...
ალბათ ასე აჰყურებდა ჯვარცმულ ქრისტეს, მარიამი!
მაგრამ სულში ქალწულტანა ქარი ქრის დღეს ურიცხველი,
თითქოს ურემში შემაბეს არაბული ჯიშის ცხენი,
ამ უფსკრულში არვინ არის ჩემთვის თოკის ჩამომწვდომი,
რადგან მე თვალმიუწვდომელ მარტოობას ვემარტივლე, –
ოდითგანვე ხერსონეში, ვით მარტინ I შიმშილს
და უშიშრად ვუწვდი კისერს, ყალბ პოეტთა შურის შიშთვილს!
– „ნიჭი არ დაგეკარგება, ის წყვდიადშიც გზას გაგიკვლევს
შვილო!“ ყურში ჩამჩურჩულებს დედა, – კუბოდაჩოქილი,
ის ხომ არროს იფიქრებდა, დაბადებდა ოდეს თვითმკვლელს,
სანამ ტანჯვებდაჯოგებულ გულს ბოლოჯერ დავმორჩილდი! –
ასე ჟღერს ეს განცდა ისევ, – ნოტებარამიწიერი,
მე სიცივე რას დამაკლებს?! – პალატების თოვლის სტუმარს!
არ ვჩერდები არასოდეს, – მიწყივ ვწერ და მიწყივ ვმღერი,
როცა ვფურცლავ მოცარტივით, წყეულ დღეთა პარტიტურას!

სანამ დრო ჩემს სამარეზე ბალახივით ამოწვერავს
სიტყვას „ლექსებგვირგვინოსანს“ – მარადისისფერი ქსინვით...
მანამდე აქ დავასრულებ ამ ბოლო პწკარების წერას,
სანამ უმაღლეს მწვერვალებს გადავუფრენ ფენიქსივით!..

მუსიკალური ასაბია

ის, სიბნელეში, მოულოდნელად, მოლანდებებად გაუჩინარდა.
თითქოს თვალები გაუჩირაღდნა ფერდნაშუბარი ცრემლის სახადმა,
მწუხარე ლექსის შემოდგომაში ის მხოლოდ ყვითელ ჯვარცმებს სახავდა
და ვით ხომლებზე, ფეხდაუდგმელად დამჭკნარ ფოთლებზე უყვარდა რბენა
ცელქი ბავშვივით და დასაფრენად შხუილ-ჩქრიალით გადამდინარე
ფიქრების ფარდაგს უფენდა მთვარე მტკივან ტერფებთან, – ბაიისხმიანს.
სისხლის წვეთებით ცა აამსხვრია, რომ ელაჟვარდათ გულში სისხამებს,
სანამ სუნამოს ქალწულებივით, ნუშები კვირტებს არ დაისხამენ, –
უნდა ელოდოს მარადისობას, რომ დატკბეს მისი ამო სურნელით,
ეს იყო მისი ბოლო სიტყვა და, ეს იყო მისი ბოლო სურვილი,
მიწამ იები ამოამთქნარა, ვით მომაკვდავმა ფშაველამ სული...
და სანამ თოვლი ყბას აუკრავდეს, – მოაოქროონ ანდაც მოვერცხლონ,
და ასაბიად მოსული ღამე, – სიკვდილია თუ სიცოცხლე ვერ სცნობს!
დრო მიჰქრის... ისე სწრაფად მიჰქრის რომ თითქოს მგლის მუხლი აბიათ ქარებს!
მან დიდი ხანი იმომლოდინა და მზის ამოსვლას შეხვდა სხვა მხარეს.

მუსიკალური უკვდავების მზე

ტყვიადაკრული შუბლივით წმინდა ენით ვწერ ლექსებს, –
იდუმლადმყოფი.
რადგან უტყვი ვარ, – კუბოდალურსმულ დღეების მსგავსად და ესეც მყოფნის,
რომ დაველოდო ღმერთივით ჯვარცმას! სანამ დროს თავად უკვდავუყვია, –
გოლგოთის მთისკენ გადაწვეული ამ შთაგონების ლურჯი წირვები,
რადგან ღვარებად დამდის დახსნილი მაჯიდან მწუთხე სისხლის წვიმები...
როს წამწამებზე მკვდარი ჩიტების სიცივე მაწევს როგორც საწაფი, –
ვარწევ სწრაფ-სწრაფად და თითქოს მიწა თეთრი შროშნებით გადასხივოსნდა
ჩემს ფერხთით, როგორც მომავლის ექო, – ზვავმოჭიხვინე ევერესტების,
და სანამ შორით, მწუხრის ეტლებით პოეზიაში ის გადაცხოვრდა, –
მე სიტყვასიტყვით ჩამესმის ყურში: „მეფე იყო და მეფედვე ცხონდა!..“
ააგალობა და აადინა ვარსკვლავიერულ ალურქვიშრობად, –
დრომ, ჩემს ბნელ ფიქრებს, ხმაუშიშრობით, გაფრთამარდებულ გრძნობათა ნდომა.
სიცოცხლეს რომ არ დავლაჩრებოდი, ეს გზა გარდავქმენ მარაბდის ომად!
და ამიტომაც დაკრულწყევლებულ სულში მეღვრება მარადისობა!
და სანამ ჩემი სამარის გული დაიფარება ხშირი ბალახით, –

მიასვენებენ შავი ღრუბლები, ქარების გლოვით, მთვარის ბალდახინს, –
ჩემი ცრემლებით ჩამომძიმებულს და სიკვდილს მხრები ჩამოეშანთა,
რადგან ჩაქუფრულ თვალებში უმალ მზე ჩამენათა უკვდავსაყოფად, –
ღრმადჩაფიქრებულ ძილით ჩათვლემილს, და მარტოობის ვაღებ სარკოფაგს!..

მუსიკალური აღსარება

ვის დავაბრალო საუკუნო ჩემი ობლობა?!
ვერ დავანაყრე გულმწუხარე თვალთაორბობა!
ფიქრებს მიჭვარტლავს როს ქალწულთა ჟაბოთა ბოლვა.
როგორც ვან გოგის მზესუმზირებს დროჟამთა სრბოლა,
ეს ღამეც გაშლის ვარსკვლავკვირტებს და ქარვა-ყვითელს
ჩაგიფენს თმაში, – ეს მუსიკა არ გაგიკვირდეს...
თვით აპოლონიც განუწყვეტლად ჩემს ფერხთით კირთებს!
მსურს მუდამ მჭირდე უკურნავი სენივით, ოდეს
დასდის მირონი ღვართქაფებად მაღალ კბოდეებს,
თითქოს ათასი ღვთისმშობელი ერთხმად გოდებდეს!..
და მზე დასვენდა ზღვაში, როგორც ლურჯ ჯვარზე ქრისტე...
და ქარი ჰქრის დღეს ისე ძლიერ, თითქოს არ მოხვალ
ჩემთან არასდროს, ჩამოღვენთილ სულის საოხად,
როს ტიტანურად, ბგერა-ბგერა, ის კვლავ იშვება
ვინც ამ ეპოქის მიჯნებიდან ძალზედ შორს არის!
ფოთოლცვენათა პარტიტურით, შავ კლავიშებად
ამოშავდება სამარიდან თეთრი შროშანი!..
და სანამ ვმწყემსავ ამ მუსიკას დღეს აღალებად,
გთხოვ, ჩაიბარე, ეს ფურცელი, ჩემს აღსარებად!

მუსიკალური გათერთმეტება

ასე ვმარტვილობ, როს ქარი ქარს მიეკვრის და გვრინს გვრინი...
ლექსია ჩემი ბეთლემი, ჯვარცმა და ეკლის გვირგვინი!
ფენიქსთვალება მზის ფერფლვის დროს ოქრომკედთა ავრდომა,
თაბორი, ფერისცვალება, გოლგოთა, მკვდრეთით აღდგომა!
პწკართა ფლაგრუმთა ცემაში, ის რაც სულ მარდად იშობა,
ლექსია ჩემი წარსული, აწმყო და მარადისობა!
ასეა, როცა მე ვიწყენ, ქრისტეზე მეტად ვიობლებ,
როცა ცრემლების მუხლმოყრით, წამწამნი მეტანიობენ!
მაგონებს იერუსალიმს, რომ მელურსება პალმის რტოდ
ფეხქვეშ და მთვარის ვერსალი ღამის ცას მიელურსმება,
სანამ ოქტომბრის 11 რიცხვის დაწყევლილ პალინდრომს
სიმბოლოდ ვაქცევ, ბეღურის ფრთებივით რად მილუშდება?!

და მარტოობის ნახმლევი სულზე რომ მომიშუშდება,
მაშინ დავტენი ნაგანში ამ ტყვიას ევქარისტიად!
გულის ჯიბით რომ ვინახავ; დაჟამულს, ქარებხისტიანს,
გეთსიმანიის ლაჟვარდებს, ზეთისხილებს და ისრიმს
წავღებ შორით სანახებს და თაფლის სურნელს ნისლის.

მუსიკალური ლურჯი ჯვარცმის პანტომიმა

მკვდარი ვარ თუ ცოცხალი ვარ ვეკითხები სევდის ღმერთებს,
მარადისში ქროლვა-ქროლვით სული სულ ჩამოვიღვენთე.
და დიდებადადაფნული მარტოობით არტოებულს
ულაჟვარდეს მეცხრე ცამდის ფიქრები რად არ მტოვებენ?!
ვერ გავიგე, ვერ მივუხვდი ბედის ვარსკვლავს კვლავაც დღემდე!
მინდა როგორც არასოდეს ისე ძლიერ აგიმღერდეთ!
ასე ვხსნიდი ღამეების ზერთულ განტოლებებს ზეპირ-
მეტყველებით და იბანდა ჩემი სისხლის წვიმით მზე პირს!
ასე არსად დაზამთრდება! მე თაზანა ვიყავ ფერფლის
და ვიშლიდი ქარიშხლების ცისფერ ლოგინს ფრთაზე პეპლის.
ფურცელ-ფურცელ, სამსჭვალ-სამსჭვალ გაილია გზები ვრცელი
და თოვლით გათოშილ ტერფებს მთვარის მითბობს თბილი ცრემლი.
რადგან სულ სხვა ტკივილების და ტანჯვების ბატონი ვარ!
და ჰგავს ჩემი პოეზია, ლურჯი ჯვარცმის პანტომიმას!

მუსიკალური მენორა

ვაჩუქურთმებ, ვით ქვითხურო მუსიკალურ მენორას!
დაუღლელად ვწერ, ვკითხულობ... და არ ვიცი მე ნორმა,
მინორ-მინორ, მაჟორ-მაჟორ, აკორდ-აკორდ ვკალმასობ,
სანამ მერმისს მივრონინობ, მოვაკიდებ კალამს ობს?!
არა! რადგან ეს მე ვგალობ, ვით ბულბული ნაკრძალის,
როგორ მაცდურად მომწიფდა, მოთმენის არ მაქვს ძალი,
ეგ ჩამტკბარი ბაგეები შაბიამნით ნაწამლი,
ჩაიშალა მთამ ჩანჩქერი, ვით ქალწულმა ნაწნავი
და პირქარის სავარცხელით ჩამოივარცხნა კრძალვით.
სანამ მცემენ ბასრ დეზებით, ვიბრძვი და არ ვზავდები!
სანამ ვუმზერ შორ მწვერვალებს, ფიქრთა ზვავად ვზავთდები!..
სანამ ვყვავი ედემურად, ვერ დამსუდრავთ შამბებით,
სანამ ვზივარ და ვმარტოობ... ჰქრის სიკვდილი შავ ფრთებით!
სანამ ვიწვი ჯოჯოხეთში, ხევსურულად შავთვრები!..
სანამ ფურცლებს ვამჩნევ პნკარებს შირაზული შანთებით,
ვგრძნობ დაყარა მტანჯველ ღამემ ქეთევანურ ქვითქვითით,
მაგ თვალების ლურჯ ხავერდზე ვარსკვლავების ქვირითი...

მოდი, სანამ ვიფერფლები ნელ-ნელა და აზიზად,
მოდი, სანამ დაღლილ მხრებმა სიყვარული აზიდა
იქ ლექსის ჯვრად და უმალვე შემზარავად გაბზინდა,
სანამ სისხლი მაჯებიდან სულ წვეთ-წვეთად ამოჰქრა,
მოდი, სანამ პოეზია მარცვალ-მარცვალ გაბჟირდა!
მოდი, სანამ სულმა ფეხი სამარის ქვას წამოჰკრა
და მუხლებატყავებული ბავშვივით გადაბჟირდა!

მუსიკალური გავალაკი

სანამ ვუძლებ მოღერებულ შურის წნელებს მტარვალთა,
ვწალდავ პწკარ-პწკარ, ვით გავალაკს, მაღალ ფიქრთათალართა
ბგერამ ბგერა გადალანდა და ნოტი-ნოტ დანანდა,
სანამ მთვარე დავანდა და ვარსკვლავებს მანანადა
ჩამობარდნის თვალდათვალ და ტოტი-ტოტ გადანათდა
სანამ მთა-მთა და თანდათან მწველ ცრემლთაგან ნანამთა,
როს ვმარტვილობ ტკივილებთან, ფურცლებთან და კალამთან,
სწორედ მაშინ ვგრძნობ, რომ ღამემ დღენი მომიკალანდა!
მაგრამ ახლა უშენობამ შემკრთალ პეშვთა ბუდეში,
ვით ახლადგამოჩეკილმა ბარტყმა მოიკალათა,
რადგან ეს გზა ბინდბუნდების დაიბაგა ბურდებში
და კოშმარით თვალ-წამწამნი წვეთ-წვეთ მომიკალვა და
რადგან ვერ ვთმობ სიმარტოვეს, ვით ბაგეებბუდეშურ
სატრფოს, მან ხომ ყორნის ბრჭყალით გული მომიკვარა და
წამომინთო ჯოჯოხეთის ცეცხლის ზღვა უნუგეშოდ
და დამტოვა უმწიფარი ნახმლევივით უგერშოდ!
სანამ ველი ჩემს ანგელოსს და მის ფრთებს უყვითელესს,
სანამ ვავსებ კოკა-კოკად ამ დამშრალ ზღვისკიდელებს,
სანამ მსხლავენ როკა-როკად და როკავენ როკაპნი,
ჩემი სულის ბნელ ხრამებში, ხარხარით და ორკაპნით!
სანამ ეს დრო იყვავილებს მეფურ სისხლით დარწყული,
სანამ დედა დამიტირებს, მოთქმით მარადქალწულის,
კუბოს თავთან შევრდომილი, ხმაში ცრემლებჩაწნული,
მე ავუმზერ წამით ზეცას, ვითარც ქრისტე ჯვარცმული!
სანამ ლექსად ვიქარიშხლებ მერმისისკენ დაძრული,
სანამ მწუხრის მზე ქვავდება არილ-სხივებ-დაზრული,
სანამ შორით შრიალებენ ტევრნი ქარებ-დართული,
სანამ კრძალვით დამეყრება გულზე მიწა ქართული;
სანამ გადაცისკროვნდება ლანდშაფტები მეცხრე ცის,
სანამ შავი მარგალიტის თმაში შეგივერცხლდები,
გეძებ, ბრმად, ვით ჩვილი, დედის ძუძუს, ხელის ცეცებით,
ვით პირველი მარტის რიჟრაჟს მოჟღურტულე მერცხლები.

ნანა ანთაძე

ჩინოვნიკის სიზმარი

რვა იანვარს, რვას რომ ოცი წუთი აკლდა, ტელეფონზე დაყენებულმა მაღვიძარამ დარეკა და ძილი დაუფრთხო ანა მშვიდობაძეს.

სასწრაფოდ ადგა, თავი მოიწესრიგა, ყავა დალია. გასვლისას სარკესთან კიდევ ერთხელ გადაამოწმა თავი...

არც მაღალი, არც დაბალი; არც გამხდარი, არც მსუქანი; არც ახალგაზრდა, არც მოხუცი; არც პომპეზური, არც ფეთხუმი... მოკლედ დარწმუნდა რა, აკმაყოფილებდა ქალაქ ნიუ-პონტოს პრეფექტურის პერსონალთა ადაპტაციისა და კოორდინაციის დეპარტამენტის მესამეხარისხოვანი ჩინოვნიკისთვის დადგენილ სტანდარტებს, კარი გაიხურა და დამიანე მახვილკურთხეულის ქუჩას დაუყვა ფეხით.

ფეხით სიარული დილის რუტინის აუცილებელი ნაწილია. თანაც სამსახურიც არაა შორს. 15 წუთში ნიუ-პონტოს პრეფექტურის შენობასთან იქნება. სხვათა შორის, ძალიან ლამაზი შენობაა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაშია შეტანილი.

მაგრამ, ეს რა ჯანდაბა ხდება?!

შენობა, რომელიც დამიანე მახვილკურთხეულის ქ. №33-ში დახვდა, საერთოდ არ ჰგავს პრეფექტურისას. მეტიც, შენობასაც არ ჰგავს... ერთი გიგანტური წიგნია, ყდა მოხატულ-მოჩუქურთმებული.

სანამ ანა მშვიდობაძე გაოგნებული იდგა, ნუცა გრძელიშვილიც გამოჩნდა.

– ღმერთოოო, რა ორიგინალურია, – აღფრთოვანებულმა შესძახა და სასწრაფოდ ფოტო გადაუღო ამ უცნაურობას.

– რა ხდება, იცი რამე? – იკითხა ანამ.

– ალბათ, წიგნის ფესტივალს ვმასპინძლობთ.

რაღაც ვერ გაიხსენა ანამ ნიუ-პონტოს პრეფექტურა წიგნის ფესტივალის მასპინძლობას რომ აპირებდა, მაგრამ რაკი უფრო გონივრული ვერაფერი მოიფიქრა, დაეთანხმა:

– ჰო, ალბათ.

– წიგნის ფესტივალი ყოფილა, – აჩოჩქოლდნდნენ პრეფექტურის წინ შეკრებილი ჩინოვნიკები. ერთმანეთს ულოცავდნენ, გიგანტური წიგნის წინ პოზიორობდნენ და იცინოდნენ.

– და იქნებ არაა ფესტივალი, ჯერ შევსულიყავით და გაგვერკვია რა ხდება, – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მარინე შარაშიძემ. მაგრამ ვინ მოუსმინა...

სოციალური ქსელები უკვე წაელეკა ამაღლებულ და ბრძნადმეტყველ სტატუსებს.

წერდნენ, რომ წიგნი აკეთილშობილებს ადამიანს... რომ კარგი წიგნის წაკითხვის შემდეგ უკეთესები ვხდებით, ვიდრე მანამდე ვიყავით და მადლობას უხდიდნენ ფესტივალის ორგანიზატორებს.

კიდევ ერთი ადამიანი უყურებდა შენობა-წიგნს ეჭვით – გოგა ჩხიკვიშვილი. თუმცა მისთვის ყურადღებაც არ მიუქცევით. მიჩვეულები იყვნენ, რომ გოგა ყველაფერს დიაოხურს ეჭვითა

და ირონიით უყურებდა. იმასაც ამბობდნენ, ბნელ ღამეში სანთლით ეძებს ისტორიულ მტკიცებულებებს, რომლებიც 1801 წლამდე დიაოხელების გაუტანლობაზე, სიხარბესა და გონებაშეზღუდულობაზე მეტყველებსო... ზოგჯერ პოულობდა კიდეც.

ცხრას აკლდა ხუთი წუთი. ჩინოვნიკებმა ყდა იყო თუ კარები, ის რაღაც გამოაღეს და ფოიეში შეაბიჯეს.

წინ კიდევ ერთი გაოცება ელოდათ. კედლების ნაცვლად ცარიელი ფურცლები შრიალებდნენ.

შესასვლელში შავმოსასხამიანი, ნიღბიანი კაცი დახვდათ. მკერდზე ბეიჯი ჰქონდა მიმაგრებული წარწერით – „ᲐᲕᲢᲝᲠᲘ“.

– ყურადღება! – გამოაცხადა ავტორმა, ამიერიდან თქვენ ჩემი წიგნის პერსონაჟები ხართ. 9 საათამდე უნდა დაიკავოთ თქვენთვის განკუთვნილი გვერდები. გახსოვდეთ პირველი ასი გვერდი საპატიოა!

უფრო მოხერხებულმა ჩინოვნიკებმა უცებ აუღეს სიტუაციას ალღო. იხუვლეს და პირველი ასი გვერდი თვალისდახამხამებაში შეივსო.

– ჩქარა, – მეასე გვერდიდან კობა სავარსამიძის განწირული ხმა გაისმა, – დროზე მოდით, თორემ უადგილოდ დარჩებით.

– ვამბობდი მე, ერთ დღეს აქ ადგილებისთვის ომი დაიწყება-მეთქი.

– როდის ამბობდა? – იკითხა ეჭვიანმა ნინო ჯაჯანიძემ.

– რა დროს ეგაა? – ჩქარა წავიდეთ. – ეს ლია როხვაძეა. კუთვნილი გვერდის დასაკავებლად ნუცა გრძელიშვილს ფეხდაფეხ მისდევს.

101-ე გვერდი ნუცას შეხვდა, ანას – 103-ე. ესეც შემთხვევით, თორემ დიდად არ გამოირჩეოდა ბრძოლისუნარიანობით.

დარჩენილი ადგილები 9 საათამდე რიგ-რიგობით შეივსო:

სულ 200 გვერდი იყო.

– სჯობს მეორე ასეულში პირველი იყო, ვიდრე პირველში ბოლო, – წაიფილოსოფოსა ნუცა გრძელიშვილმა.

– და შენ რატომ უნდა იყო ვითომ პირველი? – გაწიწმატდა ინგა გოჩიტიძე 112-ე გვერდიდან.

– იმიტომ რომ ფემინისტ ქალთა და ულტრატრადიციონალისტ მამაკაცთა რეინტეგრაციის სამსახური თითქმის ჩემი ჩამოყალიბებულია 12 წლის წინ. ნულიდან დავიწყეთ და დღეს რას მივაღწიეთ, ყველამ ძალიან კარგად იცის... ასეთი თავმდაბალი რომ არ ვიყო... პირველ ასეულშიც საპატიო ადგილი მექნებოდა.

ფემინისტ ქალთა და ულტრატრადიციონალისტ მამაკაცთა რეინტეგრაციის სამსახური მართლაც რომ წარმატებული იყო. ბიუჯეტურად მგრძნობიარე საკითხების ჩამონათვალში, ყველაზე პრიორიტეტულებში ითვალისწინებდნენ მათ პროექტებს.

მარტო ის რად ღირს, ყოველი წლის 1 აპრილს, ნიუ-პონტოს ქუჩებში რომ გადიოდნენ მოქალაქეთა ცნოებიერების ასამაღლებლად და ბუკლეტებს არიგებდნენ. მამაკაცებს ჩოხაზე ვარდისფერი, კურდღლისყურებიანი მაკრატლები ჰქონდათ მიმაგრებული, ქალებს კი – მინიატურული ცისფერი ყანწები. (ფობიების დაძლევისა და ურთიეთგაგების ნიშნად). კამერების წინ კი თითქმის ისეთივე ნეტარი გამომეტყველება ჰქონდათ აღბეჭდილი, როგორსაც მხოლოდ აჰურა-შუას მოწამეთა ნათელ სახეებზე იხილავთ. სიმბოლოებს ამ საქმეში ოდითგანვე უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. კარგად შერჩეული სიმბოლო თითქმის ნახევრად გაკეთებული საქმეა.

ჩინოვნიკთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საკმაოდ სწრაფად მოახერხეს ახალ გარემოსთან ადაპტაცია. ტყუილად კი არ გაუვლიათ სტრესულ გარემოში მუშაობის უნარის ასამაღლებელი ტრენინგი ჩინოსანთა სახელმწიფო გილდიაში.

ვინ არ იცის, როგორი სასარგებლოა ჩინოსანთა გილდიის მიერ ჩატარებული ტრენინგები. ან როგორ ამარტივებს იქ მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკას.

ერთ-ერთ ასეთ ტრენინგზე ასწავლეს ანას, როდესაც მოსაუბრე ხმას უწევს, შენ ჩვეულებ-

რივზე ორი ტონით ჩუმად უნდა გასცე პასუხი. შედეგად, მოწინააღმდეგე ჩუმდება, შენს მოსმენას იწყებს და სასურველი შედეგი სულ ადვილი მისაღწევი ხდებაო.

თუ არა იქმ, ფილოსოფოსთა ბრძნობა უსარგებლო ხომ ხდება?! ჰოდა, ანამაც სცადა ერთხელ ცენტრალურ ბაზარში ამ ცოდნის გამოყენება. ჩურჩხელა უნდოდა ეყიდა სამ ლარად, გამყიდველი კი ჯორზე იჯდა სამ ლარ-ნახევარს არაფრით უკლებდა. ბოლოს დათმო – სამი ცალი ათ ლარად. ანას ორი უნდოდა და მაინცდამაინც ექვსად.

გამყიდველმა დაიქუხა:

– არ ხარ შენ მყიდველი!

– რატომ ფიქრობთ ასე? – ორი ტონით დაუწია ხმას და ის იყო ტრენიგზე მიღებული ცოდნა პრაქტიკაში უნდა ამუშავებულიყო, რომ საიდანღაც ფულიანი ხაზარები გამოტყვრნენ და ჩურჩხელების მთელი პარტია ყოველგვარი „დამიკელის“ გარეშე გააქრეს დახლიდან და ორნახადი არყით სავსე ბოთლებიც გააყოლეს ხელს.

ახლაც ახსოვს როგორი გაწბილებული გაიძურწა „ბრძოლის ველიდან“.

მას შემდეგ, რაც ხაზარეთმა სკვითების რესპუბლიკას ომი გამოუცხადა და არიულ-ეგეოსური კავშირის სანქციები აირტყა, შეძლებული ხაზარები ნიუ-პონტოს ქუჩებს კალიებივით შემოესივნენ და ნერვებს უშლიდნენ აბორიგენებს. მეტიც, ტრენინგებზე მიღებული ცოდნის გამოყენების საშუალებასაც არ აძლევდნენ.

ასე იყო თუ ისე, თითქოს დალაგდა სიტუაცია ნიუ-პონტოს პრეფექტურის ყოფილ შენობაში... მაგრამ ეგ ერთი შეხედვით. დაკვირვებული ადამიანი მეორედაც შეხედავს ხოლმე საგნებს. მით უმეტეს, ასეთ ექსტრემალურ სიტუაციაში.

შეხედეს და იგრძნეს კიდეც საკუთარ ტყავზე... წიგნი აშკარად იკუმშებოდა და პატარავდებოდა. ჩინოვნიკებიც, განურჩევლად რანგისა, ნელ-ნელა დაჩიავდნენ. სულ რაღაც 3x4 ფოტოსურათის ზომის ადგილს იჭერდნენ თავიანთ კუთვნილ გვერდებზე.

ყველა წუხდა... ყოველი ფურცელი თავის სამწუხარო ამბავს შრიალებდა. იყო ერთი ალიაქოთი და გნიასი.

– შეწყვიტეთ ხმაური! – გაბრაზდა ავტორი, – წიგნს უნდა გადავხედო. სანამ პირველიდან 103-მდე მიაღწევდა ავტორი, ანამ თავად გადახედა საკუთარ გვერდს.

ფურცლის მარჯვენა კუთხიდან ID ბარათის სევდისმომგვრელი ფოტო უცქერდა.

– უკეთესი ვერ ნახე? – უსაყვედურა ავტორს.

– ალბათ, ფეისბუქის პროფილის სურათებიდან უნდა ამომერჩია რომელიმე ლაიქების რაოდენობის მიხედვით. სულ „თბილო“, „ტკბილო“, „უბერებელო“, „დახატულო“ კომენტარებიანად ხომ?

ანა გაწითლდა.

– ჯანდაბას, ის მაინც ვნახო რა დაწერე.

აი, რას წერდა ავტორი 103-ე გვერდის უკანონიერეს მფლობელზე.

ანა მშვიდობაძე
მობილური: 332 217 314
ელ-ფოსტა: a.mshvidobadze@ponto.dom
ოჯახური მდგომარეობა: დაქორწინებული
დაბადების თარიღი: 1 დეკემბერი, 1970.

განათლება:

ნიუ-პონტოს სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ფინანსები, საბანკო და საგადასახადო საქმე, ეკონომიკის მაგისტრი.

სამუშაო გამოცდილება:

მოლარე ოპერატორი, სს „ახალი ბანკი“ (1995-2002 წწ.);

გაყიდვების მენეჯერი/ადმინისტრატორი, შპს „WIA GROUP“ (2003-2009 წწ);

ნიუ-პონტოს პრეფექტურის პერსონალთა ადაპტაციისა და კოორდინაციის დეპარტამენტის მესამე ხარისხის სპეციალისტი (2010-დან დღემდე).

ენები:

ქართული (მშობლიური)

ინგლისური (B1),

ოჯახის წევრები:

მეუღლე: გიორგი დვალიშვილი დაბ. 24.05.1969; ინჟინერი;

შვილი: ბექა დვალიშვილი, დაბ. 24.07. 1995; სამართალმცოდნე.

პიროვნული თვისებები:

მშვიდი, უკონფლიქტო, პასუხისმგებლიანი, დეტალებისადმი ყურადღებიანი, აპოლიტიკური.

იშვიათად, ისიც მხოლოდ პირად საუბრებში, აპროტესტებს შეფასების სისტემისადმი პირველი და მეორეხარისხოვანი ჩინოვნიკების გულგრილ დამოკიდებულებას.

დასკვნა:

სისტემისთვის სრულიად უსაფრთხოა.

ანა საკუთარი ბიოგრაფიის სიმწირემ შეძრა.

– სულ ესაა?

– დაამატებ რამეს?

დაფიქრდა და გაიხსენა... დიპლომები და სიგელები კონფერენციებიდან, სერტიფიკატების მთელი დასტა სხვადასხვა ტრენინგებიდან;

– ჩინოვნიკთა სახელმწიფო გილდიაში რომ კეთილზომიერების დაცვისა და ნამუსგანწმენდილობის ორწლიანი კურსი რომ გავიარე წარმატებით, ის მაინც დაგეწერათ.

– კარგად შეინახე ეგ მაკულატურა ვინმემ არ მოგპაროს, – გახალისდა ავტორი.

– მაინც რომელი სისტემისთვის არ წარმოვადგენ საფრთხეს?

– რა თქმა უნდა, კოორდინატთა სისტემისთვის.

– რაო?

– რა რაო? დეკარდის კოორდინატთა სისტემა არ გაგიგია?

– კი, როგორ არა. – გაახსენდა სკოლაში როგორ გულმოდგინედ ხაზავდა უჯრებიან რვეულში ურთიერთგადამკვეთ X და Y ღერძებს, ბოლოებში ისრებით, მაგრამ აქ რა შუაში იყო მაინც ვერ მიხვდა. ზედმეტი კითხვების დასმაც მოერიდა საკითხის ძირისძირობამდე გასარკვევად. ვაი და მერე საფრთხის შემცველების ჩამონათვალში გადაეტანათ?!

– ჰო, ის პირად საუბრებში მღელვარების ამბავი რომელმა ჩაგასმინათ?

– ჩასმენა და ჩაშვება არაა ის სიტყვები, ჩინოვნიკს რომ შეეფერება. სჯობს სიტყვა გამოაშკარავება გამოიყენო. ხომ იცი, გამოაშკარავება ყოველგვარი საზოგადოებრივი სიკეთის სათავეა.

– მეგონა მხატვრული ტექსტის პერსონაჟები მაინც ვიქნებოდით, – მოიწყინა ანამ, – ეგ ხომ ჩვეულებრივი დოსიეა. სხვა გვერდებზეც ეგ ხდება?

– სხვა გვერდები შენი საქმე არაა, – მკაცრად მოუჭრა ავტორმა. და საერთოდ მხატვრული ტექსტები პირველხარისხოვან ადამიანებს არ მოსწონთ. სინამდვილის შელამაზების უნიჭო მცდელობა, ფუჭი ოცნება და ზღაპარია. რეალური რასაც შენ დოსიეს ეძახი, სწორად ისაა. ადამიანი ის არის, რასაც მიაღწია, მეტი არაფერი.

– ტყუილია! – ადამიანი ის არის, რასაც ფიქრობს და განიცდის... ადამიანი მშრალ ფაქტებზე მეტია.

– გიმეორებ, ადამიანი არის ის, რასაც მიაღწია, დოსიე სარკეა... სარკეში ჩახედვა თუ არ მოგწონს, ეგ შენი პრობლემაა. – ცივად მოუჭრა ნიღბიანმა ავტორმა და 104-ე გვერდზე გადაინაცვლა.

– ტყუილია, ტყუილი... ოცნებას და და ზღაპარს მარტივად უყურებთ. – ოცნება... ოცნება აღვიძებს კაცთა მოდგმის მთვლემარე გონებას! – გაახსენდა ანას რომელიღაც ფილმიდან, მაგრამ მისი ხმა უკვე აღარავის ესმოდა. 103-ე გვერდზე ძილის მომგვრელი სიჩუმე ჩამოწვა. აწი სულ მარტო რჩებოდა... მკითხველს უნდა დალოდებოდა. ჰმ... მკითხველს...

ვის ან რატომ დააინტერესებდა ეს გვერდი?!

ვინ ან რატომ მოისურვებდა ასეთი უბადრუკი ისტორიის წაკითხვას?!

აწი ძილის მეტი რა დარჩენია?! არც არაფერი – ჰოდა დაიძინებს კიდეც...

ბავშვობის სახლი ესიზმრა... ხის სახლი და კოპწია ეზო... ბაბუა სახელოსნოს წინ ფიჭვის ფიცრებს აშალაშინებდა. იქვე ხის ბურბუშელ-

ები ეყარა. ბურბუშელებში პატარა ანა სარწეველა ხის ცხენზე ამხედრებულა და მიაჭენებს.

– კეკენიას ლექსი მითხარი! – უცინის ბაბუას.

ბაბუას ეღიმება და შალაშინის ხმას რიტმულად აყოლებს.

აჩუ, აჩუ კეკენია
ნაზარეთში ბეღელია,
ბეღელია ქარვისაო,
შუქი ადგას მთვარისაო.
გამოფრინდა ოქროს ჩიტი,
ნისკარტში აქვს მარგალიტი.
მარგალიტი ვისიაო?
ვინც იჩქარებს მისიაო.

ჩქარობს ანა... მიაჭენებს კეკენია ცხენს ბურბუშელების ზღვაში. ფიჭვის გაპრიალებული ფიცრები საამურ სუნს აფრქვევენ.

– ბაბუ, ნაზარეთი შორსაა?

ბაბუა ხელს ღობესთან ჩარიგებული ალვებისკენ იშვერს და ისევ ეღიმება... სულ რვა ალვის ხეა... სახელებიც ერთად შეურჩიეს:

– ალიხე, მალიხე, სალიხე, სიკინჭილიხე, ხევასური, ვარვალახე, მარიამხე და კვაწარახე...

– მერე ბაბუუ?

– მერე აღარ მახსოვს...

– გახსოვს... გახსოვს, – ჭირვეულობს პატარა გოგო.

ბაბუას სახეზე ნათელი ეფინება.

აჭიკჭიკდა ოქროს ჩიტი,
ანასია მარგალიტი.

იცინის ანა... იცინის ბაბუაც... ცაში ვერცხლის ზარები წკრიალებენ...

გაზაფხულია... მარიამხეს გლიცინია შემოხვევია. სულ დახუნძლულა იასამნისფერი მტევნებით. ცამდე აღწევს მისი ნაზი სურნელი.

დგას მარიამხე დედოფალივით, ამაყი და მშვენიერი, როგორც ზღაპრებში შვიდი ძმის მზეთუნახავი და...

ნაზარეთიც სულ ახლოსაა... ქარვისფერი ბეღლების და ოქროს ჩიტების მხარე.

ვერცხლის ზარების წკრიალი გაძლიერდა... უფრო და უფრო ფარავენ შალაშინის რიტმულ ხმას.

ანას მკერდში რაღაც მოაწვა და მთელი ხმით დაიყვირა:

– ჩვენ, ხუროს ოჯახებში დაბადებულებმა, კარგად ვიცით ოცნებების და ზღაპრების ფასი...

გაეღვიძა... ტელეფონზე დაყენებული მაღვიძარა რეკავდა. რვას აკლდა ოცი წუთი.

სასწრაფოდ ადგა, თავი მოიწესრიგა, ყავა დალია. გასვლისას სარკესთან კიდევ ერთხელ გადაამოწმა თავი...

არც მაღალი, არც დაბალი; არც გამხდარი, არც მსუქანი; არც ახალგაზრდა, არც მოხუცი; არც პომპეზური, არც ფეთხუმი... მოკლედ დარწმუნდა რა, აკმაყოფილებდა ქალაქ ნიუ-პონტოს პრეფექტურის პერსონალთა ადაპტაციისა და კოორდინაციის დეპარტამენტის მესამეხარისხოვანი ჩინოვნიკისთვის დადგენილ სტანდარტებს, კარი გაიხურა და დამიანე მახვილკურთხეულის ქუჩას დაუყვა ფეხით.

ფეხით სიარული დილის რუტინის აუცილებელი ნაწილია. თანაც სამსახურიც არაა შორს. 15 წუთში ნიუ-პონტოს პრეფექტურის შენობასთან იქნება. სხვათა შორის, ძალიან ლამაზი შენობაა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაშია შეტანილი.

ნინო კახიძე

ნინოს ალქაჯები

ისე ვბრაზდები,
მეჩხირება ბოღმა თვალებში...
გზა რომ ვერ ვნახე,
წარვმსდგარიყავ ნიჭის ბარიგად,
მსახიობი ვარ, მეგობარო, დიდი თეატრის,
უბრალოდ ჩვენთან, ამ პატარა პროვინციაში,
ასე იოლად რთულ ოსკარებს არ არიგებენ.
ქედს მიხრის ჩემი ოთახიდან ფოტოსურათი,
საწოლი, სარკე, მაგიდა და მრუდე სკამები,
ამათ იციან, თუ რა არტისტს ხდიან, იწვენენ,
რევერანსებით ასრულებენ ტანჯვის რიტუალს
და შავ სიზმრებში ვისთან ერთად დასეირნობენ.
ლოკავს ალქაჯი მენსტრუალურ ციკლის მეხუთე,
დღიდან დარჩენილ ბოლო წვეთებს, თითზე დასათვლელს...
და მიჭერს ყელში, გაოფლილი ხელისგულებით –
ახლა კი არა, წლები ვბოჭავ ეშმაკის ფეხებს
ვიცი, რომ მაინც ავიშლები, ვერ გადავრჩები...
ვისწავლეთ ერთად, ვიზეპირეთ ნელა მიმოსვლა,
ჯობდა სირბილი – თავიდანვე თავის გატეხვა,
ახლა გაქცევის მზაკვრულ გეგმას ერთად ვალაგებთ
სხვადასხვა ფერის ჩემოდნებზე ვხატავთ ერთფერში
საგაზაფხულო ჩაბარგებას ვიწყებთ ზამთრიდან.
ოთახის კარი იკეტება – სიზმრის საცავი,
სადაც მუსიკა სარკეს ლეწავს ლერწმის ჩარჩოში
და ფაიფურის თოჯინას ჰგავს უმანკო სახე,
ათი ათასჯერ დამსხვრეული, ოქროცურვილი,
ტუჩზე მიმიკის ეშმაკნი რომ დასთამაშებენ.
მსახიობი ვარ მეგობარო, დიდი თეატრის,

გამოკეტილი საპატარძლო, დაწყევლილ სკივრში,
იქედან მხოლოდ სუფლიორის ძახილზე ვდგები,
ვასრულებ როლებს!.. და დაღლილი, მოცლილ ალქაჯებს
ჩემი ტექსტების უკონტექსტო კითხვას ვასწავლი.

* * *

გთხოვ, მომიტევო, სანუგეშოდ ვერაფერს გეტყვი...
„მეც კატისა მჭირს, ცოცხალ თაგვთან მიყვარს თამაში“...
სამწუხაროა, სათქმელი რომ პირამდე ვავსე –
გადმოიღვრება,
დამიჯერე, დავიტბორებით.
ლაბირინთში ვარ, ღმერთი მიცქერს, აბა, თუ შევძლებ –
გამოვაღწიო, გამოვექცე ნამუსს და სინდისს,
ან ვაღიარო, როგორ მომწონს ან სულაც მიყვარს –
ანუ ერთბაშად შევიყარო ნაცარი თვალში...
მე ქალისა მჭირს, სიშიშვლისკენ ვიხრები უფრო,
ვერაფერს იტყვი, საამოა თვალის შევლება –
გემახსოვრება, როგორ ვიხდი და როგორ ვწვები
გარდასულ დღეთა ცივ საწოლში შიშველი ღმერთთან...
ან შეიძლება, იმ ძაღლს ვგავდე, რომელიც ლეკვად
აჩუქეს მოზარდს სასექტემბროდ, ტემბრი აუწყეს...
შემდეგ შეჰყეფა ძუნკალმა და სდია კუდ და კუდ,
წლების მანძილზე წინა ძაღლის ლუკმა ევედრა.
არავითარი მნიშვნელობა ახლა არა აქვს,
მაგრამ მინდა რომ შენ სინდისთან იყო მართალი...
მე გეუბნები, თანახმა ვარ! და კიდევ
ბევრჯერ –
„შევსვათ ბოლომდე სადღეგრძელო უკანასკნელი“!

* * *

ნინოობა მომილოცე და
ცხონება მისურვე აღთქმულ მიწასავით...
წყალობა მომმადლე ძალად –
ვაზის ჯვარი მაქვს სატარები სხვა ბევრთან ერთად...
ხომ იცი,
ჯვარს ისევე არ ვიკარებ გულზე,
როგორც არ ვეკარები გზებს ტაძრებისკენ,
გზებს,

რომელსაც შენთან მოვყავდი,
ღმერთო!
არ ვეკარები,
რადგან ამ გზებზე,
ჩემი პირადი ღმერთი გამებნა.

ბედობა. მრავალწერტილი

გამომიგონე რა იქნება ბედობის ღამეს,
შემომიმტვრიე დალუქული სარქველი გულის.
შეგრძნება მრჩება გაკვეთილებს მიტარებ თმენის –
დავიზეპირე,
ერთი წუთით! ნუღარ მაყოლებ.
ეს რანაირი გრძნობებია?! ბოლოს ვერ ვაგნებ,
ჩემი ლექსებიც პრიმიტიულ სიმღერად კრთოდნენ
ჩანგზე, რომელსაც ხმა ვერაფრით ვეღარ ავუწყე
მწერების მსგავსად ჯირკვლებიდან სააბლაბუდე –
თავს რომ იღწევენ
სულ ტყუილად,
ვეღარ იღწევენ.
არადა ვცადე. გეფიცები. ძალიან ბევრჯერ.
ალბათ არ იცი პოეზია მუცლიდან (მომსდევს)
ახლა კი მარტივ მამრავლებად
დაშლის, ვიჭედები სავარჯიშოზე.
რადგან ვერ გავცდი ნატურალურ რიცხვის სიავეს
რიცხვში, რომელშიც ჩავეჭედე მყარად და მყისვე
დამრიგებელი რომელში ხარ გამაგებინე
საატესტატო გამოცდა რომ შემიმსუბუქდეს.
ბოლო-ბოლო მაზიარე პოეზიაში
ზეპირ თუ წერით, ბადალი რომ არ მყავდეს ვინმე –
თორემ ხომ ხედავ მარტივ ლექსებს
როგორ გირითმავ,
ამას რომ თავი დაანებო როგორ გიქვეყნებ?!

ვცადოთ თავიდან.

(გამომიგონე რა იქნება, ბედობის ღამეს)
წერტილს ნუ დასვამ
გააგრძელე...
...
დუმილი შემშლის!

(ბს)

მოდი ასე ვქნათ...
გავერკვიოთ
ცოტა დავწყნარდეთ.
ეგებ გაკაჟდე წახუმრებაც შეძლო ანაზდად,
იმგვარი გახდე რეალობამ კვდომა განატროს
და
აგონიით ქაოტურად ბჭობდნენ – „გამაზა“...
აკვანში ფიქრი ჩააწვინო – ფიქრი უვადო
საცერზე გაცრა, გამორიცხო გარეშე პირთა
არტახები აქვს გადაკრული ბეჭებზე ეჭვებს –
ბებიები რომ კონწიალით თავებს ირთობდნენ.
იწყებ დილიდან მიაძინო გინდა როგორმე
„შენ სასიკვდილე, რა იქნება დახუჭე თვალი!“
თუნდაც წამით და სიზმრებიდან გამოილაგმე
დღესაც რომ ფიქრობ ვერ უპოვე ახსნა პასუხებს...
რად მიგატოვეს?
სად დაგტოვეს
და კიდევ მრავლად
ისმის კითხვები, პასუხებს კი აღარ ელიან.
იქნებ და ბოლო,
ზუსტად ბოლო მხოლოდ ესაა
და შმაგ სიზმრიდან მშვიდ ქაოსში გადმოინაცვლებ.
მაგრამ ვერაფრით ვაპურებდი
გრძნობებით მშიერ –
შიშველ სხეულსაც ვერ ვუპოვე პეწი და რიდი.
მოურიდებლად გავკიოდი სიზმარში
ყველას
გადით!
გადიით...
სულ ყველა გადით
და
შემოსვლა თავიდან სცადეთ!

მულენ რუჟი

ალბათ დარჩება ეს ამბავი, როგორც იგავი,
სოკოებივით მრავლდებიან მრავალწერტილნი,
საკუთარ ლანდებს უდაბნოსკენ მივერეკები,
და სადღაც ბოლოს, ჩემი ჩრდილის ჩრდილში ვგრილდები.

რაღა დავმალო, თვითმკვლელი ვარ მას შემდეგ, როცა
ქრონიკულ შაკიკს ამ ბოლო დროს ჰაშიშით ვკურნავ.
ვერც ალერგიას მოვუძებნეთ ამ დრომდე ახსნა
და თითს იშვერენ: „აი ამას, აი ამ გოგოს –
ჭინჭარი ებრძვის, ჭინჭარი აყრის!“
და კიდევ დადის ხმები, თან ბევრი:
რომ გამოგონილ სამყაროში ვაბიჯებ ფეხებს,
ვაბიჯებ მტკიცედ, ვაბრახუნებ ზურგს უკან კარებს,
მივედევნები გაქცეულებს, ვაბრუნებ უკან
და ქალურ შხამსაც ვუწილადებ საწოლში, როცა
მე პოზებს ვიცვლი, ვეღარ ვგუობ ხრინვას და ქოშინს
და გამეტებით ვიშენ თავში პატარა ხელებს.
როცა მათ სძინავთ, მე ვიცინი, მერე კი ვდგები
და ქაღალდებით იარაღის ვაკეთებ ფორმას.
ვუმიზნებ თავში, ცალ თვალს ვხუჭავ – აბა შენ იცი...
„ტყვიას ტყვიაში ვაჯენ!“
რაღა დავმალო, თვითმკვლელი ვარ მას შემდეგ, როცა
მინდოდა მეთქვა, მომეყოლა ამბავი გრძელი...
ბოლოს დავფიქრდი, წავიკითხე, გადავიკითხე
და დავასკვენი: არ იქნებოდა მოსასმენად ლამაზი და
გადავიფიქრე.

* * *

„ჩემი ღამეები თქვენს დღეებზე უკეთესია“...
კ. კაჭარავა

გავალ გარეთ,
მძინარე შვილს გავეპარები,
ლოგინზე მარცხნივ,
ჩემს მაგივრად კატას მივუწვენ,
ფეხისაკრეფით ჩავუყვები დამრეც კიბეებს,
მხოლოდ ღამით რომ ჭრიალებენ დაყრუებამდე.
ცალთვალს მიხუჭავს საჭვრეტლიდან კარები სახლის,
უკან მომყვება უგზო გზებზე მღვრიე თვალებით,
ზუსტად იმგვარად,
ვერგაზრდილ და ხელიდანწასულ
შვილებს რომ წყრომით აცილებენ ღამით დედები.
უნდა ჩავხედო მარტის თვეში ღრმა ზღვას საშოში,
უნდა შევცურო, ჩამოგრეცხო მხრებიდან ზღვის წყლით,
მაგრამ ბათუმში გაზრდილი ვარ, რომც შევეწირო

არ შემიწირავს, დასახრჩობად ვერ გამიმეტებს...
ჩემნაირები აპურებენ ღამით მშიერ ზღვას,
შიშველნი ვხტებით, სხვისი აზრი ფეხზე გვკიდია,
გაყინულ წყალში ხელის ქნევით სიცოცხლეს ვიზღვევთ,
თუმც გასათბობად ჩვენ ერთმანეთს არ ვეკარებით....
დილით კი ყველა თავის გზას და ცხოვრებას ადგას.
სამსახურები... ოჯახები... ნათესავები...
გამოვეპარე მძინარე შვილს, იფხიზლა კატამ
და ჩემს მოსვლამდე ჩემს მაგიერ ათბო ადგილი.

* * *

მეცვა თოვლივით თეთრი პერანგი...
მაღალქუსლიანს შევრჩი ფეხსაცმელს,
და განშორების მძიმე წუთიდან
ჩემივე ხელით დამაქვს ტკივილი!
და როგორც ძაღლი, ყველას რომ ენდო...
ვერ გავექეცი ლანდებს საკუთარს.
როგორ მიყვარდი და მაინც ვდუმდი,
ეს დუმილია, საგზლად რომ გეყო!
გზად თუ ჩაუვლი ჩემს ქალაქს, ბათუმს...
სახლივით გელი ძვირფასო ჩემო.
გულის ჯიბეში, ნაგლეჯზე ფურცლის –
მისამართია,
ღიაა კარი!

ქანა ჯოგვერაძე

ზამთარს გავატან

ზამთარს გავატან სევდისა და სიცივის ფერებს,
შემოვინახავ ასაკინძად თავგასულ ფიქრებს,
ჩემი სხეული გასათბობად მზის სხივებს ეძებს,
გული კი ჩუმად ეფერება მომღიმარ ფიფქებს.

თოვს უსაშველოდ, ძვლებში ატანს დეკემბრის სუსხი,
ხეები ისევ დაუძლურდნენ, ცივი ქარია,
თოვლის საფარქვეშ ყოჩივარდებს ღიმილებს ვუთვლი
იაც სიღრმიდან მესალმება და მიხარია.

გამოიდარებს, მზის სხივებში გაზაფხულს ვიგრძნობ,
უფერულ დღეებს ფიფქებივით ცაში გავფანტავ,
მარტის ყვავილებს ჩემს ღობესთან მოპარულს ვიცნობ,
ყველა ტკივილს და მწუხარებას ზამთარს გავატან.

მე გიღალატე, ოქტომბერო

შემოაბიჯა ცივმა ქარმა გაბზარულ სულში
და მოიტანა ნისლიანი სევდის ფერები,
მე გიღალატე, ოქტომბერო, დღეს სხვა მყავს გულში,
თუმცა შენს ყვითელ ფოთლებს ისევ მოვეფერები.

ფანჯრის რაფაზე შემოვსხედით შუაღამისას
უწინდელივით მარტოობა, მე და სიჩუმე,
თუ ნოემბერმა გამოჩენა აღარ მაღირსა,
სიჩუმემ მითხრა: „– შენთან ვარ და გვერდით მიგულე!“

ფიქრებით დაღლილს შუბლზე კოცნით მაღვიძებს ადრე
ფერმკრთალ ნიავად მოვლენილი ნოემბრის დილა,

ხელი მომხვია მონატრებულს და ამ დროს ვამჩნევ,
ჩემს სანახავად, ოქტომბერო, მოსულხარ წვიმად.

მეძახი... არ ვარ... ნოემბერში გაგცვალე ისევ.
შენც სექტემბერთან მოიოხე გული ნატკენი,
ეჰ, ოქტომბერო, დაგივიწყე თუმცა შენ კიდევ
ჩემს ნოემბერთან მოსეირნეს ჩუმად დამყვები.

შემოდგომის უკანასკნელი საღამო

შემოგეძარცვე, შემოდგომავ, გტოვებ, მივდივარ,
უკანასკნელი ფოთოლცვენაც დავასამარე...
სექტემბრის თვეში პაემანზე ისევ გიხილავ,
კიდევ შევხვდებით წელიწადის გასვლისთანავე.

ზამთარს ჭაღარა გამოუჩნდა, დეკემბერს – სუსხი,
შემოდგომისფრად ჩამოღამდა ბოლო საღამო,
დღეს დილით ისე ჩამეღვარა ცრემლებად სულში,
მიმატოვაო ამის მერე როგორ დავწამო.

დაბინდდა, ჩვენი ერთად ყოფნის დაეშვა ფარდა,
ნოემბერი კი სევდიანად წამოდგა ფეხზე,
მე შემოდგომა უღალატო მეგობრად მყავდა,
თუმცა, დეკემბერს შემოვიხვევ ხვალიდან მხრებზე.

დეკემბერი

ვხედავ სამოსს როგორ იხდის შემოდგომა,
ქარმა ურცხვად გააშიშვლა ხეთა ჯარი,
აკივლებულ ტოტებს ცრემლი მოერია
და ფოთლების წვიმას ვუცქერ ჩემი თვალით.

ვზივარ ფურცლის ნაგლეჯით და კალმით ხელში
ბუხრის ალი გაშიშვლებულ ფიქრებს მიწვავს,
მონატრებულს, შემომხვია ხელი მუზამ
წერის მძაფრი სურვილები სუნთქვას მიკრავს.

თითქოს თავში ყველაფერი ამერია,
ვერ ვალაგებ შემოწოლილ თავხედ აზრებს,
მინდა ფურცელს დავაქარგო ყველა სიტყვა
თორემ გული ვეღარ უძლებს უკვე ამდენს.

მერამდენე ფინჯან ჩაის ვიდგამ გვერდით
აღარც მახსოვს, სათვალავი აირია,
სტუმრად მოსულ მუზას თავზე ვევლები და
უძილობით კალამიც კი დაილია.

მთელი ღამე დაუღლელად გადამქონდა
მოწოლილი სტრიქონები ნაქარგებად,
ქარი ისევ იპარავდა ოქროს ფოთლებს,
ბობოქრობდა, ზეიმობდა გამარჯვებას,

მაგრამ დილით ყველაფერი სადღაც გაქრა:
შემოდგომაც, ქარიც, მუზაც დაკარგულა,
თუმცა, მორცხვად გაშიშვლებულ ხის ტოტებში
დეკემბერი უსირცხვილოდ ახლართულა.

ოქროსფერი ნაბიჯები

შემოდგომას რა აზრი აქვს, კართან სექტემბერია,
ქარი კივის გამეტებით, ბობოქრობს და მძვინვარებს,
მარტო ვზივარ ჩაის ფინჯნით მოგიზგიზე ბუხართან
და გავყურებ ცრემლად დაღვრილ ადიდებულ მდინარეს.

მომწვანო ტყეს გაუხდია საზაფხულო სამოსი
ოქროსფერად შეფერილა დილა შემოდგომისა,
გავიხედავ ფანჯრიდან და მზერით მოვეფერები,
ჩემი სულის ამინდები დიდ სიხარულს მომიტანს.

შევიკერავ ყვითელ კაბას მოქარგული ფოთლებით,
მთელ სამყაროს ღიმილს მოვფენ, მზის მაგივრად გავათბობ,
ფოთოლცვენის მელოდიას წითელ-ყვითელ ნოტების
დაუღლელად მოვუსმენ და მომედება მალამოდ.

ნაბიჯ-ნაბიჯ გავუყვები გზას ნისლისფერს, იდუმალს,
დავკრეფ კენტად შემორჩენილ ჩემს საყვარელ გვირილებს,
მე გავხდები შემოდგომის დედოფალი უცვლელი,
ფოთლებს გავფენ ხალიჩად და დავწნავ ლამაზ გვირგვინებს.

მესმის, ვიღაც აკაკუნებს, ოცნებიდან მაფხიზლებს,
ვდგები ფიქრში წარმოდგენილ შემოდგომის დედოფლად,
კარებს ვაღებ, ყვითელ კაბას მიფრიალებს ქარი და
სექტემბერმა ოქროსფერი ნაბიჯები შემოდგა.

* * *

შენი ღიმილით ვარსებობ, ვსუნთქავ,
ჩემი გრძნობების შენა ხარ ცენტრი,
თვალებში როცა ჩაგხედე, მაშინ
შენში უთქმელად ვიცანი ღმერთი.

ვიპოვე შენი ჩემფერი სული,
ამოგიცანი ყველაში, ერთო,
გამილამაზე ნატანჯი გული,
დაგისაკუთრე, ჩემი ხარ, ვერ გთმობ.

მიყვარხარ სიტყვის ყველა გაგებით
მჭირდები, როგორც ჰაერი ფილტვებს,
როცა ბაგიდან ღიმილი გცვივა
გული რიტმულად სიმღერას იწყებს.

ჩემი სამყაროს ცენტრი კი არა
თვითონ შენა ხარ სამყარო ჩემთვის,
შეგისისხლხორცებ, გიგულებ ჩემად
და სანამ მყავხარ, ვიცოცხლებ შენთვის.

დარაბებს მიღმა შემოდგომის სურნელი დადგა

ქარები ქრიან, არ აძლევენ ფოთლებს გასაქანს,
დღეს უჩვეულო სიხარულით დაიწყო დილა,
ღრუბლის კიდეში მცხუნვარე მზე თითქმის აღარ ჩანს,
ვგრძნობ რომ ამინდი სულში იდებს დღეიდან ბინას.

მწვანე ტყე უკვე იმოსება ოქროსფერ კაბით,
სულში ფოთლები მელოდიად იწყებენ ცვენას,
მე ყვითელ დღიურს შევინახავ დღეიდან თავთით
სულის სეზონზე ახალ ამბებს ვუამბობ ყველას.

სექტემბერმა რომ შემოაღო წუხელ კარები,
ხეები მასზე ჭორაობენ, მესმის შორიდან,
დაუსრულებლად იქროლებენ ალბათ ქარები.
ოქროს ფოთლები ახალ ამბებს ხშირად მომიტანს.

მომიტანს სევდას, სიხალისეს, ყველაფერს ერთად,
გრძნობებს ამირევს, ამიშლის და სადღაც ჩამკარგავს,

წვიმის წვეთები გააბამენ საუბარს ჩემთან
ფოთოლთა ცვენა უხალისო დღეებს გაფანტავს.

გუშინ დაუშვა საბოლოოდ ფარდა ზაფხულმა,
მოლურჯო ცაზე ნაცრისფერი ღრუბლები გაჩნდა,
ნიავი ხეებს ფოთლებს ჰპარავს, ყველა გაქურდა,
დარაბებს მიღმა შემოდგომის სურნელი დადგა.

შენს თვალებში

მე შენს თვალებში ვხედავ ჩემი გულის ვარსკვლავებს,
ღიმილიდან კი სიყვარულის სხივები მოჩანს,
გაყინულ სულზე მკლავებს მძლავრად შემოგაფარებ
და დაგპირდები მაგ ღიმილის მიზეზად ყოფნას.

შენს ათრთოლებულ ბაგეებზე ფიცს დავდებ ისევ
და კვლავ შევიგრძნობ სამუდამო სიყვარულს წმინდას,
გულს ჩემში შენი არსებობით ყოველ დღე ვივსებ
და ეგ თვალები სამყაროზე მეტადაც მიყვარს.

ვიცი, მანძილი გაიზარდა ჩვენს შორის, მაგრამ
გაათასმაგდა სიყვარულის სიმძაფრე ჩემში,
თუ გინდ ასჯერაც მოგატარონ უჩემოდ ცხრა მთა,
დაგელოდები და სიშორე ვერაფერს შეცვლის.

მე შენს თვალებში ჩემი გულის ვარსკვლავებს ვხედავ
და როცა ჩემთვის იღიმები, მაგ ღიმილს ვეტრფი,
შენს ბაგეებზე დაფიცებას მუდამ გავბედავ
„მიყვარხარ“-ს მთელი გრძნობითა და არსებით გეტყვი.

მამუკა ოჩიაური

ვეღარ შევძელი

გზა ვერ გავლიე ლაღად,
ნეტარად
მბოჭავდა დარდი –
ახალი, ძველი
გულიდან სრულად, რომ გამეტანა
ეს ყრუ ტკივილი, ვეღარ შევძელი.

ვეღარ შევძელი შებოჭვა იმის,
რაც გულს მიღრღნიდა, ხოდა მოვეშვი
ახლა ცივი ხმით ლოდინი კივის,
გვერდებდაბზარულ სიმარტოვეში.

დავაგვიანე

ის ღამეები ფიქრით ავკინძე,
ძილიც დავკარგე სიზმრის დობილი
ნეტავ, ვინ ჩახსნა შენი საკინძე
და ვინ შეავსო შენი ლოგინი.

იმ განათევარ ღამეთა კვალში,
ძველ მოგონებებს კვლავ ვეურჩები
ვინ გაეხვია ვნებების ალში,
ვინ დაგიკოცნა ნეტავ ტუჩები.

ვინ ჩაგიხუტა ნეტავი გულში,
შენში არია მწველი ფიქრები
და ჩაგჩურჩულა ლამაზო ყურში,
რომ საუკუნოდ შენი ვიქნები.

ღამემ მიიღო დილის იერი,
ბნელეთს სინათლის გასტეხს შურდული
ნეტავ ვინაა ის ბედნიერი,
ვინ გახსნა შენი გულის ურდული.

ის ღამეები ფიქრით ავკინძე,
წლებს გავატანე ძველი სიამე
მე ვერ ჩავხსენი შენი საკინძე,
სიტყვის გამხელა დავაგვიანე!

ისევ მიყვარხარ

სინაზით, მთებზე ნისლს მიჰგავხარ
ამ გულში ქარულად მოვარდი,
მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ
წვიმამდის, ქარამდის, თოვამდის.

გავენდე, სიზმრებსაც გავენდე
უშენოდ ვერ გავძლებ ვერა და
მიყვარხარ მზემდე და მთვარემდე,
ჩემში ხარ ამ გულის ძგერადა.

დაგიცდი, უზომოდ დაგიცდი,
შეხვედრის იმედი დიდია,
ლოდინში, უსაზღვრო ლოდინში,
შავ-თეთრი დღეებიც მიდიან.

შენამდე ფიქრით გზას ვზომავდი,
მთებზე ნისლს რარიგად მიჰგავხარ,
წვიმამდის, ქარამდის, თოვამდის
მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ!

გაგიშვებდი

გაგიშვებდი, მაგრამ გული უარზეა,
უშენობით ფიქრებიც კი ავდებიან,
შენი ხილვით, დამიჯერე სულში მზეა
შენი წასვლით, მოსაწყენი ავდრებია.

გაგიშვებდი, დაგტოვებდი ცათა ველზე,
როგორც ქარმა მიატოვა ნისლეული,

მე არასდროს მიგიკრავდი მფეთქავ მკერდზე
და გაგვყოფდა ერთურთისგან დასასრული.

მაგრამ ვერა, ვერ შევძელი ყოველივე
აღარ მინდა გულიდან რომ მოგიცილო,
როცა ღამე ცაზე გაშლის ოქროს მძივებს,
მინდა სიზმრად მოგეფერო, მოგისმინო.

და მინავლულ სიზმარეულ მინარეთებს,
როცა ძილის შეასკდება ათინათი,
მინდა მაშინ მიმზერდეს და მინათებდეს
ეგ თვალები ჩაუქრობი, მზეზე მნათი.

შენი ხილვით დამიჯერე მუდამ მზეა,
უშენობით ფიქრებიც კი ავდებიან,
გაგიშვებდი, მაგრამ გული უარზეა
შენი წასვლით მოსაწყენი ავდრებია.

როს მახოლ*

როს მახოლ, ჩამასთოვს, დაჰკეტავს მთას შვილო,
ნაქარი** გაავსებს ბილიკს და ქანჩახებს,
აქ უკვე სათოვარ წვალობს და მაცილობს,
ყინული ერევა ჭაობს და ჭანჭახებს.

როს მახოლ, გაცივდა ჭერხოის კედლები,
უხალხო ყიოშმა სოფელი დაჯაბნა,
მოვხუცდი, დავსუსტდი, ყველაფერს ვეგლები,
წლებმა ხელდამრია ნაწვალებ, ნაჯაფარს.

როს მახოლ, ბანებზე თიხაა ნაკლები
წვეთ-წვეთად ჩამოდის წვიმაში წყალი და...
მე ისე გაგზარდე არაფერს გაკლებდი,
ვაგლახ, რომ ის წლები უჩუმრად წავიდა.

როს მახოლ, დაბერდა საბრალო ჯაგანა,
ნადირმაც იმატა, ყოველ ღამ გვეტევა,
ჯაგანას ბეწვი რომ ეყარა ჯაგარად
გაქუცულს, დღეს უჭირს ნადირზე შეტევა.

* როს მახოლ (ხევსურ.) – როდის მოხვალ.
** ნაქარი (ხევსურ.) – ნამქერი.

როს მახოლ, გავყურებ გზებს მთისკენ სავალებს,
დღეს მთებიც გათეთრდა ძირიდან წვერამდე,
მე შენთან მოკითხვას, ნისლებსაც ვავალებ,
იქნება როდისმე მოვიდნენ შენამდე.

ზამთრდება, ეს ქარიც შლეგობს და მაცილობს,
მე მჯერა მომიხვალ, მე მჯერა გონს მახოლ*
იჩქარე, ჩამასთოვს, ჩაჰკეტავს მთას შვილო
ნეტავი ვიცოდე როს მახოლ, როს მახოლ.

* გონს მახოლ (ხევსურ.) – გონზე მოხვალ, მიხვდები.



ჯონი ჩახვაძე

* * *

წარსულის ავხსენ თავი კიდობნის
და ისტორიის ჩავხედე სკივრში,
რაც იქ ვიპოვე და რაც იქ ვნახე,
ჩემს უნებურად დამეტყო შიში.

ჩავიხედე და ამბავი ვნახე,
რაც მეტად ავად სანახავია,
მიზეზი ღმერთო, რაც გვჭირდა ოდით
და რაც დღესაც გვჭირს, ჩვენი თავია.

* * *

ძველი ჩანთით და თავზე ცილინდრით,
ჟღალი წვერით და რიდით,
იდგა ქუჩისპირს შემკრთალ თვალებით,
პოეზიაზე ფიქრით.

ცას გახედავდა ხან შუბლზე ხელსმით,
სად ღვთის განგებას ენდო,
იდგა და თავში თვის ღვთაებრივი,
ფოლიანტები ედო.

იქვე გამვლელი და გამომვლელი,
თავს დაუკრავდა ყველა,
ყველა ცნობდა და ესალმებოდა,
იდგა ღიმილის ფრქვევა.

ისიც ღიმილით და მოწიწებით,
სწრაფლ მოიხდიდა ცილინდრს,

თვის სიმაღლიდან მოცხვი პატივით,
ვალს უბრუნებდა იგინს.

ერთი გამვლელი მას მიაშტერდა,
იქნებ ვიცნოო ვინძლო,
დიდხანს აკვირდა და უცქეროდა,
მაგრამ ვერა კი იცნო.

ძველი ჩანთით და ნათელი შუბლით,
მავანმა რომ ვერ იცნო,
მუზების ღმერთი, პოეტთა მეფე,
გალაკტიონი იყო.

სიტყვაც ტყვიაა

სიტყვაც ტყვიაა ტყვიად ნასროლი,
სიტყვაც ავკაცის ხელში თოფია,
ხშირად მინახავს სიტყვით გულმკვდარი,
ტყვია სიტყვაზე მეტი როდია.

მავანმა იგი სიტყვით მოკლაო,
რა ადვილად და გულგრილად ვიტყვით,
ზოგი გასროლილ ტყვიით მოვკალით,
ზოგიც – ნასროლი სიტყვით.

* * *

რად მინდა ფუნჯი, და ან მოლბერტი,
არ ვარ პიკასო, არც ფიროსმანი,
არც ყმაწვილი ვარ, უკვე მოვბერდი,
და არცა მეფე გვირგვინოსანი.

მე სიცოცხლე ვარ, დავალ ბილიკზე,
უფალი მიდგას გვერდით ფარადა
და იქა ვდგავარ, სადაც პირიმზემ
და სისხამ დილით მზემ ინავარდა.



სანდრო ბერიძე

ნიამორის კოპლებიანი დღიური

13 მარტი, 1986 წ.

ეს დღიური ნიამორმა მაჩუქა. ნიამორი ჩემი მეგობარია, მეგობარი კი არა, მეგობარზე მეტია, მეგობარზე მეტი კი არა, ყველაფერია. ამ კოპლებიან დღიურს „ნიამორის დღიური“ მან უწოდა... როცა ყველაზე მეტად გაგიჭირდება, ამ დღიურის ცარიელ ფურცლებს ჩახედე, იქ მე ვარ, ყველა ფურცლის სიქათქათეში მე დაგხვდები, საკუთარმა თავმაც რომ მიგატოვოს, ამ დღიურს შეაფარე თავი, აქ გადარჩები შენ და შენი გადარჩენით მეც გადამარჩენო, ასე დამარიგა.

დღიური ხომ მეტი არაფერია, გარდა საკუთარი სულის მოძრაობის, ცნობიერების, ემოციის, შთაგონების და ფიქრის მიმდინარეობაზე ყოველდღიური დაკვირვება, ყოველწუთიერი დანახვა, თვითგამოხატვა, თვითდახასიათება და, როგორც ფსიქოლოგები იტყვიან ხოლმე, ინტროსპექცია.

მგონი მილტონს უთქვამს, მარტოობა ზოგჯერ ყველაზე კარგი და საინტერესო საზოგადოებაო. ასეა, ვერ შეედავები, მითუმეტეს, მაშინ, მარტოსული რომ ხარ და მარტოობა, მის მდგმურად კი არა, მუდმივ ბინადრად გთვლის...

წერა ბავშვობიდან მიყვარდა. სახლის სხვენზე ავძვრებოდი და იქ ვწერდი. უმეტესწილად ლექსების წერით ვიყავი გართული, ხან გაქცეული სიტყვების გამოდევნებასა და უკან მობრუნებაში მიღამდებოდა, ხან კიდევ, რითმების ძებნაში. ზოგჯერ დღე ისე დაღამდებოდა, ერთი სტროფის დაწერასაც ვერ ვახერხებდი, ზოგჯერ კი – სხვენიდან, დღის განმავლობაში, სამი ლექსით ჩამოვდიოდი.

ახლა, ამ ჩანაწერსაც სხვენში ვაკეთებ, ოღონდ არა თუ ბავშვი აღარა ვარ, ინსტიტუტიც კაი ხანია დამთავრებული მაქვს და რაიონული გაზეთის რედაქციაში რიგითი თანამშრომელი კი არა, ერთ-ერთი დიდი განყოფილების სტაჟიანი ხელმძღვანელიც გახლავართ.

ლიტერატურამ, ცხოვრებასთან ერთად, ბევრი რამ მასწავლა, უპირველესად კი ის ვისწავლე, რომ უკეთესია, მწერალი ნაკლებპროდუქტიული იყოს და ღირებულს ქმნიდეს, ვიდრე პროდუქტიული იყოს და წყალ-წყალა ნაწერებს ახვავებდეს.

არსებობს ორი სამყარო, რეალური და ილუზიური. რეალური სამყაროს პარალელურად მწერალი ქმნის ილუზიურს, ლამაზს და მშვენიერს. ეს ორივე, ერთმანეთს ავსებს და კვებავს. დღეს, სამწუხაროდ, მხოლოდ ყოფითი, რეალური ცხოვრება სჭარბობს ილუზიურს ანუ წარმოსახვით ცხოვრებას, ამიტომაცაა, რომ სულიერ შიმშილს განიცდის ადამიანი. ეს, რა თქმა უნდა, დროებითია, ცხოვრებაც მდინარესავითაა, თავდაპირველად იმღვრევა და თანდათანობით დაიწმინდება. ადამიანი კი დალაგებულ და დამშვიდებულ ცხოვრებას მიელტვის...

ათეისტურ საზოგადოებაში სულის კანონებით რომ იცხოვრო, ძნელი კი არა, თითქმის შეუძლებელი და წარმოუდგენელიც კია, მაგრამ სულიერი გადარჩენა ნებისმიერ გარემოში შეიძლება და ამის ერთადერთი საშუალება წიგნიერება და ლიტერატურაა, ტრადიციული, ღირებული ლიტერატურა და არა ფარსითა და სიცრუით გაძეძგილი ფსევდო ლიტერატურა.

მწერალი იმიტომ ქმნის ილუზიურ სამყაროს, რომ უხეშ და შიშველ სამყაროში მყოფ ადამიანს გაუჩინოს და განუმტკიცოს რწმენა, რათა ახალი ენერგიით იბრძოლოს კეთილის დასამკვიდრებლად, ახალი ძალისხმევითა და შემართებით შეალამაზოს და შეამსუბუქოს ცხოვრების სიმკაცრე, დაუნდობლობა და სისასტიკე.

ვნახოთ, როდემდე გამყვება და როდის შეივსება ბოლომდე „ნიამორის კოპლებიანი დღიური“, რანაირი ამბები მოიყრიან თავს მის ქათქათა ფურცლებზე, რომელი გადაწონის რომელს, ტკივილი – სიხარულს თუ სიხარული – ტკივილს...

წინ ხომ დიდი ცხოვრება მელოდება, უფრო სწორად, გველოდება, ჰო, გველოდება, მე და მას... მას და მე... მე და ნიამორს... ნიამორსა და მე...

15 მარტი, 1986 წ.

მარტი ჩემი და ნიამორის დაბადების თვეა. ჩვენი დაბადების დღეებს მხოლოდ ოთხი დღე აშორებს ერთმანეთისგან, ამიტომაც ჯერ კიდევ მარტის დასაწყისში გადაწყვიტეთ, მხოლოდ მე და მას აღგვენიშნა სადმე განმარტოებულებს.

მისი დაბადების დღეზე, ოთხშაბათს, ქედიდან ჩამოვედი და ცირკთან შევხვდით ერთმანეთს. გადაწყვეტილი მქონდა საზღვაო ნავსადგურის რესტორანში უნდა დამეპატიჟებინა... როგორც მოვილაპარაკეთ, მხოლოდ მე და ნიამორი ვიქნებოდით, მაგრამ რესტორანი არ ისურვა, კია მარტი, მაგრამ სადმე გარეთ ჩამოვსხდეთო – მითხრა. ბულვარში გავედით და საზაფხულო თეატრსა და კოლონადებს შორის არსებულ, ნახევრად ღია კაფეში ჩამოვსხედით. მისი სურვილით, მხოლოდ ორი ხაჭაპური და წვენები შევუკვეთე...

გასულ წელს აქ ბავშვობის მეგობრებთან ერთად ვიყავი. სოფელში რომ ვქეიფობდით, მამიდაშვილმა ფრიდონ ცინცაძემ აიხირა, გინდა არ გინდა, ბათუმში წავიდეთო... იმხანად ნიამორს არ ვიცნობდი. ძალიან დიდი თოვლი მოვიდა მაშინ. 1985 წლის მატის თვე იყო, გაზაფხულის სურნელება ტრიალებდა ჰაერში და მოულოდნელად ასეთ დაზამთრებას არავინ ელოდა. ქალაქში მოსული თოვლის სიდიდე ერთ მეტრს აჭარბებდა. წინადღით ჩამოვედით ხელვაჩაურში ჩემს ბიძაშვილთან და იქ გავათიეთ ღამე. ქედაში საერთოდ არ უთოვია, ხელვაჩაურში და ბათუმში კი მთელი ღამე გადაუღებლად ითოვა... ჩვენ ქეიფში შემოგვათენდა. იმოდენა თოვლი დადო, ხეები და ციტრუსი დაამტვრია, განსაკუთრებით კი მაღალი ევკალიპტები, რამოდენიმე ადგილას ძირფესვიანადაც მოეგლიჯა ქარს... გზები ჩაიხერგა, ავტომანქანები ვეღარ მოძრაობდნენ. ფეხით ჩამოვედით ქალაქში...

დათოვლილ ბულვარში ხეტიალის შემდეგ ბიჭები თავიანთ საქმეებზე წავიდნენ. მე ჩემს მეგობარ პოეტს ქეთევან გიორგაძეს მივაკითხე ბინაში. როგნეტა ზაქარეიშვილიც იქ დამხვდა. როგნეტაც პოეტია. კარგა ხანია ვიცნობთ ერთმანეთს. ქალაქი პარალიზებულს ჰგავდა, ავტომანქანები თოვლს დაეფარა, ქუჩებს, ტრაქტორებთან ერთად, ტანკებითა და ბეტეერებით წმენდნენ...

მე, ქეთევანი და როგნეტა სასეირნოდ გამოვედით, ბულვარის გავლით ზღვაზე ვაპირებდით გასვლას. ადამიანები სპეციალური გრძელი ჯოხებით ბერტყავდნენ ხეებსა და ბუჩქებს. ამგვარ ჯოხებს სოფელში კაკლის საბერტყ ხალას ვეძახით. ბულვარში უამრავი ხე წაექცია თოვლის სიმძიმეს, საზაფხულო თეატრის სახურავიც ჩამტვრეულს ჰგავდა, ჰგავდა კი არა, ჩამტვრეული იყო ნაწილობრივ. ქეთევანმა გალაკტიონის ლექსი „არაჩვეულებრივი ზამთარი 1911 წელს“ გაიხსენა:

ბათუმში თოვლი ისეთი არის,
რომ არ ხერხდება გაღება კარის.
შემოსწოლია კარებს ნამქერი,
ეს ოინია სუსხიან ქარის....

ბულვარიდან, გოგებაშვილის ქუჩის გამოვლით, ომში დაღუპულთა ობელისკთან ამოვედით, იქიდან კი, თითქოს თოვლის გვირაბში მივდიოდით, პროფკავშირების სახლის ბიბლიოთეკას მივაშურეთ... ბიბლიოთეკა დაკეტილი დაგვხვდა...

უკვე საღამოვდებოდა, უცებ გაირბინა გაზაფხულის სურნელებით გაჟღენთილმა და უდროო დროს მოსული მარტის თოვლივით თეთრმა დღემ. ქეთევანი და როგნეტა თავიანთ სახლებში დარჩნენ. მე ხელვაჩაურისაკენ ფეხით გავუყევი ტანკებით გათოვლილ გზას...

მე და ნიამორმა ხაჭაპური მივირთვით, კაფედან გამოვედით, „ინტურისტს“ გვერდით ჩამოუარეთ და ბარათაშვილის ქუჩისაკენ გამოვეშურეთ. გზადაგზა გასული წლის დიდთოვლობისა და ჩვენი თავგადასავლის ამბებს ვუყვებოდი. ცუდია, რომ მაშინ არ გიცნობდი... ნეტა, მეც თქვენთან ვყოფილიყავი, რა კარგი იქნებოდა თოვლიანი ბათუმი და განსაკუთრებით ბულვარიო, დანანებით მითხრა.

მე და ნიამორმა ასე უბრალოდ და მარტივად, ერთობლივად აღვნიშნეთ ჩვენი პირველი დაბადების დღე.

18 მარტი, 1986 წ.

მე და ნიამორი პირველად საახალწლო კარნავალზე შევხვდით ერთმანეთს. მან ჩემი ლექსი წაიკითხა და ჩვენი გაცნობის საბაბიც ეს იყო. შემდგომში მასთან რამოდენიმე შეხვედრამ, მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრების ლამის სტანდარტად ქცეული დღის წესრიგი, მომაბეზრებელი ერთფეროვნება მთლიანად ამოაყირავა, ამოატრიალა და არამქვეყნიური ფერებით გააფერადა...

ასე მეგონა, ჩვენ ძალიან დიდხანს ვეძებდით ერთმანეთს და, აჰა, როგორც იქნა შეგვახვედრა ღმერთმა... თუკი აქამდე ერთი ნახვით შეყვარება მხოლოდ წიგნებში წამეკითხა და ზღაპარი მეგონა, ახლა ეს ზღაპარი წამიერი მოჯადოებით რეალობად მექცა. თითქოს, არა მარტო შინაგანი ხმა, კიდევ რაღაცა და ვიღაცა ზეციდანაც ჩამომძახოდა, რომ ეს გოგო უნდა ყოფილიყო ჩემი ცხოვრების ანიცა და ჰოეც...

იმხანად ნიამორი სტუდენტი იყო, სესიები ჰქონდა და მეც რაღა გამაჩერებდა რაიონში, ყოველ დილით სამსახურში მისული მთელი დღის საქმეებს ლამის ერთ საათში ვაკეთებდი და ქალაქში გამოვრბოდი მასთან შესახვედრად.

როგორც ყოველთვის, დღესაც ადრე ჩამოვედი. ინსტიტუტიდან გამოსულს ენგელსისა და გორკის ქუჩების კვეთაში დავხვდი. გოგოები ახლდა. დამინახა თუ არა, მიატოვა ისინი და ჩემსკენ გამოემართა. მეგობრებს ხელის მოძრაობით მიანიშნა, რომ რჩებოდა და აღარ დალოდებოდნენ...

ჩვენ ვხეტიალობდით ქუჩებში და არ ვიცოდით საით მივდიოდით, რატომ და რისთვის მივდიოდით, ორივენი მხოლოდ იმას ვგრძნობდით, რომ ეს ლამაზი ხეტიალი ორივეს გვჭირდებოდა, ისე გვჭირდებოდა, როგორც ჩვენ ვჭირდებოდით ერთურთს...

მე მიყვარს ნიამორი, რატომ მიყვარს და რატომ შემიყვარდა არ ვიცი, არც მიფიქრია ამაზე, ნურც ნურავინ მკითხავს მიზეზს, თუ რატომ მიყვარს ეს საოცარი, უკეთილშობილესი და ულამაზესი გოგო... შესაძლოა ამ წუთში ეგოისტი ვარ და თან აუტანელი მესაკუთრე, რომ ეს გოგო ჩემია და მთელი ჩემი სამყარო ამ გოგოსია, რომ მთელი ქვეყნიერება მისთვის მინდა...

რა არის სიყვარული? რა ვიცი, აბა... ამას ახსნა არ აქვს... თუმცა, თითქოს გულისგულში ვიცი, მაგრამ ვერ ვამბობ, სიტყვები არ მყოფნის, ვერ ვხსნი და ვერ გამოვთქვამ, მუნჯის ენა და სიმუნჯე უფრო უხდება ამ საოცარი გრძნობის, ამ ემოციის, ამ აღტაცების, შთაბეჭდილებისა და ბედნიერების გამოხატვა-გამოთქმას, ვიდრე სიტყვა...

მე ვიცი, მწამს და მჯერა, ნიამორსაც ისეთი გრძნობა და განცდა გააჩნია ჩემდამი, როგორც

მე... ჩვენ ენით ამოუთქმელი სათქმელი უთქმელად გავანდეთ და გავუზიარეთ ერთმანეთს...

სიყვარული დღესაც ისეთი ნაზი და სათუთია, ისეთივე ჭორისა და იჭვის ბაფთებიანია, როგორც ათასლწეულების წინ იყო. მას ვერც ტექნიკური და ვერც ელექტრონული დრო-ჟამი ვერ გაახუნებს, ვერ გააფერმკრთალებს და ვერ გააცივებს...

30 მაისი, 1986 წ.

რედაქციაში წერილი მომიტანეს, ნიამორს გამოეტანებინა ავტობუსის მძღოლისთვის, ხვალ 4 საათზე პროფკავშირების კულტურის სახლთან არსებული ბიბლიოთეკა და ლიტერატურული წრე შეხვედრას უწყობენ ჯანსუღ ჩარკვიანს და რეზო ამაშუკელს, თუ ჩამოხვალ, შემომიარე და ერთად წავიდეთო...

მეორე დღისთვის რედაქტორს განთავისუფლება ვთხოვე და ბათუმს მივაშურე.

დანიშნულ დროზე მივედით ბიბლიოთეკაში, ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი ვიქტორ რუსეიშვილი და ბიბლიოთეკის დირექტორი დოდო ჯაყელი აფორიაქებული ჩანდნენ. ხუმრობა ხომ არ იყო, დედაქალაქიდან ამოდენა რანგის პოეტები ჰყავდათ სტუმრად...

ბიბლიოთეკაში დიდი ხანია არ ვყოფილვარ, ადრე ხშირად ვსტუმრობდი... ორივემ მისაყვედურა, ნამეტარი დაგვივიწყეო. სტუდენტობისას თითქმის ყოველ საღამოს ვესწრებოდი ლიტერატურული წრის შეხვედრებს. ვმსჯელობდით ლიტერატურაზე, ვბაასობდით და ვკამათობდით, აქ ძალიან ბევრი ნიჭიერი პოეტი და ლიტერატორი გავიცანი.

სამკითხველო დარბაზი გადავსებული იყო პოეზიის მოყვარულებით.

მოწვეულმა პოეტებმა ჯერ ლექსები წაიკითხეს, მერე კი შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმით გაგრძელდა. ერთმა გოგონამ მოკრძალებით ჰკითხა რეზო ამაშუკელს, თქვენი სატრფიალო ლექსების უმეტესობა ვიღაც მერის ეძღვნება, თუკი საიდუმლო არ არის, იქნებ მოგვიყვეთ მის შესახებ, რეალური პიროვნებაა თუ გამოგონილი... ბოლობოლო, „ვინ არის ეს მერი, ასეთი ცისფერი“-ო... ავტორმა ისე გარდი-გარდმო და მიკიბ-მოკიბულად უპასუხა კითხვას, ვერ გავიგეთ ხსენებული მერი რეალური იყო თუ გამოგონილი... ერთის შეკითხვამ, თბილისელ პოეტებს ბათუმი მარტო მაშინ ხომ არ გახსენდებათ, როცა ზღვაზე მოგინდებათ დასვენებაო, ჯანსუღ ჩარკვიანს ისე დააკარგვინა წონასწორობა, ლამის ყვირილით უპასუხა, თქვენ მე ვერ მასწავლით ბათუმის სიყვარულსო...

მე რეზო ამაშუკელს ვუთხარი, რომ თქვენი ლექსის სტრიქონები – „და შენი ხელი, გამხდარი ხელი, მკვდარი ჩიტივით მეჭირა ხელში“, თითქმის ერთი-ერთში ჰგავს ოთარ ჭილაძის ლექსის სტრიქონებს – „და სიგარეტი სველი და შავი, მკვდარი მწერივით მეჭირა ხელში“, მსგავსება უნებლიე დამთხვევაა თუ გავლენითაა დაწერილი-მეთქი... ადრესატს საშინლად არ მოეწონა ჩემი კითხვა, დარბაზიც სიჩუმემ მოიცვა, შევატყვე, არც ბატონ ვიქტორსა და არც ქალბატონ დოდოს ესიამოვნათ ჩემი გამოხდომა... რეზო ამაშუკელმა, მე არავისი არაფერი მესაჭიროება, სხვამ თუ გადაწერა ჩემგან, ეს სხვას შეგიძლია ჰკითხოო, უკმეხად მომაძახა. მეც გავჯიუტდი და ვუპასუხე, რომ არ ვიცი თქვენი ლექსი როდის დაიწერა, ოთარ ჭილაძის ლექსს კი თარიღად 1968 აწერია-მეთქი... ფეხზე მდგომს, ნიამორმა თვალებით მიმანიშნა, გეყოფა, დაჯექიო... ჩემი სითავხედე რომ გადაეფარა, ვიქტორ რუსეიშვილმა გალაკტიონის ბათუმში სტუმრობა გაიხსენა, თუ როგორ დატუქსა დიდმა პოეტმა ის, როცა შეხვედრაზე, როგორც ერთ-ერთმა მომხსენებელმა, პოეტის შემოქმედება რევოლუციამდელ და რევოლუციის შემდგომ პერიოდებად დაყო, რომ არავითარი სიმბოლიზმისდროინდელი და მის შემდგომი პოეზია გალაკტიონს არ ჰქონია, ეს ყველაფერი ვაიკრიტიკოსების მიერ იყო შეთხზული და მოგონილი...

საღამოს დასრულებისთანავე მე და ნიამორმა პირველებმა დავტოვეთ ბიბლიოთეკა. გზაში სიცილით მეუბნებოდა: მაინც რა გრჯიდა, ამოდენა კაცი, თანაც სტუმარი, მწყობრიდან რომ

გამოიყვანეო... ორივე კარგი პოეტია, მაგრამ ორივე ნამეტარი ბრახუნაა, აქაურობას, როგორც პროვინციას ისე უყურებენ-მეთქი...

10 ივნისი, 1986 წ.

ბულვარის ცენტრალურ შესასვლელთან ვდგავარ, იქ, სადაც კოლონადები და ლომების ქანდაკებებია. ნიამორს ველოდები, ჯერ კიდევ გუშინ საღამოს, სახლში რომ გავაცილე, დამითქვა, ხვალ ლექციების მერე მოვალო. ჰოდა, ვდგავარ, ველოდები და ველოდები, ხან იქით მივდივარ, ხან – აქეთ, ვწრიალებ, ვბორგავ, სულწასულობას ვერ ვერევი. ლამის ერთი საათი გავიდა დათქმული დროიდან, ნიამორი არ ჩანს, არა და არ ჩანს. ათიოდე ღერი „პლისკა“ მქონდა, ყველა მოვწიე. გამვლელ-გამომვლელებს გიჟი და არანორმალური ვგონივარ... ვეგონო, აი, დარდი, სულაც არ მადარდებს მათი გაოცებული შეთვალიერებები... მე რაც და ვინც მადარდებს, ისაა მთავარი, ის არ ჩანს, ოღონდ გამოჩნდეს, რამე არ მოუვიდეს, ცუდი არ შეემთხვეს და...

...მადლობა ღმერთს, მოდის, კი არ მოდის, ფოთოლივით მოშრიალებს, ცეკვა-ცეკვით მონარნარებს, ხელჩანთას მოათამაშებს... თმებზე ოქროს ცეცხლი უკიდია, კოპლებიანი კაბა აცვია, ოდნავ მუხლებამდე... ლამაზია ოხერი, ძალიან ლამაზი... აი, მოვიდა, იცინის. ნელი დუმბაძის ლექცია გვქონდა, ლადო ასათიანზე გვიყვებოდა, ამიტომ დამაგვიანდაო. ჩემი სიბრაზე და გამეხება სიგარეტის კვამლივით ქრება, უცებ ვრბილდები და ვთვინიერდები...

იმ დღეს ბევრი ვიხეტიალეთ მაგნოლიებში, დიდხანს ვისხედით დამალულები ლერწმის ბაღში, ვიკითხეთ ლექსები, ვიკამათეთ, ვიდავეთ... შევრიგდით, გავისუსეთ ერთმანეთში, გავირინდეთ და ჩავირინდეთ.

წამოსვლისას სტალინის გამზირზე, ეროვნული ბანკის ქვეშ მდებარე წიგნების მაღაზიაში შევიარეთ. მე ნიამორს შოთა ჩანტლაძის ლექსები „თენდება, ღამდება“ ვაჩუქე. ნიამორმა უიტმენის „ბალახის ფოთლები“ მისახსოვრა წარწერით:

„რაც უნდა ღმერთმა ტანჯვა მოგაგოს,
სხვის სანთელს სული არ შეუბერო“.

უცნაურია, „ბალახის ფოთლების“ წაკითხვა, თავდაპირველად, საშინლად მემძიმა, უხეში ფორმა და ქვასავით მძიმე სტილი, ლექსს ლექსად კი არა, პროზად უფრო წარმოაჩენს. შესაძლოა, ასეთი შთაბეჭდილება იმიტომ დამრჩა, რითმებით რომ მაქვს ყურები გამოტენილი... თუმცა, რამდენიმეჯერ წაკითხვის შემდეგ, პირველყოფილი, უარყოფითი ემოცია ნელ-ნელა მიინავლა, ნისლივით გაქრა და ის არაჩვეულებრივი, მშვენიერი დახვეწილობა შემომრჩა, ყოველი ლექსის არასტანდარტულ სტრიქონებსა და უსწორმასწორო სტროფებში რომაა ჩაბუდებული.

16 ივნისი, 1986 წ.

ბარე ორი თვე მოუნდა მწერალთა ორგანიზაციას, ჩემი ლექსების განხილვის დღე რომ დაენიშნა...

ნეტამც არ დაენიშნა...

ნეტამც არ განეხილა...

წარდგენილი ლექსების გამოწვლილვითი განხილვა ამირან ხაბაზს დაავალეს. ხუთგვერდიან რეცენზიაში ერთი სიტყვაც არ ერია დადებითი. რა და რის პოეტიო, სანდრო ბერიძე პოეზიის მოყვარული უფროა და მკითხველი, ვიდრე მწერალიო... დაუნდობლად გადამიარა, მომთხარა და მომინელა.

ემენ დავითაძე უფრო შორს წავიდა, აჭარული დიალექტით დაწერილ ყველა ლექსს მიაწერა: „დიალექტით ზურაბ გორგილაძემ ვერაფერს მიაღწია და შენ რაღას ირჯები“-ო.

მამია ვარშანიძეს ლექსებზე უფრო ჩემი თმები მოეწონა... კარგი ახალგაზრდა ჩანს, ძალიან უხდება გრძელი თმები, ნამეტანი პოეტურიაო...

ქსენია მჟავიამ – ნამეტანი გავლენები აქვსო... განსაკუთრებით სალუქვაძისაო...

ჯემალ ჯაყელმა – ამ ყმაწვილმა ჯერ კიდევ ბევრი უნდა იკითხოსო...

ფრიდონ ხალვაშმა – უდროობის გამო ვერ წავიკითხე და ვერაფერს ვიტყვიო...

ჯემალ ქათამაძემ – მეო, ამას წინათ თბილისში მწერალთა კავშირში მომიწია სიტყვით გამოსვლა და აქაურ ახალგაზრდა მწერლებთან ერთად შენც გახსენეო...

მხოლოდ ორმა პოეტმა – ვახტანგ ღლონტმა და ცისანა ანთაძემ დამაიმედა და შემაგულიანა. ვახტანგმა ჩემი ლექსებიდან „ტერენტი გრანელს“ წაიკითხა, ცისანამ – „უსინათლო გოგონას ლოცვა მომაკვდავი დედის გამო“ და იქით შეუტიეს დამსწრეთაგან ბარემ ყველა თავდამსხმელს, რაღა სუსტ სტრიქონებს დაეძებთ, აგერ, ამ ლექსებს რას უწუნებთ, თითოეულმა თქვენგანმა მწერლობაში პირველად შემოსვლა გაიხსენეთ და მერე შეუტიეთ ახალბედებსო...

გარეთ ნიამორი მელოდებოდა. წამო, ზღვაზე გავიდეთ-მეთქი, ვუთხარი. დაბღვერილი და ცხვირჩამოშვებული რომ დამინახა, მიხვდა, რაშიც იყო საქმე. სანაპიროზე რომ გავედით, ყველა ლექსი დავხიე და ზღვის ტალღებს მივეცი. ნიამორი შეეცადა დახეული ფურცლების აკრეფას... დაანებე თავი, ვის რაში სჭირდება ეგ ნაგავი-მეთქი. ჩემთვის ძვირფასიაო, მიპასუხა და „უსინათლო გოგონას ლოცვის“... წაკითხვით შეეცადა დავემშვიდებინე...

19 ივნისი, 1986 წ.

კინოთეატრ „თბილისში“ ინდური მუსიკალური მელოდრამა „დისკოს მოცეკვავე“ გადის. როგორც იტყვიან ხოლმე, ჯგლეთაა ბილეთებზე. ნიამორმა მთხოვა, მე და ჩემს მეგობარს გვინდა ფილმის ნახვა და იქნებ როგორმე ბილეთები გვიშოვოო. მითხუნ ჩაკრაბორტი ასრულებს მთავარ როლს, აფრენენ ამ არტისტზე გოგოები.

ნიამორი ხშირად მის მეგობართან რჩებოდა ღამ-ღამობით. მისი მეგობარი ბარათაშვილის ათ ნომერში ცხოვრობს. ერთი ოთახი აქვს ნაქირავები, პატარა დერეფნით. ძველი ხის სახლია. მეპატრონე მოხუცი ქალია, ვალია ჰქვია, შვილებივით უყურებს გოგოებს. ზოგჯერ გვიანობამდე რომ დავრჩები მათთან, შემოვა და ხუმრობით შემომიტევს: ვერ ხედავ, დაღამდა უკვე, მოუსვი ახლა აქედან, ნუღარ აწუხებ გოგოებს, თორემ ცოცხით აგიჭრელებ ფეხებსო... მეც რაღა გზა მაქვს, კარგი, კარგი ვალია ბებო, არ გამლახო და მივდივარ-მეთქი, სიცილით ვეუბნები.

ბილეთების შოვნა გამიჭირდა. ჩემს სოფლელ მილიციონერს, რომელსაც თანამშრომლები ზედმეტსახელად „კუკარაჩას“ ეძახდნენ, ვთხოვე, იქნებ როგორმე მაშოვნინე ბილეთები-მეთქი. არ იდარდო, ექვსის სეანსზე გავაჩალიჩებო. მართლაც მიშოვა, არც ფული გამომართვა. ხუთ საათზე ბინაში მივაკითხე გოგოებს, ნიამორი მარტო იყო ბინაში. მის მეგობარს დაებარებინა, კინოთეატრის ეზოში დაგვხვდებაო. მე როცა მათთან მივდიოდი, იგი ხშირად მოიმიზეზებდა, საქმეები მაქვს, ხან იქ უნდა მივიდე და ხან აქო, იტყოდა და მე და ნიამორს მარტო გვტოვებდა, დარწმუნებული ვიყავი, ახლაც მომიზეზებული მიზეზით იქნებოდა წასული...

ჩვენ ნახევარი საათით ადრე გამოვედით ბინიდან, გალაკტიონის ძეგლთან გავჩერდით.

გალაკტიონის ძეგლი რომ დაიდგა, თავდაპირველად არ მოგვეწონა, ყველა ბათუმელისაგან მხოლოდ ამას გაიგონებდით: რას ერჩოდნენ გალას, მარტო თავი, კისრის გარეშე, რომ დადეს პიედესტალზეო... მაგრამ დროთა განმავლობაში ისე შევეჩვიეთ, ალბათ სხვაგვარი ძეგლი არც კი მოუხდებოდა ბათუმს და განსაკუთრებით იმ ადგილს, საიდანაც ტატო ბარათაშვილის ქუჩა იწყებოდა... ნიამორმა მოულოდნელად ერთი სტროფი ლექსი ექსპრომტად წარმოთქვა:

> თუ ფიროსმანზე ცხოვრობდა ლადო,
> და თუ ხვდებოდა დილით ნიკალას,
> ბარათაშვილით მე დავალ მარტო
> და „ლურჯა ცხენებს“ ვუკითხავ გალას...

მეც ვაპირებდი სახელდახელოდ რაღაცის თქმას, ველარ მოვახერხე, გალას ძეგლთან მყოფებს მისმა მეგობარმა მოგვაკითხა და გვითხრა, დავუჩქარეთ თორემ სადაცაა დაიწყება ფილმიო...

ათი სრულდებოდა, ფილმი რომ დამთავრდა. მაინცა და მაინც არ ვიყავი ინდური ფილმების

მოტრფიალე, მუდამ მღლიდა და მბეზრდებოდა ხელოვნურად გაწელილი სცენები, ზოგი ფილმის ნახვისას სული ერთი მქონდა როდის დასრულდებოდა მოსაყირჭებელი სიმღერები... „დისკოს მოცეკვავე“ შედარებით უკეთესად მომეჩვენა. ქუჩის მუსიკოსის ბედი და ცხოვრების ისტორიაა გადაღებული... ინდური ფილმების მიმართ ნიამორიც ჩემს აზრზე იყო, ერთხელ შეიძლება ნახო, მეტი ნახვის სურვილი აღარ გაგიჩნდება ადამიანსო, ამბობდა...

ფილმის ნახვის შემდეგ ბულვარის ცენტრალურ შესასვლელს მივაშურეთ. ფერადი შადრევნები ჩართული იყო. შადრევნები ერთ-ერთი პოპულარული სავიზიტო ბარათი და ღამაზი სახეა ბათუმისა... როგორც ყოველთვის, ამ საღამოსაც უამრავი ადამიანი სეირნობდა აქ, უმეტესობა რუსებია, განსაკუთრებით ქალები... ვიღაც შარლატანი უხეშად გაეხუმრა ნიამორს. მე, მუდამ ემოციური, ფეთქებადი და მოუთმენელი, რაღას მოვითმენდი... წაძიძგილავებას ცოტა დაგვაკლდა, ისევ გოგოებმა დაგვაშოშმინეს. ერთი მათგანი შედარებით გაზრდილი აღმოჩნდა, ბოდიში მოუხადა გოგოებს...

ბულვარში სეირნობის შემდეგ, ცოტა ხნით ზღვაზე გავედით და ლექსები წავუკითხეთ შავ ზღვას.

გოგოები სახლში რომ მოვაცილე, ვალია ბებოს არ ეძინა, დამტუქსა, ასე რატომ დაიგვიანეთო...

მე ხელვაჩაურში წავედი, ჩემს ძმასთან, ცხრა ნომერი „ლაზის“ ტიპის ავტობუსის ბოლო რეისი ღამის პირველ საათზე გადიოდა საკოლმეურნეო მოედნიდან, ძლივს მივუსწარი...

22 ივნისი, 1986 წ.

მე და ნიამორი მონუსხულებივით ვიდექით ხატებისა და სანთლების წინ. ეს ის დროა, ათეიზმი რომ ბობოქრობს და ჯერ კიდევ, ხსოვნის გადანახულ სკივრში აქვს ადამიანს შენახული ეკლესიაში შესვლის მძაფრი სურვილი.

ეკლესიას უხმოდ რომ დავტოვებთ და ქუჩაში გამოვალთ, ნიამორი მისეული ხმათაფლა ხმით მკითხავს:

– ადამიანს მართლა ორი რამის ეშინია?

– რა ორი რამის-მეთქი, – ვუბრუნებ კითხვას.

– ადამიანს სიკვდილისა და მარტოობის ეშინია?

– ვინ გითხრა? – ვეკითხები გაკვირვებული.

– გახსოვს, დევიდ უვეისის „შიშველი მოველ ამ ქვეყნად“, კამილას ბედისწერა არაფერს გეუბნება?...

მე და ნიამორმა დაზაფრული ტონით ვიკამათეთ ამ თითქოს მარად პასუხგაუცემელ და თან მარად პასუხგაცემულ კითხვაზე.

ნიამორს კამილა კლოდელი მოსწონს.

მე – ოგიუსტ როდენი.

ნიამორი გიჟდება და აღფრთოვანებულია კამილას შედევრებით, საოცრად უყვარს „დავიწყება“ და „ვალსი“.

მე ნიამორის აღტაცებას როდენის „კოცნას“ ვუპირისპირებ. ბრაზდება ხოლმე, არ უყვარს როდენი, ამტყუნებს მას, მოდელად გამოიყენა კამილა და გადააგდოო, განსაკუთრებით მაშინ ვერ მალავს როდენისადმი რისხვას, როცა ვილევრარის შეშლილთა საავადმყოფოზე ჩამოვაგდებთ საუბარს...

– სიკვდილი სიკვდილია, თანამდევი და მარადი მაყარი, ედემიდან გამოძევებული ადამის ჯიშისა და მოდგმისა, მაგრამ აი... სიმარტოვე და სიმარტოვის განცდაც თითქმის ყოველდღიურ თანამდევ პრობლემად გადაქცეულა ადამიანისთვის თერმობირთვული დაზამთრების, ატომგულის და ავტოსტრადების ცივ და ულმობელ დროში-მეთქი, წავიფილოსოფოსე ნიშნის მოგებით და დაველოდე თუ რას მიპასუხებდა.

– სიმარტოვეც სიმარტოვე იყო ყველა დროსა და სივრცეში. იგი, განსაკუთრებით, დიდი ცივილიზაციის ტყუპისცალად, დიდი ქალაქების პრობლემად იქცა, სადაც ისეა ჩაკარგული ადამიანი, თავისი სულიერი თუ სოციალური პრობლემებით, რომ არავის, არც თავად მას – სიმარტოვეს, სცალია, არათუ სხვისი, საკუთარი მარტოობისთვისაც კი. ამიტომაც ეძებს ერთი ადამიანი მეორე ისეთ ადამიანს, რომელიც გაინაწილებს მის სიმარტოვეს, თუნდაც იმის გამო,

მისი მარტოობის შესახებ რომ მოუყვეს. განა ასე არა ვართ, ამ წუთში მე და შენ? ანუ, შენ – მე და მე – შენო, მიპასუხა და გაირინდა. მიხვდა, ბოლო სიტყვებით კამათის ყველა გზა რომ მომიჭრა და დამაშამათა.

მე და ჩემი დამუნჯება, იმ მომენტში, მოულოდნელი სიხარულის ტყვე ვიყავით და ეს ტყვეობა ყველაზე ლამაზი ტყვეობა იყო, ყველანაირ ტყვეობას შორის.

ჩემი კმაყოფილების შემყურე, ნიამორს მისეული, მიწიდან ცაში გადარგული, არამიწიერი და არაამქვეყნიური ღიმილით გაეღიმა.

24 ივნისი, 1986 წ.

მწერალთა ორგანიზაციაში შემთხვევით მისულს ქალბატონმა ქსენია მჟავიამ მითხრა, ხვალ საღამოს ექვს საათზე „ოფიცერთა სახლში“ ახალგაზრდა პოეტების საღამოა, გამომსვლელებში შენც ხარ ჩაწერილი და არ დააგვიანოო. გამიკვირდა, რომ არ შემომევლო, გამაგებინებდნენ ვითომ? ჩემი მტერი არაა...

მეორე დღეს დილით ნიამორს მივაკითხე ინსტიტუტში. პოეზიის საღამოს შესახებ ვუთხარი. მეც წამიყვანე თუ შეიძლებაო, მთხოვა. უშენოდ ფეხსაც არ მივადგამ-მეთქი, ვუთხარი.

ექვსის ნახევარზე „ოფიცერთა სახლის“ წინ მისულებს ზურაბ გორგილაძე დაგვხვდა, მარტო იყო, სიგარეტს ეწეობა. ეს ანგელოზი ვინააო, მკითხა, ნიამორია-მეთქი, გავაცანი. სახელი გაიკვირვა, შენ შეარქმევდი ამ ლამაზ სახელსო და ნიამორს გაუღიმა. ზურაბ გორგილაძე პირველად ვახტანგ ღლონტმა გამაცნო. რესტორან „აჭარაში“ ქეიფობდნენ ომზირ ღლონტთან და რამოდენიმე თბილისელ ახალგაზრდებთან ერთად. როგორც ყოველთვის, თამადა ზურაბი იყო. ვახტანგმა, როგორც ქედელი და როგორც ახალგაზრდა პოეტი, ისე წარუდგინა ზურაბს ჩემი თავი. ზურაბმაც, აბა აქ მე და შენ ვყოფილვართ მარტო აჭარლებიო და გვერდით მომისვა...

მე, ზურაბსა და ნიამორს მოულოდნალად ბელა ქებურია შემოგვემატა. ბელა ცისფერ კაბაში იყო გამოწყობილი, მართლაც ფერიას ჰგავდა ციდან ჩამოფრენილს. ამასობაში ცისფერ კაბაში გამოწყობილი ნათელა დუმბაძეც გამოჩნდა. ჩვენთან აღარ მოვიდა, პირდაპირ შენობისკენ გაემართა. მე ნათელას შორიდან ვიცნობდი. პოეტებისგან მქონდა გაგონილი, ქედელი გოგოა, საოცარ ლექსებს წერსო. იმხანად „ჭოროხში“ მისი ოციოდე ლექსი დაიბეჭდა, ყველა ნათელას შესახებ ლაპარაკობდა, ამდენი ლექსის ერთად დაბეჭდვა, იშვიათობა იყო.

ოფიცერთა სახლის ეზოში ფრიდონ ხალვაში, დინამოს სტადიონის მხრიდან მოვიდა ფეხით, შორიდან მოგვესალმა. ზურაბი და ფრიდონი ერთად შევიდნენ შენობაში. მე და ნიამორმა ხალხით გადაჭედილ დარბაზში ძლივს მოვიძიეთ ადგილები. საღამოს ფრიდონ ხალვაში უძღვებოდა. მე ძალიან განვიცდიდი, ვშიშობდი, ვაი, თუ შემეშალა წაკითხვა-მეთქი. არ მეხერხება საჯაროდ კითხვა, როცა დარბაზს გადავხედავ და ათასი თვალის მოჩერებას ვხედავ, საშინლად ვიბნევი. რომ გამომიძახეს, ნიამორმა შემაგულიანა, მე მიყურე, ჩათვალე რომ მარტო მე და შენ ვართ და მე მიკითხავ ლექსსო. არ მახსოვს როგორ ჩავამთავრე კითხვა, სახეალეწილმა ძლივს მივაღწიე ნიამორამდე. ნიამორმა მაკოცა და გამოსვლა მომიწონა, არა და ჩემს მოგუდულ ხმაში მოსაწონი არაფერი იყო.

შესანიშნავად წაიკითხეს ლექსები ბელა ქებურიამ, ნათელა დუმბაძემ, ჟუჟუნა ხაჯიშვილმა, ზურაბ ფირცხალაიშვილმა, ამირან ხაბაზმა... ვახო ღლონტის გამოსვლაზე ლამის დაინგრა დარბაზი ტაშით... ნუგზარ ჯაფარიძე მოულოდნელად ფრიდონს „დაეტაკა“, ახალგაზრდებს სათანადო ხელშეწყობა არ აქვთ, მწერალთა ორგანიზაცია ხელს არ უწყობს მათ წარმოჩენასო... ფრიდონ ხალვაშმა აუღელვებლად უპასუხა, დაგვდე პატივი და, ბოლოს და ბოლოს, გვაჩვენე შენი ნაწერები, მოგვიტანე, რატომ არ მოგაქვსო...

საღამოზე, მარტო ახალგაზრდებმა კი არა, როგორც იტყვიან ხოლმე, ბევრმა „ძველგაზრდამაც“ წაიკითხა ლექსი. შეხვედრა ლამის სამ

საათს გაგრძელდა. დარბაზი გადაჭედილი იყო პოეზიის მოყვარულებით.

ეს საღამო ერთ-ერთი რომანტიული და დასამახსოვრებელი საღამო იყო, არა მარტო ჩემთვის და ნიამორისთვის, არამედ ბათუმელებისთვის.

მე და ნიამორი მომღერალ შადრევნებთან გავედით და კოლონადების გვერდით ძელსკამზე ჩამოვჯექით...

ნელი ნიავი, ზღვაზე თავდასახრჩობად ჩაგორებული მზის მოელვარე სხივებით, თითქოს ღამეულ ჰამაკს უქსოვდა პოეზიამოწყურებულ ქალაქს დასაძინებლად.

28 ივნისი, 1986 წ.

დღევანდელი შაბათი ნიამორმა მთლიანად მე მაჩუქა. მთელი დღე მწვანე კონცხზე, ბოტანიკურ ბაღში ვიხეტიალეთ. ნიამორი ყვავილებით მოვრთე, თმები გავუშალე, შუბლზე დაწნული გლიცინიები შემოვაკარი, ისედაც ლამაზმა, მთლად ველური სილამაზე მიიღო, ინდიელთა ტომის ბელადის ქალიშვილს დაემსგავსა...

ვიდრე ნიამორს ყვავილებით ვრთავდი, თავს ზონზროხა მილიციონერი წამოგვადგა, ყვავილების კრეფა აკრძალულია, შეეშვით თორემ, მილიციის განყოფილებაში წაგაბრძანებ ორთავესო, დაგვემუქრა... მეტს აღარ ვიზამთ უფროსო-მეთქი, ხუმრობანარევი ტონით ვუთხარი და გავეცალეთ იქაურობას. ბაღის შესასვლელიდან აღმა მიმავალ ბილიკს ბოლომდე ავყევით, ოდნავ გავაკებულზე, სადაც ტურისტებისთვის სპეციალური მოსასვენებელი ადგილია და ზღვა ხელისგულივით მოჩანს, ცოტა ხანს ჩამოვისვენეთ, ულამაზესი ხედის ცქერით გული ვიჯერეთ და ჩაქვის მხარეს, დაღმართში დავეშვით. თუკი ბაღის გადმოღმა მხარეს ტურისტები მიმოდიოდნენ, გადაღმა მხარე, თითქმის ცარიელი იყო, ადამიანების ჭაჭანება არ ჩანდა... ზღვის ნაპირამდე ცოტაღა დაგვრჩა, გზიდან გადავუხვიეთ და ფოთლოვანი ხეებით დაფარულ კორდზე წამოვწექით. კარგა ხანს ვიყავით გასუსულ-გატრუნულები... მე თავი ნიამორის კალთაში მედო და ზეცას ავყურებდი... ირგვლივ პოეტურ-რომანტიულ ფერებში ყვაოდა ყველაფერი... მართლაც ნეტარებითა და ბედნიერებით გამორჩეული შაბათი იყო. მხოლოდ ლექსი გვაკლდა. თითქოს გრძნეულივით ამოიცნო ნიამორმა ჩემი ფიქრი, რამე წამიკითხეო, მთხოვა... კარგი, პოეტი-ევას ლექსს წავიკითხავ-მეთქი და დავიწყე:

პატარას უყვარდა მეორე პატარა,
დაჰქონდათ გულები იმედით გამთბარი,
ბედმა კი ორივე შორიშორ ატარა,
არ მისცა საფარი, არ მისცა საფარი.
იმედის სხივები სიკვდილმა დაწიწკნა,
სიყვარულს რაც სურდა, სიძულვილს არ სურდა.
ანკარა წვეთივით ციმციმა და ციცქნა,
მზისფერი ყვავილი კვირტშივე დასრულდა.
ცრემლი მარტოობის ტიროდა ცის ცაზე,
ღრუბლებში ოცნების ნამსხვრევი ეყარა,
ხოლო მზისქვეშეთში – ამ ცოდვილ მიწაზე,
ჩვეული ცხოვრებით ცხოვრობდა ქვეყანა.
წაიღეს სურვილი პაწია მუჭითა,
საფლავებს უამბეს მათ-მათი ზღაპარი.
უფალს რა უჭირდა... უფალს რა უჭირდა,
მიეცა საფარი, მიეცა საფარი.

– მაინც რამ დაგაწერინა ასე ტრაგიკულობით გაჯერებული ლექსი? – ვკითხე წაკითხვის მერე. – დამაწერინა თუ დააწერინა? – მიბრუნებს კითხვას. და მე აღარაფერს ვპასუხობ...

ნიამორს არ უყვარს მისი ლექსების გამოჩენა. მალავს, ეს ლექსი კი შემთხვევით ჩამივარდა ხელში, არ ეგონა ამ ლექსის შესახებ თუ ვიცოდი. მოულოდნელად ცვლის სალაპარაკო თემას...

– იცი, ამ ლამაზ ყვავილებს რა ჰქვია? – მეკითხება და თან იქვე ბუსუსებიან ყვავილებზე მიმითითებს.

– რა ჰქვია, აბა? რას ეძახიან? – კითხვას იქით ვუბრუნებ.

– ეს ყვავილი „ანდერსონის ვერონიკაა ზელანდიიდან“. – ღიმილით მპასუხობს.

– შენ საიდან იცი? – არ ვეშვები მე.

– აგერ, საინფორმაციო დაფაზე აწერია. არც მე არ ვიცოდი. მხოლოდ ის ვიცი, რომ ბერძ-

ნული მითოლოგის მიხედვით ვერონიკა ზევსისა და ჰერას ასულის სახელი უნდა იყოს. ასე ვისწავლეთ საზღვარგარეთის ლიტერატურაში...

– სამაგიეროდ, ამ ლამაზ ყვავილს შენი სახელი – „სანდროუკას ნიამორი ქედიდან“, – ჰქვია-მეთქი, – ღიმილით ვეუბნები და თან შროშანის მაგვარ ყვავილზე ვუთითებ...

– კი ჰგავს შროშანს, მაგრამ შროშანი არაა, ეს თეთრი ამარილისია, ასე წერია მის დაფაზე, თან ჰოლანდიურია, მაგრამ რადგან შენ ასე გსურს, ეგრე იყოს... – დამიდასტურა და ჩვენც უსიტყვო შეთანხმებით მოვრჩით საუბარს.

როგორც ბოტანიკოსები ამტკიცებენ, ბათუმის ბოტანიკურ ბაღში მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან ჩამოტანილი ხუთი ათასამდე მცენარე ხარობს. ბაღი მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური განაშენიანებაა, სილამაზით მართლაც ედემს ჰგავს, სამოთხეა, ულამაზესი ფერები და საოცარი სურნელება იფრქვევა ბაღის ტერიტორიაზე...

მე და ნიამორი ისე გავერთეთ სეირნობა-ხეტიალში, საღამოსპირისკენ წასული დღე ველარც კი შევამჩნიეთ. ბაღის ფერდობს ბოლომდე ჩავყევით და ზღვისპირზე ამოვყავით თავი. უკან დაბრუნებულებს, აღმართზე ასვლა დაგვეზარა და ზღვისპირზე მიმავალ ლიანდაგს გამოვყევით. მახინჯაურის გვირაბთან მოსულებს, დაცვის ბიჭებმა გვირაბში გასვლაზე უარი გვითხრეს, აკრძალულია და გვირაბში შესვლა არ შეიძლებაო... ნიამორმა მაინც დაიყოლია და გვირაბში თავად დაცვის ბიჭები შეგვიძღვნენ... მათი წყალობით ძალიან მოკლე დროში ისევ ბაღის შესასვლელთან ამოვყავით თავი, იქიდან კი ავტობუსით ქალაქისაკენ გამოვემგზავრეთ...

7 ივლისი, 1986 წ.

ნიამორი გამეხუტა. ორი კვირაა უკვე აღარსად ჩანს. ნერვები დაფუშვა-დაწყვეტაზე მაქვს. ახია ჩემზე, რას ვერჩოდი, უნდა დამეთმო კამათში, მეც კაი ოხერი ვინმე ვარ, საოცრად მსიამოვნებს მისი გაბრაზება, როცა გაბრაზებული და გამეხებულია, ისეთი ლამაზია, ისეთი მიმზიდველი, ცოცხლად შეჭმა მინდება ხოლმე. კი, კი, სადისტი ვარ, აბა რა ვარ... აბა სხვა რა ეთქმის ჩემნაირ გულქვასა და გულცივს, საყვარელი გოგოს გაბრაზება რომ გესიამოვნება კაცს, ქვა და ოხერი ხარ, აბა რა ჯანდაბა ხარ...

კი მომახალა იმ დღეს, ნამეტანი დაუნდობელი, უკიდეგანოდ რადიკალი და ზოილიზმით შეპყრობილი პოლემისტი ხარო.

მე ჩემს აზრს ვიცავდი, როგორც ამას ადრე ვაკეთებდი, ასე მჯერა და მწამს, ქართველი თუ ხარ აუცილებლად ქრისტიანი და თან მართლმადიდებელი უნდა იყო, არაქრისტიანი ქართველი სრულყოფილი ქართველი ვერ იქნება-მეთქი.

ნიამორს სხვანაირად სწამს და სჯერა, გამუდმებით მიმტკიცებს, მუსლიმი ქართველიც ისეთივე ქართველია, როგორც ნებისმიერი აღმსარებლობისაო. ისლამიც ისეთივე ზნეობრივად ამაღლებული და პატივსაცემი რელიგიაა, როგორც ქრისტიანობაო, ნუ დაგავიწყდებაო, რომ მტრისგან ძალად თავსმოხვეულ საქართველოს კუთხეებში: ტაო-კლარჯეთში, მესხეთში, აჭარაში, ჰერეთში, აგერ სამ საუკუნეზე მეტია გასული, რაც იქაური მოსახლეობის ნაწილი ისლამის მიმდევარია და ისეთივე ღვიძლი შვილები არიან საქართველოსთვის, როგორც დანარჩენი კუთხეების მაცხოვრებლებიო...

ჰო, მაგრამ ხსენებულ კუთხეებში ამ ხნის მანძილზე რატომ არ შეიქმნა ქართული მუსლიმური კულტურა და მანამდე რატომ ყვაოდა ქართული ქრისტიანული კულტურა? განა ამ კუთხეებმა არ მისცა საქართველოს გრიგოლ ხანძთელი, შოთა რუსთაველი, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდლები, ბექა და ბეშქენ ოპიზრები, აბუსერისძე ტბელი... ერთი სიტყვით, არსებობს ბუნებრივი კანონზომიერება, ყოველი ერი მაშინ მიიღებს, თუნდაც ცეცხლითა და მახვილით თავს მოხვეულ რელიგიას, როცა ერის ნაციონალური ბუნება და თვისება ჰარმონიულად შეითვისებს და შეისისხლხორცებს რელიგიის ბუნებას, ხასიათსა და თვისებას-მეთქი...

შენო, გამიჯავრდა ნიამორი, სარწმუნოებასა და რელიგიას ერთმანეთში აიგივებ... კი, ნების-

მიერი ერის განვითარების გარკვეულ ეტაპებზე თუ ცხოვრებაში იყო პერიოდები, როცა ეროვნება და სარწმუნოებრივი აღმსარებლობა გაიგივებული იყო და ასეთი ერთიანობა ერისა და საზოგადოების სიმტკიცეს უწყობდა ხელს, მაგრამ, დღეს, ამ ჩვენს ტექნიკურ ეპოქაში, ცხოვრების ასეთი ფორმულა ვეღარ მუშაობს, მოძველდა, გახუნდა და გაცვდა, ამიტომაც ჩვენს საუკუნეში, როცა ადამიანმა ფეხი დაადგა მთვარეზე და საუკუნეების მანძილზე არსებული უამრავი საიდუმლოებები გაცხადდა, მთავარი სარწმუნოება კი არა, ეროვნული ცნობიერების არსებობაა... მომახალა ნიშნის მოგებით და წავიდა... წავიდა და წავიდა... აგერ ორი კვირაა აღარსად ჩანს.

ახია, ჩემზე, ახი... იწრიალე ახლა, სანდრო-უკა, აქეთ-იქეთ, წაღმა-წამოღმა და ელოდე როდის გამოჩნდება... ღმერთ-გოგო.

ოღონდ გამოჩნდეს და...

უღმერთობასაც დავიჩემებ.

14 ივლისი, 1986 წ.

ბოლო დღეები და ღამეები გამორჩეულად მძიმე და დაძაბული იყო ჩემთვის. ღამეები-მეთქი, თორემ ორი-სამი ღამე დღესავით თეთრად გავათენე, ერთი წამითაც არ მომიხუჭავს თვალი. ქალაქის №1 საავადმყოფოში ჩემს ძმას ოპერაცია გაუკეთეს და მე ვიყავი თავმდგმურად. ღამეს მისსავე პალატაში ვათევდი...

შუაღამისას პალატიდან გარეთ სიგარეტის მოსაწევად გამოვედი, შაუმიანის ქუჩის მხარეს ღია ფანჯარაში გადავდექი და სიგარეტს მოვუკიდე თუ არა, დერეფანში ყრუ ხმაური ატყდა, ექთნები და მორიგე ექიმი სამორიგეო ოთახიდან მოპირდაპირე პალატისაკენ მირბოდნენ. მეორე სართულზე ღამ-ღამობით მორიგე ექიმისა და ხუთიოდე ექთნის გარდა ვერავის ნახავდით. ერთ-ერთმა ექთანმა, ფანჯარასთან მდგომი რომ დამინახა, მომაძახა, ახალგაზრდავ, თუკი შეგიძლიათ, მოგვეხმარეთო და პალატაში ბოლო შევიდა. ჩაუმქრალი სიგარეტი ქუჩაში გადავაგდე და მეც პალატაში შევვარდი. საწოლზე პაციენტი იწვა და თეთრი ზეწარი ჰქონდა გადაფარებული. ოთახში მყოფი კიდევ ორი ავადმყოფი ექთნებს მეზობელ პალატაში გადაეყვანათ. მორიგე ექიმმა საკაცე რომ მოიტანა, მაშინ მივხვდი რომ პაციენტი უკვე გარდაცვლილი იყო. ექთნებმა ზეწარგადაფარებული ცხედარი საკაცეზე გადმოიტანეს და მთხოვეს, მიცვალებულის მორგში ჩატანაში მივხმარებოდი. ასეც მოვიქეცი. მეორე სართულიდან პირველი სართულისკენ კიბეზე რომ დავეშვით, დაღმართზე მიცვალებულს ზეწარი ნაწილობრივ გადაძრა, უკან რომ მოვიხედე, საოცრად ლამაზი ქალის სახე დავინახე, უმალ მოვარიდე თვალები, რატომღაც მეუხერხულა, მაგრამ... თვალებში თითქოს ნაცნობი სახე ჩამებეჭდა, თითქოს სადღაც მენახა ეს ქალი, ცნობისმოყვარეობამ ისევ მომახედა უკან და... ტანში ჟრუანტელმა დამიარა... ღმერთო, ჩემო, ეს ხომ ბათუმში სილამაზით განთქმული „პარკელი ვალერიაა“... მორგში მისვლამდე კინაღამ ჩავიკეცე, ფეხები მიკანკალებდა, აღარ მემორჩილებოდა, თავში უროჩარტყმულივით ვიყავი... ასეთი ლამაზი მკვდარი არასოდეს მენახა. დაზუსტების მიზნით, ექთნებს მაინც ვკითხე, ვინ არის და სადაურია გარდაცვლილი-მეთქი, უპატრონოა, მარტოხელაა, ძალიან ლამაზი ქალი იყო, კი, საავადმყოფოში აკითხავდნენ ვიღაცები, მაგრამ მგონი უბრალო ნაცნობები იყვნენ, გორკისა და ლერმონტოვის კვეთაში ცხოვრობს, ამ მისამართითაა მისაღებში დარეგისტრირებულიო...

მახსოვს, ნიამორი პირველად რომ დავპატიჟე რესტორან „სალხინოში“, „პარკელი ვალერიაც“ მაშინ ვნახე. ჩვენ მეორე სართულზე ვისხედით, იქ, სადაც საცეკვაო არენაა მოწყობილი. იქაურობა ტურისტებით იყო გადაჭედილი. სამეჯლისო ანუ „ვალსის“ მუსიკა რომ ჩაირთო, თითქმის ყველა გავიდა საცეკვაოდ, მხოლოდ მე და ნიამორი ვისხედით... მე ვგიჟდები ცეკვაზე, როგორც იტყვიან ხოლმე, ვაფრენ, მაგრამ არ მეხერხება, არასოდეს მიცეკვია... თუმცა, ერთხელ ვიცეკვე გემზე ყოფნისას, ბათუმი-სოჭის მიმართულებით რომ მივდიოდით, რუსის ქალმა

გამიწვია, კინაღამ ფეხები დავატეხე საწყალს, ფიქრობდა, ამ ველურსა და ტლანქს ვის გადავეყარეო და იმის შემდეგ, ცეკვა არც კი გამვლია გულში... ნიამორი ძალიან კარგად ცეკვავდა, როგორც ქართულს, ასევე უცხოურებსაც, გასწავლიო, რამდენჯერმე შემომთავაზა, ვიუარე, ჩემისთანა ჯაგლაგსა და აყლაყუდას არ უხდება ცეკვა-მეთქი. პირიქით, შენ მოცეკვავის ტანი და აღნაგობა გაქვსო, შემაგულიანებდა და დამიყვავებდა ხოლმე...

ვიღაც მამაკაცი მოვიდა ჩვენს მაგიდასთან და ნიამორი მოკრძალებით გაიწვია საცეკვაოდ, ნიამორმა მე შემხედა, თითქოს თვალებით მითხრა, რომ გავიდე ხომ არ გეწყინებაო, მეც თვალებით გავუღიმე, რაც თანხმობას ნიშნავდა. ნიამორი ბრწყინვალედ ცეკვავს, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია, შესაძლოა მე რომ მიყვარს იმიტომ... კი ასეცაა, მაგრამ ეს გოგო სრულყოფილების ნიმუშია, ისე როგორც ქალების უმრავლესობა... უმრავლესობა კი არა, ყველა ქალია სრულყოფილი, ღმერთმა სრულყოფილების ნიმუშად გააჩინა ქალი...

„სალხინოს“ საცეკვაო სცენა სარკეებიანია. სცენას იატაკიც სარკესავით ბრჭყვიალა აქვს. ერთი მოცეკვავე ორად ჩანს და ორი კიდევ – ოთხად. მე ნიამორის ცეკვით ვტკბები, მის გარდა ვერავის ვხედავ, არადა, ძალიან ლამაზი ქალები ცეკვავენ, ქერაც ბლომადაა და შავგვრემანიც... „ვალსის“ დასრულების შემდეგ ებრაული „შვიდი ორმოცი“ ანუ „სემ სოროკის“ მუსიკა ჩაირთო, ზოგმა გააგრძელა ცეკვა, ზოგიც თავის მაგიდას დაუბრუნდა. ნიამორი თავდავიწყებით გადაერთო „სემ-სოროკზე“...

მოულოდნელად საოცარი ტანისა და აღნაგობის, მაღალყელა და მაღალფეხება ქალი შემოვიდა სცენაზე, კი არ შემოვიდა, თან შემოგოგმანდა და თან შემოფრინდა, თითქმის ყველა მოცეკვავემ მისკენ იბრუნა პირი... ახალშემოსულმა ცეცხლი და ხანძარი დაანთო, ცეკვის კოცონი გააჩაღა, მეგონა გაერთებული აისედორა დუნკანი და კეტრინ დანჰამი ცეკვავდა... როგორც შემდგომში გავიგე, ეს არამქვეყნიური არსება „პარკელი ვალერია“ იყო. შემდგომში მე მას არაერთხელ შევხვდი „სალხინოში“. იგი ხშირი სტუმარი იყო ამ რესტორნისა. როგორც ამბობდნენ, „პარკელი ვალერია“ წარმოშობით ოდესიდან იყო. მამა უკრაინელი ჰყოლია, დედა – ებრაელი. სამიოდე წლის იყო, ერთმანეთს გაცილებულმა მშობლებმა რომ მიატოვეს. ბავშვი ბებიამ გაზარდა, სამოციანი წლებში გადმოსულან ბათუმში საცხოვრებლად. ბავშვი ახატაჯანა გოგო ყოფილა, თამამი, მეზობლები ალ-ქალასა და ჯადოქარს ეძახდნენ...

მე, ბარემ, ერთი კვირა მომიწია საავადმყოფოში დარჩენა. საავადმყოფოს ექიმებიდან გავიგე, რომ სამ დღეს უპატრონოდ იყო მორგში, მეოთხე დღეს „პარკელი ვალერიას“ ცხედარი ქალაქის საბჭოსთან არსებული დამკრძალავი ბიუროს წარმომადგენლებმა „სოუქსუზე“, უპატრონოთა სასაფლაოზე დაკრძალეს, ისე, როგორც ბოგანოს, უჭირისუფლოსა და უთვისტომოს მარხავდნენ ხოლმე...

ქალი, რომლის მშვენებით ლამის ქუჩები ჩერდებოდა და რესტორნები შეშდებოდა, ათასი მამრის აღგზნებული თვალი შორიდან რომ ტკბებოდა მისი მშვენიერებით, ისე გადაეგო და მიიბარა მიწამ, წყვილი ცრემლიც კი არ წაჰყოლია საამსოფლოდან საიმსოფლოში უკანასკნელად გასავლელ გზაზე.

ცამდე მართალი იყო, ვიიონი...

ვერვინ წაუვა, პრინცო, გარდუვალს,
ქრება ციმციმიც მარგალიტების.
და ვიმეორებთ სოფლის სამდურავს:
სად არის თოვლი, შარშანწინდელი?!

18 ივლისი, 1986 წ.

ნიამორმა გუშინ დაასრულა გამოცდები. მეოთხე კურსზე გადავიდა. ბოლო გამოცდიდან გამოსულს, ნინოშვილისა და ენგელსის ქუჩების კვეთაში, ჭაბუა ამიერჯიბის სახლის წინ, გაბარჯღულ მაგნოლიასთან ველოდებოდი. ახლა უკვე დიდი გოგო ვარ, ნამდვილად ჭკუის საკითხავიო, მეხუმრა. მე ლენინის ქუჩის დასაწყისში მდებარე „აღმოსავლურ კაფეში“ დავპა-

ტიჟე, ჩეხური ფახლავით, ბათუმური ყავითა და წვენებით გავუმასპინძლდი, ასე ისურვა თავად. აქვე დავთქვით, რომ დღეისთვის ლენინგორაზე წამოვიდოდით სახეტიალოდ. ლენინგორას იმიტომ ეძახიან, რომ აქ პროლეტარიატის დიდი ბელადის თავია გაჩირაღდნებული ნათურებით. ისე, ამ საოცარი ადგილის ისტორიული სახელი ბათუმგორაა.

ულამაზესი ადგილია ბათუმგორა. აქედან თვალწინ იშლება შავი ზღვისა და ჩვენი პატარა, მაგრამ კოპწია ქალაქის, იშვიათი და უნიკალური პანორამული ხედი. აქ, თუნდაც ერთი საათის განმავლობაში მყოფი ადამიანი უმალ იგრძნობს და დატკბება ზღვის, ვაკისა და მთის კლიმატის საოცარი ნაზავით.

მე და ნიამორი დიდხანს ვიჯექით სასტუმრო „თანამგზავრის“ ტროპიკულ ბაღში. „თანამგზავრი“ „სპუტნიკის“ სახელით უფროა ცნობილი იმიტომ, რომ სამწუხაროდ, რუსული სიტყვები თემურ-ლენგის ლაშქარივითაა შემოსეული ქართულ მეტყველებაში, ის კიარა და, საკმაოდ მძლავრად მოიკიდა ფეხი სალიტერატუროშიც...

– მოდი ბათუმზე დავწეროთ რამე, ორივემ ერთად, არ გინდა? – მეკითხება ნიამორი და თან თავით ჩემს მხარზეა მოყრდნობილი.

– მაინც რა, რაზე და რანაირად დავწეროთ-მეთქი, – ვპასუხობ მეც.

– განა საოცარი ისტორიის მქონე არ არის ჩვენი ქალაქი? აქვს ვინმეს გამოწვლილვით დაწერილი ბერძნულ-რომაული ეპოქის ბათუმზე? აქვს ვინმეს დაწერილი, ოსმალოს პერიოდის ბათუმზე, აქვს ვინმეს დაწერილი, რუსების მმართველობის პერიოდზე, შესაძლოა ცალ-ცალკე, პატარ-პატარა ეპიზოდებს გადააწყდეს მკითხველი ლიტერატურაში, მაგრამ ერთად აღებული ამოდენა ისტორიის მხატვრულად გადმოცემა, მგონი არც არავის, არც არასდროს უცდია, ბოლოსდაბოლოს, ვიღაცამ ხომ უნდა დაწეროს... აგერაა საოცარი ისტორიული მასალა, დანარჩენი მწერლის ტალანტზე და შრომაზეა დამოკიდებული, განა სიმართლეს არ ვამბობ? – ორმაგი კითხვით დაასრულა ნიამორმა საუბარი და ჩემს მხარზე, როგორც ბალიშზე, გაირინდა.

– ბრწყინვალე და ძალიან ჭკვიანური შემოთავაზებაა, თუმცა საამისოდ არქივებში ქექვა, ისტორიული მასალების მოძიება და საფუძვლიანად შესწავლაა საჭირო. მარტო ჩვენს არქივებში არსებული მწირი დოკუმენტაცია, ვერ უშველის... ალბათ, ამიტომაც დღემდე არც ერთმა მწერალმა არ მოკიდა ამ საჩოთირო საქმეს ხელი... ყველა მოერიდა კალმის მოცურებას. – მეც ამით მოვრჩი და თავადაც არ მესიამოვნა ჩემი მიკიბულ-მოკიბული, ძლივს ამოღერღილი პასუხი.

ნიამორი ზეზე წამოდგა, მაგნოლიის ძირში მივიდა, მერხზე შედგა, ხელის გულზე გადაშლილ ქალაქს გადახედა, მეც მომიხმო და დაიწყო...

– ნახე რა საოცარი ქალაქი გვაქვს, ზღვის შემდეგ მინდორი მოდის, მინდორის შემდეგ, გორა, სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით, გორების შემდეგ ცამდე აყუდებული მთები... აქვს ვინმეს ასეთი საოცარი გეოგრაფიული მდებარეობის ქალაქი? არ აქვს... აქ იყვნენ არგონავტები, აქ შემოვიდა ქრისტიანობის საქადაგებლად ყველაზე პირველად ღვთისმშობლის მიერ წარმოგზავნილი ქრისტეს მოწაფე ანდრია პირველწოდებული, აქ ცხოვრობდნენ ძმები ნობელები, აქ იმოგზაურა ნიკოს კაზანძაკისმა, ალექსანდრე დიუმა-შვილმა, სტაინბეკმა, ბულგაკოვმა, აქ დაწერა ესენინმა „შაგანე“, აქ იყო ჰამსუნი და მან თქვა ყველაზე პირველმა: „წვიმა ბათუმს მაგიურ მომხიბვლელობას სძენს“-ო... ჩვენებზე აღარაფერს ვამბობ, მარტო ჩვენი კოსმიური გალაკტიონიც კმარა...

ბათუმი... მისი ზეცა და გემი,
იმისი მიწის ხმა საჯადოქრო.
სად დაიბადა სიმღერა ჩემი:
„ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ – ოქრო!

მე ვუსმენდი ოცნებით მართლაც ლაჟვარდებში მოფარფატე ნიამორს და მისი სილამაზის შემყურეს... ტკბობის მეტი რაღა დამრჩენოდა.

თითქმის მთელი დღე დავყავით მე და ნიამორმა ბათუმგორაზე. საღამოსპირს ოდნავ წამოწვიმა. ნიამორი ხელებგაშლილი შეეგება წვიმას

და თან მარკესის საოცარ სიტყვებს ზეპირად წარმოთქვამდა: „მაკონდოში წვიმს, წვიმს და წვიმის წვეთებს მიჰყვებიან ბუენდიები“... „ოთხი წელი, თერთმეტი თვე და ორი დღე წვიმდა მაკონდოში“...

ამ დღეს მაკონდოზე მეტი იყო ჩვენი ბათუმი...

24 ივლისი, 1986 წ.

წამიწერე რამე, მინდა შევინახო, ეს ჩემი მაგნოლია იქნება. ალექსანდრე მესამეს და აივაზოვსკის მაგნოლიები თუ არსებობს ბათუმში, ნიამორის მაგნოლია რატომ არ უნდა არსებობდეს ვითომო... მისეული ღიმილით გამომიწოდა ნიამორმა იმ მაგნოლიის ფოთოლი, ჩვენი შეხვედრების ყველაზე საყვარელ და იღბლიან ადგილად რომ ვთვლიდით, ბათუმური წვიმებისა და სიცხეებისგან რომ გვიფარავს ხოლმე ხშირად, თან ჩვენი ნებისმიერი საიდუმლოს საიმედო შემნახველიც რომაა...

„ჩვენი შეხვედრა კვლავ მოხდება
არყოფნის მერეც,
მანამდე სევდა მუდმივ საგზლად
გავინაწილოთ“...

ეს სტრიქონები ორი დღეა მოსვენებას არ მაძლევს, მოულოდნელად ამეკვიატა თავში, ვერც ვერაფერი მივუმატე, ვერც მოვიშორე... ჰოდა, აგერ, სახელდახელოდ წავაწერე მაგნოლიის ფოთოლს და ნიამორს გავუწოდე.

– ვითომ, რატომ არ შეიძლება უკვდავები რომ ვიყოთ, ყოფნაშიც რომ მარადიულ ახალგაზრდებად დავრჩეთ და არყოფნაშიც, დაშავდება რამე?.. – ბავშვური გულუბრყვილობითა და მიამიტის პათოსით მკითხა ნიამორმა, თან მაგნოლიის ფოთოლი სათუთად შეინახა მილტონის წიგნში, „დაკარგული სამოთხე“ რომ ეწერა გარეკანზე.

– შენ რა, სიკვდილ-სიცოცხლის შეცვლასა და ბუნების კანონზომიერების აყირავებას აპირებ? გინდა აუჯანყდე სამყაროს? უკვდავებისთვის ყველა მებრძოლმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა... შენ გინდა დორიან გრეის აჯობო-მეთქი, – გამოვეპასუხე და თან იქით შევუბრუნე კითხვა.

– კარგი, კარგი, მაშინ, მოდი აქვე, ჩემს მაგნოლიაზე ჩამოვიხრჩოთ თავი, ერთი კვირის სალაპარაკოსა და საჭორაოს დავუტოვებთ ერთფეროვნებით გამოფიტულ ქალაქს... მოენეები, ენატანიები და ჭორიკანები საქმეს ნახავენ, გაერთობიან, ვინ იცის, იქნება და მეოცნებეები ლეგენდასაც შექმნიან, პოეტები ლექსებს დაწერენ, შეყვარებულები დაღონდებიან, გულჩვილები ივიშვიშებენ, ქვის გულიანები და გულღრძოები გაგვიწყრებიან: ეს რა თავხედი, უზნეო და უზრდელი ახალგაზრდობა მოდის, ვის ხელშია მომავალიო, იტყვიან და ალბათ, შეგვიკურთხებენ კიდეც...

ნიამორს გაოცებული ვუყურებდი და ვუსმენდი, ვერაფერი ვუთხარი... იქნება და, ისეც კი სჯობდა... ვინ იცის...

27 ივლისი, 1986 წ.

ჯერ კიდევ გუშინ მე და ნიამორი მისი სახელობის მაგნოლიასთან შევთანხმდით, რომ დღეს, სამი საათისთვის, როცა ლექციებს მორჩებოდა, კაფე „რვაფეხასთან“ შევხვდებოდით ერთმანეთს. კაფე „რვაფეხა“ იქვეა, ინსტიტუტთან, სამასიოდე მეტრის მოცილებით. უმალ მოვიდა. დღეისსწორს კაფე „რვაფეხა“ ყველაზე ლამაზი კაფეა ქალაქში, შეიძლება ბათუმის საკვიზიტო ბარათიც ეწოდოს. ოფიციალურად „ფანტაზია“ ჰქვია. შენობა მოზაიკური ხელოვნების საინტერესო ნიმუშს წაროადგენს, ჩვენ მას „რვაფეხას“ ვეძახით. მართლაც თავფეხებიან მოლუსკს მოჰგავს. უთუოდ ჭკვიანი ვინმე ყოფილა, ვინც მოიფიქრა და დააპროექტა. ნიამორის კოპლებიან კაბასავით ლამაზია.

ნიამორმა იცოდა სად უნდა მოსულიყო. მე წინასწარ დავიჭირე თადარიგი და იმ მაგიდას მივუჯექი, სადაც ხშირად ვხვდებოდით ხოლმე. კაფე რუსის ქერა ქალებითაა გამოტენილი. ნიამორს არ უყვარს რუსის ქალები, „პიანიცებს“ ეძახის მათ. ბარმენს შერეული ინგრედიენტების მცირეალკოჰოლიანი კოქტეილი მოვატანინე,

ნიამორისთვის ნამცხვარიც შევუკვეთე, უარი არ უთქვამს, ისე მშია ნამცხვრებს კი არა, შენც კი შეგჭამო, მეხუმრა. საოცრად მსიამოვნებს ნიამორი რომ მიირთმევს და მე ვუყურებ, ვიხიბლები მისი ფრთხილად მოძრავი ბაგეებით...

ნელა ვწრუპავთ კოქტეილს და თან პარიზზე, მონმარტზე, მონპარნასზე, პოეზიაზე და მხატვრებზე ვლაპარაკობთ, ვოცნებობთ კაფე „კლოზერ დე ლილაზე“, „როტონდაზე“... ზოლაზე, გოტიეზე, ვერლენზე, ბობოქარ რემბოზე, ბოდლერზე, უაილდზე, მილერზე, სარტრიზე, აპოლინერზე... მე ჰემინგუეის ახლახან წაკითხული „აღმოხდების მზე“ (ფიესტა) გავიხსენე: „ქუჩაში გამოვედი და სენ მიშელის ბულვარისაკენ გავსწიე. ჩავუარე კაფე „როტონდის“ მაგიდებს, სადაც ისევ ბლომად იყო ხალხი. ქუჩის გადაღმა კაფე „დოუმს“ გავხედე. მონპარნასის ბულვარი დაცარიელებულიყო, „ლავინი“ უკვე დაეკეტათ. ხოლო „კლოზერი დე ლილას“ წინ მაგიდებს ალაგებდნენ“...

ნიამორმა ტიციანის ლექსი წამიკითხა:

> მე მაგონდება კაფე „Mon parnasse” –
> სენატი ბებერ პრასტიტუტკების.
> შენზე ოცნებას ვერვინ მომპარავს
> და დღესაც ღვინით დავითუთქები“.

ჩვენი „რვაფეხა“ არანაკლები იყო იმ პარიზულ კაფეებზე, მე და ნიამორი მხოლოდ ერთხელ ნახვაზე რომ ვოცნებობდით. ნაკლები კი არა, ალბათ, გაცილებით მეტიც კი იყო, უბრალოდ ჩვენს კოპწია და მართლაც პოეტურ კაფეში იშვიათად გადაეყრებოდით ბათუმელ პოეტებს, მხატვრებსა და მუსიკოსებს. სამაგიეროდ, აქაურებს ყოველდღე ნახავდით სტალინის ქუჩაზე მდებარე ე. წ, „ყავის აკადემიაში“.

ნიამორი ჩემზე გაცილებით ნაკითხი და განათლებულია, ბრწყინვალედ ფლობს გერმანულ ენას. ქართული ლიტერატურა ხომ იცის და იცის, ასევე უცხოური ლიტერატურის არც ერთ თარგმანს არ დატოვებს წაუკითხავს. ჩვენი ურთიერთობის ორი წლის მანძილზე, მე იმდენი რამ ვისწავლე მისგან, მარტომყოფს ბარემ ათი წელიც რომ არ მეყოფოდა.

კარგი დღე იყო დღე – დღევანდელი. ცისა და მიწის მარადიულ მეოცნებეებს ბულვარში და ზღვის სანაპიროზე ხეტიალში შემოგვაღამდა.

5 აგვისტო, 1986 წ.

ფილარმონიის არც თუ ისე პატარა დარბაზი პოეზიის მოყვარულებითაა გადაჭედილი. თბილისელ პოეტებს მასპინძლობს ბათუმი... ნიამორი მოგვიანებით მოვიდა დაქალებთან ერთად... ჩემთვის განსაკუთრებულად უჩვეულო საღამოა, მურმან ლებანიძეს პირველად ვხვდები, პირველად ვხედავ ასე ახლოდან, პირველად ვართმევ ხელს... არწივივით ბასრი მზერა აქვს, ჩემსავით თხელი კაცია, სხარტი და მოძრავი, დათოვლილი თმებითა და შინაგანი ფიქრითაა გარემოსილი. მისი პოეზია თითქმის ზეპირად ვიცი, ცოცხალთაგან ჩემთვის ერთ-ერთი გამორჩეული პოეტია. ეს საღამოც მხოლოდ იმიტომ მიღირდა, ასე ახლოს რომ გავიცანი... სამწუხაროდ, არ მომეწონა მისი გამოსვლა. ცუდად კი არ კითხულობს და სუსტი ლექსი კი არ წაიკითხა, თემატურად მეხამუშა ამ საღამოზე მისი წაკითხული ლექსი... „უპირველესად ვაღმერთებ ქართველს“, ლექსი ასე იწყება... „ხოშ გელდი!“ ძმა ხარ, ჩემო თათარო! ერთ ბედქვეშა ვართ აზიის ტყეში“. და ასე მთავრდება... მეგონა ჩვენზე – აჭარლებზე წერდა ამას, თითქოს ჩვენ მოგვმართავდა... შესაძლოა ჩემი დაკომპლექსების ბრალი უფროა, ასე რომ ვფიქრობ, თბილისში არაერთხელ გამიგონია, აჭარას სათათრეთს რომ უწოდებენ... რა ვიცი... რა ვიცი...

საღამოზე აქაურებიდან ძალიან კარგი გამოსვლა ჰქონდა დათო თედორაძეს, „ქალბატონო, რუსთაველი იერუსალიმს წავიდა“ წაიკითხა... დარბაზი მონუსხულივით უსმენდა ვახტანგ ღლონტს... მისი „მხვდებიან ეშმაკის ძველი შეგირდები“... მთელმა ბათუმმა ზეპირად იცის, საოცრად კითხულობს ვახტანგი, ყველაფერში განსაკუთრებული და სანიმუშოა ვახო... მე „ხარი“ წავიკითხე. ერთი უბრალო ლექსია, ტრიბუნა ჩემი საქმე რომ არ არის, მე კი არა, სხვებმაც

იციან, მაგრამ... რა მაგრამ?... პოეზიის საღამოებს ხომ არ დავემალები... ვერა და ვერ მასწავლა ნიამორმა ლექსის გამოთქმით წაკითხვა, არაფერი გამოვიდა ჩემგან, დეკლამატორობამდეც კი ვერ მივაღწიე... დათომ ლექსი შემიქო და თან შოთა ნიშნიანიძის „ხარი“ გაიხსენა.

ჩემი მურმანისადმი ნაწყენობა, ნიამორმა გამიქარწყლა. ქუჩაში რომ მივდიოდით, მთელი საათი მიხსნიდა, მურმანის აქ წაკითხული ლექსი აზერბაიჯანელებზეა და ჩვენ არაფერ შუაში ვართო.

როგორც ყოველთვის, ახლაც მართალი იყო ჩემი უჭკვიანესი გოგო.

10 აგვისტო, 1986 წ.

ნიამორის მაგნოლიისკენ მიმავალს, ლენინის ქუჩაზე ვახო ღლონტი და ნანა გოგელია შემხვდნენ. გულითადად მოვიკითხეთ ერთმანეთი. ვახოს მისი ახალგამოსული ლექსების კრებული „წვიმა და ოცნების გენერლები“ ეჭირა ხელში. სახელდახელოდ წააწერა და მაჩუქა. დიდხანს აღარ გაჩერებულან. კბილის ექიმთან მიეჩქარებოდათ. იმხანად ვახოს წიგნებზე მკითხველის მიერ ნადირობა იყო გამოცხადებული, განსაკუთრებით სტუდენტები აქტიურობდნენ. მისი ლექსები გამოსვლის უმალვე ქრებოდა წიგნის მაღაზიების დახლებიდან.

მე და ნიამორი ქედიდან ერთად ვაპირებდით წამოსვლას. ასე დავთქვით წინადღით, თან ვიიონის „დიდი და მცირე ანდერძი“ უნდა წამოეღო, ახალგამოსული იყო და ჩემთვისაც შეეძინა. ეს შედევრები მანამდე მნათობის ნომრებში იბეჭდებოდა და თითქმის ზეპირად ვიცოდით. საოცარი თარგმანია, წერედიანის მიერ თარგმნილი კი არა, დაწერილი გეგონება ისეა გადმოქართულებული.

ნიამორი ჩემზე ადრე მისულიყო მაგნოლიასთან. ხომ არ გამებუტე დაგვიანებისთვის-მეთქი რომ ვუთხარი, გაეღიმა, ჩემი ბრალია, დროულად ვერ გამოვედი სახლიდან და ავტობუსზე დამაგვიანდაო... ვახოს წიგნი რომ დაინახა, სიხარულისგან ცას ეწია, მაკოცა, ორი დიდი პოეტის წიგნი ერთად შეატყუპა და ძელსკამზე ჩამოჯდა...

– ვახო ღლონტის ლექსები ვიიონისას მაგონებს, ხომ ჰგვანან რაღაცით ერთმანეთს? – მკითხა და „წვიმა და ოცნების გენერლები“ გადაფურცლა...

– ალბათ, უფრო მეტად, პოეტური ამბოხითა და პათოსით. – მოკლეთ ვუპასუხე მე.

– ვიიონი უდიდესი სატირიკოსია. გულისგულში ჩამარხულ სიხარულს, სევდას, წყენას და ადამიანურ ბოღმას ისე ურევს ერთმანეთში და ლექსის სახით გადააქვს ფურცელზე, განსაკუთრებული ნიჭის მქონეს თუ შეუძლია ამის მოხერხება. იგი, თუკი შეიძლება ითქვას, ამ შერეულ განცდას, ერთგვარი აგრესიულობისა და მხიარულობის სამოსელის ქვეშ აქცევს. მას თანაბრად შეუძლია გადმოსცეს მადლიერებაც, მონანიებაც და ცინიზმით გაჯერებული შენდობაც კი... – მოკლედ მაგრამ ტევადად და ამომწურავად დაახასიათა ნიამორმა ჩვენი დროისთვის ხუთასი წლით დაშორებული, მაგრამ რატომღაც ყველაზე ახლობელი, ყველაზე თანამედროვე და გაშინაურებული, ლეგენდადქცეული ყაჩაღი – ვიიონი.

– ვახტანგ ღლონტი ჩვენი დროის ვიიონია-მეთქი, – მეც დავსძინე და შევეცადე ვახტანგის ლექსებზე ჩემეული მოსაზრება გამეზიარებინა ნიამორისთვის... – როგორც ხუთასი წლის წინათ ფრანსუას, ისე ხუთასი წლის აქეთ ვახტანგ ღლონტსაც ღმერთმა აკვანშივე აკოცა შუბლზე... აჯანყებული სევდა, აბობოქრებული, ნერვიული, დაუდგრომელი ლირიზმი, გაუბზარავი, მოუცურებელი სტრიქონები, სიტყვები და ბგერებიც კი, მისი ოსტატობის შვიდბეჭდიანი დასტურია, ალბათ არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ როგორც ვიიონს, ასევე ვახტანგ ღლონტსაც, ერთნაირი სიდიდითა და განწყობით უყვარს და თან სძულს რეალურ-ილუზიური და ილუზიურ-რეალური სამყარო. მე მშურს მისი ამ სტრიქონებისა:

„ბედნიერება? – არა,
ტანჯვა თუ მშურდა სხვისი“...

ჩემი სიტყვა მარინა ცვეტაევას მიერ პასტერნაკისადმი ნათქვამის ჩემეული პერიფრაზით დავასრულე: რამდენი ადამიანი უნდა გაექურდა ბუნებას, ერთი ვახტანგ ღლონტი რომ შეექმნა-მეთქი...

მე და ნიამორი დიდხანს ვსეირნობდით ნური გელის ტბის ირგვლივ, მას „წვიმა და ოცნების გენერლები“ ეჭირა ხელში, მე – ვიიონის „დიდი და მცირე ანდერძი“. ნიამორი „ყვავილნარში ყვავილები ყვავილობენ კვლავაც“... კითხულობდა. გამვლელები და მოსეირნეები გაკვირვებულები გვიყურებდნენ, თუმცა ჩვენ მათ ვერც კი ვამჩნევდით.

29 სექტემბერი, 1986 წ.

გუშინდელი დღე ძალიან დასამახსოვრებელი და ლამაზი იყო ჩემთვის. ნიამორმა, ჩვენი გაცნობის შემდეგ, პირველად მომაკითხა რედაქციაში.

რედაქციისა და სტამბის გოგოები ცნობისმოყვარე მზერითა და სახეებით უყურებდნენ მათთვის სრულიად უცხო ფრინველსა და ჩემთვის ღმერთისგან გამოგზავნილ ანგელოზს. რედაქტორმა მთელი ინტერესით აათვალ-ჩაათვალიერა ნიამორი და ღიმილით მკითხა, ვინ არის ეს ლამაზი გოგოო, მე ვუთხარი რომ სტუდენტია-მეთქი... ჰოდა, რაღა სხვაგან მოგაძებნინო, მასწავლებლის დღე ახლოვდება, შენი განყოფილების თემაა და ბარემ ამ შენს გოგოზე, როგორც მომავალ პედაგოგზე, დაწერე რამე, საგაზეთოდო. მეც დრო ვიხელთე და ნიამორის სურათის დაბეჭდვა ვთხოვე, უარი არ უთქვამს, რედაქციის ფოტოგრაფს უთხარი და ახლავე გადაუღოს სურათიო... ნიამორი უსმენდა ჩვენს მოკლე დიალოგს და დუმდა, ალბათ ჩემი ხათრით...

ნიამორი ძალიან ლამაზი გოგოა, დახვეწილი, მიმზიდველი სახის ნაკვთებით, მკვეთრად გამოხატული ქალური ფორმით, სრულყოფილებამდე ჩამოქნილი ფიგურით, თვალებით, თმის ფერით, მისი უნაზესი ჟესტებითა და ქცევებით. განსაკუთრებით კი შეუდარებელი ღიმილით... ნიამორის ღიმილი ერთი დიდი სამყაროა, სათნოებით, სინაზით, სისადავით და რაღაცნაირი ქალური იდუმალებით გაჯერებული. მისი ღიმილი მე რატომღაც თავდაჯერებულს მხდის მუდამ. ნდობასა და რწმენას მგვრის. მის არმიწიერ გარეგნულ სილამაზეს, ჰარმონიულად ერწყმის მისი სულიერი სიმდიდრეც, ინტელექტიცა და მგრძნობელობაც. ამ იშვიათ გოგოში ყვავის და იფურჩქნება რომანტიკოსისა და იდეალისტის თანაფარდობა, არის მის ხასიათში სენტიმენტალური კონსერვატორის თვისებებიც, მის იშვიათ სიმშვიდეში და ღვთაებრივ ღიმილში, ქალური, ოღონდ ძალიან მოზომილი მრისხანებაც იმალება...

ნიამორი ბუნებით მეოცნებე გოგო იყო და თითქოს მისი მეოცნებეობა მხრებამდე დაფენილი თმების ბზინვარებაშიც იკითხებოდა. მისი მუდამ მოვლილი და მოწესრიგებული თმა იმდენად მხიბლავდა, რომ მე, მუდამ მიზეზ-უმიზეზოიანი სევდით ფორიაქა, მოწესრიგებული და მშვიდი ვხდებოდი.

ნიამორის ხმა, საუბრის მანერა, ინტონაცია თბილი და რბილია, მისი ხასიათისა და მგრძნობელობის ნაზავია. ჩვენ სიჩუმის ენაც ვისწავლეთ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ძალიან ახლობლები ვართ, ზოგჯერ ერთმანეთს თვალებითა და დუმილითაც ველაპარაკებით... მე მას არ ვაიდეალებ. იგი ისეთია, როგორიც არის, ბუნებრივი, თითქოს მორცხვიცაა და მხიარულიც, რაც არ უნდა მძაფრად ვიკამათოთ, გამომშვიდობებისას მაინც ღიმილს ტოვებს და ისე მიდის, მისი ღიმილი მისივე ტაქტისა და სინაზის ნაზავია ხოლმე, მიუხედავად ამისა, იოლად არაფერს თმობს, საოცრად უყვარს პოეზია, ფილოსოფია, ლიტერატურა, ლექსებსაც წერს, მაგრამ მალავს, არ უყვარს გამოჩენა, შემთხვევით რომ ჩამივარდება ხელში, ცდილობს დამაჯეროს, რომ მისი არ არის... მე მისი ლექსები მომწონს, მას – ჩემი.

იგი ყოველთვის ცდილობდა ყველაზე ღირებული წიგნები ეშოვა ჩემთვის, რათა მეტი წამეკითხა და მეტი დამენახა... ჩემი ლექსების სიმძიმე და სიმჩატე, ჩემზე უკეთ არავინ იცის, ერთი ჩვეულებრივი ლექსებია, ისეთები, დღე-

სდღეობით, ათი პოეტიდან შვიდი რომ წერს.ჩემთვის ამას არავითარი, შეიძლება ითქვას, არსებითი მნიშვნელობა არც კი აქვს... მე მირჩევნია საყვარელმა ქალმა მაღიაროს პოეტად, ვიდრე ერთად აღებულმა დედამიწამ.

ნიამორი ჩემთვის ქალიცაა, მასწავლებელიც და ღმერთიც... რასაც ახლა დავსძენ, არც პოეტური ბაქიაობაა და არც ჰიპერბოლარული კვეხნა: პოეტის გარდა არავინ იცის რას ლაპარაკობს საყვარელი ქალის მაღალი ქუსლის კაკუნი...

ეს საოცარი გოგო ერთ პატარა სოფელში გაჩნდა, მაგრამ იმდენი სილამაზე, ხიბლი, მშვენიერება და კდემა დაანათლა გამჩენმა, მისი ერთი გამოჩენა ნებისმიერი დიდი ქალაქის ხალხით გადაჭედილ თეატრალურ დარბაზს მონუსხავდა, მოაჯადოებდა, გააშეშებდა, გაარინდებდა... და ამ ყველაფერს მოახერხებდა იმ უცნაური, მოზომილი არტისტიზმით, მის ხმათაფლა ხმაში, ბაგეთა ვიბრაციაში და ხელის მტევნებზე ჩამოქნილი გრძელი თითების უმსუბუქეს მოძრაობაში რომ იყო ნაზი ქარიშხალივით ჩამალული.

პაატა არეშიძე

ისტორიული სინამდვილის ასახვის ორი ფაქტი „ვეფხისტყაოსანში“

პავლე ინგოროყვა თავისი მონოგრაფიის – „შოთა რუსთაველი (1166-1250)“, მეორე თავში მიმოიხილავს „პოეზიასა და სინამდვილეს ვეფხისტყაოსანში“ [პავლე ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბ., 1978], სადაც ასკვნის: „...ვეფხისტყაოსანში ისტორიული ელემენტები გაცილებით მეტი უნდა იყოს, ვიდრე ეს ამჟამად შეგვიძლია გავარჩიოთ“ [პავლე ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ, IV, თბ., 1978, გვ. 138]. ამ დასკვნიდან გამომდინარე, შევეცადეთ მოგვეძებნა ისტორიული პარალელები ვეფხისტყაოსანში. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი აღებული გვაქვს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ 1992 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნისაგან“, ამიტომ ტექსტში მხოლოდ სტრიქონების ნუმერაციას მივუთითებთ.

პირველი დამთხვევა, რაც თვალშისაცემია, მაგრამ აქამდე ყურადღება არ გამახვილებულა, არის პარალელი ტარიელის მიერ გამოქვაბულში განძის პოვნასა და ფარნავაზ მეფის მიერ ნაპოვნ განძს შორის.

ტარიელ ეტყვის ავთანდილს: „ისმინე სიტყვა ასები,
გიამბობ რასმე ამბავსა, მოამბედ ნუ გენასები:
მე ოდეს ქვაბნი წავუხვენ, დავხოცე დევთა დასები,
მას აქათ მათი აქა ძეს საჭურჭლე ძვირ-ნაფასები. [1364]

მე აგრე არა მინახავს, მართ ვითა არა მნდომია;
მოდი და გავხსნათ, შევიგნეთ, საჭურჭლე თუ რა ზომია“.
ეამა, ადგეს ორნივე, არცა ქვე ასმათ მჯდომია,
დალეწეს კარი ორმოცი, მათგან არ ზედა ომია. [1365]

როგორც ვხედავთ, როცა ტარიელმა დევები დაამარცხა და დახოცა, მათ ნადგომ გამოქვაბულში, სადაც თვითონ დაიდო ბინა, აღმოაჩინა დაკეტილი, „ორმოცკარიანი“ სათავსო.

ლეონტი მროველი თავის ნაშრომში „ცხოვრება ფარნავაზისი, რომელი იყო პირველი მეფე ქართლისაი“, მოგვითხრობს: „ხოლო მას დღესა შინა განვიდა ფარნავაზ და ნადირობდა მარტო, და დევნა უყო ირემთა ველსა დიღომისასა. და ივლტოდეს ირემნი ღირღალთა შინა ტფილისისათა.

მისდევდა ფარნავაზ, სტყორცა ისარი და ჰკრა ირემსა. და მცირედ წარვლო ირემმან და დაეცა ძირსა კლდისასა“. [ქართლის ცხოვრება, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბ., 2008, გვ. 42]

აშკარაა მსგავსება აღწერილ სცენებს შორის. შოთა რუსთაველი, ფაქტია, კარგად იცნობს ლეონტი მროველის თხზულებას და მას იყენებს „ვეფხისტყაოსანში“. როგორც ფარნავაზ მეფე ნადირობს ირემზე და კლავს მას გამოქვაბულის პირას, ასევე ტარიელიც დევებს ხოცავს გამოქვაბულთან.

„ხოლო კლდისა მის ძირსა ქუაბი იყო, რომლისა კარი აღმოქმნულ იყო ქჳთა ძუელად, და სიძუელითა შეჰქმნოდა დარღუევა შენებულსა მას. მაშინ დაასხა წჳმა მძაფრი. ხოლო ფარნავაზ აღმოიღო ჩუგლუგი და გამოარღჳა კარი ქუაბისა მის, რათა-მცა მუნ შიგა დაიმშრალა წჳმისა მისგან“. [ქართლის ცხოვრება, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბ., 2008, გვ. 42]

როგორც ფარნავაზს, ისე ტარიელს გამოქვაბული სჭირდებათ თავშესაფარად. ტარიელს – დიდი ხნით, ხოლო ფარნავაზს – წვიმის გადაღებამდე.

ლეონტი მროველი – „და იხილა მუნ-შინა განძი მიუწდომელი, ოქრო და ვეცხლი და სამსახურებელი ოქროსა და ვეცხლისა მიუწდომელი. მაშინ ფარნავაზ განკჳრდა და აღივსო სიხარულითა“. [ქართლის ცხოვრება, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბ., 2008, გვ. 42]

„ვეფხისტყაოსანში“ განძის პოვნის ეპიზოდი შემდეგნაირია:

პოვეს საჭურჭლე უსახო, კვლა უნახავი თვალისა,
მუნ იდვა რიყე თვალისა, ხელ-წმიდად განათალისა,
ჩნდის მარგალიტი, ოდენი ბურთისა საბურთალისა;
ვინმცა ქმნა რიცხვი ოქროსა, ვერვისგან დანათვალისა! [1366]

ფარნავაზმაც და ტარიელმაც აურაცხელ სიმდიდრეს მიაგნეს. მათ შორის ის კავშირიცაა, რომ არც ერთმა, მაშინვე არ დაიწყო განძის გამოღება და მისი გამოყენება. ფარნავაზმა „დაჰკრძალა კარი ქუაბისა ეგრეთვე“, ხოლო ტარიელმა არც კი გახედა განძს და „მას აქეთ მათი აქა ძეს საჭურჭლე ძვირ-ნაფასები“.

ფარნავაზს განძის გამოტანაში დედა და დები ეხმარებიან: „მსწრაფლ წარმოვიდა და უთხრა დედასა თჳსსა და ორთა დათა მისთა. და მას-ვე ღამესა წარმოვიდეს სამნი-ვე იგი საჴედრებითა და ჭურჭლებითა, და იწყეს გამოკრებად განძისა მის და დაფლვად სიმარჯჳესა თჳსსა. ხოლო ვითარ განთენდებოდის, კუალად ეგრეთ-ვე აღმოქმნიან კარი ქუაბისა მის. და ესრეთ გამოკრიბეს განძი იგი ხუთ ღამე და დაიგულეს სიმარჯჳესა მათსა“. [ქართლის ცხოვრება, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბ., 2008, გვ. 42], როგორც ცნობილია, ტარიელს განძის გამოტანაში ეხმარება ასმათიც – „არც ქვე ასმათ მჯდომია“.

განძის პოვნისა და დაბინავების შემდეგ, ფარნავაზი უგზავნის მაცნეს ქუჯი ერისთავს: „მაშინ ფარნავაზ წარგზავნა მონა თჳსი ქუჯის თანა და რქუა: „მე ვარ ნათესავი უფლოს მცხეთოსის ძისა, და ძმის-წული სამარა მამა-სახლისისა, და არს ჩემთანა ხუასტაგი დიდ-ძალი. აწ ინებო, რათა მით ხუასტაგითა მოვიდე შენთანა, და ვიყვნეთ ჩუენ ძმა და ვიჴმაროთ ჩუენ ხუასტაგი იგი ორთავე. გამოუჩნდეთ ჩუენ მტერად აზონ ერის-თავსა, და სუემან ჩუენმან გუცეს ჩუენ ძლევა კეთილი“. [ქართლის ცხოვრება, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბ., 2008, გვ. 42]. ტარიელი და ავთანდილი განძის პოვნას ფრიდონს ატყობინებენ და მისთვის ნაპოვნი „აბჯარი შეკრეს ღვედითა“.

როგორც ფარნავაზ მეფის, ისე ტარიელის შემთხვევაში ნაპოვნ განძს მისი დანიშნულება აქვს. ტყუილუბრალოდ განიავება არ შეიძლება, „უმისჟამოდა ვინც გახსნას, არის მეფეთა მკვლელიო“ [1368, სტროფი 4].

ფარნავაზს განძი აზონთან საბრძოლველად სჭირდება, ტარიელს კი ქაჯებთან აქვს საბრძოლველი. ფარნავაზმა ნაპოვნი განძით აზონი დაამარცხა და ქვეყანა გააერთიანა, ხოლო ტარიელმა ნესტანი გაათავისუფლა და გაერთიანებული ინდოეთის მეფე გახდა.

კიდევ ერთი პარალელი, რომელსაც შეგვიძლია თვალი ვადევნოთ, არის „ვეფხისტყაოსანში“ გადმოცემული ბატალური სცენების ისტორიული სინამდვილე. მხედველობაში გვაქვს „ტარიელისაგან ხატაეთს წასვლა და დიდი ომი“-ს კავშირი დიდგორის ომთან. დიდგორის ომის გადამწყვეტი მომენტია დავით მეფის სტრატეგია, რომლის მიხედვითაც, ბრძოლის დაწყებისთანავე ქართველთა ჯარს გამოეყო ორასი მებრძოლი, რომელიც მტერმა მათ მხარეს გადასულად მიიჩნია და ლაშქრის სიღრმეში შეუშვა. ეს ძვირად დაუჯდა მომხვდურს, რადგან ორასმა მებრძოლმა მტრის ლაშქრის შუაგულში დაიწყო ბრძოლა და დიდი ზიანი მიაყენა მტერს.

დავით მეფის ეს სტრატეგია შოთა რუსთაველმა გამოიყენა ხატაელებთან ტარიელის ომის აღწერისას. ტარიელმა ბრძოლის წინ თათბირი მოიწვია, სადაც განიხილება რამაზ მეფის გამოგზავნილი წინადადება, რომლის მიხედვითაც ტარიელი უნდა გაემართოს რამაზ მეფესთან. ვაზირებმა ურჩიეს ნაწილი ჯარის წაყვანა, ხოლო ძირითადი ლაშქარი ფეხდაფეხ მიყვებოდა და საჭიროებისამებრ მიეშველებოდა. ტარიელი ამბობს: „მეკეთა ესე თათბირი, ვაზირთა ნავაზირები....“

მათ ლაშქართაგან სამასნი კარგნი მოყმენი, ქველანი,
თანა წამომყვეს, წა-ცა-ვე, დავყარენ სპანი ყველანი,
დავჰვედრე: „სადა მე მევლოს, ვლენით იგივე ველანი,
ახლოს მომდევდით, მიშველეთ, გიხმობ, თუ მინდეს შველანი“. [427]

ამ სტროფში ზუსტადაა აღწერილი დიდგორის ომის დასაწყისი. არაბი ისტორიკოსი იბნ ალ ნასირი აღნიშნავს, რომ ქართველთა ლაშქარს გამოეყო 200 ყივჩაღი, რომელიც შევიდა თურქთა განლაგებაში და შეუტია მათ. მაჰმადიანთა ლაშქრის სარდლობას ეგონა, ყივჩაყებმა ალბათ მეფეს უღალატეს და შეწყალების სათხოვნელად მოდიანო. ამიტომ ისანი დაუბრკოლებლად შეუშვეს თავიანთ განლაგებაში, მაგრამ ყივჩაყებმა უეცრად იარაღი იშიშვლეს და მტრის მეომართა ხოცვა დაიწყეს. ეს სავსებით მოულოდნელი იყო მოწინააღმდეგისათვის. ასეთმა ხერხმა, ცხადია, მტერი დააბნია. იბნ-ალ-ასირის მიერ მოთხრობილი ეს საინტერესო დეტალი არ აქვთ აღნიშნული არც დავითის ისტორიკოსსა და არც მათე ურჰაელს. გოტიეს ერთ ცნობაში სწორედ ეს ფაქტი, ორასი მეომრის მეწინავეობა და თავდადება უნდა იგულისხმებოდეს, ოღონდ მას, როგორც ევროპელს, ყველაფერი ეს იმ ორასი „ფრანგისათვის“ (ჯვაროსანისათვის) მიუწერია, რომლებიც იმ დროს დავით აღმაშენებლის ლაშქარში იბრძოდნენ. მოვუსმინოთ თვით გოტიეს: „მეფემ თითოეული რაზმი დააწყო, ხოლო ორასი ფრანგი მეომარი დააყენა მოწინავეებად, პირველ დაკვრათა მოსახდენად.... (და მტერიც) ეცემოდა ძირს ფრანგების ხელისაგან და უწესრიგოდ იფანტებოდა. როგორც ჩანს, გოტიეს, „ფრანგების“ დამსახურების გაზვიადებით დაინტერესებულს, ალბათ, თავისებურად გადაუკეთებია იმდროინდელი საისტორიო წყაროებით თუ გადმოცემებით შენახული ცნობა დავით აღმაშენებლის მიერ დიდგორის ბრძოლის დროს გამოყენებული ტაქტიკური ხერხის შესახებ [შოთა მესხია, ძლევაი საკვირველი, თბ., 2016]. შოთა მესხია მიიჩნევს, რომ ასეთ მნიშვნელოვან ბრძოლას, რომელმაც დასაწყისშივე დააბნია მტერი, დავით მეფე ყივჩაღებსა და „ფრანგებს“ არ მიანდობდა. ჩვენ მივიჩნევთ, რომ დიდგორის ომში დასაწყისი ბრძოლა წარმართეს სპეციალურად მომზადებულმა ქართველმა მეომრებმა. მით უმეტეს, რომ დავით მეფეს ჰყავდა „სპეცსამსახურები“.

შოთა რუსთაველი ჩანს კარგად იცნობს დიდგორის ომის მიმდინარეობას. პავლე ინგოროყვა მიიჩნევს, რომ შოთა რუსთაველი არის დიდგვაროვანი, ბაგრატიონთა გვარისა და მისი წინაპრები რუს-

თავის მფლობელები იყვნენ. არაა გამორიცხული, შოთამ დიდგორის ომის ამბები მისი უახლოესი წინაპრების მონაყოლიდანაც იცის. ხატაელებთან ბრძოლაში სამასი კაცის მეთაურად, რომელიც ძირითად ლაშქარს გამოეყო და მტრისაკენ გაემართა, ავტორი მეთაურად ტარიელს „ნიშნავს“. ტარიელი მიმართავს თავის რაზმს: „ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან“. შოთა მესხია: „გოტიეს მოწმობით, დავით აღმაშენებელმა ბრძოლის დაწყების წინ მოწოდების სიტყვით მიმართა თავის ლაშქარს. მას თვით ამ სიტყვის ტექსტიც აქვს მოტანილი თავის ქრონიკებში. სამწუხაროდ, ჩვენ არავითარი შესაძლებლობა არ გვაქვს შევამოწმოთ, თუ რამდენად შეეფერება ეს ამბავი სინამდვილეს და რამდენად სწორადაა იგი ჩაწერილი, მაგრამ მის მოტანას აქ მაინც საჭიროდ მივიჩნევთ, მით უფრო, რომ ბევრ მკვლევარს გოტიეს ამ ცნობის სისწორეში ეჭვი არ ეპარება და ზოგ მათგანს დავითის ამ სიტყვის გოტიესეული ტექსტი ქართული მჭევრმეტყველების ნიმუშების კრებულშიც კი აქვს შეტანილი. აი, ეს სიტყვაც: „ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ, და ერთს რასმეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებასა და სარგებლობისათვის კარგი იქნება: ჩვენ ყველამ, ხელების ცისაკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით. და რათა არ შეგვეძლოს გაქცევა, კიდეც რომ მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლითაც შემოვსულვართ, ხეთა ხშირი ხორგებით შევკარით და მტერს, როცა მოგვიახლოვდება ჩვენზე იერიშის მოსატანად, მტკიცე გულით დაუნდობლად შევუტიოთ“. [შოთა მესხია, ძლევაი საკვირველი, თბ., 2016]

ცნობილია, რომ დავით მეფე ყველა ბრძოლაში თვითონვე მონაწილეობდა. ტარიელიც ბრძოლის რიგითი მონაწილეა:

ახლოს მივე, შემომხედნეს, „შმაგიაო“, ესე თქვესა.
მუნ მივჰმართე მკლავ-მაგარმან, სად უფროსი ჯარი დგესა;
კაცს შუბი ვჰკარ, ცხენი დავეც, მართ ორნივე მიჰხდეს მზესა,
შუბი გატყდა, ხელი ჩავყავ, ვაქებ, ხრმალო, ვინცა გლესა! [446]

თურქ-სელჩუკთა დამარცხებულმა ლაშქარმა დიდი ზარალი ნახა: „იმ დღეს, – წერს მათე ურჰაელი, – იქნა სასტიკი და საშინელი ამოწყვეტა თურქთა ჯარებისა და აღივსნენ გვამებით მდინარენი და მთათა ხევები და ყოველნი მთათა ქარაფნი დაიფარნეს მტრის გვამებითო. მუსლიმანთა ლაშქრის დიდი ნაწილის ამოწყვეტის შესახებ მიუთითებს თვით ალ-ფარიკიც: „მოიკლა მუსლიმანთაგან უთვალავი რაოდენობა და დარბეული იქნენო“. იბნ-ალ-ასირის სიტყვებითაც, „მაჰმადიანთა ლაშქრის უმეტესობა დაიღუპა ბრძოლის ველზე“. „აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითაო“, – წერს დავითის ისტორიკოსიც; დახოცილთა შორის, მისივე სიტყვით, იყვნენ „სახელოვანნი იგი მებრძოლნი არაბეთისანი“. [შოთა მესხია, ძლევაი საკვირველი, თბ., 2016]

ვეფხისტყაოსანში ბრძოლა ასეა აღწერილი:

„შიგან ასრე გავერივე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,
კაცი კაცსა შემოვსტყორცნი, ცხენ-კაცისა დავდგი გორი;
კაცი ჩემგან განატყორცნი, ბრუნავს ვითა ტანაჯორი,
ერთობ სრულად ამოვწყვიტე წინა კერძო რაზმი ორი“ [447]

დიდგორის ომში, მაჰმადიან მოლაშქრეთა დიდი ნაწილი ტყვედ ჩაიგდეს ქართველებმა. ხატაელებთან ომში ტარიელმაც რამაზ მეფის ჯარი სრულად არ ამოწყვიტა:

„მისნი სპანი ყველაკანი დავიპყრენით არ მოვკლენით“ [451-ე სტროფი]

დიდგორის ომის შემდეგ ქართველებს მრავალი ქონება დარჩათ: „სპანი ჩუენნი და უფროისად ყოველი სამეფოი თუ ვითარ-ესე აღივსო ოქროითა და ვერცხლითა, არაბულითა ცხენებითა და სრულითა ჯორებითა, კარვებითა და საფარდებითა და სხვითა ურიცხვითა ჭურჭლებითა“. [ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისა]

ხატაეთის ომის შემდეგ ტარიელმა

„მეფისათვის დავარჩიე, საარმაღნოდ რაცა სჯობდა:
ჯორ-აქლემი ათჯერ ასი, ყველაკაი წვივ-მაგრობდა, –
ატვირთული გავუგზავნე, ამებავსაცა კარგსა სცნობდა“. [462]

დასტურდება პავლე ინგოროყვას მოსაზრება, რომლის მიხედვითაც შოთა რუსთაველი ბაგრატოვანთა გვარისაა და ის გარკვეული პერიოდი გიორგი მესამის კარზე იზრდებოდა. „...დადასტურდა, რომ შოთა რუსთაველი არის ცნობილი ისტორიული მოღვაწე XII-XIII საუკუნეთა – შოთა ჰერეთის ბაგრატიონი, ერისთავთ-ერისთავი საქართველოს აღმოსავლეთ მხარეთა – ჰერეთისა და რუსთავისა“. [პავლე ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბ., 1978, გვ. 50], „მეფის თამარის დროს შოთას პაპა ასათ II, ხოლო შემდეგ მამა გრიგოლ III, იყვნენ სამეფო კარის ვაზირნი“ [პავლე ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბ., 1978, გვ. 55]. სამეფო კართან სიახლოვე შოთა რუსთაველს საშუალებას აძლევდა გაცნობოდა სხვადასხვა ისტორიულ ფოლიანტებს.

საქართველოს ისტორიის განხილული ორი მონაკვეთისა და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შედარება ნათლად გვიჩვენებს იმას, რომ შოთა რუსთაველი ძალიან კარგად იცნობს საქართველოს მატიანეს, გაცნობილია ლეონტი მროველის თხზულებას „ცხოვრება ფარნავაზისი, რომელი იყო პირველი მეფე ქართლისაი“ და არსენ ბერის თხზულებას „ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი“, და ამ ნაწარმოებთა გარკვეულ მონაკვეთებს მხატვრული დამუშავებით იყენებს „ვეფხისტყაოსანში“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ინგოროყვა პავლე, თხზულებათა კრებული, ტ. IV, თბ., 1978;
2. მესხია შოთა, ძლევაი საკვირველი, თბ., 2016.
3. რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1992;
4. ქართლის ცხოვრება. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბ., 2008;

საღამე მიჭაძე

„კომანდორის მკვლელობა“ (ჰარუკი მურაკამი)

„ყველას ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც მას მნიშნელოვანი გარდატეხა სჭირდება. როცა ამის დრო დაუდგება ადამიანს, შანსს კუდში ხელი უნდა ჩაავლოს, მაგრად მოქაჩოს და არასდროს გაუშვას. არიან ადამიანები, რომლებსაც ეს გამოსდით, ისეთებიც არიან ვისაც ეს არ ეხერხებათ“.

ეს სიტყვები ზუსტად ასახავს გამოჩენილი და ჩემთვის განსაკუთრებულად ძვირფასი იაპონელი მწერლის ჰარუკი მუკარამის პერსონაჟის მდგომარეობას წიგნში „კომანდორის მკვლელობა“. უცნაურია თუმცა, მას არ გააჩნია სახელი, ვიცით მხოლოდ ასაკი და პროფესია. ოცდათექვსმეტი წლის პორტრეტისტს ექვს წლიანი ქორწინების შემდეგ მეუღლე გამოუცხადებს: „ძალიან ვწუხვარ, მაგრამ შენთან ერთად ვეღარ ვიცხოვრებო“, მისი საქციელის ახსნა-განმარტებას კი არ ცდილობს და არც დამამშვიდებელი სიტყვებით მიზეზს ხსნის. მთავარ გმირს კი სხვა გზა არ დარჩა გარდა იმისა, რომ დარდის განსაქარვებლად, უცაბედად დამტყდარი უბედურების გასააზრებლად სამოგზაურად მანქანით წასულიყო. რამდენიმე თვე გზაზე ცხოვრების შემდეგ, მხატვარმა გადაწყვეტა, რომ დროებით ღრმად პატივცემული და სახელგანთქმული იაპონელი მხატვრის ტომოიკო ამადას მთისპირა ცარიელ სახლში დასახლებულიყო.

თითქმის ორთვიანი განუწყვეტელი მოგზაურობის შემდეგ, ხელოვანისათვის დაიწყო ცხოვრების ახალი ეტაპი, რომელიც გამოირჩეოდა სიმშვიდით, განმარტოებითა და მარტოსულობის განცდით. ეს ცვლილება აისახა მის მხატვრულ შემოქმედებაზეც, აქამდე თუ მთხრობელი პორტრეტებს შეკვეთით, თავის სარჩენად ხატავდა, ახალი ნამუშევრის შექმნა მხოლოდ მის ნება-სურვილზე გახდა დამოკიდებული, ის ფუნჯს იღებდა ხელში არა მექანიკური სამუშაოს შესასრულებლად, არამედ ამ ყველაფრის გაკეთება პირად სიამოვნებას ანიჭებდა და მის მხატვრულ ჰორიზონტს აფართოებდა, რითაც თავის უნარებს ხვეწდა.

ცნობილი იაპონელი შემოქმედის სახლში დროის უმეტესი ნაწილის გატარება მთავარი გმირისთვის ინსპირაციის წყარო გახდა. მას შესაძლებლობა მიეცა დაფიქრებულიყო განვლილ ცხოვრებაზე, ტკბილ-მწარე მოგონებებზე, რომელთაგან მრავალი დაკავშირებული იყო გარდაცვლილ დასთან, რომლის სიკვდილიც მოუშუშებელი ტრავმა იყო წიგნის გმირისათვის. საყვარელი დის სიკვდილმა წარუშლელი იარა დაუტოვა არა მხოლოდ მას, არამედ მთლიანად ოჯახს.

ჰარუკი მურაკამი არ იქნებოდა ლეგენდარული და ყველასგან გამორჩეული მწერალი რომ არა ის უცნაური, ფანტასტიკური და ერთ შეხედვით ამოუცნობი მოვლენები, რომლებიც თან ახლავს თითქოს არაფრით გამორჩეულ, ერთფეროვან და ყოველდღიურ რუტინაში მყოფ მისი წიგნის გმირებს.

გამონაკლისი არაა არც „კომანდორის მკველობა“. მთავარი პერსონაჟის ჰარმონიული ცხოვრება განმარტოებით მთაში მაშინ ირღვევა, როდესაც ის ჭერში საგულდაგულოდ გადანახულ ტომოიკო ამადას ფერწერულ ტილოს „კომანდორის მკვლელობას“ გადააწყდება, ეს აღმოჩენა ხდება საწყისი სხვა მრავალი ამოუხსნელი და ზებუნებრივი მოვლენისა, რომელთა შორის შეგვიძლია დავასახელოთ: შუაღამის 2 საათზე დაწყებული იდუმალი ზარის რეკვა, იდეა, რომელიც ფერწერული ტილოს პერსონაჟის სახეს იღებს, ორმაგი მეტაფორა, რომლის კლანჭებში მოქცევაც სამუდამო გამომწყვდევას ნიშნავს და ა. შ. ამ დროს მხატვარი გაიცნობს მდიდარ, იდუმალ და განათლებულ მეზობელს – ვატარუ მენშიკის, რომელიც საკუთარი პორტრეტის დახატვისათვის მთავარ პერსონაჟს მეტისმეტად დიდ ჰონორარს შესთავაზებს. ამ მოულოდნელი ფაქტით დაბნეული მხატვარი გადაწყვეტილების მიღებამდე ცდილობს კარგად გაანალიზოს შემოთავაზება, სურს დაინახოს რა იმალება ერთი შეხედვით უწყინარი შეკვეთის უკან, რა ამოძრავებს უცნობ მეზობელს? რა წარმოადგენს მისი შეკვეთის ნამდვილ მიზეზს? ამ კითხვებზე პასუხს წიგნის მსვლელობის დროს ვიგებთ.

„კომანდორის მკვლელობა“ ის ნაწარმოებია, რომელმაც განმიმტკიცა რწმენა, რომ ნებისმიერი ხელოვნების ფორმა, ეს იქნება ფერწერული ტილოს შექმნა, მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა, მხატვრული ნაწარმოების წერა თუ სხვა, იქმნება პირადი ტრაგედიებისა და განცდების საფუძველზე. ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით მახსენდება ანა კორძაია-სამადაშვილის სიტყვები, რომლებიც მოვისმინე ბათუმში გამართული წიგნის საერთაშორისო გამოფენაზე: „ბედნიერი ადამიანები არ წერენ“. ერთი შეხედვით უცნაური და დამაბნეველი სიტყვებია, თუმცა თუ ჩავუფიქრდებით, შეგვიძლია მასში სიმართლის ნაპერწკალიც დავინახოთ. ქართველი მწერლის ეს შეხედულება, ჩემი აზრით, შესაძლებელია მიესადაგოს უსახელო ხელოვანსაც. მისი მხატვრული შემოქმედების ახალი კარი მაშინ გაიღო, როდესაც თავს დაატყდა მოულოდნელი უბედურება, რაც გამოიხატა მეუღლესთან განშორებით, ამას თან დაემატა დის გარდაცვალების მოუშუშებელი ტკივილი, საბოლოო ჯამში კი მივიღეთ მძაფრი შინაგანი განცდებისა და შეგრძნებების მქონე მხატვარი, რომლის ცხოვრება სავსეა დანაკარგებითა და სინანულის გრძნობით.

წიგნში შეხვდებით ერთმანეთთან შეუთავსებელ, განსხვავებულ, ამოუცნობ მოვლენებსა და მისტერიებს. ამ ნაწარმოებში გვერდიგვერდ თანაარსებობს ერთფეროვნება, ფანტაზია, ამოუცნობი და იდუმალი. წიგნის კითხვისას შესაძლებელია თავი მოგაბეზროთ და ყურადღება გაგიფანტოთ განმეორებადმა აღწერებმა, თუმცა თუ ამ ფაქტს გაითავისებთ ჰარუკი მურაკამის ამ მორიგი შედევრის გაცნობა განუმეორებელ და სასიამოვნო თავგადასავლად გადაიქცევა.

„ყველა ერთნაირად როდი ცხოვრობს“ (ქან-პოლ დიუბუა)

როდესაც გულისტკივილით, წარსული მოგონებების ნაშთებითა და მშობლიური ოჯახის საიდუმლოებებით აღსავსე ამ რომანს გადავეყარე, ბათუმში აგვისტოს მხუთავი და მომქანცველი საღამო იდგა. წიგნის მიმზიდველი, თვალისმომჭრელი გარეკანი და ფურცელთა უჩვეულო ფერი იყო ის, რამაც ჩემთვის აქამდე სრულიად უცნობი მწერლისა და ისტორიის გზის გაკვალვისაკენ მიბიძგა. გულწრფელად ვიტყვი, რომ „ყველა ერთნაირად როდი ცხოვრობს“ უფრო მეტად გვიანი შემოდგომისათვის დამახასიათებელ ფერთა მომნუსხველ, თუმცა უძირო სევდის მომგვრელ პეიზაჟთა სახე-ცვლილებასა ან ზამთრის ჩუმ, ძვალსა და რბილში გამტარ სუსხს შეეფერება. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ჩემთვის გარემო, სადაც „თვალების დახუჭვა და ძილი ერთადერთი საშუალებაა“ აუტანელი, ხმაურიანი ვირთხების უკან მოსატოვებლად, რათა შეძლო გარდაცვლილი ძვირფასი ადამია-

ნების მონახულება „არეულ-დარეული“ ცხოვრების მოსაწესრიგებლად ზედმეტად მტკივნეული და ემოციურად დამთრგუნველი აღმოჩნდა.

მონრეალის პროვინციული ციხე, რომელიც ცოცხალი ადამიანივით, მფეთქავი გულითა და ყოვლისმშთანთქველი მუცლით თავის კლანჭებში მოქცეულსა და უიმედობის სქელ საბურველში გახვეულ პატიმრებს ნელ-ნელა ყლაპავს, ინელებს და ითრევს. სწორედ ასეთია ცნობილი ფრანგი მწერლისა და ჟურნალისტის ჟან-პოლ დიუბუას ნოსტალგიით, მწვავე თვითირონიითა და წარსულ დღეთა მოგონებებით აღსავსე რომანის „ყველა ერთნაირად როდი ცხოვრობს“ მთავარი გმირის პოლ ჰანსენის ყოველდღიური ცხოვრება მას შემდეგ, რაც ისეთ დანაშაულს ჩაიდენს, რომელიც აღფრთოვანებასა და მოწიწებას გვრის თვით მოტოციკლისტების მაფიის წევრსა და დანაშაულების გრძელი ნამსახურობის სიის მქონე მესაკნეს – პატრიკ ჰორტონსაც კი. აქედან გამომდინარე, წიგნის პირველივე გვერდებიდან შეუძლებელია არ დაგვებადოს უფრო მეტის შეცნობისა და აღმოჩენის დაუოკებელი სურვილი, რომელიც გვიბიძგებს ხელიდან არ გავუშვათ შანსი და გავაგრძელოთ სქელი, მძიმე ფარდის ახდა, რომელიც ჰანსენის ღრმა შინაგან სამყაროს ახვევია გარს.

შესაძლებელია თუ არა ცხოვრება ხელახლა, ქათქათა და შეურყვნელი ფურცლიდან დაიწყო? ერთდროულად ღვთის რწმენასა თუ იმედს უნერგავდე ადამიანებს და მეორე მხრივ იყო ჟინიანი მოთამაშე, რომელსაც კამათლის გაგორება და დოღი წაგების მუდმივ შიშს გიღვივებს, თუმცა მაინც მგზნებარე აღტაცებითა და მონდომებით აგრძელებდე ფსონის დადებას? როგორ ცამტვერდება და ყავლი გასდის კონსიერჟის ოცდაექვსი წლის განმავლობაში გაწეულ დაუღალავსა და გამომფიტველ შრომას, რომელიც ხშირად მოიცავდა ავადმყოფების, მოხუცების და ქვრივების გულის დარაჯად ყოფნას? ყოველთვის რატომ არის ხალხის კეთილგანწყობილ და მზრუნველ გამომეტყველებას უკან ამოფარებული მლიქვნელი, მედროვე ადამიანი, რომელიც აქამდე სხვისთვის თავდადებულ გულშემატკივრებს პირად გოშიებად და ყურმოჭრილ მონებად აქცევს?

მრავალი კითხვა თავს ძლიერი სეტყვასავით დამატყდა და ჩემს გონებას კიდევ დიდხანს არ ტოვებდა. აი, სწორედ ესაა ის, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ წიგნი, რომლის წაკითხვაც ახლახანს დავასრულეთ მნიშვნელოვანი და ღირებული იყო ჩვენი თვალსაწიერის გაზრდისა და სხეულში მყოფი სულის გამოსაკვებად.

„ყველა ერთნაირად როდი ცხოვრობს“ მართლაც, რომ ზედგამოჭრილი სათაურია, მასში აღწერილი მრავალწახნაგოვანი პერსონაჟებისა და ემოციებით დატვირთული ისტორიების აღსაწერად. ის გვახსენებს, რომ დიახ, სამყარო უცნაური, ხშირად წარმოუდგენელი და ამოუხსნელი წესწყობით განაგრძობს ჩვენს განცვიფრებას.

დასასრულს მინდა, რომ თითოეულ ჩვენგანს მოგვეცეს საშუალება ვიპოვოთ ან დავუბრუნდეთ ადგილს, სადაც ამაყად და თავის აწევით განვაცხადებთ: „მე იოჰანეს ჰანსენის შვილი ვარ“.

„ალბათ ესთერი“ (კატია პეტროვსკაია)

„ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავს, ყოველ უბედურ ოჯახს კი თავისი უბედურება სჭირსო“, ბუმბერაზი რუსი მწერლის – ლევ ტოლსტოის ეს ნაანდერძევი ფრაზა ზუსტად ასახავს კატია პეტროვსკაიას მრავალრიცხოვან, მაგრამ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტული ოჯახის წევრების ისტორიას, რომელიც დატვირთულია ტრაგიზმითა და მოუშუშებელი ტკივილით. ამას აღიარებს თავად ავტორიც, რომლის თქმითაც ეს ფრაზა „მახეში გვიტყუებდა, უბედურებისკენ ლტოლვას გვიღვიძებდა, თითქოს მხოლოდ უბედურება ღირდეს სალაპარაკოდ, ბედნიერება კი არა, რადგან ის ცარიელია“.

სავარძლის სირბილესა და სათამაშოებში ჩაფლული მე, წიგნის პირველივე გვერდებიდან სრული სიძლიერით გადავეშვი კატიას წინაპრების კვალდაკვალ მოგზაურობაში. მართლაც, ის, რაც ამ დოკუმენტურ, თუმცა მაინც ლიტერატურულ შედევრს გამოარჩევს სხვებისგან არის თავისი ავთენტურობა, პირდაპირობა და გულწრფელობა. მე, როგორც ერთ-ერთმა მკითხველმა თავი ავტორის გვერდით ვიგრძენი. მასთან ერთად განვიცდიდი აღშფოთებას, გაკვირვებასა და დაუოკებელ ინტერესს. მიუხედავად იმისა, რომ „ალბათ ესთერი“ მოგვითხრობს ებრაული წარმომავლობის ოჯახის დამთრგუნველ, ხიფათითა და მწუხარებით აღსავსე ისტორიას, წიგნის წაკითხვის პროცესში რამდენჯერმე, ხმამაღლა ვიცინე. სწორედ ესაა პეტროვსკაიას ნიშა, გაგვაცინოს, მოგვხიბლოს საკუთარი იუმორით მაშინ, როდესაც საქმე ისეთ სულისშემძვრელ მოვლენებს ეხება, როგორებიცაა: ჰოლოკოსტი, საკონცენტრაციო ბანაკები, „ბაბი-იარი“, სადაც კიევში დარჩენილი ებრაელი მოსახლეობა ამოხოცეს, სიკვდილის მარში, ანუ 55,2 კილომეტრი მაუტჰაუზენიდან – გუნსკირხენამდე. მანძილი, რომლის გავლაც ებრაელი ქალების, ბავშვებისა და მოხუცების უსასრულო კოლონას მოუწია გარდაუვალ სიკვდილთან შესახვედრად.

ამ ოჯახში ფესვგადგმულმა თვისებამ, რომელიც თვითგადარჩენის როლს ასრულებდა თავისი თითოეული წევრისთვის, ნათლად გამოავლინა თავი კატიას ბაბუის ძმის, „სუფთა ებრაული სახელით“ – იეჰუდე შტერნის სასამართლო პროცესზე. ამ უცნაურმა, თავზეხელაღებულმა კაცმა შუაგულ მოსკოვში გერმანიის ელჩს ესროლა და საიდუმლო სამსახურის პოლიციელებს ჩაბარდა წინააღმდეგობის გარეშე. დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად, იეჰუდემ მაინც მოახერხა სამსჯავროზე შეკრებილი ხალხის გაცინება ენამოსწრებული რეპლიკებით. „იუმორი უძალოთა იარაღია“ გვიხსნის მწერალი.

პეტროვსკაიას საკუთარი ოჯახის საიდუმლოებანი გამოაქვს სააშკარაოზე. ამით, თითქოს თვითრეაბილიტაციისა და თერაპიის კურსსაც გადის. თავგზააბნეულსა და ღრმა სულიერ კრიზისში მყოფს „გამქრალისა და უკვე არარსებულის მოძებნის ჟინი“ აცოცხლებს და ბიძგს აძლევს გააგრძელოს ჩახლართული, მრავალი აღმოჩენით სავსე ბილიკი. ამ გარდატეხისა და კათარზისის მომსწრენი ვხდებით მკითხველებიც, რომლებიც ფართოდ გახელილი თვალებით კატიას პირად დღიურში ვიხედებით. მასთან ერთად, ვმოგზაურობთ გერმანიიდან პოლონეთში, ავსტრიაში, მშობლიურ უკრაინასა და რუსეთში.

ქართველი მკითხველებისთვის განსაკუთრებით ახლობელია ის ატმოსფერო, რომელიც წიგნის მსვლელობისას მუდმივად თან გვდევს. შემბოჭველი, ინდივიდუალიზმისა და განსხვავებულობის ამომძირკველი საბჭოთა კავშირის დაუნდობელი სისტემა. სწორედ ასეთ გარემოში მოუწიათ კატიასა და თავისი ოჯახის წევრებს ცხოვრება, შეზღუდულ თავისუფლებასა და უწყვეტ თვალთვალთან ერთად.

შვიდი თაობა, ანუ ორასი წელი. ეს დროის ის მონაკვეთია, რომლის განმავლობაშიც ავტორის წინაპრები ყრუ-მუნჯ ბავშვებს ასწავლიდნენ და მათთვის სკოლებს აშენებდნენ. ეს უანგარო და კეთილშობილური საქმე კატიასთვის იქცა „თავდადების სამუდამო ტყვეობად“, რომლის ვალდებულებისგან გათავისუფლებას ოჯახის წევრები დანაშაულად უთვლიდნენ. საკუთარი თავისაგან გაუცხოებულმა და უგზო-უკვლოდ დარჩენილმა ხსნა გერმანული ენის შესწავლაში დაინახა. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ თავისი ცხოვრების ესოდენ პირადული დეტალები ამ ენაზე გადმოსცა.

მირა, ჰოლოკოსტის ცოცხალი მოწმე, რომელიც გადარჩენას საოჯახო პორტრეტებით სავსე თუნუქის ჯამს უმადლოდა. კატიას მამა, რომლის არსებობა საევაკუაციო მანქანიდან ფიკუსის ჩამოდგმითა და მისთვის ადგილის გათავისუფლებით გადაწყდა და კატიას დიდი ბებია, რომელსაც ალბათ ესთერი ერქვა, კიევში გამოცხადებული ევაკუაციის დროს, ღრმად მოხუცებული, მაგრამ

კანონმორჩილი მოქალაქისთვის დამახასიათებელი სრული პასუხისმგებლობით ქუჩაში გამოსული, გერმანელ ჯარისკაცთან გამოლაპარაკებისთანავე ადგილზევე დახვრიტეს. ესაა იმ ადამიანთა მცირეოდენი ჩამონათვალი, რომელთა ყოფნა-არყოფნა ერთი შეხედვით სრულიად უმნიშვნელო და ჩვეულებრივმა გადაწყვეტილებებმა, შემთხვევითობებმა გადაწყვიტა.

„ალბათ ესთერი“ ესაა ღრმა პატივისცემისა და მადლიერების გამოხატვის წარმატებული მცდელობა, რომელიც გვაფიქრებს ჩვენს წარმომავლობაზე, გვიბიძგებს საკუთარი თავის უკეთ გაცნობისა და აღმოჩენისაკენ.

და ბოლოს, გირჩევთ, რომ წაიკითხოთ ეს წიგნი და მოემზადოთ გადაეშვათ დაუვიწყარ, მძაფრ ემოციებითა და მოგონებებით აღსავსე კატია პეტროვსკაიას სამყაროში.

შორენა
მახარაძე

ქსოვილების დამზადებისა და ჭრა-კერვის ფრაზიციები

აბსტრაქტი – ხელსაქმეს საქართველოში უძველესი ტრადიცია აქვს. ქსოვმქარგველობა ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში იყო განვითარებული. ხალხური ხელსაქმე ტრადიციულ ქართულ ოჯახებს წესად მოსდევდათ. იგი თაობიდან თაობას გადაეცემოდა. რთვა-ჩეჩვა, ქსოვა, ქარგვა ოჯახში ყველა ქალს უნდა სცოდნოდა. პატარძალს თავისი ნაქსოვი წინდები, ხელთათმანები და სხვადასხვა საოჯახო აქსესუარები ქმრის ოჯახისათვის საჩუქრად მიჰქონდა.

ძველად აჭარული ტანსაცმლისათვის გამოყენებული იყო უმთავრესად შინამრეწველური წესით ნამზადი შალის, აბრეშუმის, სელ-კანაფისა და ბამბის ქსოვილები. მატყლი იხმარებოდა უპირატესად მამაკაცის „ჩაქურასა“ და ქალის ტანსაცმლის ისეთი ელემენტების დასამზადებლად, როგორიცაა სარტყელი, ფეშტემალი, წინდები, ხელთათმანები, ზუბუნფარაგა.

აბრეშუმის ძაფი გამოიყენებოდა ტანსაცმლის შესამკობად. კერძოდ, სიხმისა და ჩათაკის, კაბის გულისპირისა და სამაჯეების მოსაქარგავად. სელისაგან მზადდებოდა საცვლებისათვის განკუთვნილი ტილოს ქსოვილი, ტანსაცმლის შესაკერი ძაფი, რომელსაც კედის ძაფს ეძახდნენ.

რთვა-ქსოვის დროს გამოიყენებოდა შემდეგი სამუშაო იარაღები: საჩეჩელი, ხერტალი, ჭახრაკი. საქსოვად ორი ტიპის დაზგა არსებობდა: ჰორიზონტალური და ვერტიკალური.

ეთნოგრაფიული მასალის შესწავლით ცნობილია, რომ აჭარის მოსახლეობა უძველესი დროიდან მისდევდა ფეიქრობას. აჭარელთა ყოფაში ბოლო დრომდე შემორჩა ჭრა-კერვასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები. ზოგადად ეს წეს-ჩვეულებები მნიშვნელოვნად ავსებს ქართველი ხალხის რწმენა-წარმოდგენათა შესწავლის ისტორიას.

საკვანძო სიტყვები – ფეიქრობა, ქსოვილები, სამუშაო იარაღები, საქსოვი დაზგა, საღებავები.

საქართველოში საფეიქრო ხელოვნების განვითარებას უძველესი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ოთხი-ხუთი ათასი წლის წინათ უკვე სცოდნიათ სელის, კანაფის, მატყლის სართავ-საქსოვად გამოყენება. კოლხეთი სამართლიანად ითვლება იმდროინდელ მსოფლიოში განთქმული სელის ქსოვილების მწარმოებლად. ბერძენი ისტორიკოსის ჰეროდოტეს (ძვ. წ. V ს.) ცნობით კოლხური სელის ქსოვილები, რომელიც სარდონულის სახელწოდებით იყო ცნობილი ეგვიპტურ

სელს თავისი ღირსებით არ ჩამოუარდებოდა. ქსენოფონტეს თქმით (ძვ. წ. IV ს.) ხალიბები სელის ჩაჩქანით იმოსებოდნენ. სტრაბონის (I ს.) შესაბამისად კი, კოლხეთში სელი და კანაფი ისეთი დიდი რაოდენობით მოჰყავდათ, რომ მისგან დამზადებული ქსოვილები საზვარგარეთაც გაჰქონდათ. უძველესი დროიდან მოკიდებული ქართული ქსოვილი, საგარეო ვაჭრობის უმნიშვნელოვანეს საგნად იქცა (კომახიძე, 2010:341).

აჭარული სამოსის სხვადასხვა ელემენტების დასამზადებლად იყენებდნენ ძირითადად შინამრეწველური წესით დამზადებულ შალის, აბრეშუმის, სელ-კანაფისა და ბამბის ქსოვილებს. მატყლი იხმარებოდა უმეტესად მამაკაცის „ჩაქურასა“ და ქალის ტანსაცმლის ელემენტების დასამზადებლად, როგორიცაა სარტყელი, ფეშტემალი, წინდები, ხელთათმანები, ზუბუნ-ფარაგა (სურ. 8).

აბრეშუმის ძაფი ძირითადად გამოიყენებოდა ტანსაცმლის შესამკობად. კერძოდ, სიხმისა და ჩათაკის, კაბის გულისპირისა და სამაჯეების მოსაქარგავად, სარტყლის არშიების, ყაითნებისა და თავჩითის მოსაქარგავად. XIX ს. 60-იანი წლებიდან მაღალი წოდების ქალები და მამაკაცები იკერავდნენ ფაბრიკული წესით აბრეშუმისა და სხვა ძვირფასი ქსოვილისაგან დამზადებულ ტანსაცმელს. ეს ტრადიცია აჭარას თითქმის XX ს. 20-30-იან წლებამდე შემორჩა (კახიძე, 1983:36), (სურ. 6).

სელისაგან ძველად ამზადებდნენ საცვლებისათის განკუთვნილ ტილოს ქსოვილს, ტანსაცმლის შესაკერ ძაფს, რომელსაც კედის ძაფს ეძადნენ. კანაფს შედარებით ნაკლები გამოყენება ჰქონდა. მას ხშირად ქალამნის თოკების დასამზადებლად ხმარობდნენ. ზოგჯერ ბამბანარევი კანაფისაგან საცვლებსაც კერავდნენ. დასახელებული ქსოვილების დამზადების ტექნოლოგია არსებითად განსხვავებულია ერთმანეთისაგან.

საქართველოში რთვა-ქსოვის დროს გამოიყენებოდა შემდეგი სამუშაო იარაღები: საჩეჩელი (მატყლის დასაჩეჩად), ხერტალი (თითისტარი მატყლის დასართავად), ჭახრაკი (ძაფის დასაძახავად), დოლაბი (საქსელავად). საქსოვად ორი ტიპის დაზგა არსებობდა: ჰორიზონტალური, რომელიც ქსელის, სამექსლოს სახელით იყო ცნობილი და ვერტიკალური ტიპის საქსოვი დაზგა – თორის ყდა. საწარმოო პროცესების მიხედვით საფეიქრო იარაღები რამდენიმე ჯგუფად იყოფა: ნართის დასამუშავებელი (საჩეჩელი, ხერტალი, ჭახრაკი), ქსოვილის დასამზადებელი (სამექსლო, თორის ყდა) და ქსოვილის დასამუშავებელი სათელავი ხელსაწყო) (სამსონია, 2005:14) (სურ. 9).

საქართველოში თითისტარის გამოყენება ჯერ კიდევ ნეოლითური ხანიდან დასტურდება. მკლევართა ნაწილი მიწათმოქმედების განვითარებასა და თითისტარის გამოგონებას ერთმამეთთან მჭიდრო კავშირში განიხილავს. მრთველ ქალს ხერტალი მარჯვენა ხელში ეჭირა, მატყლის ფრთილა-მარცხენაში და საყრდენის გარეშე ატრიალებდა მას. ნართი ეხვეოდა მანამ, სანამ ტარი ბრუნვას არ შეწყვეტდა. პროცესი რამდენიმეჯერ მეორდებოდა. თითისტარის საშუალებით ნართის დამზადების ანალოგიური წესი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში არსებობდა.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ჭახრაკი სართავთ საბრუნავი მანქანაა. ხერტალსა და ფეხისტართან შედარებით ჭახრაკი გვიან შემოვიდა ხმარებაში და ბოლო დრომდე შემორჩა ყოფას. მასზე ძაფის დაძახვა ადვილად და სწრაფად ხდებოდა. ჭახრაკის გამოყენებამ ძაფის დაძახვის პროცესი უფრო დააჩქარა და შესაბამისად გაზარდა შრომის ნაყოფიერებაც (სურ. 9).

საფეიქრო დაზგაზე ქსოვის დაწყებას წინ უსწრებდა დაქსელვა, რომელიც დოლაბზე წარმოებდა. დაქსელვის დამთავრების შემდეგ ხდებოდა მისი გადართვა ქსელზე. ეს საქსელავი მოწყობილობა, როგორც მეცნიერები ფიქრობენ ქსოვის ტექნიკის შემდგომი განვითარების მაჩვენებელია და ფართოდ იყო გავრცელებული ხალხურ ფეიქრობაში.

აჭარულ სამექსლოზე ორი ან ოთხი დგიმით ქსოვდნენ. დგიმების რაოდენობაზე იყო დამო-

კიდებული ქსოვის ხარისხი. უფრო მჭიდრო და მაღალი ხარისხის ნაქსოვი ოთხდგიმიან საქსოვ დაზგაზე იქსოვებოდა.

ქართული ხალხური საქსოვი დაზგების შესწავლის შედეგად დადგენილია მისი ორი ძირითადი ტიპი. პირველია ვერტიკალური საქსოვი დაზგა, მეორე კი დგიმ-სავარცხლიანი ანუ ჰორიზონტალური საქსოვი დაზგა (სურ.9).

საქართველოს დანარჩენი კუთხეების დაზგებთან აჭარული საქსოვი დაზგების შედარებითი შესწავლა ცხადყოფს, რომ იგი ახლო მსგავსებას ამჟღავნებს მეგრულ დგიმ-სავარცხლიან საქსოვ დაზგასთან, ხოლო ქსელის ბოლოს გადაჭიმვისა და ჩამაგრების წესით იგი ემსგავსება მესხურ საფეიქროს. ამრიგად, აჭარაში დადგენილი საქსოვი დაზგები წარმოადგენს ქართული საქსოვი დაზგების მოდიფიკაციას. მათ გააჩნიათ რიგი თავისებურება (მოძრავი ლილვი, ყდაში ჩასმული სავარცხელი, საფეხურები) (სამსონია, 2005:25). ქსოვილის ხარისხი დამოკიდებული იყო როგორც ნართზე, ასევე სავარცხლის კბილების სიხშირეზე. წმინდა კბილებიანი სავარცხელით წმინდა შალი იქსოვებოდა. ნაქსოვი ორი სახისა იყო – ცალმაგი და ორმაგი. ორმაგი ნაქსოვის მისაღებად, რასაც უფრო მეტი დაფასება ჰქონდა, სავარცხელში წყვილ ძაფს გაატარებდნენ. ორმაგად ნაქსოვი შალისაგან მზადდებოდა ქალის სარტყელი, მამაკაცის ჩოხა-შალი და ა. შ.

უფრო ხშირად ერთი ფერის სადა ქსოვილებს ქსოვდნენ, მაგრამ იცოდნენ ზოლებიანი შალის ქსოვაც სარტყლებისა და ფეშტემლებისათვის. ფერადი შალის ქსოვის დროს საქსელავად იყენებდნენ სხვადასხვა ფერად შეღებილ ძაფს.

შალის ქსოვილების დამზადების ტექნოლოგიის ყველაზე სრული სურათი დადგენილია ზემო აჭარაში, კერძოდ ღორჯომსა და დიდ აჭარაში. გლეხის ოჯახში ნედლი მასალის გადამუშავება უმეტესად ხდებოდა ზამთარში, როცა ქალები გარე და სხვა საოჯახო სამუშაოებისაგან შედარებით თავისუფალნი იყვნენ.

მატყლის ასაწონად ხის სასწორებს ხმარობდნენ. გირების ნაცვლად ქათმის კვერცხს იყენებდნენ: რვა კვერცხი ერთ ნუკს ანუ 400 გრამს შეადგენდა, ოცი კვერცხი ერთ კილოგრამს. XIX ს. ბოლოსათვის და XX ს. 20-იან წლებამდე ერთი კილო მატყლი 3 აბაზი ღირდა. მატყლი ხშირად პროდუქტებზე იცვლებოდა.

ოჯახი მატყლს იმარაგებდა იმის მიხედვით, თუ რომელი სამოსის ელემენტის ნაკლებობას განიცდიდა. მატყლის დამუშავების პროცესში (გარეცხვა, გაწეწვა, გაჩეჩვა, დართვა, დაძახვა, დაქსელვა) ოჯახის ყველა ქალი თანაბრად მონაწილეობდა. გარეცხილ და გამშრალ მატყლს საჩეჩელზე გადაახარისხებდნენ. მატყლის სამი ხარისხი იყო – გრძელყური, მოკლეყური და კვირტლი. გაჩეჩილ მატყლს დართვამდე ფთილებად ინახავდნენ (სამსონია, 1973:154). მატყლის ჩეჩვისა და რთვის დროს გამოიყენებოდა კოლექტიური შრომა, იწვევდნენ ქალთა ნადს, რომელსაც ხერტლის ნადი ეწოდებოდა. ნადზე იყო გართობა-მხიარულება, რასაც მუშაობაში წახალისების მიზანი ჰქონდა. მატყლის დამუშავება და შალის ქსოვილების ქსოვა ძირითად საზრუნავსა და მოვალეობას შეადგენდა. ამიტომაც ცდილობდნენ გოგონა ბავშვობიდანვე რთვა-ქსოვის საქმეს დაუფლებოდა. ამ დარგში გაწაფულ პირებს „მექსლე ქალებს“ უწოდებენ.

შალის ქსოვილს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის თვალსაზრისით ფაბრიკულ ქსოვილთან შედარებით რიგი უპირატესობა გააჩნდა. შალის ქსოვილი დიდხანს არ ატარებდა წყალს და დასველების შემთხვევაშიც ადრე შრებოდა.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ზაქარია ჭიჭინაძე მატყლის, აბრეშუმის, ბამბის და სხვა სახის დანიშნულების ქსოვილების დამზადების შესახებ. მისი მოგზაურობის დროს აჭარაში მზადდებოდა ძაფი, შალი, ჩაფარიშები, არშიები, ქსოვილები, საჩოხე შალები, ყაითნები, ხელთათმანები და ა. შ. მთელი დასავლეთ-საქართველოს სამღვდელო სამოსელი სულ აქეთ იკერებოდა. აქედანვე იგზავნებოდა აღმოსავლეთ-საქართველოში. ნაქსოვ-ნაკერი საეკლესიო სამკაული: დაფარნები ოქრომკერდისა, ოლარები, ხატების ფარდები და მღვდელმთავართა შესამოსელები (ჭიჭინაძე, 1913:87), (სურ.4).

შალის ქსოვილებს უძველეს დროში ფართო გამოყენება ჰქონდა. მას სხვა ქსოვილებისაგან განსხვავებით რიგი უპირატესობა გააჩნია. იგი ინარჩუნებს სითბოს, ჰაერის კარგი გამტარიანობით ხასიათდება. შალის ქსოვილი სუნთქავდა უფრო ზომიერად და თავისუფლად, ვიდრე ბამბის, ტილოს და აბრეშუმის ქსოვილები (ა. კახიძე, 1971:53). შალის ქსოვილების კარგმა თვისებებმა განაპირობა ის, რომ აჭარის ყოფაში შალისაგან დამზადებული სამოსისა თუ მისი ცალკეული ელემენტები ბოლო დრომდე შემორჩა ყოფას.

აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ნართის დამუშავებისა და ქსოვილების დამზადების ტექნოლოგიური პროცესი ანალოგიურია სხვა კუთხეების (კახეთი, მესხეთ-ჯავახეთი და სამხრეთ-ოსეთი). საინტერესოა შალის ქსოვილის თელვის ტექნოლოგია. ამ იარაღს – ხელსაწყოს სათელავი ეწოდება. იგი გვიან შემოვიდა ყოფაში, მანამდე შალს ფეხით თელავდნენ. შალის ქსოვილს მოთელვის წინ დაკერავდნენ რამდენიმე ფენად, დალამბავდნენ, ზევიდან თბილ წყალს დაასხამდნენ და ჯოხზე დაყრდნობილი მამაკაცი მას ფეხით თელავდა. მოთელვის პროცესი დიდხანს გრძელდებოდა და მას რამდენიმე კაცი ენაცვლებოდა.

შალის სათელავი ხელსაწყო შედარებით გვიან გაჩნდა. მისი ერთი ეგზემპლარი მიკვლეულია სოფელ სკურდიდში (ხელვაჩაურის რაიონი), რომელიც აღწერა და შეისწავლა ნ. კახიძემ. აღნიშნული სათელავი ორი ნაწილისაგან შედგება – ჯერა (იგივე ჯარა) და საგორებელი. მრავალ ფენად დაკეცილ შალის ქსოვილს ჯერ ჯარაში ჩადებდნენ, თბილ წყალს დაასხამდნენ და საგორებელის გატარ-გამოტარებით მოთელავდნენ (კახიძე, 1967:38, 60). ანალოგიურად წარმოებდა შალის თელვა ზემო აჭარაში. ამგვარად შალის თელვის წესები აჭარაში და საქართველოს სხვა რაიონებში აღწერილი წესების ანალოგიურია.

აჭარაში აბრეშუმის ქსოვილებსაც ამზადებდნენ. მაგრამ მას მცირე ადგილი ეჭირა შალის ნაწარმთან შედარებით. აბრეშუმის გამოყენების ზუსტი დროის დადგენა ხალხურ ფეიქრობაში ძნელდება. ეთნოგრაფიული მონაცემებით დგინდება, რომ გარკვეული დროის განმავლობაში აბრეშუმი მეზობელი გურიიდან შემოჰქონდათ და სხვადასხვა პროდუქტებზე ცვლიდნენ. მოგვიანებით აჭარაში დაიწყო აბრეშუმის პარკის მოშენება და აბრეშუმის ძაფის მიღება.

აბრეშუმის პარკისაგან საქსოვი ძაფის მიღება, მეტად შრომატევადი იყო. პარკს წინასწარ გადაარჩევდნენ ხარისისა და ფერის მიხედვით. საღ პარკს მზეზე აშრობდნენ, რადგან ჭუპრი პარკში იხოცებოდა, დაზიანებული პარკიდან ძაფის ამოყვანა ძნელდებოდა. შემდეგ პარკს მდუღარე წყლით სავსე ქვაბში ჩაყრიდნენ, ხერტლის წვერით მოურევდნენ, ძაფს თავს მოუძებნიდნენ და სპეციალურ ხელსაწყოზე – ოგვადოზე ამოახვევდნენ (სამსონია, 2005:162, 163) ასეთნაირად მიღებული ძაფი ხარისხითაც გამოირჩეოდა და მას გამოხარშვა არ სჭირდებოდა. აბრეშუმის ძაფის დართვა და დაძახვა ხერტალზე ხდებოდა. მანამდე კი ძაფს წყალში დანამავდნენ, რაც რთვა დაძახვას აიოლებდა. დართულ ძაფს თითისტარზე ორწვერად ან სამწვერად დაძახავდნენ და ნართს მურგვებად ახვევდნენ.

ძველად აბრეშუმისაგან მზადებოდა საკაბე ქსოვილი, თავშლები, თორები და საფულე ქისები. განსაკუთრებით იქსოვებოდა ბადისეული თავჩითი, რომელიც აჭარელი ქალის თავსაბურავ ელემენტს წარმოადგენდა. აბრეშუმის ძაფისაგან საოჯახო წესით დამზადებული სხვადასხვა უნიკალური დანიშნულების ნივთები მრავლადაა დაცული აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში. აქ ინახება მაღალი ოსტატობით დამზადებული თალაბულუსის არშიები, თორები, თავსაკრავები, ფულისა და საათის ქისები, ბაღები, რაც მიუთითებს აჭარაში აბრეშუმის ნაწარმის შინამრეწველური წესით დამზადების მაღალ დონეზე. ამ ქსოვილების გვერდით აბრეშუმის ქსოვილები უცხოეთიდანაც შემოჰქონდათ. დ. ბაქრაძე მიუთითებს, რომ აბრეშუმის ქსოვილების ძირითადი მომწოდებლები ამ კუთხისათვის ყოფილა ალეპო და დამასკო. ყოფაში დღემდეა შემორჩენილი კუბოკ-

რული აბრეშუმისგან შეკერილი სარტყლები, რომელსაც დამასკურს უწოდებდნენ (სამსონია, 2005:29) (სურ. 1, 2, 3, 5, 7, 10).

ხალხში დიდი მოწონება ჰქონდა და დღემდე არის შემორჩენილი სიტყვა სუფთა აბრეშუმი, რომელიც ამ ქსოვილის მაღალი ხარისხის გამომხატველია. აჭარელთა სამეურნეო ყოფაში მეაბრეშუმეობას შედარებით მცირე ადგილი ეკავა თუმცა არსებობდა აბრეშუმის მოვლა-მოყვანისათვის ხელშემწყობი ფაქტორები. ამ პროცესს ხელს უწყობდა დასავლეთ საქართველოში თუთის ხის ტყეების სიმრავლე. მკვლევარები თუთის ერთ-ერთ სამშობლოდ ამიერკაკასიას მიიჩნევენ.

შალისა და აბრეშუმის ქსოვილთან ერთად აჭარაში სელისა და კანაფის ქსოვილებიც მზადდებოდა. საცვლების დასამზადებელ ძირითად მასალას წარმოადგენდა კანაფისა და სელის ქსოვილი. სელის ქსოვილს სასარგებლო თვისებები გააჩნდა. ის იყო მსუბუქი, გრილი და გამძლე. სელის ტილოს განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს ისიც, რომ აჭარაში, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, მიცვალებულს ახვევდნენ სელის ტილოსაგან დამზადებულ სუდარაში. მიცვალებულის საცვლებიც სელის ტილოსაგან იკერებოდა. ძველი რწმენით, სელის ტილოში გახვევა სამადლო საქმედ ითვლებოდა (სამსონია, 2005:30).

აჭარაში სელისაგან ძირითადად ქსოვილები მზადდებოდა. სელის თესლს აჭარაში ცომის სახით სამკურნალოდაც იყენებდნენ. სელს თესავდნენ ზეგან ადგილებში, უმთავრესად კი შემოდგომაზე. შავ, ნაყოფიერ ნიადაგზე მოყვანილი სელი ხარისხოვან ბოჭკოს შეიცავდა. სელის დამწიფებას ღეროს გაწითლებით ატყობდნენ. სელს ძირითადად გლეჯდნენ ხელით. გაზაფხულზე დათესილ ხელს შემოდგომაზე იღებდნენ, ხოლო შემოდგომაზე დათესილს ტოვებდნენ აუღებლად. გამოზამთრების შემდეგ სელის ღერო უკეთეს თვისებებს იძენდა. სელს ძირითადად გლეჯდნენ და გახმობის შემდეგ რამდენიმე დღით წყალში ალბობდნენ. ქალის ხელით სრულდებოდა სელის გარჩევა, დართვა და საქსოვად შემზადება. ნართს ლანდებად ინახავდნენ. ახლად დართული სელის ნართი უხეში იყო, ამიტომ დარბილებისა და გათეთრების მიზნით მას ნაცარშერეულ საპნიან წყალში ხარშავდნენ (სამსონია, 2005:31).

სელის ქსოვილის მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისათვის ძველთაგანვე იყო ცნობილი. სელის მოყვანასა და სელის ტილოს ინტენსიურ გამოყენებას საქართველოში უძველესი ტრადიცია აქვს. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ სელის მცენარე, რომლის სახელწოდება არც ერთი ერის ტერმინს არ ენათესავება – ერთი უძველესთაგანია საქართველოში. ეს კულტურა ჩვენს ქვეყანაში ბრინჯაოს ხანის ბურუსშიც მოჩანს (ჯავახიშვილი, 1930:373).

აჭარის ტერიტორიაზე სელის ქსოვილების დამზადების ერთ-ერთ ცენტრად პროფესორი ა. კახიძე ფიჭვნარს ვარაუდობს, სადაც ქსოვილიან კერამიკასთან, კვირისთავებსა და თვით ქსოვილის ნაშთებთან ერთად მრავლადაა აღმოჩენილი პირამიდული საწაფეები, რომლებსაც იყენებდნენ ვერტიკალურ საქსოვ დაზგაზე ძაფების დასაჭიმად. ასეთი მსგავსი საწაფეები აღმოჩენილია ბათუმის ციხეზეც (კახიძე, 1971:55).

კოლხეთი ძველთაგანვე იყო განთქმული მაღალხარისხოვანი სელის ქსოვილების დამზადებით, რომლითაც იგი შორეულ ქვეყნებთან ვაჭრობდა. ამ ისტორიულ ფაქტებზე საუბრობდნენ ძველი ბერძენი მწერლები. ჰეროდოტე ეგვიპტელი და კოლხი ტომების ნათესაობის ერთ-ერთ ფაქტორად სელის დამუშავების ერთგვარ წესს მიიჩნევდა. მხოლოდ კოლხები და ეგვიპტელები ამუშავებდნენ სელს ერთნაირად.

სელის მოყვანასა და მის გამოყენებას საქართველოში ხანგრძლივი და მაღალგანვითარებული ტრადიციები გააჩნია. ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალები ცხადყოფს, რომ ამ კულტურის განვითარება აჭარაში ანალოგიურია საქართველოს სხვა კუთხეში არსებული ტრადიციებისა.

აჭარაში ორგვარი სახის კანაფი მოჰყავდათ – დედალი და მამალი. ამათგან საბოჭკოედ დე-

სურ 1. ლეჩაქ-სამაგრი თორი

სურ 3. შინნაქსოვი ბაღი



სურ 5. სარტყელი

სურ 2. ქისა

სურ 4. ხელთათმანები და წინდები

სურ 6. ქალის ზედა ტანის სამოსი – სიხმა

სურ 7. ქალის საქორწინო კაბა

სურ 8. მამაკაცის ჩაქურა და ქალის სამოსი – დატეხილი კაბა

სურ 9. ძაფის გადასახვევი ჭახრაკი და საქსოვი დაზგა



სურ 10. ყაისნაღით ნაქსოვი მაგიდის საფარი

დალი კანაფი გამოიყენებოდა. კანაფის ტილოს ქსოვა ქსელზე წარმოებდა. საქსოვად მხოლოდ ერთი წვერი გამოიყენებოდა, რადგანაც ნართი უხეში იყო.

სელ-კანაფის ნართს კედი ეწოდებოდა, ხოლო ქსოვილს – ტილო. კანაფის ნართი და ქსოვილი მოყვითალო ფერის იყო, ამიტომ გათეთრების მიზნით ნაცარ შერეულ საპნიან წყალში ხარშავდნენ.

კანაფის ტილოს მოთელვა, შალის ქსოვილის მსგავსად ხდებოდა, რისთვისაც იყენებდნენ წირი თავებს (მოხრილი მკლავის ფორმის ხე). მოთელვამდე ქსოვილს ცხელ წყალში ალბობდნენ დარბილების მიზნით. ძველად კანაფის ტილოსაგან, ქალები კაბასაც იკერავდნენ. კანაფის ტილოს იყენებდნენ მიცვალებულის სუდარად და საცვლებლად (სამსონია, 2005:35). კანაფის ტილოს იყენებდნენ ლეიბების, ბალიშების გად-

ასაკრავად, ტომრების შესაკერად, ქალამნის თასმებად. ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, რომ კანაფი შინამრეწველობის მნიშვნელოვან ნედლეულს შეადგენდა საქართველოში. ი. ჯავახიშვილის აზრით კანაფი ველურად იზრდებოდა შავი ზღვის სანაპიროზე და შუაგულ საქართველოში.

ხალხური ფეიქრობის განვითარება უპირველეს ყოვლისა მოითხოვდა საღებავი საშუალებების მოპოვებასა და მისგან საღებავების დამზადებას. საღებავად იყენებდნენ, როგორც მცენარეულ, ასევე ქიმიურ საღებავებს. მცენარეული საღებავებიდან იყენებდნენ ენდროს, კაკლის მწვანე ნაჭუჭს, თხემლის და წყავის ხის ქერქს, ნარინჯ ყვავილს, მაკაფია ბალახს და ა. შ.

შალის ქსოვილის პირველად შეღებვაში ფართო გამოყენება ჰქონდა საწერავ ბალახს. საღებავის მომზადება შემდეგნაირად ხდებოდა: თავდახურულ ჭურჭელში გამხმარი ბალახების ფოთლებს ათავსებდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ მას ნელ ცეცხლში ხარშავდნენ ადუღებამდე. მიღებულ სითხეში შალის ქსოვილს ჩადებდნენ და აადუღებდნენ ნახევარი საათის განმავლობაში. ქსოვილი გაცივებამდე ჭურჭელში რჩებოდა. მეორედ შალს ქარხნულ საღებავში ათავსებდნენ, რომელიც ქსოვილს შავ ფერს აძლევდა (სამსონია, 2005:38). მაკაფია ბალახი ჭაობიან ადგილებში ხარობდა. მისი გამხმარი ღეროსა და ფოთლებისგან ყავისფერი საღებავი მზადდებოდა.

აჭარაში ყვითელი ფერის საღებავის დასამზადებლად იყენებდნენ ნარინჯ ყვავილს. ყვავილის ფოთლებს გამხმარი სახით მოსრესდნენ და მჭიდროდ დაცულ დოქში ათავსებდნენ, ცოტა წყალსაც უმატებდნენ. ჭურჭელს შემდეგ ორი დღე-ღამის განმავლობაში ცხელ ნაცარში ჩადგამდნენ. დოქის დაჩხვლეტილი ტუჩიდან ორთქლი გამოდიოდა, რაც სითხედ იქცეოდა და თიხის სხვა ჭურჭელში გროვდებოდა. ასეთი ხერხით მიიღებოდა ყვითელი ფერის თხევადი საღებავი. საღებავ სითხეს მოხმარების წინ წყალში გააზავებდნენ შემდეგ კი შეღებავდნენ. ნარინჯის ყვავილისაგან ისეთი მაღალი ხარისხის საღებავი მზადდებოდა, რომ რეცხვის შემდეგაც კი მას ფერი არ გაუვიდოდა (სამსონია, 2005:163).

აჭარაში ყველაზე გავრცელებულ საღებავს ენდრო წარმოადგენდა. გამოიყენებოდა მისი გამხმარი ფესვები და ფოთლები, რომლებსაც ხელით ან ქვით კარგად გასრესდნენ და ფხვნილად აქცევდნენ. ფხინვლს წყალში გახსნიდნენ, ცოტაოდენ საქონლის შარდს დაუმატებდნენ. მომზადებულ ხსნარში ჩადებდნენ შესაღებ ქსოვილს და ადუღებდნენ ნახევარი საათის განმავლობაში. შალს ჭურჭელშივე გააცივებდნენ. ქსოვილი წითლად შეიღებებოდა. ბოლოს შალს ცივ წყალში გაავლებდნენ და გააშრობდნენ.

კაკლის ნაჭუჭისა და თხმელის ქერქის ნაერთი შალს ყავისფრად ღებავდა. ეს საღებავი კარგად ეკიდებოდა შალისა და ბამბის ქსოვილებს. ზოგჯერ ამ ნაერთს საღებავს „ლილა მიწასაც“ უმატებდნენ და ქსოვილი ამ დროს მუქ-შავ ფერს მიიღებდა. საღებავს მეტი მდგრადობის მისაღებად შაბის ხსნარსა და ნატეხს ურევდნენ (სამსონია, 2005:40).

სოფლის საუკეთესო მღებავები დიდი ინტერესით ეკიდებოდნენ საღებავების მომზადების რთულ საქმეს. ისინი გასამრჯელოს გარეშე უღებავდნენ ქსოვილებს მეზობლებსა და ახლობლებს. ზოგჯერ ღებვის წესები გასაიდუმლოებული იყო, რასაც დიდი გულმოდგინებით ინახავდნენ და თაობიდან თაობაში გადასცემდნენ.

აჭარელი ქალისა და მამაკაცის სამოსი შინნამზადი და ფაბრიკული ქსოვილებისაგან მზადდებოდა. განვითარების საფუძველზე ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე დამზადებული ქსოვილები თანდათანობით შეიცვალა ფაბრიკული ქსოვილებით, რამაც ხელი შეუშალა ხალხურ ფეიქრობასა და ძველებულ ჩაცმულობას.

XX ს. დასაწყისში ფაბრიკული ქსოვილები ძირითადად შემოჰქონდათ აჭარელ, ბერძენ, ქურთ ვაჭრებს. საქონლის მიწოდების ცენტრი იყო ბათუმი, თბილისი, ქუთაისი, ადრე თურქეთი და ინგლისიც.

ვაჭრობა მეტწილად ადგილობრივ მკვიდრთა ხელში იყო. ქსოვილებს იძენდნენ არ მარტო

ადგილობრივ მაღაზიაში, არამედ ბათუმის, ახალციხის, ქვაბლიანის, არდაგანის, ყარსისა და არტანუჯის სავაჭროებში. კარგ საკაბე ქსოვილად ითვლებოდა ატლასი, აბრეშუმი, სატინა, ყანაოზი, საშალედ მაუდს იყენებდნენ. დაბალი ფენის მოსახლეობისათვის ადვილად ხელმისაწვდომი იყო ბამბის ქსოვილები – ჩითი, ყუმუში, მიტკალი. ქსოვილების ფასს მისი ხარისხი განსაზღვრავდა.

სამოსის ჭრა-კერვა ძირითადად ოჯახში წარმოებდა. ოჯახის უფროსი ქალის ზედამხედველობით ხდებოდა ჭრა-კერვის რთული ხელობის დაუფლება. გოგონები 10-12 წლის ასაკიდან იწყებდნენ ჭრა-კერვის შესწავლას და ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ტრადიციული წესები. მეზობლებსა და ნათესავებს სამოსს უფასოდ უკერავდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში საზღაურს იღებდნენ პროდუქტებისა და შრომით დახმარების სახით.

ადრე სამოსს ხელით კერავდნენ. შეკერვამდე ხდებოდა მისი დალამბვა და გაცუდვა. იცოდნენ ხელით კერვის სხვადასხვა სახეები – თაგალი ანუ უკუგდებული კერვა და ამოხვევა, რომელსაც ზოგჯერ გაღმა-გამოღმა ნაკერსაც უწოდებდნენ.

აჭარაში ჭრა-კერვის პროცესი მთელი რიგი წეს-ჩვეულების შესრულებას ითვალისწინებდა. ეს პროცესი ყველა კვირის დღეს არ შეიძლებოდა. საუკეთესო დღეებად მიჩნეული იყო ორშაბათი, ხუთშაბათი და კვირა. ამათგან ყველაზე „სავსე და ბედნიერ დღედ“ ორშაბათი ითვლებოდა. აჭარელთა რწმენით სამშაბათ დღეს ჭრა-კერვა არ შეიძლებოდა, რადგანაც „მკვდრებთან შეხვედრის“ დღედ ითვლებოდა. ოთხშაბათ დღეს ქსოვილის დაჭრა და შეკერვა საქონლისათვის იყო საზიანო, პარასკევი დღე ცეცხლის გაჩენის მომასწავებლად მიაჩნდათ. შაბათი კი მძიმე დღედ მიიჩნეოდა. ყურადღება ექცეოდა მთვარის ფაზების გათვალისწინებასაც. „დალეულ მთვარეზე“ ქსოვილის დაჭრა სამოსისათვის ცუდის მანიშნებელი იყო (სამსონია, 2005: 43).

ამრიგად, ისტორიულ-ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალების შესწავლა ადასტურებს იმას, რომ აჭარის მოსახლეობა უძველესი დროიდან მისდევდა ფეიქრობას, რასაც ძირითადად საოჯახო მოხმარების ხასიათი გააჩნდა. აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში ნართის დამუშავებისა და ქსოვილების დამზადების ტექნოლოგიური წესით, საფეიქრო იარაღები და შრომის ფორმები ანალოგიურია, როგორც საქართველოს სხვა კუთხეების, ისე კავკასიის სხვა ხალხთა ყოფაში გამოყენებული წეს-ჩვეულებებისა. ასევე ეთნოგრაფიულ სინამდვილეში არსებული საღებავევების დამზადების ტექნოლოგია ადგილობრივი საღებავის საშუალებებით მიუთითებს იმას, რომ XIX-XX სს. მიჯნაზე აჭარაში კარგად იყო შემონახული საუკუნეების განმავლობაში თაობათა მიერ გამომუშავებული ხალხური ღებვის წესები, რომელიც ისტორიული მნიშვნელობისაა. ჭრა-კერვასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები ქართული ხასიათის მატარებელია და მნიშვნელოვნად ავსებს ქართველი ხალხის ყოფითი ცხოვრებისა და კულტურის ისტორიას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თბ., 1987.
2. კახიძე ნ., აჭარის მთიანი ხეობის ძველი და ახალი სამეურნეო ყოფა და კულტურა, თბ., 1967.
3. კახიძე ა., საქართველო ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები., 2010.
4. კომახიძე თ., აჭარის ენციკლოპედიური ცნობარი., 2010.
5. სახოკია თ., მოგზაურობანი, თბ., 1950
6. სამსონია იზ., ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათ., 2005.
7. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათ., 1995.



მიხეილ ზოსიძე

ქაშუეთი, ჩემი ქაშუეთი

სამოცდასამი წლის წინათ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს გამოსათხოვარი საღამო გვქონდა. საღამოს ჩვენი საყვარელი ლექროტი პროფესორი იური სიხარულიძეც ესწრებოდა. დაინტერესდა ვინ, სად ვიწყებდით საქმიანობას.

ჩემი ჯერი რომ დადგა, დიდი სიამაყით ვუპასუხე: მშობლიური სოფლის ჯაბნიძეების საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებელი ვიქნები-მეთქი.

– არა! შემეპასუხა ბატონი იური, – შენ ჯაბნიძეებიდან კი არა, ისტორიული ქაშუეთიდან ხარ და განაგრძო: – საქართველოში ქრისტიანობა სწორედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან გავრცელდა. ანდრია პირველწოდებულმა საეკლესიო ნაგებობათა მშენებლობა ჯერ კიდევ პირველი საუკუნიდან დაიწყო. სხვა კუთხეების მსგავსად აჭარაშიც, კერძოდ დიდაჭარაში აშენდა პირველი ქრისტიანული ეკლესია. აქედან დაიწყო გავრცელება უფლის სიტყვამ.

თქვენ, ჯაბნიძეებლებს, უფრო სწორად, ქაშუეთელებს გაქვთ საამაყო. X-XI საუკუნეებში მამა ბასილის მიერ აშენდა ქაშუეთის ეკლესია.

ბატონ იური სიხარულიძის წიგნშიც, „სამხრეთ-დასავლეთის საქართველოს ტოპონიმიკა (გვ. 157) მითითებულია, რომ „ამ სერზე (კომაკეთის სერზე – მ. ზ.) მოღწეულია ნანგრევები, რომელსაც მოსახლეობა ნაქილისვარს უწოდებს. „ქილისა“ ბერძნული სიტყვაა და ეკლესიას ნიშნავს.

დავბრუნდი სოფელში, მაგრამ ყოველთვის მახსენდებოდა ბატონ იურის შეგონება, რომ მომავალ თაობებს ევალებათ წინაპართა მიერ დატოვებული ისტორიული ნაღვაწ-ნაამაგარის შესწავლა და მომდევნო თაობებისთვის გადაცემა.

ჩანაფიქრი სკოლის პედაგოგებს გავუმხილე, ისინიც დიდი სიხარულით შეხვდნენ ჩემს წინადადებას და 1960 წლის 20 სექტემბერს ქაშუეთის ეკლესიის ნანგრევებს პირველად შეეხო წერაქვი. პირველი „არქეოლოგიური გათხრები“ შედეგიანი გამოდგა. აღმოჩნდა სხვადასხვა კერამიკული ნაწარმი, რკინისა და ბრინჯაოს ნაშთები, თლილი ქვები. ყველაფერი ეს პატარა სასკოლო მუზეუმში მოვათავსეთ. საუბედუროდ, მოგვიანებით სკოლის შენობა დაიწვა და ნივთიერი მასალაც განადგურდა.

სამწუხაროდ, სოფლის მოსახლეობის თხოვნის მიუხედავად, მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ყურად არ იღო მათი სურვილი და მივიწყებული იქნა ეს საშვილიშვილო საქმე.

ეს მაშინ, როცა ქართველთა დიდ მოამაგეებს და მკვლევარებს ზაქარია ჭიჭინაძეს, თედო სახოკიას, დავით ბაქრაძეს, გიორგი ყაზბეგს, ჯემალ ნოღაიდელს, ლისოვსკის და სხვებს აჭარაში ასზე მეტი ეკლესია-მონასტრის ნანგრევი აქვთ აღწერილი, მათ შორის ქაშუეთის ნაეკლესიარიც არის მოხსენებული.

ოსმალო დამპყრობლები ანგრევდნენ ეკლესია მონასტრებს და ნანგრევებზე აშენებდნენ

მეჩეთებს. ასეთი ბედი ეწია ქაშუეთის ეკლესიის ნანგრევებსაც. მათ ნაეკლესიარზე მეჩეთის აშენება დააპირეს, მაგრამ მოსახლეობამ ამის საშუალება არ მისცა. მოძალადეებმა ის მაინც მოახერხეს, რომ ეკლესიის ნანგრევებიდან ძვირფასი მოჩუქურთმებული ქვები ქართული წარწერებით სოფლის ქვედა უბანში მეჩეთის საძირკვლად და საყრდენ კედლებად გამოიყენეს. ამ კედლებზე ახლაც შემორჩენილია ჯვარი და ქართული წარწერები.

ქაშუეთის ეკლესიით ქართველთა დიდი მეფე თამარიც დაინტერესებულა.

სოფელში (მისი გაჩენის დღიდან) ერთი ლამაზი ლეგენდაც არსებობს. „ჯორზე ამხედრებული თამარ დედოფალი სხალთის დიდ ტაძარში მიბრძანდებოდა სალოცავად, გზად უთქვამს, ერთ ღამეს ქაშუეთში გავათევო (ჯაბნიძეებს ადრე ქაშუეთი ერქვა). ადგილს, სადაც სოფლელები უძველეს ქრისტიანულ საფლავებეს დღესაც თვალისჩინივით უფრთხილდებიან. ფეხზე დამდგარა სოფელი, დედოფალს საკადრისად დავხვდეთო. კაცები ბუხრიდან ცეცხლს იღებდნენ და ქარს ესროდნენ, ქარი უკან წავა და დედოფალი არ შეწუხდებაო. ქალები ხალიჩებს აგებდნენ.

საღამო ხანს მობრძანდა მეფე თამარი თავისი ამალით ქაშუეთს. დიდი კოცონი გაუმართავთ სოფლის მცხოვრებთ, სანთლების შუქი აჩირაღდნებდა არე-მარეს. მოპირადაპირე მთა-ბექომებიც განათებული ყოფილა დედოფლის პატივსაცემად.

წაბრძანების ჟამს თამარმა ქაშუეთელებს მიმართა: ჩემთან რა სათხოვარი გაქვთო? დაუჩოქია მთელ სოფელს. მეფეო იმაზე დიდი ბედნიერება რაღა იქნება ჩვენთვის, ვიდრე თქვენი სტუმრობაო.

დალოცა თამარმა ქაშუეთი და გაემგზავრა სხალთის ტაძარს, მას შემდეგ ქაშუეთს (დღევანდელ ჯაბნიძეებს) თამარის დალოცვილი სოფლის სახელი შემორჩა. საიდან არ მოდიოდნენ თამარ დედოფლის ნაფეხურთა საამბოროდ და იმ ადგილის მოსალოცად, სადაც თამარმა მცირე ხნით მიიძინა“.

ასეთი ისტორიის მქოდე ქაშუეთს მართლაც ჭირდება ყურადღება და მზრუნველობა. დადგა ეს დროც.

2013-2017 წლებში შუახევის მუნიციპალიტეტს ხელმძღვანელად მოევლინა ისტორიკოს-მკვლევარი, პროფესორი ტარიელ ებრალიძე, რომელიც დაინტერესდა ქაშუეთის ნაეკლესიარის ბედით და საქმეც წინ წავიდა. სხალთის მთავარეპისკოპოსი, მეუფე სპირიდონიც ჩაერთო ამ საშვილიშვილო საქმეში და ქაშუეთის ნაეკლესიარის პირველი არქეოლოგიური შესწავლაც დაიწყო.

რატომღაც შემდგომში სხვადასხვა მიზეზების გამო შენელდა ნაეკლესიარის არქეოლოგიური შესწავლა-გამოკვლევა...

საბედნიეროდ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ, რომ საქმე წინ წასულიყო.

ერთ-ერთი პირველი იყო ქაშუეთის მკვიდრი მწერალი, პროფესორი ნიაზ ზოსიძე, რომელიც ყოველთვის ცდილობდა ეს საშვილიშვილო საქმე წინ წასულიყო. მას მხარში ამოუდგნენ აჭარაში არქეოლოგიური კვლევების ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე პროფესორი ტარიელ ებრალიძე, ისტორიის აკადემიური დოქტორი ნარგიზ სურმანიძე და სხვები.

მეცნიერებმა ნაეკლესიარის არქეოლოგიური შესწავლის გააზრებული გეგმა შეადგინეს. მათ მხარი დაუჭირა აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტომ და სათანადო დაფინანსების შემდეგ 2023 წელს დაიწყო ქაშუეთის ნაეკლესიარის ღრმა და საფუძვლიანი არქეოლოგიური შესწავლა.

ამ გათხრებმა აჩვენა, რომ ქაშუეთის ნაეკლესიარის წიაღში მრავალი საიდუმლო ინახება. სულ ახლახან იქნა აღმოჩენილი ქვაზე ამოკვეთილი მოკლე სავედრებელი წარწერა. „ქრისტე ღმერთო, შეიწყალე მამა ბასილი და შვილნი მისნი“. ეს კი მიანიშნებს, რომ X-XI საუკუნეების დარბაზული ტიპის ქაშუეთის ეკლესია მამა ბასლის მიერ არის აშენებული.

ზემოთ ნათქვამიდან კარგად ჩანს, რომ წინა თაობები ქმნიდნენ ქაშუეთის ისტორიას. ჯაბნიძეებლები ამაყობენ, რომ მათ ჰყავდათ სახელოვანი წინაპრები, რომელთა მხრებზე იდგა სოფელი.

ერთ მათგანზე ამ წერილშიც მინდა მოგითხროთ:

სურათზე: ქაშუეთის ნაეკლესიარი წარწერით: „ქრისტე ღმერთო, შეიწყალე ბასილი და შვილნი მისნი“. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ქაშუეთის ნაეკლესიარზე აღმოაჩინეს ეს ნიმუშები და დაასკვენს, რომ X-XI საუკუნეების დარბაზული ტიპის ეკლესია იდგა. ამ ნაეკლესიარზე მომავალში ახალი ეკლესია აშენდება.

ხუსეინ ეფენდი თავდგირიძე, რომელმაც უმაღლესი სასულიერო განათლება სტამბულში მიიღო და რომელსაც სულთანის ხელისუფლებაში მრჩევლად დარჩენა შესთავაზეს, არ დათანხმდა და მშობლიურ საქართველოში დაბრუნდა.

ხუსეინი იყო სწორედ ის ადამიანი, რომელმაც ორი – მუსლიმანური და ქრისტიანული რელიგიების აღმსარებლობის ადამიანებს ერთად თანაცხოვრების, ურთიერთპატივისცემის, სოფლის წინსვლისთვის ერთად ბრძოლის მაგალითი უჩვენა. აჭარის მთიანეთში ერთ-ერთმა პირველმა ქართული სკოლა საკუთარ სახლში გახსნა. მასწავლებლად მეზობელი გურიიდან კალანდარიშვილი მოიწვია, თავის სახლში დააბინავა და ასე აზიარა ქაშუეთელი ბავშვები გოგებაშვილის „დედაენას“.

საგულისხმოა, რომ თანასოფლელებისგან ერთნაირად მოითხოვდა ნაეკლესიარის ორივე მხარეს არსებული ქრისტიანული და მუსლიმანური სასაფლაოების მოვლა-პატრონობას. არც ნაეკლესიარის ნანგრევები რჩებოდა მისი ყურადღების გარეშე.

ყოველივე ეს ახალ გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს სოფლის ახლანდელ თაობას.

სოფელს სახელი გაუთქვეს ქაშუეთის მკვიდრმა მეცნიერებმა, პროფესორებმა: ნიაზ ზოსიძემ, რეზო ზოსიძემ, რომან ზოსიძემ, ნატო ზოსიძემ, ნუგზარ ზოსიძემ, ანზორ აბუსელიძემ, გენადი ივანაძემ, მურმან მუკუტაძემ და სხვებმა.

სოფელს ჰყავს შესანიშნავი ინტელიგენცია, ერთ მუშტად შეკრული პედაგოგიური კოლექტივი, მუნიციპალიტეტის და მხარის სხვადასხვა პასუხიმგებელ პოზიციებზე მომუშავე ადამიანები, რომლებიც ახალი ცხოვრების ფერხულში არიან ჩაბმული და თავიანთი წვლილი შეაქვთ სოფლის წინსვლასა და აღორძინებაში.

მათ კარგად იციან, რომ საქართველოს ყოველ საყრდენ კედელში, ყველა კუთხის ქვაბალავრად დგას ქართული ეკლესია და ჯაბნიძეებლებიც თავიანთ ქვა-ბალავრად თვლიან ქაშუეთის ეკლესიის ნანგრევებს.

მისასალმებელია, რომ ეკლესიის არქეოლოგიური შესწავლისთვის ერთგვარი მუშაობა იქნა გაწეული, მაგრამ წინ უფრო დიდი ამოცანებია. მის წიაღში კიდევ ბევრი საიდუმლო იმალება. საჭიროა მათი მეცნიერული გამოკვლევა. ამ საქმეში სოფელს დასჭირდება აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს, შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების ქმედითი დახმარება, რათა გაგრძელდეს ნაეკლესიარის ღრმა მეცნიერული არქეოლოგიური შესწავლა. ამასთან უნდა მოხდეს ნაეკლესიარის კონსერვაცია. კარგი იქნება თუ გათვალისწინებული იქნება მსურველთა თხოვნა, რათა მიმდებარედ აშენდეს ახალი ეკლესია და მას მიენიჭოს საქართველოს ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი.

ეს კი შექმნის შესაძლებლობას, რომ ქაშუეთი ქართული კულტურული მემკვიდრეობის თვალსაჩინო ადგილი გახდეს და საქართველოში მზარდი ტურისტული ნაკადის სასურველ ცენტრადაც იქცეს.

ალექსანდრე ჩხაიძე

საზღვაო ჭრანსპორჯი ბათუმში

(XIX საუკუნის ბოლოს)

შავი ზღვა რამოდენიმე სახელმწიფოს აკრავს. მის გვერდით არსებობა გეოსტრატეგიული უპირატესობაა. უძველესი პერიოდიდან ამ ზღვის გზები ცივილიზაციის შემტანი იყო მიმდებარე რეგიონებისათვის. მნიშვნელოვანია მისი როლი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისათვის წარსულში, თანამედროვეობასა და მომავალში.

ჰიდროსფერო (წყლის გარსი, რომელიც აკრავს დედამიწას: ოკეანეები, ზღვები, მდინარეები ტბები...) განაკუთრებით იქ ფასობს სადაც ბოღაზისათვის (ნავსადგურისათვის) ხელსაყრელი ადგილია. სწორედ ამითაა გამორჩეული ბათუმი. საერთოდ ზღვაოსნობას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დიდი ისტორია აქვს, მაგრამ ჩვენი ქალაქის სანაპირო ზოლის პოტენციის შესაბამისი გამოყენება მხოლოდ ბოლო საუკუნენახევრის განმავლობაში ხდება.

ბათუმის სანავსადგურო ყურესთან მდებარეობს, როგორც საზღვაო ნავსადგური (სადაც შემოდიან და გადიან ძირითადად სამგზავრო გემები), ისე მის აღმოსავლეთით – პორტი (სადაც შემოდიან და გადიან სატვირთო გემები). ეს სანავსადგურო ყურე შედარებით გვიანდელ ხანაში შეიქმნა. ადრე მისი მიმდებარე ტერიტორიები, ე. ი. ბათუმის მნიშვნელოვანი ნაწილი ზღვას ეკავა (1.17). მეცნიერთა ვარაუდით ბათუმის ყურეს ფორმირება მოხდა ჭოროხის შლამის მოწოლის შედეგად, რაც XVII-XVIII საუკუნეებისათვის უნდა დამთავრებულიყო (2.8).

თავდაპირველად ბათუმი მდებარეობდა ახლანდელი თამარის (ბათუმის ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის) უბნის ტერიტორიაზე, მდინარე ყოროლისწყლის ზღვასთან შეერთების მიდამოებში. ეს ტერიტორია ადამიანმა აითვისა ძვ. წ. აღ.-ის II-I ათასწლეულების მიჯნაზე. იქედან მოყოლებული თითქმის 3000 წლის მანძილზე ამ მიდამოებში, სადაც VI საუკუნეში აიგო ლოსორიონის ციხე (რომელიც ცნობილია თამარის ციხის სახელწოდებით) „მცირე დასახლება“ იყო.

დღეისათვის ზუსტად ცნობილი არაა ჩვენი „მცირე ქალაქი“ დიდი ხნის მანძილზე ნავსადგურად რომელ ადგილს იყენებდა, იქვე მდინარე ყოროლისწყლის ზღვასთან შეერთების ადგილს, თუ მასთან ახლოს, თანამედროვე პორტის შედარებით ღრმა სანაპიროს. თუმცა ახლანდელი პორტის ხელსაყრელი ღრმა ადგილიც ძველად დასავლეთის ქარებისაგან დაცული არ იყო, რადგან თანამედროვე ბათუმის ძირითადი ტერიტორიის შექმნა, როგორც აღვნიშნეთ, ჭოროხის შლამის მოწოლის შედეგად გვიანი შუა საუკუნეების დროს უნდა დასრულებულიყო.

„მდ. ყოროლისწყლის შესართავიდან ბათუმის კონცხის მიმართულებით საქალაქო დასახლების გადანაცვლება იწყება მე-18 საუკუნიდან და მთავრდება მე-19 ს-ის 60-იან წლებში. აღნიშნული პროცესი დაკავშირებულია ბათუმის ყურეს უაღრესად მოხერხებულ სანავსადგურო პირობებთან. ამასთან, ყურეს გარშემო არსებული ვრცელი დაბლობი იძლეოდა შესაძლებლობას ახალი საქალაქო დასახლების გასაშენებლად“ (3. 68).

XIX ს. შუა ხანებში ოსმალეთში, რომლის შემადგენლობაში ჯერ კიდევ შედიოდა ბათუმი და მისი მიმდებარე ტერიტორიები, მიმდინარეობდა მრავალმხრივი რეფორმები. ძველი სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილება, ფეოდალური ურთიერთობა იშლებოდა. იქმნებოდა ქვეყნის განვითარების ახალი პირობები. მართალია რეფორმებმა იმ დროს, ადგილობრივი საწარმოო ძალების განვითარებას მცირედ შეუწყო ხელი, მაგრამ სამაგიეროდ გააქტიურდა ვაჭრობა, როგორც საშინაო, ისე საგარეო. ბათუმის სანაოსნო გზის განვითარებას კარგი პერსპექტივა შეექმნა.

XIX ს. „60-იანი წლებიდან განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს ღებულობს ბათუმის სანაოსნო გზით ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობა“ (4.51). მაშინდელი სტატისტიკური მონაცემები გვამცნობენ აქაურ ნავსადგურში გემთბრუნვის რაოდენობის და ამ გემების შესაძლებლობათა ზრდაზე, აგრეთვე თუ რა შემოჰქონდათ და გაჰქონდათ ამ ნავსადგურის მეშვეობით (იქვე, 50-51). ადგილი ჰქონდა როგორც საერთაშორისო ნაოსნობის, ისე საკაბოტაჟო (ნაპირის სიახლოვეს) ნაოსნობის განვითარებას. შესაბამისი კომერციული ოპერაციების ზრდა ხელს უწყობდა, როგორც ქალაქის, ისე მიმდებარე ტერიტორიების სამეურნეო გამოცოცხლებას.

უპრიანია მოკლედ გადავხედოთ რას წარმოადგენდა XIX ს. 70-იანი წლების ბათუმი (1878 წლამდე), რომელსაც დიდი პოტენცია და მომავალი გააჩნდა. იმდროინდელი აქაური მოსახლეობის რაოდენობის შესახებ სხვადასხვა მონაცემები არსებობს. მაშინ აქ რამოდენიმე ათასი სული ცხოვრობდა. ბათუმი იყო ლაზისტანის სანჯაყის (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის) ცენტრი, სადაც განთავსდა შესაბამისი ადმინისტრაციული, სამოქალაქო, სამხედრო და რელიგიური სტრუქტურები და მოხელეები (5.73-75). „ქალაქი შედგებოდა 20-მდე ქუჩისაგან“ (4.84). დანარჩენი სახლები კი მიმოფანტული იყო. ის წარმოადგენდა ჩამორჩენილ, აზიური ტიპის პატარა პროვინციულ ქალაქს. მხოლოდ რამოდენიმე სახლი ზღვის ნაპირას ემსგავსებოდა ევროპულ ნაგებობას. სხვები კი უმთავრესად უგემოვნოდ ნაგებ ხის შენობებს წარმოადგენდნენ. მოქალაქეთა ძირითად საქმიანობას შეადგენდა ვაჭრობა, ნაოსნობასთან დაკავშირებული საქმიანობა, თევზის რეწვა, ხელოსნობა, სოფლის მეურნეობა. მცხოვრებლებს საკმაოდ დაბალი დონის ინფრასტრუქტურა ემსახურებოდა.

უკვე აღვნიშნეთ, რომ XIX ს. 60-იანი წლებიდან ბათუმში გააქტიურდა სანაოსნო გზით ვაჭრობა. მაგრამ, რაც მთავარია, ნავსადგური არ იყო შესაბამის დონეზე მოწყობილი. ნიკო ნიკოლაძე, რომელმაც 1872 წელს იმოგზაურა ბათუმში წერდა: „ამ თვალუწვდენელ შავ ზღვას მარჯვნივ და მარცხნივ, გაშლილი ადგილის, მიუდგომელი კლდეებისა და გასილული ჭაობების მეტი არა არტყია რა. არსდაა ერთი ისეთი ნავსაყუდელი ადგილი, სადაც თავის შეფარება და ტაროსის მოცდა შეეძლოს ხომალდს ან სანდალს, სადაც შესაძლო იყოს ხეირიანი პორტის ან ბოღაზის გამართვა. სტამბოლისა და სევასტოპოლი გარდა შავ ზღვას ბათუმისთანა ძვირფასი თვალი არა ჰქონია და არა აქვს“ (6.70).

რუსეთ-ოსმალეთის მორიგი 1877-1878 წლების ომის შედეგად, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით, საქართველოს ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორიების ნაწილი, მათ შორის ბათუმი, დედასამშობლოს დაუბრუნდა. აქედან მოყოლებული ჩვენი ქალაქის ბედი მალევე მკვეთრად შეიცვალა. შემოერთებისთანავე დაიწყო მისი სწრაფი ეკონომიკური დაწინაურება, მოსახლეობის რაოდენობის ზრდა და საქალაქო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

ბათუმის სწრაფ განვითარებაში უპირველესი როლი ითამაშა ხელსაყრელმა საზღვაო ყურემ, შემდეგ კი სხვა ფაქტორებმაც.

ოსმალთა ხელისუფლების დროს, როგორც აღვნიშნეთ, ბათუმის ნავსადგური არ იყო კეთილმოწყობილი. კერძოდ, დაბალი იყო გამტარუნარიანობა, თუმდაც იმიტომ, რომ არ გააჩნდათ გადასატვირთი მოწყობილობები, ჰიდროტექნიკური ნაგებობები, საწყობებიც კი, იყო სხვა ნაკლოვანებები. მსგავსი მდგომარეობა აიხსნება ქვეყნის ჩამორჩენილობით, შესაბამისი ბიზნესის, მოთხოვნების სისუსტით.

შეერთებისთანავე ახალი ხელისუფლება შეუდგა ნავსადგურის სამშენებლო-კეთილმოწყობით სამუშაოებზე ზრუნვას. 1879 წელს შეიქმნა კომისია, რომელსაც დაევალა ნავსადგურის ფუნქციონირების გაუმჯობესების პროექტის დამუშავება (7.210). კომისიამ თითქმის სამი წელი იმუშავა, გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება, თუმცა გადაწყვეტილების მიღება გაჭიანურდა. უნდა ითქვას, რომ ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ქალაქის ბოღაზში გემების შემოსვლის და გასვლის ინტენსიურობა მატულობდა. მათი ფუნქციონირებისათვის მიმდინარეობდა ელემენტარული სამუშაოები. აღნიშნულმა კომისიამ კი საბოლოოდ პროექტი მიიღო 1885 წელს (იქვე, 211). გამოიყო თანხა, მშენებლები, ტექნიკა. იმავე (1885) წელს დაიწყო დაგეგმილი სამუშაოები. რადგან უკვე ჩვენს ქალაქში მთავარ ბიზნესს ახლად დაწყებული ნავთობპროდუქტების ტრანზიტი, მისი ხელშემწყობი საქმიანობა წარმოადგენდა, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მისადგომებს, საიდანაც გემებს ნავთობპროდუქტებით ტვირთავდნენ (4.103). შემდგომში, XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში პორტში პერმანენტულად მიმდინარეობდა ძველის განახლებითი და ახალი სამუშაოები.

ბათუმის ნავსადგურის ერთ-ერთი პირველი ფოტო

XIX ს. 80-იანი წლებიდან ჩვენს ქალაქში ახალი სავაჭრო-ეკონომიკური პირობების ზრდის ფონზე ვითარდებოდა, როგორც მცირე და დიდი საკაბოტაჟო, ისე საერთაშორისო ნაოსნობა. როგორი იყო ამ მხრივ მდგომარეობა 1878 წლიდან XIX საუკუნის მიწურულამდე?

საერთოდ, 1878 წელს ბერლინის კონგრესის დადგენილებით ბათუმი რუსეთის იმპერიას გადაეცა, როგორც პორტო-ფრანკო ანუ ადგილი, რომელიც ისარგებლებდა საზღვარგარეთული და ადგილობრივი საქონლის უბაჟოდ მიღება-გატანის უფლებით. ეს რეჟიმი ჩვენს ქალაქში მოქმედებდა 1878-1886 წლებში.

ჩვენს ხელთაა ბათუმის შემოერთების შემდეგ პირველ წლებში გემების შემოსვლის სტატისტიკა. მისი მიხედვით:

ქვეყნები	1879 წ.	1880 წ.	1881 წ.
რუსეთი	369	632	579
ავსტრია	33	53	52
საფრანგეთი	19	24	25
თურქეთი	27	9	12
ინგლისი	18	7	7
სულ	466	725	675

1882 წელს კი ბათუმში შემოვიდა და ტვირთი შემოიტანა ტონობით:

წლები	გემი	ტვირთი
1879	466	256 896
1880	725	376 800
1881	675	362 420
სულ	1866	996 116

(2. 28)

ბათუმის შემოერთების შემდეგ შექმნილმა ახალმა პირობებმა, ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებამ გამოიწვია ქალაქის ზრდა. სერგეი მესხი წერდა: „დიდძალი ხალხი ჩამოვიდა აქ... სულ ვაჭრები არიან. ყველა აქ მოელის გაკეთებას. დარბიან, დაცმაცურობენ, ჰყვირიან, ჩურჩულებენ, დილიდან-საღამომდინ აქა-იქ დაძვრებიან, სამაღაზიო, სასტურო, სადუქნო სახლებს ქირაობენ, ადგილებს ყიდულობენ, „საქმე“ ეძებენ (8.36).

მალე ყოფილი პატარა, უმნიშვნელო ბათუმი მშენებლობამ მოიცვა. „შემოერთებისთანავე ბათუმში ინტენსიური მშენებლობა გაჩაღდა. 1884 წლისათვის აიგო 305 საცხოვრებელი სახლი. გაიხსნა 4 თამბაქოს ფაბრიკა, 8 სასტუმრო, 4 საკონდიტრო, 27 თორნე, 21 სასადილო, 49 საბაყალეო, 15 საგალანტერიო და 12 ტანაცმელ-ფეხსაცმლის მაღაზია. 1883 წელს ამუშავდა ნავთის ჭურჭლის დამამზადებელი ბუნგესა და პალაშკოვსკის (მოგვიანებით როტშილდის ქარხანა), 1885 წელს – სიდერიდისისა და რიხნერის საწარმო. დაიწყო ქალაქის ჭაობების ინტენსიური დაშრობა, რკინიგზის მშენებლობა, კეთილმოაწყვეს ქუჩები და ა. შ.“ (2. 31-32).

1886 წელს ბათუმში პორტო-ფრანკოს რეჟიმი გაუქმდა. მაგრამ ჩვენი ქალაქის წინსვლა გრძელდებოდა. ნავსადგურის მუშაობა ინტენსიურად მატულობდა. ნავთობის ბიზნესი კი მეტად ვითარდებოდა.

როგორც საკაბოტაჟო ისე საერთაშორისო რეისებს ჰქონდათ სხვადასხვა დანიშნულება. კერძოდ, სრულდებოდა სატვირთო, სამგზავრო, სატვირთო-სამგზავრო, საფოსტო-სამგზავრო რეისები. უმეტესად ადგილი ჰქონდა რეგულარულ რეისებს.

იმპერიის მასშტაბით ეკონომიკის წინსვლამ ბათუმში განსაკუთრებით გამოიწვია საკაბოტაჟო-სატვირთო რეისების განვითარება.

ჩვენს რეგიონში უძველესი პერიოდიდან არსებობდა საკაბოტაჟო ნაოსნობის ტრადიციები. XIX ს. 80-იანი წლებიდან ცურვის ამ სახეობის მასშტაბი გაფართოვდა. ახლა შავ ზღვასთან ერთად იგი მოიცავდა აზოვის ზღვის აუზს. ბათუმს ურთიერთობა ჰქოდა მათ მრავალ სანავსადგურო პუნქტთან.

საკაბოტაჟო-სატვირთო რეისების საშუალებით ჩვენს ქალაქში შემოჰქონდათ და გაჰქონდათ სხვადასხვა სახის პროდუქტი, ხე-ტყე, სამშენებლო მასალა, რკინის ნაწარმი და ა. შ. ნავთობპროდუქტები კი ცხადია გაჰქონდათ. საკაბოტაჟო ტვირთები გადაჰქონდათ „ნაოსნობისა და ვაჭრობის რუსული საზოგადოების“, „ტვირთების ტრანსპორტირებისა და დაზღვევის რუსეთის საზოგადოების“, ძმები როზენშტეინების, მანთაშევის, კოშკინას და სხვა გემებით (4.177).

საკაბოტაჟო ნაოსნობის ფარგლებში ვითარდებოდა სამგზავრო რეისებიც. გარდა სპეციალური სამგზავრო საცურაო საშუალებებისა მგზავრები შეეძლო გადაეყვანა, როგორც სატვირთო, ისე საფოსტო გემებსაც.

არსებობდა დიდი კაბოტაჟიც. მისი საშუალებით ბათუმს კავშირი ჰქონდა პეტერბურგთან და ვლადივოსტოკთან.

XIX ს. 90-იანი წლებიდან ბათუმის საკაბოტაჟო ნაოსნობაში იალქნიანი გემები სულ უფრო ისტორიას ბარდებოდა და უპირატესობა მოიპოვა ორთქლის გემებმა. იზრდებოდა ორთქლის გემების ტვირთამწეობაც.

რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოხვედრის შემდეგ ბათუმში, საკაბოტაჟო ნაოსნობის მსგავსად, საერთაშორისო ნაოსნობაც უფრო ინტენსიური გახდა. ამ პერიოდში საერთაშორისო ტვირთბრუნვა მნიშვნელოვნად იზრდებოდა. იგი დაუკავშირდა მსოფლიოს ათეულობით ქალაქს ევროპაში, ამერიკასა და აფრიკაში.

საერთაშორისო ნაოსნობის ფარგლებში ჩვენი ქალაქიდან ექსპორტში ყველაზე დიდი წილი მოდიოდა ნავთობპროდუქტებზე. გარდა ამისა, აქ იყო მნიშვნელოვანი სატრანზიტო პუნქტი, სადაც ხდებოდა სხვადასხვა სახის პროდუქტის, მათ შორის კვების, ასევე სამშენებლო მასალის, მანუფაქტურის, მანქანა-დანადგარების შემოტანა და გატანა.

გარდა ამიერკავკასიისა და სპარსეთის საქონლის ტრანზიტისა ჩვენი ქალაქის მეშვეობით ხდებოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის მეტი დაკავშირება. კერძოდ კრასნოვოდსკ-ბაქო-ბათუმის გზით შუა აზიიდან დასავლეთისაკენ და პირიქით ტვირთბრუნვა შეადგენდა 2.589.000 ფუთს (7.216).

ფართოვდებოდა საერთაშორისო სამგზავრო რეისებიც. მგზავრები გადაჰყავდა როგორც სამგზავრო ისე სატვირთო-სამგზავრო გემებს. ამ საქმეს ემსახურებოდნენ სხვადასხვა ქვეყნის კომპანიები და საზოგადოებები. მათ შორის ფრანგული „მესსაჟერ მარიტიმი“, „პაკე“, ავსტრიის „ლლოიდი“, რუსეთის „ნაოსნობისა და ვაჭრობის რუსული საზოგადოება“ და სხვები.

„ბათუმის პორტით საერთაშორისო ნაოსნობის გემების მოძრაობა (1879-1912წწ.)“

წლები	**მოვიდა (მათ შორის იალქნიანი)**	**გავიდა (მათ შორის იალქნიანი)**	**სულ (მათ შორის იალქნიანი)**
1880	773 (624)	791 (624)	1564 (1266)
1886	615	615	1230
1893	1246	1246	2491
1899	2212	2212	4424

(4.202)

ჩვენს ნავსადგურში საერთაშორისო ნაოსნობაში ჩაბმული გემების უმრავლესობა, თითქმის 90% იყო საზღვარგარეთის ქვეყნების სანაოსნო კომპანიების საკუთრება. რუსეთის ხელისუფლება ამის წინააღმდეგი არ ყოფილა. კიდევ მეტი, მათ მიიღეს კანონი რომლის მიხედვით, უცხოეთის სანაოსნო, რომლებიც ემსახურებოდა რუსეთის საქონლის ექსპორტს და იმპორტს, თავისუფლდებოდნენ გადასახადებისაგან (7.217).

ჩვენს ქალაქში ნაოსნობის განვითარებას ცხადია მოჰყვა შესაბამისი სამსახურების და მომსახურე პერსონალების შექმნა. სამსახურებიდან შეიქმნა: 1. სავაჭრო პორტის სამმართველო, 2. პორტის მშენებლობის სამმართველო, 3. მთავარი სასაწყობო საბაჟო, 4. პორტის საქმეთა საგანგიო. ეს უკანასკნელი თავის სხდომაზე იხილავდა მნიშვნელოვან საკითხებს და წყვეტდა მათ ან გადასაწყვეტად წარუდგენდა ზემდგომ ორგანოებს.

ნავსადგურის მომსახურე პერსონალი სამ ჯგუფად იყოფოდა: ოლქის სანაოსნო სამსახურის პერსონალი, ოლქის სანაოსნო საშუალებათა ეკიპაჟი და დასაქმებული მუშები.

როდესაც საუბარია XIX ს. ბოლო ოცწლეულში ბათუმის ეკონომიკურ განვითარებაზე, ცხადია მის საფუძველს ხელსაყრელი ნავსადგური, მისი კეთილმოწყობა და ნორმალური ფუნქციონირება წარმოადგენდა. ამასთან ერთად აქ მრეწველობის განვითარებაში ძალზე დიდი როლი ითამაშა ნავთობის ბიზნესმა. ბაქოდან ჩამოჰქონდათ ნავთობი, მისი პროდუქტები და ბათუმიდან საზღვაო ტრანსპორტით გაჰქონდათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მიმართულებით. 1883 წლიდან, როდესაც გაიხნა ბათუმი-სამტრედიის სარკინიგზო ხაზი და ჩვენი ქალაქი რკინიგზით დაუკავშირდა ბაქოს, ნავთობპროდუქტების ჩამოტანა-გატანის მოცულობა გაიზარდა. მისი მაჩვენებელი წლიდან წლამდე მატულობდა. კერძოდ, 1883 წელს აქედან გატანილი ნავთობპროდუქტების მოცულობა უდრიდა 3.348,9 ფუთს, 1884 წელს – 6.200,8, 1885 წელს კი – 10.408,90 ფუთს. შემდეგ წლებში მისი რაოდენობა კიდევ იზრდებოდა (9.136). შესაბამისი ბიზნესი, ამ საქმის მომსახურების საქმიანობა ჰყვაოდა. კერძოდ, გახსნილი იყო ნავთობპროდუქტების ჩასასხმელი ჭურჭლების საწარმოები, იქ ინერგებოდა ახალი ტექნიკა, ადგილი ჰქონდა კონკურენციას, უმჯობესდებოდა შრომის ორგანიზაცია. ზოგჯერ ნავსადგურში შემოდიოდნენ ტანკერებიც ანუ გემები, რომლებშიც ხდებოდა ნავთობის გადასხმითი წესით დატვირთვა. ნავთობის ბიზნესიდან ქალაქს კარგი შემოსავალი ჰქონდა, რომელსაც საქალაქო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის იყენებდა.

ოფიციალური მონაცემებით 1897-1898 წლებში, როდესაც ბათუმის ნავსადგურიდან, წლების შესაბამისად გაზიდეს 57.826.5 და 62.032.8 ათასი ფუთი ნავთობ-პროდუქტი (იქვე), ამათ გატანას ოფიციალური მონაცემებით მოემსახურა 75 გემი (იქვე, 149-151).



გემის მაკეტი. ასეთი გემებით გაჰქონდათ ნავთობპროდუქტები ბათუმის ნავსადგურიდან

საზღვაო საქმე რაც უფრო კარგად არის დაყენებული, მით მეტად სარფიანია. ბათუმის ნავსადგურში ჩადებულმა მატერიალურმა და ფინანსურმა სახსრებმა, აგრეთვე საორგანიზაციო საქმიანობამ მნიშვნელოვანი უკუმოგება მოიტანა.

ჩვენს ქალაქის პორტში დაწესდა მთელი რიგი გადასახადები, რომლებიც კარგ შემოსავალს შეადგენდნენ. ამ შემოსავლის ნაწილი ხმარდებოდა თვით პორტის კეთილმოწყობას, სანაოსნოსთან დაკავშირებულ საქმიანობას, ხოლო ნაწილი შედიოდა, ბათუმის ბიუჯეტში. მოცემულ პერიოდში ბათუმის მზარდი ბიუჯეტი ნაყოფიერად ხმარდებოდა ქალაქის ინფრასტრუქტურის მოწყობას.

1897 წელს რუსეთის იმპერიაში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით ბათუმში ცხოვრობდა 28.508 სული (10.427). აქ არსებული სამეურნეო-ეკონომიკური ორბიტა გარდა ზღვასთან და ნავთობთან დაკავშირებული ბიზნესისა მოიცავდა სხვა სფეროებსაც. ამუშავდნენ ქარხანა-ფაბრიკები, მათ შორის ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის, პაპიროსის, ალკოჰოლისა და ა. შ. (11.60-61).

XIX ს. ბოლო ოცწლეულში, ამ ისტორიისათვის საკმაოდ მოკლე ხნის განმავლობაში, ბათუმმა საოცრად წაიწია წინ. 1878 წლამდე ოსმალეთის იმპერიის ეს მიგდებული, ჩამორჩენილი დასახლებული პუნქტი სულ უფრო ვითარდებოდა ეკონომიკურად, სოციალურად, კულტურულად, პოლიტიკურად და ა. შ.

ჩვენი ქალაქის მრავალმხრივ განვითარებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა რუსეთის იმპერიაში მოქცევამ და დედასამშობლოსთან დაბრუნებამ, ხელსაყრელმა საზღვაო ყურემ და იქ შესაბამისი ნავსადგურის მოწყობამ, ნავთობის ბიზნესმა, ახალმა ეკონომიკურმა პირობებმა და ა. შ.

XIX ს. მიწურულს ბათუმში კაპიტალიზმის შემოსვლა, ეკონომიკური განვითარება ხდებოდა მშრომელთა მკაცრი ექსპლუატაციის ხარჯზე (12.37-47). იმ დროს ევროპის მშრომელთა კლასიც უსამართლოდ იჩაგრებოდა სოციალური სისტემის არასრულყოფილად მოწესრიგების გამო. მითუმეტეს ეს ითქმის ჩვენი ქვეყნის, ბათუმის მშრომელებზე.

მოცემულ პერიოდში ბათუმის ჩაგრულ მუშათა კლასის ნაწილს შეადგენდნენ ნავსადგურის მტვირთავი მუშები. მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო. უპირველესად უნდა ითქვას, რომ შრომის პირობები მტვირთავებისათვის ანუ მეკურტნეებისათვის მავნეს წარმოადგენდა. ამას ემატებოდა სამუშაო დროის ხანგრძლივობა – თითქმის 10 საათი, ხელფასის არასაკმარისი დონე, მოუწესრიგებელი საყოფაცხოვრებო პირობები. ყოველივე ამასთან ერთად, იმავე პერიოდში მშრომელები შესაბამისი ორგანიზაციების ხელმძღვანელობით სწავლობენ და იწყებენ ბრძოლას თავიანთი უფლებებისათვის.

ამგვარად, XIX ს. ბოლო ოცწლეული ბათუმისათვის და მისი ნავსადგურისათვის საზღვაო ტრანსპორტის განვითარების მნიშვნელოვანი პერიოდია. იმ დროს ჩვენი ქალაქი სულ უფრო ემსგავსებოდა ევროპის საშუალო დონის ქალაქს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ნიჟარაძე ნ., ჯიბუტი ნ., აჭარის ასსრ, ბათუმი, 1957.
2. სურგულაძე ა., სიორიძე მ., პორტო-ფრანკო ბათუმში, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 1996.
3. უზუნაძე რ., ბათუმის ისტორიიდან (XIX ს-ის დამდეგი-70-იანი წლები), ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 1997.
4. უზუნაძე რ., ნაოსნობა ბათუმის ოლქში, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2001.
5. ჟურნალი „საისტორიო მაცნე“, XIV, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ისტორიის კათედრა, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2005.
6. ნიკოლაძე ნ., თხზ. ტ. 3, გამომცემლობა „ცოდნა“, 1963.
7. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, III, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2008.
8. მესხი ს., თხზულებანი, ტ. 3, თბილისი, 1964.
9. სიჭინავა ვ., ბათუმის ისტორიიდან, სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1958.
10. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი V, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970.
11. ლეკვეიშვილი ს., ასე იწყებოდა ქალაქი..., გამომცემლობა „ალიონი“, ბათუმი, 2000.
12. ცქვიტარია პ., აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები, სახელმწიფო გამომცემლობა, ბათუმი, 1959.
13. კომახიძე თ., ივანე ანდრონიკაშვილი, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2003.
14. სიორიძე მ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2002.
15. Батумь и его окрестости, типография киладзе и таварткиладзе, Батумь, 1906.

ჟურნალი 2

2024